ავტორის სტილი დაცულია

**ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი**

**სადოქტოროპროგრამა: ამერიკისმცოდნეობა**

**ნანა პარინოსი**

# აფროამერიკელი ქალები ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში: წვლილი და გამოწვევები

ამერიკისმცოდნეობის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

**სამეცნიეროხელმძღვანელი:**ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი ელენე მეძმარიაშილი

**სამეცნიეროთანახელმძღვანელი:** რამაპოს უნივერსიტეტის

პროფესორი ჯერემი თაიგენი

**თბილისი**

**2021**

# აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომში **„აფროამერიკელი ქალები ამერიკის შეერთებული შტატების შეარაღებულ ძალებში: წვლილი და გამოწვევები“** შესწავლილია ორი ძირითადი მიმართულება: აფროამერიკელ ქალთა როლი ამერიკის შეერთებული შტატების ომებში (სამოქალაქო ომი, პირველი და მეორე მსოფლიო ომები, ვიეტნამისა ომი და სპარსეთის ყურის ომები) და ზემოთ ხსენებული ომების როლი და გავლენა აფროამერიკელ ქალთა სამოქალაქო საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრირებაზე.

ნაშრომი ინტერდისციპლინურია და აერთიანებს ეთნიკურ, რასობრივ და გენდერულ საკითხებს სამხედრო ჭრილში. მასში განხილულია ის, თუ როგორ აღმოიფხვრა რასობრივი, ეთნიკური და გენდერული დისკრიმინაცია სამოქალაქო ომიდან სპარსეთის ყურის ომებამდე; კვლევა გვაჩვენებს, თუ როგორ იქცა აღნიშნული ომები აფროამერიკელი ქალებისთვის სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირების როგორც ერთგვარ საშუალებად, ასევე ამ ინტეგრაციის დონის საუკეთესო ბარომეტრად. გარდა ამისა, ინტერვიუს დახმარებით, კვლევა ცხადყოფს, თუ რა გამოწვევების წინაშე დგანან თანამედროვე აფროამერიკელი ქალები და როგორია ვითარება დღევანდელ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში; ამასთან, როგორ შეიცვალა ომებში აფროამერიკელი ქალების ჩართულობით ფედერალური მთავრობის დამოკიდებულება (გატარებული რეფორმები) და როგორი ფორმით გამოვლინდა მზაობა მათი ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის.

ვინაიდან, აფროამერიკელ ქალთა წვლილი და გამოწვევები შეიარაღებულ ძალებში არათუ საქართველოში, არამედ არც ამერიკის შეერთებულ შტატებში სათანადოდ შესწავლილი არ არის და საკითხის სისტემური ცოდნა არ არსებობს, ჩემი სადისერტაციო კვლევა საინტერესო იქნება მისი როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობით.

ნაშრომში წარმოდგენილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: როდიდან და როგორ დამკვიდრდა ისტორიული და ეროვნული მნიშვნელობის ტერმინები *„ამერიკელი და აფროამერიკელი“*, როდის იქცა ცალკეული შტატები ერთ სახელმწიფოდ, რა ფაქტორებმა შეუწყო ამას ხელი და რაოდენ დიდი/მცირე იყო ზემოთ ხსენებულ საკითხებში აღნიშნული უმცირესობის როლი. ასევე, კვლევის შედეგად, მკაფიოდ გამოჩნდა, რომ თითოეული ომი ცალკეული ისტორიული მოვლენაა, რომელმაც შეცვალა აფროამერიკული რასის ყოფა. ყოველმა მათგანმა გამოიწვია გარკვეული შედეგი, რის მიღწევაშიც აფროამერიკელ ქალთა ღვაწლი განუზომელია. ამასთან, კვლევა ცხადყოფს, თუ როგორ იქცა ომი პრობლემების გადაჭრის საშუალებად და საინტერესო ბერკეტად აფროამერიკელთა ცხოვრებაში; რა სიახლე შეიტანა ამ ომებმა ფერდაკანიან ქალთა ყოფასა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური, ეთნიკური, რასობრივი თუ გენდერული პრობლემების გადაჭრაში; რომელმა ომებმა ითამაშა როლი ეთნიკური და რასობრივი დისკრიმინაციის შესუსტებაში და როდის გახდა ხილვადი გენდერული დისკრიმინაციის დაძლევა.

შედეგად, მკაფიოდ გამოჩნდა როგორც აფროამერიკელი ქალების წვლილი და გამოწვევები ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე, ამავდროულად, ზემოთ ხსენებული ომების „ბარომეტრის“ როლი აფროამერიკელ ქალთა სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ამერიკისშეერთებულიშტატები, აფროამერიკელიქალები, სამხედროსფერო, სამოქალაქოუფლებები, რასიზმი.

## Abstract

The dissertation thesis ***African American Women in the United States Armed Forces: Contributions and Challenges***focuses on two main areas. Particularly, the role of African American women at wars (the Civil war, the First and Second World Wars, the Vietnam War and The Persian Gulf Wars) and the role and impact of above mentioned wars on full integration.

The dissertation simultaneously combines ethnic, racial and gender issues in a military context. The paper discusses how racial, ethnic, and gender discrimination was eliminated from the Civil War to the Gulf Wars; the research shows how these wars have become a means and barometer of the level of integration into civil society for African American women.

Also, the research (through an interview) reveals what challenges African-American women face and what the situation is like in the United States Armed Forces today; in what way has the attitude of the federal government (the reforms carried out) changed through the involvement of African American women and how has the willingness to promote their integration been manifested.

The contribution and challenges of African American women in the armed forces are not among the issues studied (not only in Georgia but also in the United States) and there is no systematic knowledge of the issue indeed. The dissertation research will be helpful in both its theoretical and practical terms.

The paper presents important issues such as: when and how the terms of historical and national significance*American*and *African American* were established, when individual states became united, what factors contributed to it and how big / small was the role of the minority in the above mentioned issues. Also, the research has clearly shown that each war is a separate historical event that changed the existence of the African-American race. Each single war has led to quite an interesting result; the accomplishments of African American women are immeasurable. However, the paper reveals how war has become a problem-solving tool and an interesting lever in African-American life.

As a result, the contribution and challenges of African American women to the United States became clear and the *barometric* role of the above mentioned wars in integrating African American women into civil society is more than distinct.



Key words: the United States of America, African American women, military area, civil rights, racism.

## შინაარსი

შესავალი........................................................................................................................ 1

თავი I. აფროამერიკელი ქალების როლი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სფეროში მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე

1.1 აფროამერიკელ ქალთა სტატუსი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში……………………………………………………………………….. 30

1.2 აფროამერიკელი ქალები სამოქალაქო ომში……………………………………....... 49

თავი II. აფროამერიკელი ქალების როლი პირველ და მეორე მსოფლიო ომებში

2.1.აფროამერიკელი ქალების წვლილი პირველ მსოფლიო ომში………………………........ 73

2.2.აფროამერიკელი ქალები მეორე მსოფლიო ომის ფრონტებსა და ზურგში……………..... 91

თავი III. აფროამერიკელი ქალი-სამხედროები XX საუკუნის მეორე ნახევრისდა XXI საუკუნის დასაწყისის ომებში

3.1. აფროამერიკელი ქალები ვიეტნამის ომში……………………………………………... 106

3.2.აფროამერიკელ ქალთა როლი სპარსეთის ყურის ომებში…………………….......... 118

3.3.აფროამერიკელ ქალთა სამხედრო საქმეში ჩართულობის ხელშემწყობი და ხელის შემშლელი მიზეზები (გამოკითხვის შედეგები)................................................................ 136

დასკვნა........................................................................................................................ 143

გამოყენებული მასალები.......................................................................................... 160

# შესავალი

**საკვლევი პრობლემა და აქტუალობა:**სადისერტაციო ნაშრომში **„აფროამერიკელი ქალები ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში: წვლილი და გამოწვევები“**შესწავლილია ფერადკანიან ქალთა მონაწილეობა, მათი წვლილი, პრობლემები, გამოწვევები და ღვაწლის აღიარება უმთავრესად XX საუკუნეში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოებულ ომებში. იმის გასააზრებლად, თუ საიდან დაიწყო ფერადკანიან ქალთა წვლილის ათვლა ამერიკის შეერთებული შტატების ომებში და რომელი წერტილი აღმოჩნდა საბოლოო ჩემმიერ საკვლევად აღებულ ისტორიულ პერიოდში,აუცილებელი გახდა გამეაზრებინა ზოგადად ამერიკელ ქალთა როლი აშშ-ს შეიაღებულ ძალებშიდა არსებობდა თუ არა მსგავსი ანალოგი ქართული ჯარში და, ზოგადად, რამდენად მიზანშეწონილია პარალელები საქართველოსთან. საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა არ ხდება, განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, სადაც სამხედრო სამსახური აუცილებლობას წარმოადგენს. ქალებმა დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ სამშობლოს დაცვა მამაკაცებზე ნაკლებად არ შეუძლიათ. სურვილი იმსახურო სამხედრო სამსახურში დამოკიდებულია არა სქესზე, არამედ მონდომებაზე და უნარებზე, რომელსაც იქ მყოფი ადამიანი უნდა ფლობდეს. ბევრ ადამიანს გაუჩნდება კითხვა, შესწევს თუ არა ქალს ფიზიკურად იმ დავალებების შესრულების შესაძლებლობა, რასაც მას სამხედრო სამსახურში დააკისრებენ? შეუძლია თუ არა ქალს მამაკაცებთან ერთნაირ პირობებში ცხოვრება და რამდენად მიზანშეწონილია მსგავსი ტიპის კარიერული თავგანწირვა?

სანამ უშუალოდ ეთნიკურ უმცირესობებს შევეხები, კერძოდ, კი აფროამერიკელ ქალებს, საჭიაროა ვიცოდეთ, რომ საზოგადოებისაზრიორნაწილადიყოფა,

როდესაცვსაუბრობთქალებზე,
რომლებსაცაქვთსურვილიიმსახურონშეიაღებულძალებშიანთავიგამოიჩინონბრძოლისვ
ელზე. კაცებისდიდნაწილსვერწარმოუდგენიაძველი

ტრადიციულიპატრიარქალურისისტემისრღვევა,
რომელიცქალსმოიაზრებდასახლშიდიასახლისადდაშვილებისაღმზრდელად,
ხოლომამაკაცსოჯახისმარჩენლად. ესსისტემასახეშეცვლილიფორმითგვევლინება,
ხოლოსისტემისშეცვლაგანაპირობაროგორც სოციალურმა, ასევე
ეკონომიკურმადაპოლიტიკურმაფაქტორებმა.

ჩნდებაკითხვა,რატომუჭირსმსოფლიოსქალისადაკაცისთანასწორობისაღიარება? რატომვერიხდენდა ქალიდიდი ხნის განმავლობაში “ხაკისფერუნიფორმას”? ვფიქრობ, ამის მიზეზი არაერთია და, უპირველესად, გადამწყვეტი ამ შემთხვევაში საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებია. უნდააღინიშნოს, რომესარარისმხოლოდსაქართველოსპრობლემა, არამედბევრისხვაქვეყნისპრობლემაცაა, მათ შორის, ისეთიქვეყნის, როგორიცამერიკისშეერთებულიშტატებია, სადაცარცისედიდიხნისწინქალს ნებადართესბრძოლისხაზზეცწარმოეჩინათავი. ამასთან, სიტყვების „ქალი“ და „სამხედროსამსახური“ ერთადმოაზრებაარწარმოადგენსXXანXXIსაუკუნისსიახლეს.
ყველაფერიგაცილებითადრედაიწყო.

საკვლევით თემის სათანადოდ გასააზრებლად საჭიროა ვიცოდეთ, რომ ქალისყოფნასბრძოლისველზესხვადასხვაგვარიდატვირთვაჰქონდა.
პლატონიამტკიცებდა,
რომქალებიბრძოლისველზემეომარიკაცებისფსიქოლოგიურიმხარდაჭერისროლისშესას
რულებლადშეუცვლელებიიყვნენ:
მათთვალწინკაცებიუკანვერიხევდნენდაცდილობდნენ დაემალათშიში. შესაბამისად, იგიასკვნიდა,

რომქალისადამამაკაცისერთადსამხედროსამსახურიარამარტოშესაძლებელი, არამედაუცილებელიცკიიყო[1][2]

უამრავიმაგალითიარსებობსქალთასამხედროსამსახურშიმსახურისა, ისტორიაკიმათსახელებსარივიწყებს. თუმცა, ე.წ „სუსტისქესის“ წარმომადგენლებმავერმოიგერიესმსოფლიოსაზრიიმისთაობაზე, რომქალიარუნდაიყოსმსგავსპოზიციებზე, იგიარმოიაზრებასამშბოლოსდამცველად, ვერციარაღითხელში. თანამედროვემსოფლიოშიმიდისდავაიმაზე, თუსადააწყალგამყოფიქალისადამამაკაცისდასაქმებისსფეროებსშორის, დავაიმაზე, თურაოდენშრომისუნარიანიაქალინებისმიერპოზიციაზე, რამდენადკომპეტენტურია. ოდითგანვეჩამოყალიბებულისტერეოტიპისთანახმად, ქალსვერმოიაზრებდნენარათუსაპასუხისმგებლოპოზიციებზე, არამედმასსაჭირბოროტოსაკითხებისგადაწყვეტასდამათგანხილვასაცვერანდობდნენ.

საკვლევი საკითხი მეტად საინტერესოა, რადგან ქალისაგანმსგავსსაკითხებზესაუბარიცკიარაღიქმებოდასერიოზულად.მასებისთვისწარმ ოუდგენელია, თუროგორუნდაემსახურაქალსსამხედროსამსახურშიდააბსოლუტარად „არაქალური“ საქმეებიეკეთებინა, საკითხი კიდევ უფრო რთულდება, როდესაც საუბარი კონკრეტული ერის ეთნიკურ უმცირესობებს ეხება. თუმცა, ესყოველიცეხდებოდამე-19 საუკუნეში, მაგრამ დამოკიდებულებაამსაკითხისადმიარსებითადარშეცვლილა.

საგულისხმოა ბრიტანელიფელდმარშალისმონტგომერისსიტყვები: “ვერცერთისანიტარიმამაკაცივერშეძლებსმოუაროსდაჭრილსადაავადმყოფსისე,

---

[1] Rosemary Mariner, *The battle over women in combat Equality, full citizenship back women in combat*, (The Baltimore Sun), 1996, accessed March 12, 2020. https://www.baltimoresun.com/news/bs-xpm-1996-05-26-1996147015-story.html.

[2] Stephen G. Salkever, "Women, Soldiers, Citizens: Plato & Aristotle on the Politics of Virility", *Polity* (1986), 19, No. 2 232-253 accessed January 17, 2018, https://doi.org/10.2307/3234912.

როგორცამასქალიგააკეთებს”[3], ამიტომისდაჭრილებისსიცოცხლისგადარჩენისერთ-ერთმთავარპირობადთვლიდაქალი- სანიტრებისმოწინავეხაზზეყოლას.

ამერიკისშეერთებულიშტატებისგანგანსხვავებით, რომელმაცღიადგანაცხადათანხმობაქალისმონაწილეობაზესაბრძოლოოპერაციებში, საქართველოსკანონმდებლობაშიამაზეარაფერიანათქვამი. კანონიარცკრძალავსდაარცღიადრთავსნებასქალებსიბრძოლონქვეყნისდასაცავადიარაღითხელში. როგორც საქართველოსმთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის No297 ბრძანებით, თავდაცვისსამინისტროსგენდერულითანასწორობისსტრატეგიაში არის აღნიშნული: „ქალებიმნიშვნელოვანროლსასრულებენქართულსაზოგადოებაშიდამათიჩართულობაისეთმნიშვნელოვანსფეროში, როგორსაცქვეყნისთავდაცვაწარმოადგენს, დემოკრატიულიდათანამედროვე, ევროპულფასეულობებზედაფუძნებულიშეიარაღებულიძალებისმშენებლობისთვისაუცილებელიწინაპირობაა.[4]

საუკუნეთაგანმავლობაშიიცვლებახედვა, მიდგომადაამათუიმსაკითხისაღქმადამისდამიდამოკიდებულება, იმისმიუხედავადაცკი,რომ,როგორცამერიკისშეერთებულშტატებში, ასევესაქართველოშიცსაკმაოდრთულიააღიქვაქალი „მამაკაცურპოზიციაზე“. უამრავიარგუმენტიამოყვანილიიმასთანდაკავშირებით, რომქალივერშეძლებს, თავსვერგაართმევს, ვერგააკეთებსდავერგაუძლებსყველაიმპირობასდავითარებას,რისიატანაცმამაკაცებს უწევთ.

ასევე, საგულისხმოა ამერიკისშეერთებულიშტატების ყოფილი პირველილედისმიშელობამას,ვეტერანთადღეს,სამხედროქალბატონებთან შეხვედრა. მან

---

[3]Colin F. Baxter,*Field Marshal Bernard Law Montgomery, 1887-1976: A Selected Bibliography*, (Westport: Greenwood Press, 1999), 98-99.

[4]საქართველოსთავდაცვისსამინისტროსთავდაცვისპოლიტიკისადაგანვითარებისდეპარტამენტის, დებულება, უკანსკნელად ნანახია 22 თებერვალი, 2020. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3402347.

ეს უკანასკნელები „პირველებად“ და „ერთადერთებად“ მოიხსენია. ობამამგანსაკუთრებითგამოყოენიდანვუდი - პირველიოთხვარსკვლავიანიქალი,რომელიც უმაღლესირანგისოფიცერი გახდა და ასევე, მანაღნიშნა აფროამერიკელი სამხედროქალბატონების ღვაწლიც[5].

პირველიილედისსიტყვებიმესიჯი იყო,პირველრიგში,ამერიკისშეერთებულიშტატებისთვისდაშემდეგდანარჩენიმსოფლიოსთვის, რომქალსისეთივეუფლებები აქვს, როგორცმამაკაცსდამისიღვაწლიისევეფასდება, როგორცმლიერისქესისწარმომადგენლების; მეორეც, სამხედროქალისგანუმეორებელიმიღწევებიქვეყნისსაკეთილდღეოდდამოწოდებაიმოჯახისწევრებისადაახლობლებისმიმართ,ვისიოჯახისწევრებიცსამხედროქალებიარიან; ხოლომესამე მესიჯიმდგომარეობსახალგაზრდაგოგონებისმოტივაციისამაღლებაში, რომლებსაცმიშელობამამკაფიოდუთხრა, რომქალისთვისაცშეუძლებელიარაფერია, მათ შორის, აფროამერიკელი ქალისთვისაც.

საკვლევი საკითხის შესწავლისა და გააზრების შემდეგ, ნათელი გახდა, რომ ქალისთვის ამერიკის შეერთებული შტატების შეარაღებულ ძალებში ადგილის დამკვიდრება იყო საკმაოდ რთული და გარკვეულ პრობლემებთან დაკავშირებული, ხოლო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის, კერძოდ, აფროამერიკელი ქალებისთვის ზემოხსენებული ბარიერების რღვევა უფრო რთული აღმოჩნდა. კვლევა კონცენტრირდება სწორედ იმაზე, თუ როგორ მოახერხეს მათ ამ წინაღმდეგობების (გამოწვევების) გადალახვა, რას ემსახურებოდა მათი მიზანი და წვლილი და რამდენად შეძლეს სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირება.

ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ქვეყანა, შექმნილია სხვადასხვა ერის მიერ. ამ ქვეყნის ჩამოყალიბების პროცესში ფერადკანიანთა რასა იყო პირველი უმცირესობათაგანი, რომელმაც ფეხი დადგა ამერიკის მიწაზე 1619 წელს (არ

---

[5]"So Many 'Firsts' and 'Onlys'": The First Lady Honors Military Women" last modified September 15, 2020, https://obamawhitehouse.archives.gov/blog/2009/11/18/so-many-firsts-and-onlys-first-lady-honors-military-women .

იგულისხმება ინდიელები, ანუ ადგილობრივი ამერიკელები, რომლებიც მასპინძელ უმცირესობას წარმოადგენდნენ). აფროამერიკელთაგან ხშირად მსმენია, რომ ისინი ამ მიწაზე მისი ქვეყნად, ერად ჩამოყალიბების დღიდან არსებობენ; გადავწყვიტე, კვლევა აფროამერიკულ რასაზე გამეკეთებინა, ხოლო საკვლევი პრობლემის დავიწროვების მიზნით გამოვყავი გენდერული, თანაც ეთნიკური, უმცირესობის საკითხები, კერძოდ კი,აფროამერიკელი ქალების წვლილი შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში, უმთავრესად, შტატების მიერ წარმოებულ ომებში და გამოწვევები, რომლებსაც ისინი ეჯახებოდნენ. აღნიშნული საკითხის კვლევისას, ყურადღება, ძირითადად, გავამახვილე XX საუკუნეზე, თუმცა, პრობლემის სრულად წარმოჩენისთვის ვერც სამოქალაქო ომის პერიოდს და ვერც სპარსეთის ყურის 2003 წლის ომს ავუარე გვერდი.

**საკითხის აქტუალობა:**საკითხის **აქტუალობას**განსაზაღვრავს ქალთა, კონკრეტულად, ეთნიკური უმცირესობებისქალთა პრობლემების არსებობა თანამედროვე მსოფლიოში. ეს თემა დღესაც მწვავედ დგას არამხოლოდ აშშ-ს სამოქალაქო, არამედ სამხედრო საზოგადოებაშიც. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ 2020 წლის 6 აგვისტომდე არცერთი ფერადკანიანი ოფიცერი არ ყოფილა აშშ-ს შეიარაღებული ძალების რომელიმე ქვედანაყოფის უფროსი. ეს 2020 წლის 6 აგვისტოს მხოლოდ ფერადკანიანმა და ისიც მამრობითი სქესის წარმომადგენელმა ჩარლზ ბრაუნმა მოახერხა[6].

გარდა ამისა, საკვლევი საკითხის აქტუალობას განაპირობებს შემდეგი მიზეზები:

1. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში აფროამერიკელ ქალთა რიცხობრივი მაჩვენებლის ზრდა. ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აფროამერიკელი ქალები, სხვა ეთნიკურ უმცირესობებთან შედარებით,უფრო ხშირად ირჩევენ შეიარაღებულ ძალებში სამსახურს.
2. რასობრივი დისკრიმინაციის არსებობასამოქალაქო საზოგადოებაში არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც.

[6] “Racism in the Ranks; Could the U.S. military finally be changing”, last modified 18 December, 2020. https://www.pogo.org/analysis/2020/07/racism-in-the-ranks/.

3. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში გენდერული დისბალანსის არსებობა და მისი მოგვარების ხერხების ძიება.
4. ამერიკის შეერთებული შტატების აფროამერიკელი სამხედრო ქალების სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირების საკითხი და მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის სხვადასხვა ხერხის ძიება.

**კვლევისამოცანა:**კვლევის მთავარი ამოცანაა აფროამერიკელ ქალთა წვლილისა და არსებული გამოწვევების შესწავლა რამდენიმე ომში, კერძოდ, სამოქალაქო ომში, პირველ და მეორე მსოფლიო ომებში, გარდა ამისა, ვიეტნამისადა სპარსეთის ყურის ომებში. ასევე, ამ ომებში ჩართულობით, აფროამერიკელი ქალების ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირების ეტაპების ძიება-წარმოჩენა, იმ საშუალებების ჩვენება, რომელთა დახმარებითაც აფროამერიკელი უმცირესობისსამხედრო ქალებმა სამოქალაქო საზოგადოებაში თავის დამკვიდრება შეძლეს.

**კვლევის მიზანი**: კვლევა მიზნად ისახავს შემდეგს:

1. თითოეული ომის სპეციფიკის შესწავლას ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის ჭრილში, საკუთრივ, აფროამერიკელ ქალთა კუთხით.ამისთვის საჭირო გახდა კონკრეტული აფროამერიკელი სამხედრო ქალების როლის, გარემო პირობების, ოჯახური მდგომარეობის, სოციალური ფენის, მიზნების, მოტივაციის, ზემოთ ჩამოთვლილ ომებში მათი წვლილისა და მისი აღიარების შესწავლა.

2. კვლევის არანაკლებ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს არა მარტო აფროამერიკელი ქალების წვლილისა და გამოწვევების კვლევა, არამედ მათი წვლილისა და გამოწვევების შედეგად ისტორიული მნიშვნელობის ცვლილებების დემონსტრირება (რასობრივი და გენდერული დისკრიმინაციის მინიმალურ ნიშნულამდე დაყვანა).

3. კვლევის ამავე მიზნის ფარგლებში აღნიშნულ ომებში აფროამერიკელ ქალთა ჩართულობის გზით ფედერალური მთავრობის მიერ შეცვლილი პოლიტიკური კურსის ჩვენება (კონსტიტუციაში შესული შესაბამისი შესწორებები).

4. შეერთებული შტატების შეირაღებულ ძალებში აფროამერიკელი ქალი-სამხედროების რეგულარულ არმიაში ყოფნისა თუ ომებში ჩართულობის რეალური მიზნებისა და მოტივაციის დადგენა. ამ მიზნის მიღწევას ემსახურებოდა შეერთებული შტატების შეირაღებული ძალების აფროამერიკელ ქალ-სამხედროებთან ინტერვიუს აღება. გარდა ამისა, შეიარაღებულ ძალებში ამჟამინდელი რასობრივი და გენდერული ვითარების შესასწავლად, ცოცხალი ისტორიის გამოყენება.

**კვლევის ჰიპოთეზა:** კვლევის ჰიპოთეზა ის არის, რომ დასამაბიდან დღემდე სამხდერო სამსახურში მყოფი აფროამერიკელი ქალებისთვის ომებში ჩართულობა და რეგულარული არმიის წევრობა იყო ერთგვარი საშუალება გაქცეოდნენ სამოქალაქო საზოგადოებაში არსებულ დისკრიმინაციას. ჯარი უზრუნველყოფდა დაცულობის შეგრძნებას და დისკრიმინაციით გამოწვეული პრობლემებისგან საუკეთესო თავშესაფარი იყო.

**კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო:**კვლევა ფოკუსირებულია აფროამერიკელი ქალების როლზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სფეროში, კერძოდ, მათ წვლილზე პირველ და მეორე მსოფლიო ომებში, ასევე, აფროამერიკელ ქალ-სამხედროებზე შტატების მიერ წარმოებულ XX საუკუნის მეორე ნახევრის ომებშიც. თუმცა, საკითხის უფრო სრულად წარმოსაჩენად აუცილებელი გახდა აფროამერიკელი ქალების სამოქალაქო ომისდროინდელი წვლილის შესწავლაც. ამიტომ კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1861-2003 წლებს. იგულისხმება არამხოლოდ თვით ომების წლები, არამედ უფრო ფართო პერიოდი, რათა, თემატიკიდან გამომდინარე, დადგენილიყო, ომში გაწეული წვლილისა და იმ დროს არსებულ გამოწვევებთან გამკლავების შედეგად, აფროამერიკელი ქალების ინტეგრაციის ხარისხი სამოქალაქო საზოგადოებაში.

**ნაშრომის თეორიული ღირებულება:**ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს კონკრეტული ომისა და მისი შედეგების ახლებურ გააზრებაში. იგი აღიქმება არამხოლოდ არაჰუმანურ და ძალადობისკენ მიმართულ აქტად, არამედ, როგორც ძალადობის სხვადასხვა ეტაპის აღმოფხვრის საშუალებადაც (აშშ-ში გატარებეული

ომისშემდგომი პოლიტიკური თუ საგანმანათლებლო რეფორმები). კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სისტემა აფროამერიკელი ქალებისთვის გენდერული და ეთნიკური დისბალანსის აღდგენისთვის საუკეთესო შესაძლებლობა აღმოჩნდა; რომ აშშ-ს სამხედრო ძალები, კერძოდ, სამხედროსაზოგადოება ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო საზოგადოებაშიდამკვიდრებისსაუკეთესო საშუალებააღმოჩნდა.

ნაშრომის თეორიულ მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტი, რომ ქართულ ამერიკისმცოდნეობაში წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი მოცემულ საკითხზე ჩატარებული პირველი სამეცნიერო კვლევაა. სპეციალური ნაშრომები საკვლევ საკითხზე არც შეერთებულ შტატებში შექმნილა. აქამდე არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც აერთიანებს აფროამერიკელ ქალებს ამერიკის შეერთებული შტატების შეიაღებული ძალების მიერ წარმოებულ რამდენიმე ომში და შემდეგ აღნიშნული ომების უკუკავშირს ადგენს, რაც აისახა, როგორც აფროამერიკულ რასაზე, სრულიად ერზე და, ასევე, ქვეყნის პოლიტიკურ კურსსა და მომავალზე.

ამგვარად, დისერტაციის **უნიკალურობა, მისი მეცნიერული სიახლე** სამხედრო ძალებში გენდერული, რასობრივი და ეთნიკური საკითხების გაერთიანებასა და შერწყმულად წარმოდგენაში, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი ომების სპეციფიკისა და დატვირთვის გაშუქებაში, ამ ომების სხვაგვარი რაკურსით განხილვაში, აფროამერიკელ ქალთა ჩაბმულობასა და რელევანტური უკუკავშირის ძიებაში მდგომარეობს.

ამასთან, ნაშრომის **პრაქტიკულ მნიშვნელობას**წარმოადგენს პრობლემის აღქმის ალტერნატიული რაკურსიდან დანახვა, მისი შესწავლა და მიღებული შედეგების საფუძველზე აფროამერიკელი ქალების სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრების გზების გამონახვა. კაცობრიობისთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელია ომის დადებითი მხარის წარმოჩენა (ის ნებისმიერ შემთხვევაში ნეგატიური მოვლენაა), მაგრამ მოცემულმა კვლევამ, გარკვეულწილად, დაანგრია სტერეოტიპი და გვაჩვენა, რომ

განხილული ომები ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში განსაკუთრებულ და სპეციფიკურ დატვირთვას იძენს. დაწყებული სამოქალაქო ომიდან, რომელმაც შეერთებული შტატები ერად აქცია, ერთიანი სულისკვეთება შესძინა და არსებული ფიზიკური თუ მენტალური საზღვრები მოშალა, დამთავრებული სპარსეთის ყურის ომით, რომელმაც არსებული გენდერული დისკრიმინაცია მინიმალურ ნიშნულამდე დაიყვანა.

დასმულ პრობლემასა და შესწავლილ საკითხს ანალოგი არ აქვს. შესაბამისად, შეუძლებელია რაიმე ტიპის პარალელის გავლება რომელიმე ქვეყანასთან, რაც ავტომატურად გამორიცხავს მეცნიერულ პარალელს საქართველოსთან. აფროამერიკელი ქალები არამხოლოდ ეთნიკური, არამედ აბსოლუტურად განსხვავებული რასისუმცირესობის წარმომადგენლები არიან. საკვლევი საკითხი ინტერდისციპლინურია და აერთიანებსსამხედრო სისტემაშიეთნიკური და რასობრივი უმცირესობებისა და ქალთა საკითხებს.საქართველოს შეიარაღებულ ძალებში უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების საკითხები დღემდე სრულიად შეუსწავლელია და დამოუკიდებელ, სერიოზულ კვლევას მოითხოვს. ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანაში მოცემულ სფეროში არსებული საკითხების შესწავლის საჭიროების წარმოჩენამაც შეიძლება წინამდებარე ნაშრომს მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა შესძინოს.

ასევე, კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს, ქვეყნაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების მეშვეობით, ეთნიკური უმცირესობის წარმოამდეგენელი ქალებისთვის გარკვეული საშუალების მიცემა საკუთარი თავის სრულფასოვანი ინტეგრირებისთვის სამხედრო თუ სამოქალაქო საზოგადოებაში.

**კვლევის მეთოდოლოგია.** ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდი. კვლევა ქრონოლოგიურ პრინციპს ემყარება. საკვლევი საკითხი სხვადასხვა ისტორიული მოვლენის დინამიკაშია შესწავლილი. გამოყენებულია ინდუქციის, დედუქციის მეთოდები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიტიკული ანალიზის,

პირველწყაროების ანალიზის, შემთხვევის ანალიზის (case study), ინტერვიუს, ისტორიზმისა და სამეცნიერო ობიექტურობის პრინციპები, შემთხვევის ანალიზი, ამ მხრივ, ყველაზე აქტუალური აღმოჩნდა ცალკეული აფროამერიკელი ქალი-სამხედროს კონკრეტული ისტორიის შესწავლისას და ამის საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გასაკეთებლად.

**წყაროების მიმოხილვა.** კვლევა ძირითადად პირველწყაროებს ეფუძნება, კერძოდ, ბიოგრაფიებს, მემუარებს, ზეპირ ისტორიას (ინტერვიუს), დოკუმენტურ ფილმებს, პრესისა და პერიოდიკის მასალებს. ამ კუთხით დიდი დახმარება გამიწია მემუარულმა ლიტერატურამ, როგორიცაა: სიუზი კინგ ტეილორის „ჩემი მოგონებები ბანაკში“[7].ტეილორი დეტალურად საუბრობს, თუ რა მოვალეობები ჰქონდა ბანაკში და რა ტიპის სამუშაოს ასრულებდა, მასზე დაკისრებული მოვალეობების გარდა. „ჩემი მოგონებები ბანაკში“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წყაროა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ იგი პირველი შავკანიანი მედდაა შეიარაღებულ ძალებში, რომელმაც სამოქალაქო ომის დროს მემუარების წერა დაიწყო. არანაკლებ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს პრესტვიკ ჰაუსის მოგონებები „სოჯორნერ თრუსის მონათხრობი“.[8]მონობაში დაბადებული თრუსი დეტალურად აღწერს საკუთარ ცხოვრებას და მის მიერ განვლილ გზას თავისუფლებადმე. ზემოთ ხსენებულმა მემუარულმა ლიტერატურამ ჩემი კვლევის მიმართულება და შედეგები დიდად განსაზღვრა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში აფროამერიკელ ქალთა სტატუსის, მათი ადგილისა და როლის კვლევისას მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აფროამერიკელი მასწავლებლის მიერ დატოვებულმა პირველწყარომ „შარლოტ ფორტენის დღიურები“[9]. ანალოგიურად, შარლოტ ფორტენიც, როგორც სიუზი კინგ ტეილორი, დღიურების წერის ტენდენციის სულისჩამდგმელი იყო. პირველი

---

[7]Susie King Taylor, *Reminiscences of my Life in Camp*, (Boston: published by the Author, 1902).
[8] Truth Sojourner, *Narrative of Sojourner Truth*, (Prestwick House, Inc., 2017)
[9] Forten,*Charlotte Diary of Charlotte Forten: A Free Black Girl Before the Civil War,* (Oxford: Capstone PressCapstone Press, 2014).

მსოფლიო ომის დროინდელი მემუარული ლიტერატურის ავტორები არიან ედი ჰანტონი და კეტრინ ჯონსონი. მათი მემუარული ნაშრომი „ორი ფერადკანინი ქალი საფრანგეთში პირველი მსოფლიო ომის დროს“ ფასდაუდებელი ღირებულების არის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დეტალურად არის აღწერილი საფრენგეთში გაგზავნილი ექსპედიციის წევრების ჰანტონისა და ჯონსონის მოგონებები. ასევე, გავეცანი გეილ ჰარისის მემუარს „ქალის ომი“[10], რომელშიც აღწერილია მისი გამოცდილება ამერიკის შეერთებული შტატების ჯარში. თუმცა მის მემუარს უფრო მეტად მხატვრული და არა დოკუმენტური ხასიათი აქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდ ინტერესს იწვევს სპარსეთის ყურის ომებში მონაწილე ამერიკელი ჯარისკაცის შოშანა ჯონსონის მემუარი „მე ჯერ კიდევ ფეხზე ვდგავარ“[11]. წიგნი გაჯერებულია მისი პირადი გამოცდილებითა და მოგონებებით. მასში აღწერილია ძალიან მძიმე ფაქტები. წიგნზე დადებითი რეცინზიები გააკეთა ოფრა უნფრიმ, ლარი კინგმა და სხვებმა. მნიშვნელოვანი მემუარული ლიტერატურის ნაწილია ჩერითი ადამსის ავტობიოგრაფიული წიგნი “ერთი ქალის არმია: შავკანიანი ოფიცერი იხსენებს „WAC”-ს“[12] (Women Army Corps), ასევე სანდრა ბოლზენიუსის „სიდიადე მათ სულებში: როგორ შეძლო ოთხმა შავკანიანმა ქალმა ჯარში შეღწევა მეორე მსოფლიო ომის დროს“[13].

სადისერტაციო ნაშრომში კვლევის მიმართულების განსაზღვრაში დიდი როლი შეასრულა მარგარეტ აივორი ბერტრამის მემუარულმა ნაშრომმა “მედდა: ერთი ქალის ძალისხმევა წარმატების მისაღწევად“.[14] ბერტრამის მოგონებები აღმოჩნდა ივონ ლეტის ბიოგრაფიული ნაშრომის „ჩვენ ვიყავით იქ“[15] ლოგიკური გაგრძელება. ბერტრამი საკუთარ მემაურებში აღწერს მის მიერ განვლილ გზას, სირთულეებსა და წინაღობებს

---

[10]Gail Harris,“America's Women” (New York: Harper Collins Publisher, 2003)

[11]Gail Harris,“America's Women” (New York: Harper Collins Publisher, 2003)

[12] Charity Adams Earley One Woman's Army: A Black Officer Remembers the WAC, (College Station, Texas:Texas A&M University Press 1995)

[13]Sandra M Bolzenius, *Glory in Their Spirit: How Four Black Women Took on the Army during World War II, (Champaign: University of Illinois Press, 2018)*

[14] Margarette Yvory Bertram , *Nurse: One Woman's Effort to Succeed (*Santa Fe: Landfall Press, 1991)

[15]Yvonne Latty, *We Were There:Voices of African American Veterans from World War II to the War in Ira*q. (New York: HarperCollins, 2004).

მეორე მსოფლიო ომში. მაგრამ, აქცენტი იმდენად არა წინაღობებზე, რამდენადაც წარმატების მიღწევის შესაძლებებზე კეთდება. სწორედ მარგარეტ აივორი ბერტრამის მონათხრობის შემდეგ გადავწყვიტე, კვლევა სხვა მიამართულებით წარმემართა და გამომეკვლია არა მხოლოდ აფროამერიკელი ქალების წვლილი და გამოწვევები, არამედ ომი, როგორც აფროამერიკელ ქალთათვის სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციის საშუალება.

მემუარული ლიტერატურის გარდა, მნიშვნელოვანი იყო ბიოგრაფიული ხასიათის ლიტერატურაც. მათი ავტორები, რომლებიც მემუარების ავტორების სუბიექტურობისგან თავისუფლები არიან, თითოეულ ისტორიულ ფაქტს, მეტი ობიექტურობით გადმოსცემენ.

მაგალითად, წიგნი, რომელმაც ბიოგრაფიული კუთხით გზამკვლევის ფუნქცია იტვირთა, არის ზემოთ ხსენებული ივონ ლეტის „ჩვენ ვიყავით იქ“.[16] იგი კონცენტრირდება იმ ომებზე, რომლებშიც აფროამერიკელები იყვნენ ჩართულნი, განურჩევლად სქესისა. ლეტი დეტალურად აღწერს იმ ქალების ცხოვრებას, რამაც საშუალება მომცა გამეანალიზებინა მათი ბიოგრაფია, გამომეკვეთა მათი პრობლემები, მიზნები, ძლიერი და სუსტი მხარეები და დამედგინა წვლილი და გამოწვევები. ლეტის „ჩვენ ვიყავით იქ“ უნიკალური ბიოგრაფიული წიგნია, რომელიც საწყის ეტაპზე სათანადოდ აკვალიანებს მკვლევარს და ეხმარება შემდგომი ნაბიჯების სწორად დაგეგმვასა და გადადგმაში. იგი აღწერს ფერადკანიან ქალთა ჩართულობას მეორე მსოფლიო ომიდან სპარსეთის ყურის ომების ჩათვლით, თუმცა არაფერს წერს სამოქალაქო ან პირველ მსოფლიო ომებზე. შესაბამისად, წიგნმა ვერ შეავსო ის ბიოგრაფიული მასალა, რომელიც აუცილებელი იყო კვლევის გასაგრძელებლად, ხოლო სახელები როგორიცა: ოლივია თერიოტი, მერი როჯერსი, ჯენეტ პენიკი და ელიზაბედ ალენი, ფაქტობრივად, ინტერნეტ წყაროებში არ იძებნება. შესაბამისად, მათზე არც რაიმე სამეცნიერო სტატია დაწერილა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ლეტი არა მხოლოდ

[16]Latty, *We Were There.*

*Philadelphia Daily News*-ის ჟურნალსიტი, არამედ ვილანოვას უნივერსიტეტის პროფესორია. შესაბამისად, მისი ნაშრომი, რომელიც თეორეტიკოსისა და პრაქტიკოსის თვალით არის დანახული, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ჩემი კვლევის საწყის ეტაპზე. წიგნზე საინტერესო რეცენზია აქვს გამოქვეყნებული გაზეთს "კოლამბას დისფეჩს" (*The Columbus Dispatch*): "ლეტის მცდელობა წარმოეჩინა შავკანიანთა ღვაწლი შეაიარაღებულ ძალებში, რომლებიც აქამდე მხოლოდ ორი სიტყვით იყო ნახსენები ისტორიაში, დროული და დასაფასებელია".[17] „ნიუ იორკ თაიმსის" რედაქტორი ენდრიუ კეროლი თვლის, რომ წიგნს დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს, ხოლო თავად ავტორი მედალს იმსახურებს მსგავსი წიგნის გამოცემისთვის.[18] ლეტის, ასევე, ხოტბას ასხმას *Detroit Free Press*-ი და *The Philadelphia Inquirer*-ი.

კვლევისას დიდი დახმარება გამიწია რობერტ მორისის წიგნმა „ომის შავი სახეები"[19]. წიგნი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ თავად მორისი აფროამერიკელია, რომლის ბაბუა შეიარაღებულ ძალებში ირიცხებოდა. მორისი აიოვას უნივერსიტეტის პროფესორია, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. შესაბამისად, წიგნი „ომის შავი სახეები" ემსახურება აფროამერიკელთა წარმოჩენასა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ჩვენებას. ბიოგრაფიული მასალის კუთხით, მორისის წიგნმა „ომის შავი სახეები" შეავსო ის ბიოგრაფიული დეფიციტი, რომელიც ლეტის წიგნში „ჩვენ ვიყავით იქ" აღინიშნებოდა. როგორც ლეტი, ასევე მორისიც, აღწერს აფროამერიკელი რასის ჩართულობას ომებში. შესაბამისად, არცერთი წიგნი, მიუხედავად მათი პრაქტიკული და თეორიული ღირებულებისა, არ გამოყოფს აფროამერიკელ ქალებს.

ამ კუთხით საინტერსო ბიოგრაფიული ხასიათის ნაშრომს წარმოადგენს კლარა დიქსონ ვუიჩის წიგნი "ოფიცერი, მედდა, ქალი: მედდათა კორპუსი ვიეტნამის ომში".[20] ავტორს შეკრებილი აქვს რამდენიმე მედდის პირადი მონთახრობი, რომელშიც კარგად ჩანს მათი

---

[17] Latty, *We Were There*.

[18] *The New York Times*

[19] Robert. V. Morris, Black *Faces of War*, (Minneapolis: MBI Publishing Company, 2011).

[20] Klara, Dixon Vuic, *Officer, Nurse, Woman: The Army Nurse Corps in the Vietnam War,* 9Baltimore: The John Hopkins University Press, 2011).

გამოცდილება აღნიშნული ომის დროს. ნაშრომი კარგი საშუალებაა იმის გასააზრებლად, თუ როგორი ვითარება იყო სამხედრო სფეროში ქალთა კუთხით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. გენდერული კუთხით არ შეიძლება არ აღინიშნოს ისეთი პირველწყარო, როგორიც არის გეილ ჰარისის "ამერიკის ქალები"[21], "ელენ კეროლ დიუბუას „ქალების თვალით დანახული: ამერიკის ისტორია დოკუმენტებთან ერთად"[22] და ჯესი კარნის „ცნობილი შავკანიანი ამერიკელი ქალები: წიგნი II",[23] ლიზა ტანდრიხ ფრენკის „ქალები ომში: შინა ფრონტიდან ბრძოლის ველამდე,"[24] ლეტი გევინის „ამერიკელი ქალები პირველ მსოფლიო ომში: ისინიც ემსახურებოდნენ ქვეყანას"[25]. გევინის წიგნი გაჯერებულია პირადი ინტერვიუებითა და ფოტომასალით. საყურადღებოა ბევერლი ბონდ გრინისა და სარა ფრიმან უილკერსონის ერთობლივი ნაშრომი, სახელწოდებით "ტენესელი ქალები: მათი ცხოვრება და მათი დრო"[26]. ნაშრომში ნახსენებია არა მხოლოდ აფროამერიკელი, არამედ ინდიელი ანუ მკვიდრი ამერიკელი ქალების ცხოვრება და მოღვაწეობა. ნაშრომი მოიცავს მსოფლიოს წამყვანი ისტორიკოსების 18 ბიოგრაფიულ ესეს. საინტერესოა ბეტსი კაჰნის „გულმოწყალების ანგელოზები: შეიარაღებული ძალების მედდები მეორე მსოფლიო ომში."[27]

აქვე უნდა აღინიშნოს ისეთი ისტორიული მნიშვნელობის ნამუშევარი, როგორიც არისბროიერის „ომი და ამერიკელი ქალები: გმირობა, ღვაწლი და წინააღმდეგობები".[28] ბროიერი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანია და სამხედრო ისტორიკოსი. შესაბამისად, მისი ნაშრომი მოიცავს ზუსტ ისტორიულ ფაქტებს. *The Wall Street Journal*-ი[29] წერს, რომ

---

[21]Gail Harris"America's Women" (New York: Harper Collins Publisher, 2003).
[22]Ellen Carol DuBois, *Through Women's Eyes: An American History with Documents*, (Boston: Bedford/St.Martin's 2012),
[23]Jessie Carney S, *Notable Black American Women, Book 2,* ( Farmington Hills Gale / Cengage Learning; annotated edition, 1995)
[24]Lisa Tendrich Frank, *Women at War: From the Home Front to the Battlefields* (Santa Barbara: ABC CLIO, 2013)
[25]Lettie Gavin, *American Women In World War I*, ...(Boulder: University Press of Colorado, 1997).
[26]Beverly Greene Bond, Sarah Wilkerson Freeman, *Tennessee Women: Their Lives and Times--Volume 2* (Athens: University of Gerogia Press, 2009).
[27]Betsy Kuhn Angels of Mercy, *The Army Nurses of World War II Paperback*, (New York: Aladdin, 1999).
[28] William B., Breuer *War and American Women: Heroism, Deeds and Controversy*, (Westpoint: Praeger, 1997).
[29]*The Wall Street Journal*-გავლენიანიყოველდღიურიამერიკულისაქმიანიგაზეთი ინგლისურენაზე. არსებობსგაზეთისევროპული

ბროეიერი „პირველი კლასის მწერალია, ვინც ყურადღებას ადამიანის დრამაზე ამახვილებს“[30]

ნიშანდობლივი და საყურადღებო აღმოჩნდა ისეთი წყაროები, როგორიც არის: პენელოპა ლეფიუს „ფორტ დე მოინი“[31], კორნელია პიკ მაკდონალდის „ქალი სამოქალაქო ომში: დღიური 1862 წლის მარტის მოგონებებზე“[32], ანალოგიური ხასიათის ნაშრომს წარმოადგენს კეტრინ კლინტონის „სხვა სამოქალაქო ომი, ამერიკელი ქალი მეცხრამეტე საუკუნეში“[33], ანეტ მონტგომერის „შავის ამერიკის სერიები“[34], დაიანა ბრეი რეიმისა და ნიკოლ კაილი გროსის ერთობლი ნაშრომი „შავკანიან ქალთა ისტორია შეერთებულ შტატებში“[35], ასევე, ფრიად საყურადეღებოა ტრიშა ჯექსონ უილიამსის „ქალები შავკანიანთა ისტორიაში: ისტორიები გამბედაობაზე, რწმენაზე და მედგრად ყოფნაზე.“[36]

21-ე საუკუნის პერსპექტივიდან საკვლევი საკითხის დანახვისა და შემდეგ მისი გაანალიზებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ზეპირი ისტორიის გამოყენება. ამ მიზნით ავიღე ინტერვიუ აშშ-ს სამხედრო ძალების ოფიცრებთან: ალექსანდრია როუდენთან, რომელიცშეერთებული შტატების საზღვაო ძალების ოფიცერია (E-5, Petty Office Second Class)[37]და ნენსი ბარკსდეილთან - აშშ-ს სახმელეთო ძალების ოფიცერთან (Sergeant First Class (SFC).[38] მათი პასუხები ცხადყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ჯარში დისკრიმინაციის არსებობას. ინტერვიუ საშუალებას იძლევა მკაფიოდ განისაზღვროს აფროამერიკელი ქალების ამჟამინდელი მდგომარეობა ამერიკის

---

დააზიურიგამოცემები. მასშიიბეჭდებასიახლეებიპოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, ფინანსებზე, ანალიტიკასადაკულტურაზე.

[30] Breuer, *War and American Women*

[31]Penelope A. LeFew-Blake, *Fort Des Moines* (Charlseton, Arcadia Publishing, 2006).

[32]Cornelia *A.,* Peake Mcdonald, *Woman's Civil War: A Diary with Reminiscences of the War from March 1862*", (Madison: The University of Wisconsin Press, 1994).

[33]Cathrine Clinton, *the Other Civil War, American Women in the Nineteenth Century*, American Century Series (New York: Hill and Wang, 1984).

[34]Annette Montgomery, *Suffolk (VA):Black America Series,* (New York :Academia Publishing, 2005).

[35]Ramey Berry, Daina, Gross, Kali Nicole, *Black Women's History of the United State*s, (Boston: Beacon Press, 2020)

[36]Tricia Williams Jackson , *Women in Black History: Stories of Courage, Faith, and Resilience,* (Bunde: Revell; Illustrated edition, 2005

[37] ინტერვიუ ალექსანდრია როუდენთან და ნენსი ბარსქდეილთან ჩაწერა ნანა პარინოსმა 02.03.2020.

[38] ინტერვიუ, 02.03.2020.

შეერთებული შტატების შეაიარაღებულ ძალებში, გაკეთდეს სათანადო პარალელები მათ ამჟამინდელ და ადრინდელ მდგომარეობასთან დაკავშირებით, შეფასდეს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები და მიღწეული პროგრესი, სამოქალაქო სზოგადოებაში მათი ინტერგრაციის ხარისხთან მიმართებაში.

ნაშრომში გამოყენებულია ამერიკის შეერთებული შტატების ვიეტნამის ომში მედდათა კორპუსის მაიორის ელიზაბედ ალენის ზეპირი ისტორია „ჩემი ომი - ელიზაბედ ალენი“[39]რომელიც გამოქვეყნებულია hystorynet.com-ზე.ალენი გულდასმით აღწერს მის გამოცდილებას ვიეტნამის ომში. აქვე უნდა აღინიშნოს ჯეიმს დიქსონის *Ann Arbor News*-ი[40] გამოქვეყნებული სტატია სახელწოდებით „ენ არბორის ელიზაბედ ალენი ვეტარანთა შორის დოკუმენტურ ფილმში „ჩვენი ვიეტნამელი თაობა“, პრემიერა ამ საღამოს“[41].

მნიშვნელოვან პირველწყაროს,ასევე, წარმოადგენს ისეთი დოკუმენტური ფილმები, როგორიცაა: „შავკანიანი მედდები მეორე მსოფლიო ომში“[42], ხოლო განსაკუთრებით მნიშვნელოვან მასალად მივიჩნევ ამერიკის შეერთებული შტატების შეაიარაღებული ძალების დოკუმენტურ მასალას, რომელსაც ათავსებენ საკუთარ *Youtube*-ის არხზე, მაგალითად*U.S Army Corps*-ზე განვთასებული „აფროამერიკელი ქალები ავიაციაში“[43], “აფროამერიკელების სამხედრო ისტორიაში: ბარიერების რღვევა“[44], „ჰარლემის ჯოჯოხეთის მებრძოლნი“[45], “ქალთა ისტორიის თვე“[46] და სხვა. ასევე, მნიშვნელოვანია

[39] My War- Elizabeth A. Allen” Last modified, February 22, 2019, https://www.historynet.com/my-war-elizabeth-a-allen.htm

[40]Ann Arbor's Elizabeth Allen among veterans featured in documentary 'Our Vietnam Generation,' premiering tonight, http://www.annarbor.com/news/ann-arbors-elizabeth-allen-among-vietnam-vets-featured-in-our-vietnam-generation-which-premieres-ton/

[41] Our Vietnam generation, last modified June 14, 2020. https://www.youtube.com/watch?v=IUuKoerKGf8.

[42]„Black Women Serve as Nurses in World War II”, last modified March 15, 2020. https://www.youtube.com/watch?v=-dq1uRyya4U

[43]“African-American Women in Army Aviation”, last modified March 15, 2020. https://www.youtube.com/watch?v=f-YH7hlfjPg.

[44]“African-Americans in Military History: Breaking Barriers”, last modified March 15, 2020. https://www.youtube.com/watch?v=Vgv0mZCHPrs.

[45]“The Harlem Hellfighters “, last modified March 17, 2020. https://www.youtube.com/watch?v=DMKvwslEtcU.

[46]“Women's History Month “last modified March 17, 2020. https://www.youtube.com/watch?v=SwsUDVIFCO0.

თუ რას წერდნენ იმდროინდელი გაზეთები და როგორ იყო წარმოჩენილი აფროამერიკელი ქალები. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა *The Apache sentinel*-ის ყოველდღიური გაზეთი სახელწოდებით "პირველი WAC-ის ზანგები ჩამოდიან ინგლისში საფოსტო მოვალეობების შესასრულებლად",[47] და *Daily Bulletin*-ის სტატიები, როგორიცაა „ზანგებზე ჭორაობენ; ადგილი აქვს უსამართლო კრიტიკას"[48]. საჭირო და სასარგებლო აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ვეტერანთა საქმეების განყოფილება და მის მიერ გამოქვეყნებული სტატიები,[49] ასევე, ისეთი ვებგვერდები, როგორიცაა: *Nusring History*,[50] *Polito*[51], *Presumption and Folly*,[52] *Biography*,[53] *Air Force*, *Africana Age*,[54] *Military Rescources*[55], *Weebly*,[56] *BlackPast*,[57] *US. Army*[58], *U.S Department of Defense*[59], *Women's Army Corps*[60], აფროამერიკელთა

---

[47]"First Negro WACs arrive in England for Postal Duty", February 23, 1945, last modified April 11, 2020. https://chroniclingamerica.loc.gov/lccn/sn95060813/1945-02-23/ed-1/seq-4/#date1=1789&index=15&rows=20&words=Negro+WACs&searchType=basic&sequence=0&state=&date2=1963&proxtext=%22negro+wacs%22&y=0&x=0&dateFilterType=yearRange&page=1.

[48] Will V. Neely, "The daily bulletin", January 11, 1946, 4, last modified April 11, 2020. https://chroniclingamerica.loc.gov/lccn/sn84024221/1946-01-11/ed-1/seq-4/#date1=1789&index=13&rows=20&words=Negro+NEGRO+WACS+Wacs&searchType=basic&sequence=0&state=&date2=1963&proxtext=%22negro+wacs%22&y=0&x=0&dateFilterType=yearRange&page=1.

[49]US Department of Veteran Affairs. "Veteran of the Day Army Veteran Shoshana Nyree Johnson", last modified March 16, 2019. https://www.blogs.va.gov/VAntage/57640/veteranoftheday-army-veteran-shoshana-nyree-johnson/.

[50] "*Della Hayden Raney Jackson*. Boone, North Carolina", last modified October 12, 2020. https://nursinghistory.appstate.edu/biographies/della-hayden-raney-jackson.

[51] "Roosevelt admits women into the Armed Forces". Last modified May 05, 2016. https://www.politico.com/story/2016/05/roosevelt-admits-women-into-the-armed-forces-may-14-1942-223129.

[52] "The First of the "Golden Fourteen": Yeoman 2/C Armelda Hattie Greene, USNR (F)", last modified January 01, 2018. https://presumptionandfolly.wordpress.com/2018/08/12/the-first-of-the-golden-fourteen-yeoman-f-2-c-armelda-hattie-greene/ .

[53] "Mary Ann Shadd Cary", last modified July 22, 2018 https://www.biography.com/people/mary-ann-shadd-cary-214141 .

[54] "African Americans and World War I: Schomburg Centre for Research in Black Culture", last modified September 05, 2018. http://exhibitions.nypl.org/africanaage/essay-world-war-i.html.

[55] "Women in the Military. Retrieved from National Archives", last modified February 22, 2019. https://www.archives.gov/research/alic/reference/military/women.html.

[56] "Mary Eli Forgotten Feminists. "Mary Louvestre", last modified July 19 2018. http://www.forgottenfeminists.com/mary-louvestre/ Last modified July 19 2018.

[57] "Cathay Williams (1850- )", last modified. May 15, 2013. http://www.blackpast.org/?q=aaw/williams-cathay-1850.

[58] U.S. Army, "Official Report on the 507th Maintenance Co.: An Nasyryah, Iraq", accessed February 01, 2017. www.Why-war.com/files/articles07102003apdf.

კულტურისა და ისტორიის ეროვნული მუზეუმი[61]და ოქსფორდის აფროამერიკული კვლევის ცენტრი.[62]

**მეორადი წყაროები.** ბოლო წლებში აფროამერიკელი ქალების მოღვაწეობის შესწავლა ამერიკელი მკვლევრების ინტერესის სფეროში  აღმონდა. მონოგრაფიებს შორის აღსანიშნავია ამერიკელი მკვლევრის ელიზებეთ დისნოიერს-ქოლასისწიგნი „აფროამერიკელი ქალების პირადი ნარატივები გამოცდილებაზე სპარსეთის ყურის ომებში“*[63].* ზემოაღნიშნული ორი ავტორისგან განსხვავებით, ქოლასის წიგნი გამოირჩევა დეტალების უფრო სიღრმისეული აღწერით, თუმცა, ამავდროულად, მის ნაშრომს აკლია ანალიზი და შესაბამისი დასკვნები. ქოლასი თავს არიდებს რაიმე ტიპის რეკომენდაციების გაცემას, თუმცა, აღნიშნულ ნაშრომს პირველწყაროდ მაინც ვერ მივიჩნევთ. ნაშრომი საინტერესოა, რადგან ფოკუსი უშუალოდ იმ აფროამერიკელ ქალ-სამხედროებზეა გაკეთებული, რომლებიც სპარსეთის ყურის ომებში მონაწილეობდნენ. აღნიშნულ ნაშრომში მოცემულ პიროვნებებზე - გიჯეტი გრეითჰაუსი, კორტნი სოლტერი, კორტნი რეისი  (გამონაკლია შოშანა ჯონსონი) - არ მოიპოვება არც ბიოგრაფიული, არც სამეცნიერო მასალა. შესაბამისად, პროფესორმა დისნოიერს-ქოლასმა დიდი შრომა გასწია და, როგორც სხვა მკვლევრებს, მეც მომეცა ამ სამხედრო ქალების მოღვაწეობის შესწავლის შესაძლებლობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის ომებში აფროამერიკელ სამხედრო ქალებზე ბევრად ნაკლები ინფორმაციაა, ხოლო სამეცნიერო კვლევები პრაქტიკულად არ არის.

---

[59] U.S. Department of Defense, “Departments of Defense Report on Military Services Sexuual Assault for CY 2006, accessed April 10, 2017, http://www.sapr.mil/edia/pdf/reports/2006-annual-report.pdf .
[60] Women's Army Corps (WAC)”, last modifies December, 12, 2020, https://www.atomicheritage.org/history/womens-army-corps-wac
[61] “Pioneering African American Nurses”, last modified February 11, 2018. http://nmaahc.tumblr.com/post/72086729444/five-you-should-know-pioneering-african-american .
[62] “African Americans in WWI”, last modified September 17, 2020. http://www.oxfordaasc.com/public/features/archive/0508/photo_essay.jsp?page=6.
[63]Elizabeth F. Desnoyers-Colas, *Marching as to war/ Personal narratives of African American Women's Experiences in the Gulf Wars*. (Lanham: University Press of America, 2014).

საკითხის - ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სფეროში მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე - კვლევისასფასდაუდებელი დახმარება გამიწია ედით ბლიქსილვერის ნაშრომმა „ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ამერიკელი ქალები“.[64]წიგნში ნახსენებია ყველა ეთნოსის წარმომადეგნელი ქალი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე მოღვაწეობდა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ბლიქსილვერი წერს არა მხოლოდ აფროამერიკელ ქალებზე, არამედ სხვა უმცირესობებზეც: გერმანელებზე, ირლნადიელებზე, ებრაელებსა და სხვა. ამ ნაშრომშიც ინფორმაცია არასრულია. იგივე ხასიათის არის ჰარპერ ჯუდითის ნაშრომი „ქალები სამოქალაქო ომის დროს[65],სადაც ავტორი ახსენებს არა უმცირესობათა წარმომადგენელ ქალებს, არამედ ზოგადად ყველა თვალსაჩინო ქალს. რაც შეეხება ედით ბლიქსილვერს, მისმა ნაშრომმა „ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ამერიკელი ქალები“[66] საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია მომაწოდა, რამაც, თავის მხრივ, გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალება მომცა. კერძოდ, ბლიქსილვერს წინა პლანზე გამოჰყავს იმ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, რომლებიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობდნენ, განსაკუთრებით საინტერესო და ნიშანდობლივია გვენდოლინ ბრუქსის პოეზია, სადაც კარგად ჩანს თუ როგორ მიჯნავს ბრუქსი ლიტერატურული ხერხებითა და ხრიკებით თეთრკანიანებსა და შავკანიანებს.[67]

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას, ასევე, ძალიან დიდი გავლენა იქონია იეილის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტერლინგის[68] პროფესორის, დევიდ ბლაიტის წიგნმა „რასა და გაერთიანება: სამოქალაქო ომის ამერიკის მეხსიერებაში“[69]. ბლაიტის ნაშრომი უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ მის კვლევაში კარგად ჩანს თუ

[64] Edith Blicksilver, *The ethnic American Women*, (Dubuque: Kendall/Hunt Publishing Company, 1978).
[65]Harper, Judith, *Women During the Civil War* ((New York-London: Routledge, 2007), 90.
[66]Blicksilver, *The ethnic American Women*.
[67] Blicksilver, *The ethnic American Women*.
[68]სტერლინგის პროფესორი- უმაღლესი აკადემიური რანგი იელის უნივერსიტეტში.
[69] David W., Blight, Race and Reunion, the Civil War in American Memory, (Cambridge: The Belknap Press of Harvard University Press, 2001).

როგორ არ აღიარებდნენ სამხრეთელი მონათმფლობელები დამარცხებას და ამ ფაქტს ჩრდილოელების მიერ გაზვიადებულ ინფორმაციად აღიქავამდნენ.ბლაიტი იკვლევს და გვაჩვენებს იმ ტრაგიკულ შედეგებს, რომელიც მოყვა რასობრივ ურთიერთობებს და ამერიკის გაერთიანებას. ასევე, ისტორიისთვის და კერძოდ, ჩემ მიერ ჩატარებული კვლევისთვის უმნიშვნელოვანეს შენაძენს წარმოადგენს ნიკი ბრაუნის „კერძო პოლიტიკა და საზოგადოებრივი აზრი: შავკანიანი ქალების აქტივიზმი პირველი მსოფლიო ომიდან დღემდე (შავკანიანები დიასპორაში)".[70] ბრაუნი, პირველი მსოფლიო ომის დროს, კონცენტრირდება აფროამერიკელი ქალების პატრიოტულ აქტივიზმზე და სოციალურ სამუშაოზე. ამასთან, ნაშრომში იგი ამტკიცებს, რომ აფრაომერიკელი ქალების ჩართულობა პირველ მსოფლიო ომში უშუალოდ მათი პირადი სურვილითა და მისწრაფებებით იყო განპირობებული.

მნიშვნელოვანი ნაშრომია კეტრინ კლინტონის მონოგრაფია "ჰარიეტ ტაბმენი: გზა თავისუფლებისკენ."[71]კლინტონის მიერ მოყვანილი ბიოგრაფიული ფაქტები მკვლევარსაც და ჩვეულებრივ მკითხველსაც ერთნაირად აღაფრთოვანებს. კეტრინ კლინტონის მიხედვით, ტაბმენი იმაზე მეტად საოცარი თვისებებით შემკული ადამიანი იყო, ვიდრე იმ ლეგენდებში, რომლებიც მასზე შექმნილა. კლინოტონის წიგნმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ჰარიეტ ტაბმენის პიროვნების შესწავლა-გააზრების საკითხში.

აღსანიშნავია ელა ფორბსის ნაშრომი „აფროამერიკელი ქალები სამოქალაქო ომში".[72] მან შეისწავლა აფროამერიკელთა ისტორია და კულტურა. ფორბს, ძირითადად, პირველწყაროები აქვს გამოყენებული. მისი კვლევა უფრო მასშტაბურია, ვიდრე ზემოთ ხსენებული მკვლევრებისა თუ ბიოგრაფების, რადგან ფორბსის კვლევის არეალი გაცილებით ფართოა. იგი კონცენტრირდება: ჯაშუშ, მზვერავ, მრეცხავ, მკერავ ქალებზე, ასევე მედდებზე, მასწავლებლებსა და სოციალურ აქტივისტებზე. ფორბსი მოითხოვს

---

[70] Nikki Brown, *Private Politics and Public Voices, Black Women's Activism from World War I to the New* Deal ( Bloomington and Indianopolis: Indiana University Press, 2006).
[71] Cathrine Clinton, *Harriet Tubman: The Road to Freedom*, (New York: Back Bay Books; Illustrated edition, 2005.)
[72]Ella Forbes, *African American Women During the Civil War*,(New York&London: Garland Publishing,1998).

დაფასდეს და აღიარებულ იქნას სამოქალაქო ომში ამა თუ იმ ფორმით მონაწილე ქალთა ღვაწლი.

ნიშანდობლივი და საინტერესოა ისეთი ავტორების სამეცნიერო ნაშრომები, როგორიც არის: ჯეიმს უეისტჰაიდერის „ბრძოლა ორ ფრონტზე: აფროამერიკელები და ვიეტნამის ომი“,[73] სადაც ხაზგასმულია რასობრივი დისკრიმინაციის სირთულეები. უეისტჰაიდერის წიგნი უკვე სათაურშივე გვაუწყებს, თუ რომელ ორ ფრონტზე მიმდინარეობს ბრძოლა - ბრძოლა ვიეტნამში და ბრძოლა თეთრკანიან ამერიკელებსა და აფროამერიკელებს შორის რასობრივი კონფლიქტის ნიადაგზე. იმავე რაკურსით განიხილავს და აანალიზებს მოვლენებს ბრაიენ ბუქერი წიგნში „აფროამერიკელები შეერთებული შტატების შეაიარაღებულ ძალებში მეორე მსოფლიო ომის დროს“.[74] ბუქერი ახსენებს არა მხოლოდ აფროამერიკელ კაცებს, არამედ აფროამერიკელ ქალთა წვლილსაც მედდათა კორპუსში. ასევე იგი აანალიზებს მათ მდგომარეობას და ქვეითი ჯარის სეგერეგაციის საკითხებს 24-ქ, 65-ე, 364-ე,366-ე 372-ე პოლკებსა და 24-ე კავალერიაში.

კვლევისთვის საინტერესო აღმოჩნდა ნენსი ჰევიტის „ამერიკის ქალების ისტორიის მეგზური“,[75] კეტრინ ჰობსის „მეცხრამეტე საუკუნის ქალების სწავლობენ წერას“,[76] ჯეინ როუდსის მონოგრაფია „მერი ენ შედ ქერი,“[77] რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს ჩემს სადისერტაციო ნაშრომში, კიმბერლი ჯენსენის “მინერვას მობილიზება: ამერიკელი ქალები პირველ მსოფლიო ომში“[78], სტივენ ჰარისის „ჰარლემის ჯოჯოხეთის

---

[73] James Westheider, *S. Fighting on Two Fronts, African Americans and the Vietnam War*, (New York: New York University Press, 1997).
[74] Bryan D., Booker, *African Americans in the United States Army in World War II,* (McFarland: McFarland, 2008).
[75]Nancy A. Hewitt, *A Companion to American Women's History*, (Hoboken: Blackwell Publishing, 2005).
[76]Cathrine Hobbs, *Nineteen Century Women Learn to Write* (Charlotsville: University Press of Virginia, 1995).
[77] Jane Rhodes, *Mary Ann Shadd Cary: The Black Press and Protest in the Nineteenth Century* (Bloomington: Indiana University Press 1999).
[78] Kimberly Jensen, *Mobilizing Minerva, American women in the First World War*, (Champaign: University of Illinois Press, 2008).

მებრძოლნი: აფროამერიკული 369-ე ქვეითი ჯარი პირველ მსოფლიო ომში“,[79] მორინ ჰანის „მწარე ხილი: აფროამერიკელი ქალები მეორე მსოფლიო ომში“,[80]რომლის ერთ-ერთი თავის სახელწოდება „ორმაგი გამარჯვება“ ცხადყოფს აფროამერიკელი ქალების დიდ როლს მეორე მსოფლიო ომის დროს.[81]ასევე, საინტერესო აღმოჩნდა ბობი ლოვეტის „ნეშვილელ აფროამერიკელთა ისტორია“[82] ჯეიმს მედისონის „ბიჭებისთვის დონატების დარიგება: „ამერიკელი ქალი მეორე მსოფლიო ომში“[83], შერილ მალენბახის „ორმაგი გამარჯვება: როგორ დაძლიეს აფროამერიკელმა ქალებმა რასობრივი და გენდერული ბარიერები“[84], სტივენ ტაუნის „დაზვერვა და შპიონაჟი სამოქალაქო ომში“[85], ტომას ფილიპ ტაკერის „ქეთეი უილიამსი: მონობიდან ბუფალოს ქალ-ჯარისკაცამდე“[86], ერლინ სტეტსონისა და ლინდა დევიდის „დიდების ძიება მწუხარებაში: სოჯორნერ თრუთის ცხოვრება“[87], დოროთი სტერლინგის „ჩვენ შენი დები ვართ: შავკანიანი ქალები მე-19 საუკუნეში“[88], ბრენდა სტივენსონის „შარლოტ ფორტენის დღიურები“[89]. ასევე, კვლევისას გამოყენებულია ისეთი საინტერესო ნაშრომები, როგორიცაა: ჯეიმს გროსმანის „იმედის მიწა: ჩიკაგო, შავი სამხრეთელები და დიდი მიგრაცია“[90] და გრეგორი ჯეიმსის „სამხრეთის დიასპორა: როგორ შეცვალა ამერიკა სამხრეთელი შავებისა და თეთრების

---

[79]Harris, Stephen L. *Harlem's Hell Fighters*: *The African-American 369th Infantry in World War I.* (Washington, DC: Brassey's, Inc.,) 2003

[80]Maureen Honey *Bitter Fruit: African American Women in World War II,* (Columbia&London: University of Missouri Press, 1999).

[81] Honey *Bitter Fruit: African American Women in World War II.*

[82] Bobby L. Lovett, *The African-american History of Nashville, Tn: 1780-1930*, (Fayeteville, Unversity of Arkansas Press, 1999).

[83] James H., Madison *Slinging Doughnuts for the Boys,:An American Woman in World War II*, (Bloomigton: Indiana University Press, 2007).

[84]Cheryl Mullenbach,*Double Victory: How African American Women Broke Race and Gender Barriers to help win World War II,*(Chacago: Chicago Review Press, 2013).

[85] Towne Stephen, E, “Surveillance and Spies in the Civil War”, (Athens: Ohio University Press, 2015).

[86]Phillip Thomas Tucker, *Cathay Williams: From Slave to Female Buffalo Soldier* (Mechanicsburg: Stackpole Books, 2002).

[87] Erlene Stetson, Linda David, *Glorying in Tribulation*: *The Lifework of Sojourner Truth*”, (East Lansing: Michigan State University Press, 1994).

[88] Dorothy Sterling, *Women with a Special Mission: We are Your Sisters: Black Women in the Nineteenth Century*. (New York & London: W. W. Norton & Company, 1984).

[89] Brenda Stevenson *The Journals of Charlotte Forten,* (New York: Oxford Press, 1988).

[90] James R. Grossman, *Land of Hope: Chicago, Black Southerners, and the Great Migration.* (Chicago: University of Chicago Press, 1989).

დიდმა მიგრაციამ“[91], ივერ ბერნშტაინის „ქალაქ ნიუ იორკის ჯანყის გეგმა: მათი მნიშვნელობა ამერიკული საზოგადოებისა და პოლიტიკისთვის სამოქალაქო ომის ხანაში“.[92]

მეორად წყაროებს შორის აღსანიშნავია მოცემულ საკვლევ თემატიკაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები. განსაკუთრებით საყურადღებოა Arms Forces&Society“-ში[93] გამოქვეყნებული ბრენდა მურის სამეცნიერო სტატია „აფროამერიკელი ქალები ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში“[94]. ბრენდა მურის აღნიშნული სტატია მნიშვნელოვანია შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში აფროამერიკელ ქალთა როლის დასადგენად და შესაფასებლად. მური შედარებითი ანალიზის საშუალებით ერთმანეთს ადარებს აფროამერიკელი ქალებისა და სხვა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების როლს შეიარაღებულ ძალებში. მეტიც, იგი იკვლევს არა მხოლოდ აფროამერიკელი ქალების როლს, არამედ ყურადღებას ამახვილებს აფროამერიკელი კაცების წვლილზეც.

ბრენდა მურის კვლევის შედეგი აჩვენებს, რომ აფროამერიკელი ქალები შეიარაღებულ ძალებში მოწინავე ეთნიკური უმცირესობაა, რადგან სხვა ეთნიკურ უმცირესობებთან შედარებით, ისინი მეტად კონცენტრირებული არიან შეიარაღებულ ძალებზე, კერძოდ კი, ქვეითი ჯარის წევრობაზე. ასევე, მურის კვლევის თანახმად, აფროამერიკელ ქალებში გაცილებით მეტი მარტოხელა დედაა, სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით. თავად ბრენდა მური აღნიშნავს, რომ აფროამერიკელ ქალებს შეიარაღებულ ძალებში არასაკმარისად იკვლევენ[95].

---

[91] Gregory N., James, *The Southern Diaspora: How the Great Migrations of Black and White Southerners Transformed America,* (Chapel Hill: University of North Carolina Press, 2005),

[92] Iver Bernstein, *The New York City Draft Riots: Their Significance for American Society and Politics in the Age of the Civil War*, (New York: Oxford University Press, 1990).

[93] Arm Forces&Society-საერთაშორისოსამეცნიერო რეფერირებადი, იმპაქტფაქტორიანი ჟურნალი.

[94] Brenda L. Moore,“African American Women in the U.S. Military”. *Armed Forces & Society* (1991): 363-384, accessed February 15, 2020. https://doi.org/10.1177/0095327X9101700303.

[95]Moore,“African American Women in the U.S. Military”, 363-384.

ასევე, საინტერესოა კერი კრენშოს *Howard Journal of Communication*-შიგამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია „ქალები სპარსეთის ყურეში“[96], რომელშიც კრენშო წერს, რომ „უნდა მოხდეს რასისას და გენდერის კატეგორიებთან ერთგვარი ჩასაფრება“. ისინი შესწავლილ უნდა იქნას გადაკვეთის წერტილამდე, რათა მოხდეს მათი მრავაგანზომილებიანი ხასიათის გამოკლევა.[97] ამასთან, მეტად საინტერესო აღმოჩნდა ისეთი სამეცნიერო სტატიები, როგორიცაა კლენორა ჰადსონის „რასისტული თემები გვენდოლინ ბრუქსის პოეზიაში“. სტატია გამოქვეყნებულია *College Language Association Journal-ში.*[98] ბრუქსის ლიტერატურა, როგორც უკვე ავღნიშნე განსაკუთრებით წარმოაჩენს პირადად მის და საზოგადოების დამოკიდებულებას აფროამერიკული რასისადმი. გვენდოლინ ბრუქსის პოეზიასთან დაკავშირებით ასევე საინტერესო აღმოჩნდა ქეი ენ ტეილორისა და მუთემიზ სელვის *Indian Journal of Applied Research-ში*[99] გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია „რასიზმი გვენდოლინ ბრუქსის პოემებში.“[100]არ შეიძლება არ აღინიშნოს ჯენელ ჰობსონის ჟურნალ „მერიდიანში“ გამოქვეყნებული სტატია „ჰარიეტ ტაბმენი: მემკვიდრეობისთვის გაწეული წინააღმდეგობა“[101] და ასევე ლორი სქრივნერის „აშშ-ს სამხედრო ქალები მეორე მსოფლიო ომში: *Spars*-ი, *wac*-ი, *waves*-ი, *wasp*-ი და ქალთა საზღვაო ფლოტი აშშ-ს სახელმწიფო პუბლიკაციებში“.[102]

მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ისეთ მკვლევრებს, როგორიცაა ლიზა ლინგი, რომელიც თავის ნაშრომში „შარლოტ ფორტენის დღიურები სამოქალაქო ომის

---

[96]Carrie Crenshaw, “Women in the Gulf War: Toward an intersectional feminist rhetorical cristicism”, *Howard Journal of Communications* 8 (1997): 219-235. accessed February 27, 2018, https://doi.org/10.1080/10646179709361756

[97]Crenshaw, “Women in the Gulf War: Toward an intersectional feminist rhetorical cristicism”, 220.

[98] Clenora F. Hudson, “Racial Themes in the Poetry of Gwendolyn Brooks” *College Language Association Journal*( 1973): 19, accessed February 24, 2018, https://www.jstor.org/stable/44329034.

[99]Kay Ann Taylor, Muththamizh Selvi, „Racism in the Poems of Gwendolyn Brooks“,*Indian Journal of Appilied Research*, (2016): 119, accessed February 28, 2018, https://www.worldwidejournals.com/indian-journal-of-applied-research-(IJAR)/recent_issues_pdf/2016/October/October_2016_1492164231__36.pdf

[100] Taylor, Selvi,„Racism in the Poems of Gwendolyn Brooks“,*Indian Journal of Appilied Research*, 119.

[101] Janell Hobson, “Harriet Tubman: The Resistance of Legacy” Meridians (2014), accessed January 20, 2018, https://doi.org/10.2979/meridians.12.2.1.

[102] Laurie Scrivener, “U.S. military women in World War II: The spar, wac, waves, wasp, and women marines in U.S. government publications”. *Journal of Government Information* (1999): 372, accessed February 25, 2018, https://doi.org/10.1016/S1352-0237(99)00051-9 .

დღიურები და გენიის, სილამაზისა და უკვდავი დიდების ძიება“[103]. აქვე უნდა აღინიშნოს მერი პიკის მიერ რედაქტირებული „შარლოტ ფორტენის დღიურები“[104] სახელწოდებით „შავკანიანი მასწავლებლები სამოქალაქო ომში და რეკონსტრუქცია“, სტატია დაიბეჭდა *Journal of Negro Education-ში*[105], საინტერესო აღმოჩნდა ლინდა პერკინსის იმავე სამეცნიერო ჟურნალში დაბეჭდილი სტატია „გაითვალისწინეთ ცხოვრების მოთხოვნები: ფენი ჯექსონ კოპინის საგანამანათლებო ფილოსოფია.“[106] მარბლ სანდერსის ძალიან საინტერესო სტატიაში „აფროამერიკული სამედიცინო პერსონალი პირველ მსოფლიო ომში“[107] ავტორი ცხადყოფს აფროამერიკელთა როლს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ზურგში.

კვლევისას ასევე დავინტერესდი მელმანის, ჩარნისა და ალიმის „აფროამერიკელებში პოსტრავმული სტრესული აშლილობის მიმოხილვა“.[108] ეს სტატია საინტერსო აღმოჩნდა იმ კუთხით, რომ მასში მოიაზრება პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ბევრი მიზეზი. სადისერტაციო ნაშრომში კი აქცენტი კეთდება სპარსეთის ყურის ომის შემდგომ ტრავმებზე აფროამერიკელ ქალებს შორის. საყურადღებო აღმოჩნდა პერი მანონის „დოროთეა დიქსი“,[109] ჯესიკა შოკერისა და ქრისტინ ვოიშნეფრის „აფროამერიკელ ქალთა წარმოჩენა აშშ-ს ისტორიის სახელმძღვანელოებში“[110] და სიუზენ

---

[103] Lisa A. Ling, “Charlotte Forten's Civil War Journals and the Quest for Genius, Beauty, and Deathless Fame" *Discourses of Women and Class* (1999): 43-45, accessed December 03, 2018, https://www.jstor.org/stable/25679287.

[104]Kay Ann Taylor, “Mary S. Peake and Charlotte L. Forten: Black Teachers During the Civil War and Reconstruction” *The Journal of Negro Education* (2005): 132, accessed February 28, 2018. https://www.jstor.org/stable/40034538.

[105]ჯერ სტატია...*Journal of Negro Education...*

[106] Linda Marie Perkins, “Fanny Jackson Coppin and the Institute for Colored Youth” The Journal of Negro Education (1982): 100-102, accessed March 15, 2018 https://doi.org/10.2307/2294688

[107]Marble Sanders“African-American Medical Personnel in the US Army in the First World War”, *Journal of the National Medical Association,(2018):* 29-30, accessed January 16, 2019, https://doi.org/10.1016/j.jnma.2017.10.004.

[108]Tanya. N. Alim, Dennis S Charney, Thomas A Mellman,“An overview of posttraumatic stress disorder in African Americans”, *Journal of Clinical Psychology 62* (2006): 809-813. Accessed November 18, 2020. https://doi.org/10.1002/jclp.20280

[109] Parry S., Manon “Dorothea Dix (1802–1887)”, *Home American Journal of Public Health* (2011), 622, accessed January 15, 2010, https://ajph.aphapublications.org/doi/pdfplus/10.2105/AJPH.2005.079152.

[110] Jessica B Schocker, Christine Woyshner, “Representing African American Women in U.S. History Textbooks”. *The Social Studies* (2013) 104-1. Accessed February 15, 2020. https://doi.org/10.1080/00377996.2012.655346.

ჩენდლერის „ჰანტონი და მშვიდობის პერპექტივების შენება აფროამერიკელ ქალთა შორის“[111].

წყაროების ანალიზისას აღმოვაჩინე, რომ აღნიშნულ თემატიკაში სისტემური ცოდნის დიდი დეფიციტია. კვლევები, რომლებიც ეთმობა აფროამერიკელებს, გაკეთებულია ზოგადად აფოამერიკელ ქალებზე  სხვა ეთნიკური უმცირესობების ფონზე. ასევე, ხშირია კვლევები აფროამერიკულ რასაზე, განურჩევლად სქესისა, სადაც საუბარია, როგორც აფროამერიკელ ქალებზე, ასევე აფროამერიკელ კაცებზე.  ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ თუკი კვლევა არ არის რასობრივი ხასიათის, არამედ გენდერული კუთხითაა ჩატარებული, აქაც ვაწყდებით გარკვეულ სხვაობას (gap), რადგან ამ შემთხვევაში აფროამერიკელი ქალების ღვაწლი განხილულია თეთრკანიანთა ღვაწლის ფონზე, სადაც კარგად არ ჩანს აფროამერიკელი ქალების რეალური როლი, წვლილი და გამოწვევები. რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების შეაიარაღებულ ძალებს, აქაც აფროამერიკელი ქალები განხილულია მათი მოღვაწობის სხვადასხვა ეტაპზე.

ამგვარად, მოცემული სადისერტაციო ნაშრომი, ფაქტობრივად, პირველი სისტემური კვლევაა აფროამერიკელ ქალთა წვლილზე ამერიკის შეერტებული შტატების შეიარაღებულ ძალებში, გამოწვევებსა და, მათი ძალისხმევით, მთავრობის მიერ გატარებულ რეფორმებზე.

**კვლევის პროცედურა.** სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებული კვლევა წარიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის,  პროფესორ ელენე მეძმარიაშვილისა და რამაპოს უნივერსიტეტის, სალამენოს ჰუმანიტარულ და გლობალურ მეცნიერებათა სკოლის, პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორის, ჯერემი თაიგენის ხელმძღვანელობით.

[111] Susan Chandler, “Hunton and the Construction of an African American Female Peace Perspective” Sage Journals, (2005): 275, accessed October 10, 2018, http://journals.sagepub.com/doi/10.1177/0886109905277615.

ვინაიდან, საქართველოში ჩემი სადისერტაციო ნაშრომისთვის არსებული მასალა არ მოიპოვება, კვლევა, ძირითადად, განხორციელდა ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ჩრდილოეთ ამერიკისმცოდნეობის ფაკულტეტისა და, ასევე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობისინსტიტუტის ბაზაზე. ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი რეიტინგით (მსოფლიოს მასშტაბით) 111-ე ადგილზეა, ხოლო ამერიკიმცოდნეობის ბაზების კუთხით მე-6 ადგილზე. საქართველოს წარმომადგენელი ამ საგრანტო პროგრამაში მონაწილეობდა 1994 წელს, ამის შემდეგ, მე აღმოვჩნდი მეორე მონაწილე საქართველოდან, ვინც 2018 წელს ზემოთ ხსენებული გრანტის მფლობელი გახდა.

კვლევის პროცედურა მოიცავდა გერმანიაში ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის, ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ბაზაზე არსებულ ბიბლიოთეკებსა და კვლევით ცენტრებს, კერძოდ: კენედის სახელობის ბიბლიოთეკა, ფილოლოგიური ბიბლიოთეკა, ცენტრალური ბიბლიოთეკა და ონლაინ ბიბლიოთეკა. ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში მოგებული გრანტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ხელმძღვანელი იყო ამავე  უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, სებასტიან ჯობსი.

ასევე, კვლევის გასაგრძელებლად (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 2019 წლის გრანტის ფარგლებში), გავემგზავრე ესპანეთში, ქალაქ ბარსელონას ბიბლიოთეკებში სამუშაოდ. ესენი იყო: ბარსელონის გოთიკური ბიბლიოთეკა, ბარსელონის ჯაუმე ფუსტერის ბიბლიოთეკა, კატალონიის ბიბლიოთეკა და ბარსელონის აურუსის ბიბლიოთეკა. გარდა ამისა, გავეცანი რამაპოს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ლიტერატურას, რომელსაც ელექტრონულად თავად პროფესორი ჯერემი თაიგენი მაწვდიდა.
კვლევის შედეგები სამეცნიერო საზოგადოებას გავუზიარე რამდენიმე კონფერენციისა და პუბლიკაციების მეშვეობით. დისერტაციის საწყის ეტაპზე 2014-2015 წლებში  მივიღე

მონაწილეობა ჩეხეთის აკადემიური ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კონფერენციებში ქალაქ პრაღასა და ბუდაპეშტში. კონფერენციაში მონაწილეობა მივიღე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერითა და პროფესორ ელენე მეძმარიაშვილის უშუალო ხელშეწყობით. კონფერენციის მოხსენება, რომელიც სამხედრო თემატიკის ფარგლებში წარვადგინე „ გრეის ჰუპერი- „შესანიშნავი გრეისი" და მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ამერიკელი ქალები (ქალის წვლილი კიბერ სამყაროში)" შესულია საკონფერენციო კრებულში, ატვირთულია https://books.google.com/-ზე და ინდექსირებულია https://scholar.google.com/-ში. 2015 წელს გავხდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ვლადიმერ პაპავას სტიპენდიის მფლობელი. სტიპენდია ითვალისწინებდა იმ დოქტორანტებს, რომელთა სამეცნიერო აქტივოვები (წიგნები, მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, საერთაშორისო კონფერენციები) აკმაყოფილებდა უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტს. შემდეგი კონფერენცია, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ჩემს საკვლევ თემატიკასთან არის საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია, სადაც წარვადგინე მოხსენება სახელწოდებით „აფროამერიკელ ქალთა სამხედრო წვლილი სპარსეთის ყურის ომებში". ასევე, 2018 წელს მონაწილეობა მივიღე თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. სტატია სახელწოდებით „ქალის როლი ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში"[112] დაიბეჭდა რეფერირებად საერთაშორისო კრებულში „ეკონომიკა და ფინანსები". ამასთან, 2018 წელს მონაწილეობა მივიღე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო მეორე სიმპოზიუმში", სადაც წარვადგინე მოხსენება სახელწოდებით „ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების ადგილი ამერიკულ საზოგადოებაში მე-19-20 საუკუნეებში". იმავე წელს მონაწილეობა მივიღე შავი ზღვის საერთაშორისო

[112] Parinos. N., "The role of women in the United States and Armed Forces of Georgia," *Proceedings Ecoomicc and Finance* 03 (2018):145-159.

უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის მე-11 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. მოხსენების თემა იყო „აფროამერიკელ ქალთა სამხედრო როლი პირველ მსოფლიო ომში.“

აღნიშნული მოხსენება დაიბეჭდა საერთაშორისო სამეცნიერო, რეფერირებად ჟურნალში „აფროამერიკელ ქალთა როლი ამერიკულ საზოგადოებაში (XIX-XX საუკუნეებში)“[113] , რომელიც, ამაცდროულად ინდექსირებულია https://scholar.google.com/-ში. ამავე ჟურნალში 2020 წლის ნომერში გამოქვეყნდა სტატია „აფროამერიკელი ქალები სპარსეთის ყურის ომებში“.[114]

# თავი I.

## აფროამერიკელი ქალების როლი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სფეროში მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე

### 1.1 აფროამერიკელ ქალთა სტატუსი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში

„ეთნიკურობა“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ethnikos“ და აღნიშნავს ეროვნულს, ნებისმიერ ჯგუფსა თუ ხალხთა გაერთიანებას ან „ჰეტეროგენულ მოსახლეობას, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან წეს-ჩვეულებებით,

---

[113] Parinos. N., “The Role of African American Women in American Society (XIX-XX Centuries)”, *Journal in Humanities* 07 (2018):33-38.

[114] Parinos. N., “African American Women in Persian Gulf Wars ”, *Journal in Humanities*8, (2020):38-46.

სხვადასხვა დამახასიათებელი ნიშნით, ენით, ისტორიით და ა.შ. „ეთნიკურობა“ შეიძლება განასხვავოს რელიგიის (ებრაელები), ეროვნების (ბასკები), რელიგიისა და ეროვნების (ისლანდიელი კათოლიკეები) და რასის (ფერადკანიანები) მიხედვით“. [115]

ეთნიკურ საკითხებს დიდი ადგილი უჭირავს შეერთებული შტატების ისტორიაში. აშშ მულტიკულტურული ქვეყანაა და ძალიან მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ ეთნიკურ უმცირესობათა ადგილი ამერიკულ საზოგადოებაში XIX-XX საუკუნის განმავლობაში.

სადისერტაციო ნაშრომიდან გამომდინარე, საჭიროდ მიმაჩნია ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების როლის, წვლილისა და ადგილის შესწავლა შეერთებული შტატების XIX-XX საუკუნეების ისტორიაში (რასობრივი, რელიგიური თუ ეროვნული უმცირესობა). იქამდე კი აუცილებელია იმის გარკვევა, თუ როგორიიყო აღნიშნული პერიოდის ამერიკაში საზოგადოების დამოკიდებულება მათდამი, ამ ადამიანების საქმიანობის სფეროს განურჩევლად.

წინამდებარეთავში ვისაუბრებ შეერთებულ შტატებშიეთნიკურუმცირესობათაწარმომადგენელიქალების, კერძოდ, აფროამერიკელი ქალების ცხოვრებასა და პრობლემებზე;ასევე, გავაანალიზებამონარიდებს შავკანიანიქალებისლიტერატურული (ავტობიოგრაფიული) ნაწარმოებებიდან, რათაუკეთგავიაზრომათიმდგომარეობა, პრობლემათა სპექტრი, რასაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში ეჯახებოდნენ. ამასთან, დავაკვირდებიმათდამი საზოგადოებისდამოკიდებულებას.

უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, თურა ადგილიეკავათეთნიკურუმცირესობებათაწარმომადგენელქალებსმე-19-20 საუკუნეებისამერიკისშეერთებული შტატების ცხოვრებაში.

ამ მიზნით, განვიხილავ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი რამდენიმე ქალის მაგალითს, რომლებსაც განსხვავებული სოციალური სტატუსი, განათლება და პროფესია ჰქონდათ და გარკვეული ღვაწლი მიუძღვით ქვეყნის წინაშე.

---

[115] EdithBlicksilver,*The ethnic American Women*, (Dubuque: Kendall/Hunt Publishing Company, 1978), 2-3.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკელი ქალები კოლონიური ხანის დიასახლისებიდან თანამედროვე პრობლემებითა და საკითხებით დაინტერესებულ ქალებად იქცნენ.[116] სამოქალაქო ომის პირველ კვირებში ათასობით შავკანიანმა მონამ ან „გაქცეულმა ზანგმა" ვაშინგტონს შეაფარა თავი. ფედერალურმა მთავრობამ ამას აფროამერიკელი მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების მტრულად განწყობილ ბანაკებში, („გაქცეული ზანგებისათვის")[117] საკვებისა და ტანსაცმლის საჭირო რაოდენობის გარეშე, ანტისანიტარულ გარემოში გამომწყვდევით უპასუხა.

თეთრკანიანთა საქველმოქმედო ორგანიზაციები იბრძოდნენ მონობიდან გათავისუფლებული აფროამერიკელების დასახმარებლად. პირველი ლედის მერი ტოდ ლინკოლნის მკერავმა ელიზაბედ კეკლიმ დააფუძნა საქველმოქმედო საზოგადოება, რომელსაც ვაშინგტონის აფროამერიკელი ქალები მართავდნენ.[118]

პირველი ქალი, რომლის ისტორიამაც დამაინტერესა, არის მკერავი ელისაბედ კეკლი (Elizabeth Keckley). კეკლი ცდილობდა გვერდში დადგომოდა საშუალო კლასის აფროამერიკელებს და მაქსიმალურად დახმარებოდა გათავისუფლებულ კაცებსა და ქალებს. მან, როგორც ყოფილმა მონამ, დიდი ძალისხმევა მოანდომა სამკერვალო ბიზნესის წამოწყებას. ელისაბედ კეკლის აწუხებდა ის ფაქტი, რომ თეთრკანიანი ფილანტროპები და საქველმოქმედო ორგანიზაციებში ჩართული პირები, არასერიოზულად აღიქვამდნენ გათავისუფლებულთა პოტენციალს, ეჭქვეშ აყენებდნენ აფროამერიკელთა ტალანტსა, ხოლო მათ ძალისხმევას თავის გამოჩენისა და გადარჩენის სურვილს მიაწერდნენ. მან საკუთარი გამოცდილებიდან იცოდა, რომ ყოფილი მონები შესანიშნავად მიხედავდნენ თავს, იპოვიდნენ სამსახურს და გაუძღვებოდნენ საკუთარ ცხოვრებას. თავისი ტაძრის მრევლის წევრ 40 აფროამერიკელ ქალთან ერთად, კეკლიმ დაასრსა „გაქცეულ მონათა ასოციაცია" (Contraband Relief Association -CRA)". CRA - პირველი აფროამერიკული საქველმოქმედო ასოციაციაა. 1863 წელს, CRA-მ გააფართოვა

---

116 Ella Forbes, *African American Women During the Civil War,*(New York&London: Garland Publishing,1998), 84.

117 "Contraband"- ტერმინი, რომლითაც აღინიშნებოდა სამოქალაქო ომის პერიოდში გაქცეული შავკანიანი მონა

118 Forbes, *African American Women During the Civil War,* 85.

სამუშაო არეალი და სახელიც გადაირქვა - თავისუფალ მანდილოსანთა და ჯარისკაცთა საქველმოქმედო ასოციაცია (Ladies Freedman and Soldiers' Relief Association). როგორც ცნობილია, 1863 წელს ათასობით გაქცეულ მონას (contraband men), რომელიც შავკანიანთა არმიის პოლკში ირიცხებოდა, CRA ყველაფრით ამარაგებდა, რადგან მთელი ომის განმავლობაში თეთრკანიანი ქალბატონები მხოლოდ თეთრკანიან ჯარისკაცებს უწვდიდნენ დახმარების ხელს.[119]

XIX საუკუნის ცნობილი ამერიკელი მასწავლებელი ფენი ჯექსონ კოპინი (Fanny Jackson Coppin) იყო ერთ-ერთი პირველი აფროამერიკელი ქალი, რომელმაც სრულფასოვანი საუნივერსიტეტო განათლება მიიღო.[120] მან ეს იმ დროს მოახერხა, როდესაც აფროამერიკელთა დიდი უმრავლესობა აბსოლუტურად გაუნათლებელი იყო, ხოლო ჩრდილოეთის თავისუფალი შავკანიანიანები დაწყებითი განათლების მისაღებად იბრძოდნენ, ყოფილი მონა - ჯექსონი, ობერლინის უნივერსიტეტში (ოჰაიოს შტატში) საკმაოდ რთულ დისციპლინებში საუკეთესო შედეგებს აჩვენებდა. ობერლინის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჯექსონ-კოპინი შეერთებულ შტატებში პირველი აფროამერიკელი ქალი გახდა, ვინც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის თანამდებობა დაიკავა[121]. მან სახელი სწავლების ინოვაციური მეთოდებით მოიხვეჭა. ასევე, იგი მომავალი მასწავლებლების გადამზადებით იყო დაკავებული. ჯექსონ კოპინმა აფროამერიკელ ქალთა და მამაკაცთათვის ფილადელფიაში პროფესიული და ტექნიკური სასწავლებლები დააარსა.[122]

საინტერესოა თავად ის ფაქტი, რომ ეთნიკური უმცირესობების ზოგიერთი წარმომადგენელი ვერავითარ დისკრიმინაციას ვერ ხედავდა განათლების მიღებისა და კარიერული წინსვლის დროს. რასიზმის შემთხვევების დაფიქსირების მიუხედავად, ჯექსონკოპინი ამბობდა, რომ ობერლინში მისი გზა არასდროს ყოფილა ჩახერგილი

---

[119] Forbes, Ella, *African American Women during the Civil War*, 85.

[120] Kentake Meserette, "Fanny Jackson Coppin: The Matriarch of Coppin State University", last modified September 19, 2020, http://kentakepage.com/fanny-jackson-coppin-the-matriarch-of-coppin-state-university/

[121] Linda Marie Perkins, "Fanny Jackson Coppin and the Institute for Colored Youth" The Journal of Negro Education (1982): 100-102, accessed March 15, 2018 https://doi.org/10.2307/2294688

[122] Harper, Judith, *Women During the Civil War* ((New York-London: Routledge, 2007), 90.

რასობრივი დისკრიმინაციის გამო და ამ მხრივ არ დაზარალებულა. მოგვიანებით იგი ამტკიცებდა, რომ „მათ, ვინც ობერლინში სხვას ზიანს აყენებდა, კიცხავდნენ, მათთვის ლოცულობდნენ, გალობდნენ და მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ“[123] თუმცა, მემუარებში ფენი დისკრიმინაციასთან შეხების პირველ შემთხვევასაც აღწერდა: „მე იმდენი ხანი ვიყავი ობერლინში, რომ დამავიწყდა, რა ფერის ვიყავი, თუმცა ამ ფაქტს უცებ მწარედ შემახსენებდნენ ხოლმე. კოკისპირული წვიმისას ფილადელფიის ტრამვაის კონდუქტორმა უარი განაცხადა ჩემს ასვლაზე ტრამვაიში, რადგან მას არ ჰქონდა ფერდკანიანებისთვის განკუთვნილი ადგილი. ასე რომ, მომიწია თავსხმა წვიმაში დგომა, სანამ მეორე ტრამვაი მოვიდოდა, რომელშიც ფერადკანიანებს ასვლა არ ეკრძალებოდათ.“[124]როგორც ჩანს, საზოგადოებაში დისკრიმინაცია ნამდვილად იგრძნობოდა, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამგვარი ფაქტები ნაკლებად შეინიშნებოდა.

ფენი ჯექსონ კოპინი ჯერ ინსტიტუტში გამორჩეულ მასწავლებლად აღიარეს, ხოლო 1869 წელს, როგორც, ზემოთ აღვნიშნე, მთელი დაწესებულების მმართველადაც. მე-19 საუკუნის განმავლობაში, რეგიონის მნიშვნელობის გასაზრდელად, ფენი პროფესიულ-ტექნიკური განათლების წამოწევის საქმეში ჩაება. იგი დადიოდა აფროამერიკულ მეთოდისტურ საეპისკოპოსო ეკლესიაში და 1881 წელს ცოლად გაჰყვა საეკლესიო პირს. ჯექსონ კოპინი რამდენიმე ვადით აირჩიეს მისიონერთა საზოგადოების პრეზიდენტად.

მართებული იქნება განვიხილოთ, თუ როგორი მდგომარეობა იყო ხელოვანთა შორის დისკრიმინაციის თვალსაზრისით. როდესაც ეთნიკურ უმცირესობათა დისკრიმინაციას ვეხებით, რომელიც რელიგიური, რასობრივი და ეროვნული ნიშნით დევნას მოიაზრებს, გვავიწყდება გენდერული დისკრიმინაცია. ამ კუთხით ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების მდგომარება სავალალო იყო, რადგან ზემოთ ხსენებულ

[123] Perkins, "Heed life's demands". Journal of Negro Education, 39.
[124] "Oberlin Heritage Center" last modified September 14 2017, https://www.oberlinheritagecenter.org/blog/2015/12/frances-jackson-coppin-from-slavery-to-trailblazer

პრობლემებთან ერთად, მათ პროფესიული წინსვლისას კაცების მოგერიება უხდებოდათ, რომლებიც, თავის მხრივ, ამ ქალებს ორივე ნიშნით დევნიდნენ.[125]

ედმონია ლუისი(Edmonia Lewis) პირველი აფროამერიკელი მოქანდაკე იყო ქალებსა და მამაკაცებს შორის, რომელმაც წარმატებას საერთაშორისო დონეზე მიაღწია. სამოქალაქო ომის განმავლობაში, როდესაც იგი თავისი კარიერით იყო დაკავებული, თეთრკანიანი ქალები შეერთებულ შტატებში გარკვეულ შეხედულებებსა და წინაღობებს ებრძოდნენ ქალთა პროფესიონალ ხელოვანებად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. აფროამერიკელი ქალი მოქანდაკისთვის წარმატების მიღწევა ექსტრაორდინალურ მიღწევად მიიჩნეოდა იმ ეპოქაში, როდესაც ყველა ხელოვანი მამაკაცი იყო, რომლებსაც თვიდან თვემდე თავი ძლივს გაჰქონდა.[126] ლუისის ადრეული ნამუშევრები გამოჩენილ აბოლიციონისტ მამაკაცებს ეამაყებოდათ კიდეც. რომში დასახლების შემდეგ მისი ქანდაკებები აფროამერიკელთა გათავისუფლებით გამოწვეულ სიხარულს გამოხატავდა. იგი, ასევე, ძერწავდა ისტორიულ ფიგურებს ბიბლიის, მითოლოგიისა და ძირძველ ამერიკელთა კულტურის თემატიკაზე. 1862 წლის მიწურულს, ლუისი გაეხვა სკანდალში, რომელმაც მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოება, ქალაქი ობერლინი და მოსაზღვრე რეგიონები აღაშფოთა.[127] იგი ორი მოსწავლე გოგონას ალკოჰოლით მოწამვლაში დაადანაშაულეს. თუმცა, ინციდენტი 3 კვირის განმავლობაში ადგილობრივი მასმედიით არ გაშუქებულა, ეს ამბავი მთელ ობერლინში გავრცელდა, რამაც გაამძაფრა მტრული დამოკიდებულება შავკანიანების მიმართ. მოგვიანებით ლუისი სოფლის მცხოვრებლებმა გაიტაცეს. მათ ედმონიას, მათთან ერთად, მეზობელ სოფელში წასვლა აიძულეს, სადაც სცემეს და თებერვლის სუსხიან ზამთარში გარეთ

---

[125]“Oberlin Heritage Center”.

[126]Chernick„„The Unlikely Success of Edmonia Lewis, a Black Sculptor in 19th-Century America“ last modified November 11, 2020, https://www.artsy.net/article/artsy-editorial-success-edmonia-lewis-black-sculptor-19th-century-america

[127] “Artsynet” last modified February 01, 2018, https://www.artsy.net/article/artsy-editorial-success-edmonia-lewis-black-sculptor-19th-century-america

დატოვეს. ორდღიანი წინასწარი მოსმენების შედეგად, საქმე დაიხურა საკმარისი მტკიცებულების არარსებობის გამო[128].

აფროამერიკელთათვის საკმაოდ რთული იყო თავის დამკვიდრება, რადგან მათ შესაძლებლობებსა და კეთილ განზრახვებში გამუდმებით ეჭვი ეპარებოდათ. ეთნიკურ უმცირესობებს ისე ეპყრობოდნენ, როგორც მეორეხარისხოვან ადამიანებს და მუდმივად უთითებდნენ კანის ფერსა და წარმომავლობაზე. განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში იყვნენ აფროამერიკელები, განურჩევლად იმისა, კვლავ მონის სტატუსით სარგებლობდნენთუ არა. საზოგადოების დიდი ნაწილი ნებისმიერი ტიპის დანაშაულში მათ კვალს ხედავდა. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია ბევრი მათგანისთვის, საკუთარი ნიჭი და ქვეყნის წინაშე თავდადება წარმოეჩინა.

მისი თანამედროვე მოქანდაკეების მსგავსად, ლუისსაც იტალიაში სწავლა სურდა. 1865 წლის ზაფხულისთვის მან მოაგროვა თანხა, რათა დაეფინანსებინა საკუთარი წამოწყება. 1867-1868 წლებში მან ორფიგურიანი ქანდაკება შექმნა, სახელად „სამუდამოდ თავისუფალი“ (*Forever Free)*, რომელიც 1863 წელს მონობიდან გათავისუფლებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო, იგი ერთგვარი მებაირაღის როლს ასრულებდა. 1876 წელს, ლუისმა გააოცა ამერიკელი ხალხი თავისი ახალი ქმნილებით, სახელად „კლეოპატრას სიკვდილი“.[129]

ლუისი მეტად ნიჭიერი აფროამერიკელი ქალბატონი იყო, თუმცა ჯექსონ კოპინისგან განსხვავებით, მას პროფესიულ ასპარეზზეც ექმნებოდა პრობლემები. იგი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა იმდროინდელ შეერთებულ შტატებში მოღვაწე მოქანდაკე მამაკაცებისთვის, რომლებიც მასში კონკურენტს ხედავდნენ.

შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომმა განათლებაში ქალებისა და მამაკაცებისთვის ცვლილებებისა და ინოვაციების ჯაჭვი შექმნა. 1830-დან 1860 წლის ჩათვლით დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემაში ბევრი ცვლილება განხორციელდა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ქალთა განათლების

[128] “Artsynet”.

[129] Judith, E. Harper, *Women during the Civil War*, 270.

გაუმჯობესებაზე.  პროგრესისა და ნათელი მაგალითების მიუხედავად, რომლებიც ცხადყოფდა, რომ გოგონებსა და ქალბატონებს შესწევდათ უნარი დაუფლებოდნენ აკადემიურ დისციპლინებს, რომლებიც მხოლოდ მამაკაცებისთვის იყო განკუთვნილი, მიიჩნეოდა, რომ ქალები, კაცებთან შედარებით, მაინც ინტელექტის უფრო დაბალ საფეხურზე იყვნენ. 1870 წლისთვის „ახალ ქალთა“[130] უნივერსიტეტებმა და ქალთა აქტიურობამ შერეული[131] ტიპის უნივერსიტეტებში ხელი შეუწყო საზოგადებრივი აზრის შეცვლას ამ საკითხთან დაკავშირებით.

ის ახალგაზრდა ქალბატონები, რომელთა განათლების მიღების სურვილი წარსულში იგნორირებული იყო, ჩართეს ჩრდილოეთის საგანმანათლებლო გეგმაში. მე-19 საუკუნის შუა ხანებში უკვე აღარ კამათობდნენ იმ თემაზე, რომ ნებისმიერ ქალს განათლება მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ კარგ დედად ჩამოყალიბდეს, რომელიც შემდეგ თაობებს აღზრდის.[132]

შესაბამისად, დასავლეთსა და ჩრდილოეთში  სკოლების გახსნამ განაპირობა ქალთა წიგნიერების დონის ამაღლება. იმ თავისუფალ აფროამერიკელთა შორის, რომლებიც არ დაიშვებოდნენ საჯარო სასწავლებლებში, 1860 წლისთვის მხოლოდ 50%-მა იცოდა წერა-კითხვა.  შტატების უმეტეს ნაწილში აკრძალული იყო ყოფილი მონების მიღება საგანმანათლებლო დაწესებულებებში, თუმცა გარკვეულმა რაოდენობამ შეძლო განათლებისმიღება. ისტორიკოსები დაახლოებით ციფრს ასახელებენ, რომლის თანახმადაც, წერაკითხვის მცოდნე მონების რაოდენობა 5-დან 10 პროცენტამდე მერყეობდა[133]

სამოქალაქო ომის დაწყებამდე ბევრ ამერიკელს სჯეროდა, რომ ქალები „დაბადებიდან მასწავლებლები“იყვნენ და გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ მამაკაცებთან  შედარებით ახალგაზრდების სწავლების საკითხში. ომამდე, ქალ-

---

[130]„ახალ ქალთა“ უნივერსიტეტი (New Women’s College)- ტერმინი, რომელიც ასახავს მე-19 საუკუნის ამერიკაში ქალთა ახალ როლსა თუ ადგილს საზოგადოებაში.

[131] Coeducational Institution - სასწავლო დაწესებულება, სადაც ორივე სქესის წარმომადგენელი იღებს განათლებას, რომელსაც სხვაგვარად შერეული ტიპის სასწავლებელს უწოდებენ.

[132] Judith, Harper E.,144-145.

[133]Cathrine Hobbs, *Nineteen Century Women Learn to Write* (Charlotsville: University Press of Virginia, 1995), 11.

მასწავლებლებს შეეძლოთ ესწავლებინათ მხოლოდ დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის. მაგრამ, როდესაც სამოქალაქო ომის დროს კაცმა მასწავლებლებმა დატოვეს საკლასო ოთახები, ქალებმა დაიწყეს მაღალ კლასებში გაკვეთილების ჩატარება და თავი საუკეთესოდ წარმოაჩინეს.[134]

1830-დან 1870 წლამდე საშუალო და უმაღლეს განათლებას გოგონები და ქალბატონები იღებდნენ კერძო სკოლებში, რომლებსაც „ქალთა სემინარიას"[135] უწოდებდნენ. 1850 წლისათვის „ქალთა სემინარიის" ჩრდილოეთელმა კრიტიკოსებმა განაცხადეს, რომ მათი სტუდენტები ვერ იღებდნენ სიღრმისეულ განათლებას, როგორსაც მამაკაცები, თუმცა იდენტურ საგნებს გადიოდნენ.[136]

ოჯახი ყველაზე დიდ ღირებულებას წარმოადგენდა მე-19 საუკუნის ნებისმიერი რასისა თუ სოციალური კლასის ამერიკელთათვის. ჩრდილოეთისა და სამხრეთის თეთრკანიანთა და აფროამერიკელთა ოჯახებისათვის ბავშვები ოჯახის ეპიცენტრად ითვლებოდა. მე-19 საუკუნის საშუალო კლასის თეთრკანიანი ამერიკელები სახლს აღიქვამდნენ, როგორც დევნილთა თავშესაფარს, ადგილს, სადაც ჰარმონია სუფევს. ეს იყო ყველა საზოგადოებრივი პრობლემისაგან დაშორებული ადგილი. ბევრი რამ ქალზე იყო დამოკიდებული, იმაზე, თუ როგორ წარმართავდა იგი ოჯახურ ცხოვრებას, რადგან სახლი უნდა ყოფილიყო სწორედ ის ადგილი, სადაც სიმშვიდე დაისადგურებდა. [137]

განვიხლოთ მეორე მასწავლებელი ქალის - შარლოტ ფორტენის (Charlotte Forten) შემთხვევა. იგი ერთ-ერთი პირველი აფროამერიკელი მასწავლებელი ქალი იყო, რომელიც სამხრეთში შეუერთდა ორგანიზაციას სახელად- "გათავისუფლებულ მონათა მასწავლებლები" (*Teachers of the Freedpeople*). იგი წმ. ელენეს კუნძულზე ერთადერთი შავკანიანი მასწავლებელი იყო. ფორტენი ფილადელფიაში ყველაზე პრესტიჟულ აბოლიციონისტთა ოჯახის წევრი იყო. სალემის მასწავლებელთა მოსამზადებელი

---

[134]Hobbs, *Nineteen Century Women Learn to Write,* 18.

[135] Female seminary- მე-19- 20 საუკუნის დასაწყისი ქალთა კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, უმეტესად შეერთებულ შტატებში.

[136] Jacqueline Jones, "Women Who Were More than Men: Sex and Status in Freedmen's Teaching" *History of Education Quatery* (52), accessed February 24, 2018, https://doi.org/10.2307/367809

[137]Lisa A. Ling, "Charlotte Forten's Civil War Journals and the Quest for Genius, Beauty, and Deathless Fame" *Discourses of Women and Class* (1999): 43-45, accessed December 03, 2018, https://www.jstor.org/stable/25679287.

კოლეჯის (normal school) დასრულების შემდეგ, 1865 წელს, ფორტენი პირველი ფერადკანიანი მასწავლებელი გახდა, რომელმაც სალემის საჯარო სკოლებში სწავლება დაიწყო. 1850-იანი წლების განმავლობაში იგი გამუდმებით ცდილობდა კარიერა ამ კუთხით წარემართა, მაგრამ მისი მცდელობა ყოველთვის წარმატებით ვერ სრულდებოდა, რადგან ძალიან ხშირად ავადმყოფობდა. 1862 წლის 17 აგვისტოს, როგორც თავის ჟურნალში იუწყება, იგი იმედოვნებდა, რომ კუნძულზე მოხვედრით იპოვიდა საკუთარ დანიშნულებას.[138]

აფროამერიკელმა აბოლიციონისტმა, ადამიანის უფლებათა აქტივისტმა და მილიონერმა მეწარმემ მერი ელენ ფლიზენთმა (Mary Ellen Pleasant) თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი სან-ფრანცისკოში გაატარა. ოქროს ციებ-ცხელების პერიოდში (1850-1890 წლები) უძრავ ქონებასა და წიაღისეულში ინვესტირების გზით დიდი ქონება დააგროვა. როგორც კი ფლიზენთი სან-ფრანცისკოში ჩავიდა, 1850-იან წლებში, მან დაუყოვნებლივ ბიზნესი წამოიწყო, აამუშავა რამდენიმე კომერციული სამრეცხაო, ამავდროულად, თავად ეკონომქალად მუშაობდა, მოგვიანებით კი მზარეულად. 1850-იანი წლების დასრულებამდე ფლიზენთები ლიდერები იყვნენ სან-ფრანცისკოს აფროამერიკულ საზოგადოებაში. ფლიზენთი ცნობილი იყო ფილანტროპიით. მან გამოყო თანხები, რათა გახსნილიყო 800 წიგნის შემცველობის ბიბლიოთეკა სან-ფრანცისკოს ათენემის ინსტიტუტში, რომელიც მხოლოდ აფროამერიკელ მამაკაცთა წევრობას ითვალისწინებდა. [139]

როგორც ჰარიეტ ტაბმენი და სოჯორნორ თრუსი, ფლიზენთიც აპროტესტებდა სეგრეგაციასა და დისკრიმინაციას საზოგადოებრივ ტრანსპორტში. იმის მიუხედავად, რომ მოსამართლემ 1864 წელს ტრამვაიში არსებული სეგრეგაცია უკანონოდ სცნო,

[138]Ling, “Charlotte Forten's Civil War Journals and the Quest for Genius”, 44.

[139]Natasha Ishak“How Mary Ellen Pleasant Became a Self-Made Millionaire — Before Her White Partner’s Wife Took Her Fortune”, accessed March 02, 2018, https://allthatsinteresting.com/mary-ellen-pleasant

კანონი ძალაში არ შესულა. ტრამვაის მძღოლები არ აძლევდნენ ფერადკანიანებს ამ სატრანსპორტო საშუალებითა სარგებლობის უფლებას[140].

1866 წელს ფლიზენთმა, ორი ტრანზიტული კომპანიის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ერთს ადანაშაულებდა ტრამვაიდან ჩამოსმაში, ხოლო მეორეს ბრალს სდებდა იმაში, რომ მძღოლმა უარი განაცხადა მის ტრამვაიში ასვლაზე. 1867 წელს ნაფიცმა მსაჯულებმა მას, კომპენსაციის სახით, 500 დოლარი გადასცეს, მაგრამ 1868 წელს კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება უკანონოდ სცნო. იმის მიუხედავად, რომ ფლიზენთმა დაკარგა მიღებული თანხა, ეს შემთხვევა იმის პრეცენდენტად იქცა, რომ აფროამერიკელებსაც შეეძლოთ, სურვილისამებრ, ტრანსპორტით მგზავრობის უფლებისთვის ბრძოლა. 1870-იან წლებში ფლიზენთმა, როგორც მეწარმემ, წარმატების პიკს მიაღწია. მისი ქონება ერთ მილიონს შეადგენდა, თუმცა სავარაუდოდ ამ ციფრს ბევრად გადააჭარბა.[141]

შეერთებული შტატებიდან ათასობით მილის დაშორებით აფროამერიკელი აბოლიციონისტი სარა პარკერ რემონდი(Sarah Parker Remond)სამოქალაქო ომის პერიოდში მონობის ძირფესვიანად ამოძირკვას ცდილობდა, რადგან ეს კონფედერაციის გაუქმების მთავარი წინაპირობა იქნებოდა.[142] აბოლიციონისტური გამოსვლებით მან მოინახულა ინგლისი, შოტლანდია და ირლანდია. იგი ცდილობდა ბრიტანელი ხალხის აყოლიებას შეერთებულ შტატებში მონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. რემონდი და მისი თანამოაზრე ჩრდილოელი აბოლიციონისტები ცდილობდნენ საშუალო ფენისა და მუშათა წარმომადგენელი ქალები და კაცები დაერწმუნებინათ, მხარი დაეჭირათ კავშირისათვის და გაელაშქრათ მონობის წინააღმდეგ შეერთებულ შტატებში. პარკერისა და მისი მეგობარი ამერიკელი და ბრიტანელი აბოლიციონისტების ორატორულმა ნიჭმა,

---

[140]"Mary Ellen Pleasant, Entrepreneur and Abolitionist", last modified March 02, 2018, https://americacomesalive.com/mary-ellen-pleasant-entrepreneur-and-abolitionist/.

[141]Dorothy Sterling, *Women with a Special Mission: We are Your Sisters: Black Women in the Nineteenth Century*. (New York & London: W. W. Norton & Company, 1984), 176.

[142]"A voice for freedom: The life of Sarah Parker Remond", last modified January 19, 2020, https://london.ac.uk/news-and-opinion/leading-women/a-voice-freedom-life-sarah-parker-remond.

გამოვლენილმა კავშირის მხარდასაჭერი გამოსვლებისას, საზოგადოებაზე ზეგავლენა მოახდინა[143].

სარა პარკერ რემონდიმასაჩუსეტსის შტატში დაიბადა, მდიდარ აფროამერიკულ ოჯახში, რომელიც აქტიურად იყო ჩართული აფროამერიკელთა მოძრაობაში. მისი სახლი შავკანიან და თეთრკანიან აბოლიციონისტთა მნიშვნელოვანი თავშეყრის ადგილი იყო. 1859 წლის იანვარში სარა ლივერპულში ჩავიდა და დაუყონებლივ დაიწყო ბრიტანელი ხალხის გათვითცნობიერება შეერთებულ შტატებში მონამფლობელობის ინსტიტუტთან დაკავშირებით. გამოჩენისთანავე მის მოსასმენად უამრავი ხალხი მიდიოდა. ყველას აინტერესებდა აფროამერიკელი ქალის ლექციები. შეერთებულ შტატებში რასობრივი დისკრიმინაციისგან დაღლილი რემონდი 1867 წელს ისევ ინგლისში დაბრუნდა, ხოლო მოგვიანებით დასახლდა ფლორენციაში, სადაც შექმნა ოჯახი, აგრძელებდა სწავლას მედიცინის კუთხით. იგი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში საზღვარგარეთ ცხოვრობდა.[144]

სამოქალაქო ომმა ხელი შეუწყო იმ ფაქტს, რომ ქალებმა და მამაკაცებმა დღიურების წერა დაიწყეს. დღიურები უმთავრეს ჩანაწერს წარმოადგენდა და ასახავდა მათ თითოეულ აქტივობას, რასაც ისინი მოგვიანებით ოჯახის წევრებსა და მეგობრებს უზიარებდნენ.[145] სამოქალაქო ომის დროს ქალებმა აღმოაჩინეს, რომ მათი დღიური წმინდა ბუღალტრულ აღრიცხვას ემსგავსებოდა. ის ამ კრიზისში ღუზის როლს ასრულებდა, დაუძლეველი ემოციების სამალავად იქცა და ერთგვარი მაღვიძარას როლს ითავსებდა, რათა ყველას ხსომებოდა, თუ რაოდენ დიდი იყო ზარალი და ტკივილი, რომლის ატანაც მოუწიათ. ყველა იმ დღიურიდან, რომელიც კი დაწერილა ფორტ როიალ ექსპერიმენტში[146], აღსანიშნავია ფორტენის დღიური, სადაც იგი გულღიად

---

[143]Lisa Tendrich Frank, *Women in the American Civil War*. (Santa Barbara: ABC CLIO, 2008), 478.

[144]Tendrich Frank, *Women in the American Civil War*, 479.

[145]Ray Allen Bilington, "*Journal of Charlotte Forten*: A young black woman's reactions to the white world of the Civil War era"*The Making of African American Identity*,(1981), 3-9,accessed February 28, 2018, http://nationalhumanitiescenter.org/pds/maai/identity/text3/charlottefortenjournal.pdf.

[146]ფორტ როიალ ექსპერიმენტი (Port Royal Experiment) - ამერიკის სამოქალაქო ომის დროს არსებული პროგრამა, რომლის თანახმად ყოფილი მონები წარმატებით ეწეოდნენ საქმიანობას პლანტატორების მიერ მიტოვებულ მიწებზე.

საუბრობს თავის კუნძულთან და მის მცხოვრებლებთან დაკავშირებულ ემოციებსა თუ აღქმაზე. იმ დროს, როდესაც სხვა ქალები დღიურის წერისას ფოკუსირებას გარესამყაროსა და მასთან ბრძოლის მეთოდებზე აკეთებდნენ, ფორტენს აქცენტი თავის შინაგან სამყაროზე, შიშებზე, მარტოობასა და  მონობიდან ახლადგათავისუფლებული ადამიანების მიმართ სიმპათიაზე ჰქონდა გადატანილი. ეს ყოველივე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ როგორი მგრძნობიარე და მზრუნველი იყო ფორტენი, რომელიც გამუდმებით ფიქრობდა იმაზე, რომ ყოფილი მონებისთვის რაიმე ტიპის განათლება მიეცა.[147]

მე-19 საუკუნის აფროამერიკელი პოეტებიდან და მწერლებიდან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო ფრენსის უოტკინს ჰარპერი (Frances Watkins Harper), რომელმაც 1854 წელს  კარიერა სოციალურ რეფორმებზე გააკეთა და აბოლიციონისტ ორატორად ჩამოყალიბდა. როდესაც, სამოქალაქო ომის დროს, მონობის საკითხი უფრო და უფრო მწვავდებოდა, ფრენსისი ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობდა, რათა პოლიტიკური მესიჯი ყველასთვის გაეგზავნა. იგი მიიჩნევდა, რომ ომის მისია არა მხოლოდ მონების გათავისუფლება იყო, არამედ გათავისუფლებული მონებისათვის ამერიკულ საზოგადოებაში ადგილის პოვნა.[148] 1850 წელს უოტკინსი მასწავლებელი იყო ოჰაიოს შტატში. 1853 წელს, პენსილვანიაში გადასვლის შემდეგ, იგი ჩაერთო აბოლიციონისტურ მოძრაობაში. 1854 წლიდან უოტკინსი მონობის საწინააღმდეგო გამოსვლებით გახდა ცნობილი. 1860 წლისათვის ექვსწლიანმა სალექციო გამოსვლებმა უოტკინსს ყოველგვარი ენერგია გამოაცალა, რადგან იგი გამუდმებით გზაში იყო და მუდამ ოჯახურ ცხოვრებაზე ოცნებობდა. 1860 წლის ნოემბერში იგი ფენტონ ჰარპერზე (გათავისუფლებული მონა), სამი შვილის მამაზე გათხოვდა. ისტორიას არ ახსოვს ქალი, რომელიც გამოსვლებით უოტკინსს შეედრებოდა. 1850 წლის მიწურულს, მის სამოქალაქო ომისდროინდელ გამოსვლებს ბევრი ჩრდილოეთისა და შუა დასავლეთის

---

[147]Kay Ann Taylor, "Mary S. Peake and Charlotte L. Forten: Black Teachers During the Civil War and Reconstruction" *The Journal of Negro Education* (2005): 132, accessed February 28, 2018. https://www.jstor.org/stable/40034538

[148]"Frances Ellen Watkins Harper", last modified August 14, 2020, https://awpc.cattcenter.iastate.edu/directory/frances-ellen-watkins-harper/

აბოლიციონისტი კითხულობდა. *Liberator-ი,National Anti-salvory Standard-ი,Anti-slavery Bugle-ი*და აფროამერიკული გაზეთები: *Christian Recorder-ი*და *Anglo-African Magazine-ი*. მის ლექციებს რეგულარულად ბეჭდავდნენ. ასევე, იგი ქალთა უფლებების დამცველი იყო. 1860-იანი წლების ბოლოს მან საკუთარი თავი მიუძღვნა წერასა და ქალ-სუფრაჟისტთა საქმეების შესწავლას, აფროამერიკელთა უფლებებსა და საერთაშორისო მშვიდობას. მან დიდი წვლილი შეიტანა „ფერადკანიან ქალთა ეროვნული ასოციაციის" (Association of Women of Colour) ჩამოყალიბების საქმეში. იგი გარკვეული პერიოდი ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე მუშაობდა.[149]

XIX-XX საუკუნეების ამერიკულ საზოგადოებაში ეთნიკურ უმცირესობათა ქალების ადგილის სრული და მკაფიო სურათის მისაღებად აუცილებელია ნაწარმოებებისა და ჩანახატების ანალიზი, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს აფროამერიკელ ქალთა ყოფასა და ამერიკული საზოგადოების მათდამი დამოკიდებულებას.[150]

ამ მხრივ ნიშანდობლივი და საინტერესო აღმოჩნდა პოეზია, სადაც ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემები კარგად არის განხილული. თითოეულ სტროფში გადმოცემულია უიმედობა, იმდეგაცრუება, გულისტკივილი, რაც თან ახლავს იმიგრანტულ ცხოვრებას. ლექსში ხაზგასმულია ფაქტი იმის ძიებისა, რაც არ არსებობს. ავტორი გვეუბნება, რომ სხვის მიწაზე სახლის პოვნა არც ისე იოლია და რაკი ეს ერთხელ გამოვიდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელმეორედაც გამოვა. ფრინველიგაიგივებულია იმიგრანტთან, ჩამოსულთან და სხვის მიწაზე მცხოვრებ ადამიანთან, რომელიც, მთელი ძალით ცდილობს, თავი დაიმკვიდროს, მაგრამ ეს ზოგჯერ გამოსდის და ზოგჯერ კი - არა. ლექსი მეტად ირონიული და პესიმისტურია იმ ადამიანისთვის, რომელმაც დიდი ნაბიჯი გადადგა - სხვის მიწაზე ცხოვრება „გაბედა". ამ კუთხით გამოირჩევა აფროამერიკელი პოეტის გვენდოლინ ბრუქსი (Gwendolyn Brooks) რომელიც მეტად მხატვრულად გადმოსცემს სათქმელს:

---

[149]Ellen CarolDuBois,*Through Women's Eyes: An American History with Documents*, (Boston: Bedford/St.Martin's 2012), 282.

[150]Dean J. Franco, *Ethnic American Literature: Comparing Chicano, Jewish, and African American Writing,* (Charlotsville&London: Unniversity of Virginia Press, 2006), 73-14

“This juice from tomatoes is not called
merely juice. It is always called tomato juice. If you go
in to a restaurant desiring tomato juice you do not
order the waiter to bring you “juice”; you request,
distinctly, TOMATO juice. The juice from cranberries
is called cranberry juice. The juice form oranges is called orange juice. The [writing] from
Black [writers] is called Black [writing].”
„ამ პომიდვრის წვენს სუფთა წვენს ვერ დავარქმევთ,
მას ყოველთვის პომიდვრის წვენი ერქმევა.
თუკი რესტორანში შეხვალ და პომიდვრის წვენი მოგესურვება,
შენ ოფიციანტს არ ეტყვი „წვენი“ მომიტანეო,
არამედ მკაფიოდ ეტყვი, რომ პ ო მ ი დ ვ რ ის წვენი გინდა.
შტოშის წვენს შტოშის წვენი ჰქვია, ფორთოხლის წვენს - ფორთოხლის წვენი.
შავკანიანთა ლიტერატურას - შავკანიანი მწერლების ლიტერატურა“.[151]

ავტორი სევდანარევი სიმართლით გვიამობობს იმ ისტორიულ ფაქტებს, რომელთაც გვერდს ვერ ავუვლით, საუბრობს რეალობაზე, რომელსაც ვერ შევცვლით. მას კარგად აქვს გააზრებული თითოეული ეთნიკური ჯგუფის ადგილი და როლი ამერიკულ საზოგადოებაში. გვენდოლინი, პირობითად, ამერიკულ საზოგადოებას სხვადასხვა ხილისა თუ ბოსტნეულის წვენად ყოფს, სადაც მკაფიოდ უსვამს ხაზს, თუ რომელი წვენი რომელი ხილისაგანაა მიღებული. იგი არ აიგივებს პომიდვრის წვენს ფორთოხლის წვენთან ან ნებისმიერ სხვასთან, თუმცა ამას ყოველგვარი წყენისა და შავი აზრების გარეშე აკეთებს, არა იმიტომ, რომ პომიდორი კარგი ან ცუდია, არამედ იმიტომ, რომ პომიდორი ვერ შეცვლის ფორთოხალს, პომიდორი ვერ იქცევა ფორთოხლად, რამდენიც უნდა ვეცადოთ, ამას ვერ მოვახერხებთ, სწორედ ისევე, როგორც ფორთოხალი ვერ იქცევა პომიდვრად. ამ ფაქტით არც პირველი კნინდება და არც უკანასკნელი.

[151]Blicksilver, *The ethnic American Women*, 281

სწორედ ამის ჩვენება სურს გვენდოლინ ბრუქსს, რომელიც მარტივად გვიხსნის არა მხოლოდ იმ დროისა და პეროდის, არამედ ყველა დროის პრობლემას.

ბრუქსი გვაჩვევს იმ აზრს, რომ საზოგადოება, განსაკუთრებით კი ამერიკული საზოგადოება, მულტიეთნიკური ფენომენია, ხეხილის ბაღივითაა, რომელიც უამრავი სახეობის ხილს აერთიანებს, თუმცა ჩვენ ვიცით თითოეული მათგანის სახელი. სწორედ ასე აღიქვამს გვენდოლინ ბრუქსი იმ საზაოგადოებას, სადაც ცხოვრობენ ინდიელი ამერიკელები, მექსიკელი ამერიკელები, აფროამერიკელები და სხვანი და სხვანი. იგი ამბობს, რომ, როდესაც ჩვენ ვამბობთ „ამერიკელი“ უნდა დავაკონკრეტოთ, თუ რომელი ამერიკელი, ხოლო ამაში ცუდს გვენდოლინი ვერაფერს ხედავს. აფროამერიკელი ვერ იქნება ინდიელი ამერიკელი, ხოლო ეს უკანასკნელი ვერ იქნება მექსიკელი ამერიკელი. ავტორი თითოეულ ეთნიკურ უმცირესოში თავის ხიბლსა და ტალანტს ხედავს. იგი მიიჩნევს, რომ სწორედ გამორჩეულობა ხდის მათ საინტერესოს. განსაკუთრებულ აქცენტს ბრუქსი აფეროამერიკელებზე აკეთებს (თავისი წარმომავლობიდან გამომდინარე), სადაც წინა პლანზე შავკანიანი მწერალი ქალები გამოჰყავს, რომლებიც, მისი აზრით, მუდამ გამოირჩეოდნენ საზოგადოების სხვა ნაწილისაგან. ამასთან, ლექსში განხილულია მეტად საინტერესო საკითხი, რომელიც ნათლად ასახავს გვენდოლინის ეთნიკური საკითხებისადმი დამოკიდებულებასა და ხედვას. ბრუქსი იღებს არა უშუალოდ ხილს: ვაშლი, მსხალი, ნესვი ან ბოსტნეულს: პომიდორი, კომბოსტო, სტაფილო, არამედ იგი იღებს კენკრას (მტოში), ხილს (ფორთოხალი) და ბოსტნეულს (პომიდორი), რომლებიც ერთმენეთისაგან დარგვის, მოვლისა და დანიშნულების მიხედვით რადიკალურად გასხვავდება. სწორედ ამგვარად ხედავს გვენდოლინი ამერიკულ საზოგადოებას და მასში არსებულ ეთნიკურ უმცირესობას. ამავდროულად, ბრუქსმა აარჩია ისეთი რამ, რაც სამივესაგან (მტოში, ფორთოხალი, პომიდორი) შეგიძლია მიიღო - წვენი, ის, რაც მათ ყველას აერთიანებს, თითოეულისაგან წამოსული სარგებელი, თუმცა ფაქტს ვერაფერი ცვლის, არსებობს მტოშის, პომიდვრისა და ფორთოხლის წვენი, რადიკალურად განსხვავებული გემოთი.

ბრუქსის აზრით, სწორედ ასეთია აფროამერიკული ლიტერატურა, რომელიც ყველასგან განსხვავდება და, რომელიც ავტორისათვის პომიდორთან ასოცირდება. ამ შემთხვევაშიც ფილოსოფიურ ხედვასთან გვაქვს საქმე, რომელიც პომიდვრის წვენს ქვეცნობიერად და გაუაზრებლად ან სულაც გააზრებულად სისხლის ფერთან აკავშირებს. ბრუქსი შეგნებულად ირჩევს პომიდორს აფრომერიკული ლიტერატურისა და ყოფის გამოსახატად, რადგან თუკი ფორთოხალი და შტოში შეგვიძლია ხილის კატეგორიაში გავიყვანოთ და ხეხილის ბაღში მოვიძიოთ, პომიდორს ბოსტანში მივაკითხავთ. ამით პოეტი ღრმა ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ იდეებს ავითარებს და სწორედ ამგვარი ირიბი და, ამავდროულად, პირდაპირი გზით ესაუბრება საზოგადოებას, იმ საზოგადოებას, რომელსაც თავს მიაკუთვნებს, შტოშისა და ფორთოხლის საზოგადობას ის ხმამაღლა უცხადებს, რომ იგი პომიდორია.  ეს მისი მხრიდან ხაზგასმაამისი უფლებებისა და, ამავდროულად, ერთგვარი კომპლექსებისა და  შიშის დათრგუნვისდემოსნტრირებაა.

ედიტ ბლიკსილვერი (Edit Blicksilver), რომელიც თავად არის წიგნის „ეთნიკურიამერიკელი ქალები“ ავტორი, კარგად გამოხატავს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანთა შეხედულებებსა და ხვედრს. წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა ლიტერატურული ნამუშევრები, რომლებიც შესანიშნავად ასახავს ამ ქალებისა და საზოგადოების ურთიერთკავშირს. მათი საზოგადოების მხრიდან მიღებისა და არმიღების საკითხებს.[152]

თავად ბლიკსილვერი ამბობს: „იმედი მაქვს, ახლა ეთნიკურ უმცირესობათა ბავშვებს, გოგოებსაც და ბიჭებსაც, შეუძლიათ საკუთარ ტკივილსა ან სიხარულზე საუბარი, რადგანაც ისინი უნიკალური „მეს“-ს ძიებაში არიან, რადგანაც ისინი საკლასო ოთახისა და გარკვეული წრის მიღმა, სამყაროს აღმოჩენას აპირებენ. ჩვენ უნდა მივცეთ საშუალება, განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს, ვისაც კულტურული ცხოვრების სტილთან მხოლოდ ცუდი მოგონებები აკავშირებს,

[152]Blicksilver, *The ethnic American Women*, 350.

თავისუფლად გამოხატონ საკუთარი თავი, გამოხატონ სათქმელი. [153][154]ამაყმა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელმა ამერიკელმა ბავშვებმა არ უნდა იგრძნონ, რომ მათი კულტურული წარსული დაპატიმრებულია ანგლისურ-ამერიკულ ისტორიაში ან რომ მათი ერთადერთი მომავალი უხილავ მოცურავეს ჰგავს დიდ ამერიკულ ნაკადში“[155].

ამგვარად, ზემოთ განვიხილე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის უმცირებათა წარმომადეგენელი ქალების ცხოვრება და მოღვაწეობა. შესწავლილი მაგალითების მიხედვით, ხსენებული პიროვნებები სხვადასხვა სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან. განსხვავებული პროფესიის, წრისა და ინტერესების მქონე ინდივიდების ცხოვრების შესწავლამ საზოგადოებაში მათი ადგილისა და ღვაწლის მკაფიოდ განსაზღვრის საშუალება მომცა:

მკერავ ელისაბედ კეკლის ფასდაუდებელი საქმიანობა საქველმოქმედო ასოციაციის CRA-ის დაარსებით დაიწყო, ხოლო შემდეგ ომში მებრძოლი აფროამერიკელი მამაკაცების ყველა საჭირო აღჭურვილობით მომარაგებით გაგრძელდა. კეკლის მოტივაცია, რომ ყოფილიყო თავისუფალი და დაემკვიდრებინა თავისი ადგილი საზოგადოებაში, ნათლად ჩანს მისი ცხოვრების ყველა ეპიზოდში. მან შეძლო მონობიდან თეთრი სახლის დიზაინერობამდე გზის გაკვალვა და თვით პირველი ლედისთვის არაერთი კაბა შექმნა. კეკლის უმაღლესი განათლება არასდროს მიუღია.

თუმცა, ისტორიას შემორჩა ჯექსონ კოპინისა და ფილადელფიაში ერთ-ერთი განთქმული ოჯახის წარმომადგენლის, შარლოტ ფორტენის, მაგალითები. ორივე, პროფესიით მასწავლებელი, აფროამერიკელი ქალბატონი განათლების სისტემაში ვერავითარ დისკრიმინაციას ვერ ხედავდა, თუმცა უნივერსიტეტს გარეთ სხვადასხვა სირთულის გადალახვა უხდებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ განათლებას ადამიანი განვითარების განსხვავებულ საფეხურზე აჰყავს,მეტად ლოგიკურია, რომ განათლებულ

---

[153]S. I .Muththamizh Selvi, „Racism in the Poems of Gwendolyn Brooks“,*Indian Journal of Appilied Research*, (2016): 119, accessed February 28, 2018, https://www.worldwidejournals.com/indian-journal-of-applied-research-(IJAR)/recent_issues_pdf/2016/October/October_2016_1492164231__36.pdf.
[154]Clenora F. Hudson, “Racial Themes in the Poetry of Gwendolyn Brooks” *College Language Association Journal*( 1973): 19, accessed February 24, 2018,https://www.jstor.org/stable/44329034.
[155]Blicksilver, *The ethnic American Women*, 353.

ადამიანთა წრეს ნაკლებად სჭირდებოდა კანის ფერის, წარმომავლობის ან ეროვნების გათვალისწინება ინდივიდის ნიჭის შესაფასებლად. სწორედ ამიტომ გახდა პირველი გამორჩეული მასწავლებელი და შემდეგ დაწესებულების მმართველი, ხოლო მეორე - სალემის საჯარო სკოლის მასწავლებელი. რაც შეეხება ცხოვრებას უნივერსიტეტის გარეთ, საშუალო ფენაში ისევ და ისევ განათლების დაბალი დონის გამო დისკრიმინაცია განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობოდა. საშუალო და საშუალოზე დაბალი ფენა შეადგენდა მოსახლეობის უმრავლესობას, შესაბამისად, სახელმწიფო მხედველობაში იღებდა მოსახლეობის განწყობას, რათა შეექმნა მისთვის მისაღები კანონები (როგორიც არის „ჯიმ ქროუს სეგრეგაციის კანონი").

ასევე, საინტერესოა ის ფაქტი, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან განსხვავებით, შემოქმედებითი სფერო საკმაოდ დისკრიმინირებული იყო, რასაც ადასტურებს აფროამერიკელი ედმონია ლუისის მაგალითი. პირველი აფროამერიკელი მოქანდაკე ლუისი, რომელმაც არაერთი შედევრი შექმნა, გამუდმებულ დისკრიმინაციას განიცდიდა. მას შეგვიძლია ორმაგად დისკრიმინირებულის სტატუსი მივანიჭოთ. ლუისს პრობლემა არა მხოლოდ მისი შავი ფერის კანის გამო, არამედ იმიტომაც ექმნებოდა, რომ იგი ქალი იყო, რადგან იმ ეტაპზე მის სფეროში კაცები დომინირებდნენ.

საყურადღებოა თავად ის ფაქტი, თუ როგორ ცდილობდნენ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალები საკუთარი თავის დამკვიდრებას ამერიკულ საზოგადოებაში და რამდენად რელევანტური იყო მათი „ფიდბექი".

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეთნიკური უმცირესობების ღვაწლი და ადგილი იმდროინდელ ამერიკაში არ შემოიფარგლებოდა ერთი კონკრეტული კატეგორიით ან ქვეკატეგორიით. კვლევამ მაჩვენა, რომ უმაღლესი განათლების არარსებობას ხელი არ შეუშლია მკერავისათვის ქვეყნისთვის სასარგებლო და საჭირო საქმის კეთებაში (კეკლი), განათლების მაღალ საფეხურსა და პრესტიჟულ აბოლიციონისტთა ოჯახის შვილობას დაბრკოლება არ შეუქმნია ფორტენისათვის წმ. ელენეს კუნძულზე პირველი აფროამერიკელი მასწავლებელი ქალი გამხდარიყო. დისკრიმინაციის შიშს არ შეუჩერებია ლუისი. მკერავს, მასწავლებელსა და სკულპტორს შეემატა მილიონერი

მეწარმე, ფილანტროპი, ადამიანთა უფლებების დაცვის აქტივისტი (ფლიზენთი), მაღალი წრის წარმომადგენელი, აბოლოციონისტი (პარკერი) და მწერალი, პოეტი, სუფრაჟისტთა საქმეების შემსწავლელი და საერთაშორსო მშვიდობის საკითხებით დაინტერესებული ფრენსის უოტკინს ჰარპერი.

ამგვარად, კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად სხვადასხვა ტიპის დისკრიმინაციისა და შევიწროებისა, ამერიკაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები დაუღალავად შრომობდნენ საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად და, დიდი ძალისხმევის შედეგად, მაინც აღწევდნენ დასახულ მიზანს. ამ ქმედებას მაგალითის ძალა აღმოაჩნდა, რამაც განაპირობა კიდეც მათი ბედი და განსაზღვრა უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების მომავალი. ქვეთავში „აფროამერიკელ ქალთა სტატუსი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში" აფროამერიკელი ქალებიდაყოფილია პროფესიების, მოღვაწეობის სფეროების, სოციალური ფენისა და ფინანსური მსგომარეობის მიხედვით. თუმცა, თითოეული მათგანის მიზანი,ფრენსის უოტკინს ჰარპერის მსგავსად, ერთი იყო: ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრირება. თუ როგორ და რა ხერხები იქნა ამისთვის გამოყენებული განვილიხილავ შემდეგ თავებსა და ქვეთავებში.

## 1.2 აფროამერიკელი ქალები სამოქალაქო ომში

ამერიკულმა რევოლუციამ ქალთა როლის შეცვლაში, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატალიზატორის როლი შეასრულა. პოლიტიკურმა კრიზისმა ქალებს ახალი და მნიშვნელოვანი დავალებების მიღების შესაძლებლობა მისცა და სწრაფი ცვლილებებისთვის გზა გაუკაფა კიდეც.

ამერიკელი მკვლევრის კეტრინ კლინტონის აზრით, ომის დროს ქალები სახლებში საკუთარი თავის ამარა დარჩნენ. ისინი იძულებული გახდნენ მიეხედათ ოჯახებისთვის, სახლის საქმეებისა და უძრავი ქონებისთვის და, ასევე, მცირე დოზით, მენეჯერული უნარების გამომუშავების პროცესისთვის დრო დაეთმოთ. წიგნის „მეორე

სამოქალაქო ომი“ ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ბევრი ქალი მიეკუთვნებოდა დაჩაგრულთა იმ კატერგორიას, რომლებიც ცდილობდნენ აღიარება კრიტიკულ პერიოდში მოეპოვებინათ. ფერადკანიანები, ინდიელები, ლათინოამერიკელები და სხვა ეთნიკურ უმცირესობათა ქალები საჯარო სფეროებს განარიდეს.[156]

წინამდებარე ქვეთავში გავაანალიზე, თუ როგორ ცდილობდნენ აფროამერიკელი ქალები ამერიკულ საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებას, როგორი იყო მათდამი საზოგადოების დამოკიდებულება და როგორ რეაგირებდა XIX საუკუნის ამერიკული საზოგადოება მიმდინარე პროცესებზე.

ზოგადად, XIX საუკუნე თანასწორუფლებიანობისკენ ე.წ. გარდამავალი ხანა იყო. ამერიკელი სოციოლოგი და ისტორიკოსი უილიამ დიუბუა[157] 1903 წელს აღნიშნავდა: „XIX საუკუნის პრობლემა, ფერადი ხაზის პრობლემაა“[158]. მე-19 საუკუნე, სოციალური და ეკონომიკური რევოლუციის პირობებში, ამერიკელ ქალებს ფეხს უწყობდა. ომამდელ პერიოდში ცვლილება (ქალთა როლის ტრანსფორმაცია) საშუალო კლასის იდეოლოგიაში ქალებზე დადებითად აისახა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამერიკელი ქალების უმრავლესობამ ვერ გააცნობიერა ბურჟუაზიული ღირებეულებების იდეალი. როგორც კეტრინ კლინტონი ამბობს: „კვარცხბეკზე ასული ქალბატონი საზოგადოების თვალში საყოფაცხოვრებო (დიასახლისის - ავტ.) კულტით არის აღზევებული“[159]. XIX საუკუნის შეერთებულ შტატებში „ყველა შავკანიანი ქალი მონობის ინსტიტუტს დაუძინებელ მტერთან აიგივებდა, ხოლო ქალებს კიდევ ცალკეული ტიპის მონათა ბორკილები ედოთ“[160]. ეს იყო მონობისა და ემანსიპაციის საუკუნე,

---

[156]CathrineClinton,*the Other Civil War, American Women in the Nineteenth Century*, American Century Series (New York: Hill and Wang, 1984) 12.

[157]უილიამ ედვარდ ბურგჰარტ დიუბუა - ამერიკელი სოციოლოგი, ისტორიკოსი, პან-აფრიკანისტი, მწერალი და რედაქტორი (ავტორის შენიშვნა).

[158]David W., Blight,*Race and Reunion, the Civil War in American Memory,*(Cambridge: The Belknap Press of Harvard University Press, 2001), 1-2.

[159]Clinton, *The Other Civil War*, 40.

[160] Clinton, *The Other Civil War*, 34

კონსტიტუციაში მე-14[161] და მე-15[162] შესწორებების შესვლის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კონფრონტაციის საუკუნე.XIX საუკუნეში ქალთა როლის ტრანსფორმაციამ, ქალის სტატუსში რამდენიმე დადებითმა ცვლილებამ, სფეროების დაყოფამ, გადაკვეთის წერტილებმა და შეჯახებებმა (საჯარო და კერძო, ქალი და კაცი, სახლი და სამუშაო), ქალებისთვის უამრავიშესაძლებლობა შექმნა[163][164]. ეს მეტად საინტერესო და დამაფიქრებელი ეპოქა იყო. „სამოქალაქო ომი ის ისტორიაა, რომელმაც ჩვენს მხრებზე გადაიარა, ისტორია, რომელიც ერის წარმოსახვაში ცოცხლობდა“, - წერდა რობერტ პენ უორენი „სამოქალაქო ომის მემკვიდრეობაში”[165]. დევიდ ბლაიტის[166] შეფასებით, სამოქალაქო ომის ხედვები დროთა განმავლობაში ურთიერთსაწინააღმდეგო და კომბინირებული გახდა. იგი გამოყოფს სამ მათგანს: პირველი - შემრიგებლობითი ხედვა, რომელიც ბრძოლის ველზე, საკნებსა თუ საავადმყოფოებში გარდაცვლილების საქმეს ეხებოდა (ეს მოსაზრება იმაზე გაცილებით ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე რეკონსტრუქციის ისტორიამ ამის დაჯერების ნება დაგვრთო); მეორე - თეთრკანიანთა სუპრემატიული ხედვა, რომელიც ტერორით და ძალადობით ხასიათდებოდა. მან ხელები გადაიჯვარედინა სხვადასხვა ტიპის შეთანხმებებით და საუკუნის დასაწყისში ქვეყანას სამოქალაქო ომის (ჩრდილოეთის ტერმინით) სეგრეგაციული მოგონებები გაუღვიძა და ბოლო, თუმცა არც ისე უმნიშვნელო, მესამე - ემანსიპაციური ხედვა, რომელიც განასახიერებდა აფროამერიკელების თავისუფლების კომპლექსურ მოგონებებს, როგორც რადიკალური რეკონსტრუქციის პოლიტიკის, ასევე

---

[161]ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის რიგით მე-14 შესწორება - იგი თანასწორუფლებიანობას ანიჭებს, ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე დაბადებულ, ნებისმიერ პირს. იგი მიიღეს 1868 წ., 9 ივლისს.

[162]ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის რიგით მე-15 შესწორების თანახმადაფროამერიკელ მამაკაცებს მიეცათ ხმის მიცემის უფლებაგანურჩევლად რასის, რელიგიური მრწამსისა და ყოფილი მონის სტატუსისა.

[163] Clinton, *The Other Civil War,* 20.

[164] Cornelia *A.,*Peake Mcdonald, *Woman's Civil War. A Diary with Reminiscences of the War from March 1862*", (Madison: The University of Wisconsin Press, 1994), 300.

[165]Robert Penn Warren, *The Legacy of the Civil War*, (Lincoln: the University Press of Nebraska, 1998), 2-3 (Intr.)

[166]დევიდ ბლაიტი- ამერიკის ისტორიის პროფესორი, გილდერ ლერმანის ინსტიტუტის დირექტორი იელის უნივერსიტეტი.

რესპუბლიკის აღდგენის, შავკანიანი მოქალაქეების გათავისუფლებისა და კონსტიტუციური თანასწორობის კუთხით[167].

ჩრდილოეთისა და სამხრეთის თეთრკანიანი ქალები და აფროამერიკელი ქალები, როგორც გათავისუფლებულები, ასევე ჯერ ისევ მონობაში მყოფნი, სამოქალაქო ომის დაწყებისას შეეჯახნენ მამაკაცთა მასობრივ გადინებას. გათავისუფლებული შავკანიანი ქალები ეხმარებოდნენ კავშირის შავ და თეთრკანიან ჯარისკაცებს. ისინი, სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდნენ ჯაშუშებად და მზვერავებად, რომლებიც მტრის გადაადგილების მიმართულებას სწავლობდნენ და ინფორმაციას აგროვებდნენ.[168] ასევე, ეს ქალები საკვებითა და თავშესაფრით ეხმარებოდნენ იმ ჯარისკაცებს, რომლებსაც ეს სჭირდებოდათ. გარდა არტილერიის დახმარებისა, აფროამერიკელი ქალები ქვეყანას ემსახურებოდნენ მედდების რანგში - უვლიდნენ დაჭრილებს და მძიმე მდგომარეობაში მყოფ ჯარისკაცებს სამხედრო ჰოსპიტალებში, სადაც, რა თქმა უნდა, მათი ყოფნა დაშვებული იყო. ხშირად, ისინი მრეცხავებად ან მზარეულებად მუშაობდნენ[169].

XIX საუკუნეში ამერიკელ ქალებზე დიდ ზეგავლენას ახდენდა მათი კლასი, კანის ფერი, პროფესია და უნარები, მაგრამ, კლინტონის განცხადებით, მნიშვნელობა არ აქვს ქალიშავკანიანიათუთეთრკანიანი, მდიდარი თუღარიბი, განათლებული თუ გაუნათლებელი, მუდამ სახლში მჯდომი თუ ფულის მშოვნელი ადამიანი, ყველა ქალი ადრე თუ გვიან გენდერულ ხელბორკილს აწყდება. როგორც ჩანს, ძალიან ცოტა ქალმა შეძლო ამ სფეროების უპირატესობად ქცევა. სხვა აქტიურმა ქალებმა, დიდი მონდომება გამოიჩინეს „ხელოვნური ბარიერების“ ნგრევის საკითხში, რადგან ისინი ამ ბარიერებს დაბრკოლებებად აღიქვამდნენ[170].

---

[167] Blight, *Race and Reunion,*2.

[168]Nancy A. Hewitt, *A Companion to American Women's History*, (Hoboken: Blackwell Publishing, 2005), 301.

[169]Forbes, *African American Women*8.

[170]Clinton, "*The Other Civil War*, 20.

ამერიკელი მკვლევარი ბლაიტი თავის წიგნში „რასა და გაერთიანება“ ამერიკის ისტორიის ამ პერიოდს არქმევს ამერიკულ კულტურაში რომანსის ტრიუმფს რეალობაზე, სენტიმენტალური მოგონების გამარჯვებას იდეოლოგიურ მეხსიერებაზე[171].

ზოგიერთი აფროამერიკელი ქალი სამოქალაქო ომის დროს პირდაპირ იყო ჩართული სამხედრო აქტივობებში. ისინი თამამად იქცეოდნენ. სიუზი კინგ ტეილორი ამბობდა: „ან ნიჟარაში იჯექი, ან ისროლე“. [172][173]ამ ქალების გმირობა ზევრნაირ ქმედებას მოიცავდა: მათ ჩაიცვეს უნიფორმები, ხელში იარაღი დაიჭირეს, აქტიურად ითხოვდნენ მამაკაცების ჩართულობას და პრინციპებისთვის კვდებოდნენ[174]. ასეთი იყო ნამდვილი ვითარება.

სამხრეთ კაროლინას 33-ე პოლკის პირველი მოხალისეს მეუღლე სიუზი კინგ ტეილორი წერს: „ბევრია ისეთი, ვინც იცის, თუ რა ღვაწლი მიუძღვით ფერდკანიანებს სამოქალაქო ომში. [175]შეერთებული შტატების ისტორიაში არასდროს ყოფილა იმაზე დიდი ომი, როგორიც 1861 წლის ომი იყო. მან არა მხოლოდ მამაკაცების, არამედ ბევრი კარგად აღზრდილი ქალის სიცოცხლე გაიყოლა”[176]. სიუზი კინგ ტეილორი მედდად მუშაობდა. იგი იმ ჯარიკაცებს უვლიდა, რომლებიც დანარჩენი სამყაროსგან იზოლირებულნი იყვნენ. თავად სიუზი იხსენებდა: „მე გამიკეთეს ვაქცინა. მუდმივად სასაფრასის ჩაის ვსვამდი, რომელიც მიწმენდა სისხლს და ხელს მიშლიდა, რომ სიკვდილთან კონტრაქტი გამეფორმებინა“.[177] საბედნიეროდ, იგი არასდროს გამხდარა ავად, რაც ბანაკში ცხოვრებისას იშვიათობას წარმოადგენდა. გავრცელებული იყო ისეთი დაავადებები, როგორიცაა, მაგალითად: ქოლერა, მალარია, პნევმონია, ყბაყურა და დიარეა. ტეილორის მცენარეებით მკურნალობის ნიჭმა დიდი ხნით ადრე მოუტანა აფრიკელ ქალებს გარკვეული ტიპის აღიარება და ადგილი აფროამერიკულ

---

[171] Blight, *Race and Reunion*, 4.

[172] National Archives”, last modified February 11, 2018,https://www.archives.gov/publications/prologue/1997/summer/slave-women

[173]Susie King Taylor, *Reminiscences of my Life in Camp*, (Boston: published by the Author, 1902), 30.

[174] Forbes, *African American Women,* 37

[175]Taylor, *Reminiscences of my Life in Camp*, 17.

[176]Taylor, *Reminiscences of my Life in Camp*, 18.

[177]Taylor, *Reminiscences of my Life in Camp*, 22.

საზოგადოებაში, განსაკუთრებით მათ შორის, ვინც მონობის წიაღში ითვლიდა დღეებს[178].

სიუზი კინგ ტეილორის წვლილი, საპენსიო ასაკამდე, არ იყო ოფიციალურად აღიარებული. როგორც ტაზმენი, იგი მისი მეუღლის ედვარდ კინგის პენსიას იღებდა. სიუზი ყველაფერს აკეთებდა, რაც კი საჭირო იყო. „ადამიანის სასიკეთოდ ნებისმიერ დროს გავწევდი შრომას.[179] ყოველთვის ახლოს ვიყავი, როდესაც ვინმეს ვჭირდებოდი. მართალია, მრეცხავად ვიყავი გაფორმებული, მაგრამ მაინც ბანაკის საქმეებს ვაკეთებდი და ყოველთვის დაკავებული ვიყავი ოფიცრებისა და თანამემამულეების დახმარებით". საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სიუზი კინგ ტეილორი თავისი მეუღლის პოლკის მოსამსახურე ჯარისკაცებს კითხვას ასწავლიდა, ხოლო თავად ყოველდღე იმაში რწმუნდებოდა, რომ მუშკის სროლა ათვისებული ჰქონდა. ტეილორი ამბობდა, რომ იგი ზუსტად ისროდა და, ხშირად, მიზანსაც არ აცდენდა. „მე თოფების წმენდაშიც ვეხმარებოდი, სანამ გავწმენდი და გადავტენიდი, ვშლიდი კიდევაც მათ, რათა მენახა ტყვია რამდენად გამომშრალი იყო"[180] .

ამგვარად, გამოიკვეთა რამდენიმე აფროამერიკელი ქალის განსაკუთრებულიწვლილი:

კინგ ტეილორი: პირველი აფროამერიკელი მედდა, რომელიც მრეცხავად იყო გაფორმებული, მაგრამ მასზე დაკისრებულ ნებისმიერ ვალდებულებას ასრულებდა.

ძლიერი მხარე: მცენარეებით მკურნალობის ნიჭი.

პრობლემა: ღვაწლის აღიარება არ მომხდარა საპენსიო ასაკამდე, იღებდა მეუღლის პენსიას.

მიღწევა.პირველი აფროამერიკელი სკოლის მასწავლებელი (აქ ვლინდება რასობრივი და გენდერული ბალანსი, რადგან ტეილორამდე არათუ აფრომერიკელი ქალი, არამედ აფროამერიკელი კაციც კი არასდროს ყოფილა მსგავს პოზიციაზე); სამოქალაქო ომის

---

178 Forbes, *African American Women*, 52

179Tracey Jean Boisseau, "Travelling with Susies King Taylor"*A Journal of feminist Theory and Culture (2008),* 10-12, accessed February 12, 2018, https://journals.sfu.ca/thirdspace/index.php/journal/article/view/boisseau/105.

180 Forbes, Ella, *African American Women*, 41

დროინდელ ჯარში პირველი აფროამერიკელი მედდა; პირველი და ერთადერთი აფროამერიკელი ქალი, რომელმაც ომის შესახებ მემუარები გამოსცა;ქალთა უფლებების პირველი აფროამერიკელი ქალი დამცველი.

მარია ლუისი: ქალბატონი ვირჯინიიდან - ჯარისკაცის ამპლუაში მსახურობდა ნიუ-იორკის კავალერიის მერვე პოლკი(8th Regiment New York Volunteer Cavalry).

ძლიერი მხარე: ლუისი მხოლოდ ბანაკში არ ცხოვრობდა. იგი სრულუფლებიანი ჯარისკაცი იყო, რომელიც თან ახლდა ვაშინგტონისკენ მიმავალ ნიუ-იორკელებს, რათა მეამბოხეთა 17 ხელში ჩაგდებული დროშა წარედგინათ სამხედრო დეპარტამენტში.

მერი დაისონი: იგი ფილადელფიაში უნიკალური ფიგურა იყო.

პრობლემა:„მონა იყო და ამის გამო ახალგაზრდობაში ძალიან იტანჯებოდა“[181].

მიღწევა:მალავდა საკუთარ სქესს და ბრძოლის ველზე მამაკაცად შენიღბული იბრძოდა[182] (მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა ალექსანდრიაში, ვირჯინიის შტატში - აფროამერიკელი ლიზი ჰოფმანი ტყუილში ამხილეს, როდესაც იგი, შეერთებული შტატების ფერადკანიანთა 45-ე ქვეით ჯართან ერთად, ორთქლის ძრავიანი გემის გემბანზე ავიდა[183]).

ლუსი კარტერს, სპეციალური („ოფიციალური“) სტატუსი მიანიჭეს, ისეთივე, როგორც ჰარიეტ ტაბმენს, რამაც მას ფრონტის წინა ხაზისკენ გზა გაუკვალა. ვიცეპოლკოვნიკმა ჯორჯ ს. ჰოლისტერმა 1864 წელს გამოსცა ბრძანება, რომელიც იუწყებოდა: „სამშობლოს დამცველებო და პატრულებო, გთხოვთ, გამოიჩინეთ სიკეთე და უპრობლემოდ გამოატარეთ ფრონტის წინა ხაზზე, ნიუ-იორკის კავალერიის მე-16 პოლკთან ერთად, ფერადკანიანი კარტერი შემდეგი ბრძანების მიღებამდე“.[184] ერვინ ჯორდანის ინფორმაციაზე დაყრდნობით, კარტერი ჯაშუშობდა. მას საშვი მისცეს

---

[181]Forbes, Ella, *African American Women*, 39

[182] Forbes, *African American Women*, 41

[183]Harper, *Women During the Civil War*, 294

[184]Ramey Berry, Daina, Gross, Kali Nicole, *Black Women's History of the United State*s, (Boston: Beacon Press, 2020), 175.

იმისათვის, რომ მუშის როლის თამაშისას დაკისრებული მოვალეობები შეესრულებინა[185].

ისტორია ვერ აუვლის გვერდს აფროამერიკელ ქალთა როლს სამოქალაქო ომის დროს. თუკი ისინი არ იბრძოდნენ იარაღით ხელში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ აღსანიშნავი არაფერი გაუკეთებიათ. აფროამერიკელმა ქალებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ამ კონფლიქტში. შავკანიანმა ქალბატონებმა საკუთარ თავში იმის ძალა იპოვეს, რომ ისტორიის განუყოფელ ნაწილად ქცეულიყვნენ. მათი მონდომებისა და თავგანწირვის წყალობით, გამოაშკარავდა ისტორიული ფაქტები, რომლებმაც მოვლენების განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ 1864 წლის 16 იანვარს გამოსცა ბრძანება, რომელიც ნებას რთავდა მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ყველა ჰოსპიტალს სამსახურში აეყვანა აფროამერიკელი ქალები მზარეულებად და მედდებად. მათ თვეში 10 დოლარს გადაუხდიდნენ. პაკეტში ასევე შედიოდა ერთჯერადი კვება.საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სამოქალაქო ომამდე მედდობა არ განეკუთვნებოდა ქალთა პროფესიას. მაგრამ 1865 წლისათვის უკვე 3000-ზე მეტი მედდა იყო კავშირსა და კონფედერაციაში. ჩრდილოეთში მედდების უმრავლესობა სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდა[186].

იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი ქალი გახდა კავშირის მოხალისე მედდა, შტატების მთავრობამ დაიქირავა დოროთეა დიქსი, რომელსაც უნდა ემსახურა ქალი-მედდების ზედამხედველად. აფროამერიკელი ქალები ზემოთ ხსნებულ ბრძანებაში ნაგულისხმევი არ იყვნენ. ათწლეულების განმავლობაში არც მათ მიერ გაწეულ შრომასა და ღვაწლს აქცევდა ვინმე ყურადღებას. ზოგიერთს ხელფასს უხდიდნენ, ბევრი მოხალისე იყო.[187]

სამოქალაქო ომის განმავლობაში ფერადკანიანი ქალები მედდებად მუშაობდნენ სანატორიუმებსა და სახელმწიფო ჰოსპიტალებში. შეერთებული შტატების საზღვაო

---

[185]Forbes, Ella, *African American Women,* 41

[186]Frankel, "From Slave Women to Free Women", 1-2.
https://www.archives.gov/publications/prologue/1997/summer/slave-women

[187]Parry S., Manon "Dorothea Dix (1802–1887)", *Home American Journal of Public Health* (2011), 622, accessed January 15, 2010, https://ajph.aphapublications.org/doi/pdfplus/10.2105/AJPH.2005.079152.

ფლოტი ასევე ითვლიდა რამდენიმე აფროამერიკელ ქალს, მათგან ხუთი -ელის კენედი, სარა კინო, ელენ კემპელი, ბეტსი იუნგი და ენ ბრედფორდ სტოუქსი (Ann Bradford Stokes) მედდად მუშაობდა გემზე USS Red Rover-ზე[188]. მათგან პირველი ქალი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში, რომელსაც პენსია სამხედრო სამხურისთვის ერგო, ენ ბრედფორდ სთოუქსი იყო.

წვლილი:ჯარისკაცების მორალური და ფიზიკური მხარდაჭერა.

ენ ბრედფორდ სთოუქსი ყველაზე ცნობილი აფროამერიკელი ქალია, რომელიც მედდად მცურავ ჰოსპიტალში „*USS Red Rover*“-*ზე* მსახურობდა. ეს გემი კავშირის პირველი საზღვაო მცურავი ჰოსპიტალი იყო. სთოუქსი საზღვაო ფლოტში 1863 წლის იანვარში გაწევრიანდა და 1864 წლის ოქტომბრამდე მსახურობდა. ამ პერიოდში მას რეგულარულ ჯამაგირს უხდიდნენ. იგი გახდა პირველი აფროამერიკელი ქალი, რომელიც აშშ-ს სამხედრო გემზე მუშაობდა და იმ პირველთაგანი იყო, ვინც მედდად მოეწყო საზღვაო ფლოტში. ენი მუშაობდა წმინდა ჯვრის მონაზვნების ხელმძღვანელობის ქვეშ[189]. მას გაუჭირდა პენსიაზე განაცხადის შეტანა, რადგან არც წერა იცოდა და არც კითხვა. იმის შემდეგ, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა (როგორც თავად აბობდა, გულის პრობლემები აწუხებდა), სთოუქსმა ხელმეორედ შეიტანა საპენსიო განაცხადი. ამ დროისათვის მან წერა-კითხვა ისწავლა. აშშ-ს საზღვაო ფლოტმა გადახედა მის საქმეს და დაუკმაყოფილა მოთხოვნა. შესაბამისად, მას დაენიშნა პენსია, თვეში 12 დოლარის ოდენობით. ეს იყო საპენსიო ასაკს მიღწეული მედდების პენსიის ყოველთვიური ოდენობა.[190]ამ მხრივ, ასევე გამორჩეულია ლიდია პენის ღვაწლი, რომელიც „არმიის დედის“[191] სახელითაა ცნობილი).

---

[188]USS Red Rover- ამერიკის შეერთებული შტატების კონფედერაციის 650 ტონიანი ორთქლის ძრავიანი, დაჭრილთათვის განკუთვნილი, გემი.

[189]“Ann Bradford Stokes (1830-1903)”, last modified December 04, 2020. http://www.blackpast.org/aah/stokes-ann-bradford-1830-1903.

[190]“Ann Bradford Stokes (1830-1903)”.

[191]Elizabeth E. Friber, *Conceptual Foundations E-Book: The Bridge to Professional Nursing Practice,*(Amsterdam: Elsevier Inc.,2020), 7-8.

იმ დროს, როდესაც ტეილორის ღვაწლი ქვეყნის წინაშე დადასტურდა, მეორე ქალს - მცურავი ჰოსპიტალის მედდას ენ რედფორდ სტოუქს აშშ-ს მთავრობაპრობლემებს უქმნიდა.

პრობლემა: სტოუქსისპრობლემა ის იყო, რომ რომწერა-კითხვის არცოდნის გამო, განაცხადი ვერ შეჰქონდა, რაც თავის მხრივ, აჭიანურებდა პენსიის დანიშვნას .

აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად დავასკვნათ, თუკი მთავრობა პენსიის დანიშვნისას გარკვეულ პრობლემებს ქმნის, იგი ეჭვქვეშ აყენებს კონკრეტული პირის დამსახურებას ქვეყნის წინაშე ან ისევ და ისევ რასობრივი და გენდერული დისკრიმინაცია არსებობს. ის ფაქტი, რომ სთოუქსმა წერა-კითხვა არ იცოდა, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იგი საზოგადოების სრულუფლებიან წევრად არც ითვლებოდა, რაც დასტურდება მონობის ინსტიტუტითა და თავად სამოქალაქო ომის ფაქტით.

მიღწევა:საზღვაო ფლოტში სტოუქსი გახდა პირველი აფროამერიკელი ქალი, რომელიც აშშ-ს სამხედრო გემზე მსახურობდა (გენდერული ბალანსი); პირველთაგანი იყო, ვინც მედდად მუშაობდა საზღვაო ფლოტში (გენდერული და რასობრივი ბალანსი), პირველი ქალი, რომელაც საზღვაო ფლოტმა დაუდასტურა მისი 18-წლიანი ღვაწლი. ეს იყო პირველი ქალი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში, რომელსაც პენსია სამხედრო სამხურისთვის ერგო.[192]

თეთრკანიანმა და აფროამერიკელმა ქალებმა, ისევე, როგორც მამაკაცებმა, კრიტიკული როლი შეასრულეს სამოქალაქო ომის შპიონაჟში, რამაც სამხედრო კამპანიების კურსზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. თუმცა, მაინც ძალიან ცოტა რამაა ცნობილი ქალ-ჯაშუშებზე. ათასობით ჩრდილოეთელ და სამხრეთელ ქალს სჯეროდა და იბრალებდა, რომ იგი ჯაშუშის, ინფორმატორის, კურიერის, დივერსანტისა და კონტრაბანდისტის როლს ასრულებდა. ბოლო ათწლეულში ისტორიკოსებმა გადაწყვიტეს გამოეკვლიათ, თუ რომელი ქალის მოთხრობილი ამბავი იყო ტყუილი ან მართალი, ვინ ემსახურებოდა სამშობლოს სამოქალაქო ომის დროს ჯაშუშის როლში?!

---

[192]Friber, *Conceptual FoundationsE-Book, 7-8.*

საინტერესოა, თუ რამდენად ექვემდებარებოდა კვლევას აღნიშნული საკითხი. ძველ ომებში ქალ ჯაშუშებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ მამაკაცებთან შედარებით. კავშირსა და კონფედერაციას ვერ წარმოედგინა ქალის მონაწილეობა მამაკაცისთვის გათვლილ, სახიფათო შპიონაჟის სამყაროში. ქალები ინფორმაციულ მასალებს მალავდნენ ქვედაბოლოებში, ზედებში და, ხშირად, თმებში კი ჰქონდათ ჩახვეული. ჯაშუშ ქალთა უმეტესობა ინფორმატორი და კურიერი იყო. ისინი კონფედერაციასა და კავშირს, საჭიროებისამებრ, სხვადასხვაგვარ დახმარებას უწევდნენ და ამას მცირე დროში ახერხებდნენ. ქალები საკუთარ მისიას კარგად ართმევდნენ თავს, რადგან მათი ვინაობა არასდროს გამჟღავნებულა.[193]

მხედველობაში მყავს ის აფროამერიკელი ქალები, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის ფასად მეტად რთულ დავალებებს ასრულებდნენ და სახიფათო მისიებში მონაწილეობდნენ. თუმცა ისტორიამ ყველაზე ცნობილ ჯაშუშ აფროამერიკელ ქალად ჰარიეტ ტაბმენი მიიჩნია.[194] ჰარიეტი ითავსებდა ჯაშუშობას, მზვერავობასა და სამხედრო მეთაურობასაც კი. იგი, ასევე, ცნობილია „მიწისქვეშა რკინიგზის"[195] საკითხში თავისი ჩართულობით.

ჰარიეტს საკმაოდ საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა. იგი მონად დაიბადა. 30 წლის ასაკში ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო - გაქცევა. მას არ სურდა მონობაში ცხოვრება. მან შეძლო საკუთარი ცხოვრების მოწყობა, თუმცა არასდროს დავიწყებია ისინი, ვინც ჯერ კიდევ მონის სტატუსით ცხოვრობდნენ[196]. საბოლოოდ იგი დაუბრუნდა სამხრეთს, რათა დახმარებოდა სხვებს ჩრდილოეთში გაქცევაში. ტაბმენს ხშირად „მიწისქვეშა რკინიგზის" ყველაზე წარმატებულ კონდუქტორს ეძახდნენ. ასევე, იგი

---

[193]Lois Sakany, *Women Civil War Spies of the Union,* (New York: Rosen Publishing group, 2003), 29-37.
[194]Janell Hobson, "Harriet Tubman: The Resistance of Legacy" Meridians (2014), accessed January 20, 2018, https://doi.org/10.2979/meridians.12.2.1
[195]The Underground Railroad (მიწისქვეშა გვირაბი) - საიდუმლო მიწისქვეშა სისტემა აშშ-ში, რომელსაც იყენებდნენ მონათა გაქცევის უზრუნველსაყოფად თავისუფალ შტატებში.
[196] Sarah H. Bradford, *Scenes in the Life of Harriet Tubman*(Madison and Adams Press, 2018), 55-56.

სამხრეთში 14-ჯერ შეიპარა და 300-მდე ადამიანი გაათავისუფლა. როდესაც ომი დაიწყო, ის მეტად მონდომებული იყო, რათა კავშირს დახმარებოდა[197].

ჰარიეტ ტაბმენი განსაკუთრებული პერსონაა შეერთებული შტატების ისტორიაში. იგი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აფროამერიკელი ქალია, რომელიც ამ დონეზე იყო ჩართული სამოქალაქო ომში. ტაბმენის ღირებულმა ინფორმაციამ გენერალ ჯეიმს მონტგომერის, რომელიც სამხრეთ კაროლინის მეორე პოლკის აფროამერიკელ მოხალისეთა მეთაური იყო, მისცა შესაძლებლობა რამდენიმე წარმატებული რეიდი განეხორციელებინა კონფედერაციის მთავარ საყრდენ წერტილებზე. მისი წვლილისა და ღვაწლის დაფასება მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მოხდა, როდესაც 1913 წელს იგი სამხედრო პატივით დაკრძალეს[198].

იმის მიუხედავად, რომ ჰარიეტი ისეთ საბრძოლო დავალებებს ასრულებდა, რომლებიც ძირითადად მამაკაცებისთვის იყო გათვლილი, ამავდროულად იგი, მედდის რანგში, დაჭრილებსუვლიდა. „დავდიოდი ხოლმე ჰოსპიტალში. დილაობით ადრიანად ვიშოვიდი ყინულს, ჩავდებდი ნიჟარაში და ვავსებდი წყლით. შემდეგ ავიღებდი ღრუბელს და ვიწყებდი. პირველად მამაკაცებთან მივიდოდი, გავუფერთხავდი ბუზებს, რომლებიც მათ გარს ეხვივნენ, როგორც ფუტკრები თაფლს. შემდეგ ვბანდი დაჭრილებს და სანამ ორს ან სამს დავბანდი, ცეცხლი და სიცხე ადნობდა ყინულს. შემდეგ, მივდიოდი და მეტ ყინულს ვშოულობდი და სანამ სხვებთან მივიდოდი, ბუზები ისევ პირველ შავკანიანს ესეოდნენ“,[199]- იხსენებდა ჰარიეტი. დაჭრილთა სამკურნალოდ ის, ასევე, სამკურნალო ბალახებს იყენებდა.

ამგვარად,

ჰარიეტ ტაბმენი - ჯაშუში, მზვერავი, მედდა, სამხედრო მეთაური.

წვლილი: მიწისქვეშა რკინიგზის კონდუქტორი.

---

[197]Theressa Mcdevitt, „African American Women and Espionage in the Civil War“ *Social Education journal* (2003), 254, accessed January 19,2018, https://www.socialstudies.org/system/files/publications/articles/se_6705254.pdf

[198]Janell Hobson, “Harriet Tubman: The Resistance of Legacy” *Meridian*s (2014), accessed January 20, 2018, https://doi.org/10.2979/meridians.12.2.1

[199] Cathrine Clinton, *Harriet Tubman: The Road to Freedom*, (New York: Back Bay Books; Illustrated edition, 2005), 242-248.

მიღწევა: სამხრეთში 14-ჯერ შეპარვის ფაქტი და 300-მდე ადამიანის გათავისუფლება, 70 მონის დაკვალიანება და ზედამხედველობა. მისი ღვაწლი სიკვდილის შემდეგ დაფასდა. მან ასაკოვანი ადამიანებისთვის თავშესაფარი მიზერული თანხებით გახსნა; პირველი აფროამერიკელი ქალი იყო, რომელსაც პატივი ერგო 20 დოლარიან ბანკნოტზე გამოსასახად განეხილათ[200](მისი დამსახურება და ღვაწლი გააიგივეს ენდრიუ ჯექსონის დამსახურებასთან. გაავლეს პარალელი 1812 წლის ინგლის-ამერიკისა და 1861-1865 წლის სამოქალაქო ომებს შორის). ჰარიეტ ტაბმენი გაუტოლეს ამერიკის შეერთებული შტატების რიგით მეშვიდე პრეზიდენტს და, რაც ყველაზე საინტერესოა, მონათმფლობელს. ეს აშკარა სიმბოლიზმია და პირდაპირი მესიჯი, რასაც აშშ მსოფლიოს უგზავნის. ჰარიეტი არ იყო პირველი ქალი, თუმცა პირველი შავკანიანი ქალი იყო რომელიც ბანკნოტზე განსათავსებლად განიხილება. იქამდე ეს პატივი ერგო პოკაჰონტასსა[201] და მარტა ვაშინგტონს[202], რომელიც ბანკნოტის საპირისპირო მხარეს იყო გამოსახული, მთავარ ნაწილზე კი - მისი მეუღლე ჯორჯ ვაშინგტონი.საინტერესოა, ის ფაქტი, რომ 2015 წელს გაზეთიში*The USA Today*გამოქვეყნდა მერი ბოვერმანის სტატია სახელწოდებით „ქალი ამერიკულ ბანკნოტზე?! მარტა ვაშინგტონმა გააკეთა ეს“. თუკი ბანკნოტზე ქალის გამოჩენას ასეთი რეაქცია მოყვა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, როგორი რეაქცია შეიძლება მოჰყვეს ჰარიეტ ტაბმენის გამოჩენას ენდრიუ ჯექსონის გვერდით ან სულაც ჯექსონის ტაბმენით ჩანაცვლებას. ტაბმენის გამოსახულებით ბანკონიტი 2020 წელს უნდა გამოსულიყო, მაგრამ ტრამპის ადმინისტრაციამ ეს საკითხი

[200]"See a Design of the Harriet Tubman $20 Bill That Mnuchin Delayed", last modified December 14, 2020, https://www.nytimes.com/2019/06/14/us/politics/harriet-tubman-bill.html

[201]"An Extremely Brief History of Women on U.S. Paper Currency", last modified November 15, 2020,https://www.theatlantic.com/politics/archive/2015/06/an-extremely-brief-history-of-women-on-us-paper-currency/454458/ .

[202]"A woman on U.S. bill? Martha Washington did it", last modified December 21, 2020, https://www.usatoday.com/story/news/nation-now/2015/06/18/martha-washington-united-states-dollar-bills-silver-dollar/28933355/.

დაბლოკა.[203]თუმცა 2021 წლის იანვარში მოსულმა ბაიდენის ადმინისტრაციამ 20 დოლარიან ბანკნოტზე ტაბმენის გამოსახვის სურვილი გამოთქვა.[204]

ტაბმენი არც პირველი აფროამერიკელი ყოფილა, ვისაც ეს პრივილეგია შესაძლოა შეხვდეს წილად, რადგან, რაც არ უნდა უცნაური იყოს, რამდენიმეშტატი საკუთარ მონეტაზე გამოსახავდა მონებს შვილებთან ერთად, თუმცა არავინ იცოდა, ვინ იყვნენ ისინი და რა იყო მათი მონეტაზე გამოსახვის მოტივი. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ საკითხში ისაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მიიჩნევს, რომ ჰარიეტ ტაბმენი ისეთივე დიდი ფიგურაა, როგორიც ენდრიუ ჯექსონი და თუკი ჯექსონის ჩანაცვლება შეიძლება, ეს მხოლოდ ტაბმენი უნდა იყოს. სწორედ ეს არის ის დიდი კვალი, რომელიც ტაბმენმა და სამოქალაქო ომმა ისტორიაში დატოვა. ამასთან, 1944 წელს შეერთებული შტატების საზღვაო კომისიამ გამოუშვა გემი, რომელსაც ჰარიეტ ტაბმენის სახელი დაარქვა (პირველი გემი, რომელსაც სახელი დაერქვა ფერადკანიანი ქალის პატივსაცემად).

ასევე, აუცილებლად უნდა წარმოვაჩინომერი ჯეინ რიჩარდსის, იგივე „მერი ელისაბედ ბოუზერის"წვლილი. იგი თავისუფალი შავკანიანი ქალბატონი იყო, რომელიც სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად კავშირსეხმარებოდა. სამოქალაქო ომის დაწყებისას, 1861 წლის 12 აპრილს, ელისაბედ ვან ლიუმ მიმართა მერის თხოვნით, ჯაშუშად გახდომის თაობაზე. თავად ელისაბედი ვერ იღებდა ამ პასუხისმგებლობას, რადგან რიჩმონდის პატივცემული მკვიდრი იყო, თანაც ელისაბედის მამა გავლენიან და მდიდარი კაცს წარმოადგენდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ელისაბედი ჯაშუშადაც მუშაობდა და კავშირს ყველანაირად ეხმარებოდა. მერიმ მიიღო ელისაბედის

[203]„Trump administration says no plans to expedite Harriet Tubman on the $20 bill: NYT", last modified December 21, 2020,https://edition.cnn.com/2020/06/12/politics/harriet-tubman-20-mnuchin-trnd/index.html .

[204]Alan Rappeport, Biden's Treasury will seek to put Harriet Tubman on the $20 bill, an effort the Trump administration halted. *The New York Times, last modified January 25, 2021.* https://www.nytimes.com/2021/01/25/us/politics/tubman-20-dollar-bill.html. Accepted in Jan.28.2021.

წინადადება. მან კონფედერატებთან დაიწყო მუშაობა და საქმიანობას სამოქალაქო ომის დასრულებამდე აგრძელებდა.[205]

როდესაც მერიმ მუშაობა დაიწყო პრეზიდენტ ჯეფერსონ დევისთან და მის მეუღლესთან, მას ბევრი რამის შეცვლა მოუწია. უპირველეს ყოვლისა, მან სახელი გადაირქვა და დაირქვა „ელენ ბონდი“[206]. აქედან გამომდინარე, არავინ იცოდა მისი ჭეშმარიტი წარმომავლობა. შემდეგ, როდესაც იგი რეალურად შეუდგა საქმეს, მას მოუხდა საკუთარი თავისთვის იმის შეხსენება, რომ იგი ისევ მონა იყო, ამასთანავე, მიჩვეული სათანადო მოპყრობას, როგორც შეჰფერის განათლებულ ქალბატონს. მეტად საინტერესო აღმოჩნდა მისი მსახიობური ნიჭი, როდესაც კონფედერატებთან მუშაობისას იგი განასახიერებდა სრულიად უცოდინარ და გაუნათლებელ ქალს, რომელიც ვერ ხვდებოდა, რაზე საუბრობდნენ. სწორედ, ასე მოიპოვა მან კონფედერატების ყველა გეგმა და ინფორმაცია, თუ როგორ უნდა დასხმოდნენ ისინი თავს კავშირს[207].ელენ ბონდი (მერი ბოუზერი) მიიჩნეოდა „სულელ, ოდნავ შეურაცხად, მაგრამ მუშაობის უნარიან მოახლედ“ პრეზიდენტისა და მისი მეუღლის კარზე[208].

საინტერესო და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2019 წელს ვირჯინიის შტატის გუბერნატორი რალფ ნორთჰამმა მონაწილეობა მიიღოღონისძიებაში, რომელიც გაიმართა კაპიტოლიუმის მოედანზე განლაგებულ ვირჯინიის ქალთა მონუმენტთან, რათა კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი ამ ქალთა ღვაწლს. ასევე, მოიაზრება კავშირის კაპიტნის მონუმენტის აღმართვა. მის გარშემო არის შუშის კედელი, რომელზეც ამოიტვიფრა 200-ზე მეტი ვირჯინიელი ქალის სახელი და გვარი, რომლებმაც ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვეს. მათ შორის იმ რიჩმონდელების, რომლებმაც ჯაშუშის როლი იტვირთეს, კერძოდ, ელისაბედ ვან ლიუს და მერი რიჩარდსის, ქალის,

[205] Walter Hazen, *Hidden History: Profiles of Black Americans,*( Dayton: Miliken Pulishing Group, 2004), 18-19.
[206] Henry Louis Gate JR., Evelyn Brooks Higginbotham, *African American Lives* (Oxford: Oxford University Press, 2004), 92.
[207] Mcdevit, “African Merican Women”, 257.
[208] “Weebly”, last modified July 07, 2018, http://maryelizabethbowser.weebly.com/biography.html0.

რომელიც მონობაში დაიბადა და კავშირის მხარდასაჭერად თეთრ სახლში კონფედერატებთან მუშაობდა[209].

ამგვარად,

მერი ჯეინ რიჩარდსი (მერი ელისაბედ ბოუზერი, ელენ ბონდი): თავისუფალი შავკანიანი ქალი, ჯაშუში.კონფედერატებთან მუშაობისას, იგი განასახიერებდა სრულიად უცოდინარ და გაუნათლებელ ქალბატონს.

მიღწევა:მოიპოვა კონფედერატების ყველა ის გეგმა და ინფორმაცია, თუ როგორ უნდა დასხმოდნენ თავს კავშირს. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მოახლედ მუშაობისას მასზე ეჭვი არავის მიუტანია, რადგან აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო ფერადკანიანისგან იმ გარკვეული უნარების ფლობა, რასაც ადამიანი თუნდაც მზვერავის რანგში უნდა აკმაყოფილებდეს. მის წინაშე თავისუფლად საუბრობდნენ კავშირზე, თავდასხმის ტაქტიკაზე, რადგან ეჭვიც არავის მიუტანია, რომ ელენს საუბრიდან აზრის გამოტანის, მით უმეტეს, ვინმესთვის ამ საუბრის გადაცემის უნარი ჰქონდა. ბოუზერმა მისი მენტალური შესაძლებლობები უმალ დაამტკიცა, რითიც დაგეგმილ თავდასხმათა კურსი და შედეგი შეცვალა.

XIX საუკუნის კიდევ ერთი ცნობილი აფროამერიკელი ქალიაიზაბელა სოჯორნერ თრუთი (Isabella Sojourner Truth). მას დიდი ღვაწლი მიუძღვის XIX საუკუნის აბოლიციონისტურ მოძრაობაში. „მოქნილი, მარჯვე და სხარტი, მეხსიერებით, რომელსაც არაფერი გამორჩებოდა. მას პასუხი ყოველთვის ყველაფერზე მზად ჰქონდა, პასუხი, რომელიც ზუსტად ესადაგებოდა კითხვას, ხოლო ოპონენტს გაოგნებულს ტოვებდა“[210]. ასე აფასებს სოჯორნერ თრუთის რიტორიკას მისი ერთ-ერთი თანამედროვე.

---

[209]“Richmond Times-Dispatch”last modified July 07, 2018, https://www.richmond.com/users/profile/andrew%20cain/

[210]Suzanne Pullon Fitch, Roseann M. Mandziuk, *Sojourner Truth as Orator, Wit, Story, and Song* (Wesport: Greenwood Press, 1997), 7.

იგი იყო მნიშვნელოვანი ქალი ამერიკის შეერთებულ შტატებში[211], თუმცა ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტები ფიქსირდებოდა. როგორც „*The lifework of Sojourner Truth*"-ის ავტორები სტეტსონი და დევისი წერენ, „წიგნიერებამ ერთგვარი საფუძველი შეუქმნა მის იდეოლოგიას"[212]. ხანდახან, სოჯორნერ თრუთი, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, მითურ პერსონაჟად უფრო ითვლებოდა, ვიდრე ისტორიულ. მისი ამბავი და ისტორიული ფონი ღირს იმად, რომ გავცდეთ ბიოგრაფიულ წყაროებს. ყოფილ მონას, სოჯორნერ თრუთს ჰქონდააშკარად გამოხატული ორატორული ნიჭი[213] და ასევე მკაფიოდ განსაზღვრული პრიორიტეტები, კერძოდ, მონობის გაუქმება და ქალთა უფლებების დაცვა[214].

კიდევ ერთი ჯაშუში ქალი მერი კეტრინ უინძორი (Mary Cathrine Windsor) იყო, რომელიც სამოქალაქო ომის დაწყებიდანვე ძმის სანახავად ფილადელფიიდან ნიუ-ორლეანში გაემგზავრა. გემი, რომლითაც იგი მიემგზავრებოდა მდინარე მისისიპის გავლით მიცურავდა. მდინარის გადაკვეთისას მან ბუჩქებში მიმალული კონფედერაციის ძალები შენიშნა, რომლებიც იერიშისთვის ემზადებოდნენ. უინძორმა განგაში ატეხა, რამაც, საბოლოო ჯამში, ხომალდი იხსნა. ამის შემდეგ ომის დროს იგი მუდამ ჩართული იყო გემებზე მსგავს სადაზვერვო საქმიანობაში.უინძორი ტანმორჩილი ქალი იყო. მისი შემჩნევა საკმაოდ რთული იყო[215]. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ გარშემომყოფები ვერასდროს იფიქრებდნენ, რომ შავკანიანი მონა ჯაშუში იქნებოდა.

"სამოქალაქო ომისდრინდელი ისტორიკოსი ჯეიმს მაკფერსონი კავშირის კიდევ ერთი ჯაშუში ქალის ისტორიას გადმოგვცემს.ეს ქალი იყო იმ მამაკაცის მეუღლე, რომელიც კავშირის მხარდასაჭერად კონფედერატებს გამოექცა."[216] ქალბატონის მიერ

---

[211] Nell Irvin Painter, *Sojourner Truth, A life, A symbol*, (New York &London: W W Norton & Company, 1996), 2.

[212] Erlene Stetson, Linda David, *Glorying in Tribulation*: *The Lifework of Sojourner Truth*", (East Lansing: Michigan State University Press,1994), 202-207

[213] Truth Sojourner, The Narrative of Sojourner Truth [with Biographical Introduction], (Boston: Digireads.com, 2004), 75.

[214] Truth Sojourner, *Narrative of Sojourner Truth,* (Smyrna: Prestwick House, Inc., 2017), 144

[215] Harold Hyman, *Head Round the World, The Impact Abroad of The Civil War*, (New York: Alfred A Knopf, 1969)

[216] Ella Forbes, *African American Women During the Civil War,*(New York&London: Garland Publishing,1998), 84.

განხორციელებული ქმედება მეტად სახიფათო იყო, ხოლო ქმრის მიერ ინფორმაციის კავშირისთვის მიწოდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ცნობილია მხოლოდ ის ფაქტი, რომ იგი „დებნის ცოლი“ იყო. „მისმა ცოლმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მისთვის ნება მიეცათ წასულიყო კონფედერატებთან და იქ შენიღბულ მოახლედ ემუშავა. თხოვნა დააკმაყოფილეს. „დებნის ცოლმა“ მდინარერაპაჰანოკი (Rappahannock) გადაცურა. რამდენიმე დღე იგი მეამბოხე გენერლის შტაბში მრეცხავად მუშაობდა. საბოლოოდ კიდებნი შესანიშნავად ინფორმირებული იყო მოწინააღმდეგეთა გეგმების შესახებ. მისი ინფორმაცია ყოველთვის დასტურდებოდა. თუ რა გზებით ახერხებდა დებნი ამ ინფორმაციის მოპოვებას, კავშირის ოფიცრების დიდ თავსატეხს წარმოადგენდა. საბოლოოდ, დაჟინებული თხოვნის შემდეგ, „მან მოხადა ტომარას თავი და გაამხილა საიდუმლო“. „მისი გასაოცარი საიდუმლო“ ცოლი იყო. იმ მიზნით, რომ ქმრისთვის მდინარის მეორე მხრიდან ნიშანი მიეცა, კონფედერატების ჯარის გადაადგილებასთან დაკავშირებით, მან შეიმუშავა სარეცხის გასაკიდ თოკზე ნივთების ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანის სქემა. ეს ყოველივე ხდებოდა მეამბოხეთა შტაბიდან, სადაც იგი მუშაობდა[217].

მეორე ქალი, რომელმაც თავისი სამუშაოგამოიყენა (იგი მოახლედ მუშაობდა), რათა კავშირისთვის ინფორმაცია მიეწოდებინა, იყო მერი ლუვესტრე (Mary Louvestre), გოსპოტ ნეივი იარდის[218] თანამშრომელი ნორფოლკში. მერი ლუვესტრემ შეძლო ფასდაუდებელი ინფორმაციის მოპოვება და მისი გიდიენ ველსისთვის (Gideon Welles,ზედმეტი სახელი „მამა ნეფტუნი“) გადაცემა, რომელიც 1861-1869 წწ კავშირისსამხედრო-საზღვაო ფლოტის მდივანი იყო. გადაცემული ინფორმაცია კონფედერატების გეგმებს ეხებოდა. ერთხელ, როდესაც სამხედრო სამსახურს იხსენებდა, ველსმა აღნიშნა: „მისის ლუვესტრე მცირე რისკის წინაშე არ მდგარა, როდესაც ამ ინფორმაციას და სხვა ფაქტებს გვაწვდიდა. არავის ვიცნობ ამ ფერადკანიან ქალზე უფრო ღირსეულს, ვის გულმოდგინებასა და ერთგულებას მადლიერებით

[217]Forbes, *African American Women*, 43.

[218] Gospot Navy Yard სამხედრო-საზღვაო მოწყობილობა პორტსმუტში, ვირჯინიის შტატში, აშშ

ვიხსენებ“[219]. ლუვესტრე ერთ-ერთი ქარხნის ინჟინრის მონა იყო, რომელიც ცდილობდა ხელთ ჩავარდნილი შეერთებული შტატების სამხედრო გემის „მერიმაკი“ (USS Merrimack) კონფედერატების ბრონირებულ გემად ექცია.[220] ლუვესტრემ მისი რამდენიმე ნახაზი მოიპარა, რომელიც ველსს გადასცა[221]. მერი ლუვესტრეს ცხოვრების დეტალები ისტორიისთვის კარგად ცნობილი არ არის, რადგან სამოქალაქო ომის დროს იგი ვირჯინიის შტატში მონა იყო. ბევრი რამ, რაც მის შესახებ იწერებოდა, არ დასტურდება[222].

უნდა აღვნიშნო ლიდია პენის ღვაწლიც. ის იყო მედდა და, ამავდროულად, ძებნილი, რომელიც გაექცა მონობას მემფისიდან (ტენესის შტატი) და სამშობლოს სხვადასხვა გზით ემსახურა. იგი გახდა კავშირის წევრი და თავდაპირველად მუშაობა მზარეულად დაიწყო. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც კავშირი მემფისს მიუახლოვდა. მან აქვე გაიცნო და ცოლად გაჰყვა ტომასს, რომელიც ჯარისკაცად მსახურობდა. მისი ისტორიაკვარტირმეისტერმა ჯეიმს ეიჩ პეინმა დატოვა[223].ტომას პენი დელავერში შეერთებული შტატების მეხუთე ფერადკანიანთა (USCT)[224] ჯარს შეუერთდა. ის ამბობდა, რომ თავის მოვალეობად მიიჩნევდა მეუღლეს გაჰყოლოდა იქ, სადაც მას წასვლა მოუწევდა, თუმცა არა უშუალოდ მეუღლისადმი, არამედ მისი ქვეყნისადმი სიყვარულის გამო. იგი ქრისტიანულ მოვალეობად მიიჩნევდა ტყვეობისგან დაეხსნა თავისი ნაწამები და დამცირებული რასა. იმისთვის იბრძოდა, რისთვისაც ჯარისკაცი სისხლს ღვრიდა[225].

ყველა ადამიანი, ვინც ამ ქალს იცნობდა, მას „არმიის დედას“ უწოდებდა. იგი იმსახურებდა ამ სახელს, რადგან მსახურობდა იმ დღიდან, როდიდანაც ამბოხი დაიწყო. პენი ამბობდა, რომ იგი არ დაღლილა სამსახურისგან და არც კი ფიქრობდა დაეტოვებინა

---

[219] Towne Stephen, E, “Surveillance and Spies in the Civil War”, (Athens: Ohio University Press, 2015), 104-109
[220]USS Merrimac- ამერიკის შეერთებული შტატების რკინის სამხედრო გემი, რომელიც სამოქალაქო ომის დროს აშენდა.გემს სახელი მდინარე მერიმაკის პატივსაცემად დაერქვა.
[221]Bell Irvin Wiley, “Confederate Women”, (Wesport: Greenwood Press, 1975), 125
[222]“Forgotten Feminists”, last modified July 07, 2018 http://www.forgottenfeminists.com/mary-louvestre
[223] Colin M. Coates, CeciliaMorgan, *Heroines and History*, (Toronto: University of Toronto Press, 1960), 14-15.
[224]USCT- United Statets Colored Troops - შეერთებული შტატების ფერადკანიანთა ჯარი.
[225]Coates,Morgan, *Heroines and History, 14-15/.*

ბრძოლის ველი, რომ არ წავიდოდა ფრონტიდან, სანამ ბოლო იარაღიდან მაინც ისროდნენ, სანამ მშვიდობა არ გამოცხადდებოდა და სანამ თითოეული მონა თავისუფალი არ გახდებოდა. ის ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებიც დიფ ბოთომის (Deep Bottom)[226] ბრძოლის ველზე დაიჭრნენ, არასდროს ივიწყდებდნენ ლიდია პენის ღვაწლს ქვეყნის წინაშე[227].

„დიფ ბოთომთან დაჭრილი ბევრი ჩვენი ოფიცერი ვერასდროს დაივიწყებს ლიდია პეინს, რომელიც მათთან ერთად იმყოფებოდა და მათ სურვილებს ითვალისწინებდა, როდესაც ისინი სახლში მიცურავდნენ, ჯეიმსის სანაპიროსთან, ჯოუნს ლენდინგთან (Jones' Landing) ახლოს. "იგი ერთადერთი ქალი იყო, წააგავდა ანგელოზს, რომელიც ჯარისკაცებს ამხნევებდა და აკეთებდა ყველაფერს, რაც შეეძლო, რათა მათთვის ტანჯვა შეემსუბუქებინა"[228].

ნიშანდობლივია მერი ენ შედ ქერის (Mary Ann Shadd Cary) ცხოვრება, რომელიც რამდენიმე სფეროში ერთად იყო ჩართული, კერძოდ, იყო აბოლიციონისტი, სუფრაჟისტი, ემიგრანტების უფლებათა დამცველი. ქერი ერთადერთი ქალი ოფიცერი იყო, რომელსაც კავშირის ჯარშიოფიციალური ხელფასი ჰქონდა. მისი ღვაწლი იკვეთება მაშინ, როდესაც  ინდიანას გუბერნატორ ნორტონის ბრძანებისთანავე, 1864 წელს, დაიწყო აფროამერიკელთა რაზმის დაკომპლექტება. იგი, აგრეთვე,  ჩიკაგოს ფერადკანიან გათავისუფლებულ ქალბატონთა დახმარების საზოგადოებისთვის თანხების შემკრებ აგენტად მუშაობდა[229]. მერი ენ შედ ქერი იყო მეორე აფროამერიკელი ქალი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო და ვისაც ხარისხი მიენიჭა[230].

---

[226]Deep Bottom- სამოქალაქო ომის დროს ამ სახელწოდების ორი ბრძოლა იყო: პირველი 1864 წლის ივლისში, მეორე - აგვისტოში.

[227] IverBernstein, *the New York City Draft Riots: Their Significance for American Society and Politics in the Age of the Civil War*, (New York: Oxford University Press, Oxford, 1990), 382.

[228]Clinton Cathrine, Silber Nina, *Battle Scars, Gender and Sexuality in the American Civil War*, (New York: Oxford University Press, 2006) 90.

[229]"Mary Ann Shadd Cary", last modified July 07, 2020, https://arthives.org/mary-ann-shadd-1823-1893-underground-railroad

[230]"Mary Ann Shadd Cary, last modified July 07, 2020https://www.biography.com/people/mary-ann-shadd-cary-214141

როგორც სამოქალაქო ომის ზევრი აფროამერიკელი ქალი, ქერიც მიეკუთვნებოდა მრავალწლიანი აქტივისტების ოჯახს, კერძოდ, შედებს (the Shadds). კანადაში ყოფნისას მან საკუთარი გაზეთის *The Provincial Freeman*[231] გამოცემა დაიწო, რომელიც მოიცავდა ყველა საკითხს, რაც აფროამერიკელთა დახმარებას, ინტეგრაციასა და ემიგრაციას ეხებოდა. ომის შემდეგ მან ჰოვარდის უნივერსიტეტში სამართალმცოდნის ხარისხი მოიპოვა, შემდეგ კი კოლუმბიის ოლქის საჯარო სკოლებში ასწავლიდა[232].

1870 წელს ქერიმ ერთგვარად გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის იურიდიული კომიტეტი, როდესაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მოთხოვნა წამოაყენა. საწადელის მიღწევის შემდეგ, იგი ერთ-ერთი იყო იმ რამდენიმე ადამიანს შორის, ვისაც ფედერალურ არჩევნებში მონაწილეობა შეეძლო მაშინ, როდესაც ქალებმა ხმის მიცემის უფლება მხოლოდ 1920 წელს მიიღეს. 1880 წელს თანასწორუფლებიანობისთვის საბრძოლველად მისივე დაარსებულია ფერადკანიან ქალთა სუფრაჟისტული ასოციაცია[233].

უილიამსი, რომელიც უილიამ ქეთეის (William Cathay) სახელითაა ცნობილი, არმიაში 1866 წლის 15 ნოემბრიდან ირიცხებოდა. მან მის დამქირავებელ ოფიცერს აცნობა, რომ 22 წლის მზარეული იყო. არმიის სერჟანტმა შეამოწმა ქეთეი და განაცხადა, რომ ახალმოსული აბსოლუტურად აკმაყოფილებდა მოთხოვნებს და სამსახურისთვის მზად იყო. ქეთეი პირველი ქალი იყო, რომელიც ოფიციალურად შეერთებული შტატების არმიაში ირიცხებოდა, თუმცა მამაკაცის სახელითა და გვარით, რადგან ქალის ყოფნა რეგულარულ არმიაში აკრძალული იყო. იგი შეერთებული შტატების 38-ე ქვეით ჯარში ირიცხებოდა[234].

---

[231] *The Provincial Freeman*მერიენშედ ქერისმიერდაარსებულიკანადურიყოველკვირეულიაბოლიციონისტურიგაზეთი, რომელიცგამოდიოდა 1853 წლიდან 1857 წლამდე.

[232] Jane Rhodes, *Mary Ann Shadd Cary: The Black Press and Protest in the Nineteenth Century* (Bloomington: Indiana University Press 1999) 56-58.

[233] Tricia Williams Jackson , *Women in Black History: Stories of Courage, Faith, and Resilience,* (Bunde: Revell; Illustrated edition, 2005) 88-89.

[234] Phillip Thomas Tucker, *Cathy Williams: From Slave to Female Buffalo Soldier* (Mechanicsburg: Stackpole Books, 2002), 22-25.

ქეთეის რამდენიმე დაავადება ჰქონდა. ერთ-ერთი იყოდიაბეტი.[235] რამდენიმე თითი ამპუტირებულიც კი ჰქონდა. ასევე, აღენიშნებოდა სმენის პრობლემა და აწუხებდა რევმატიზმი. თუმცა, როდესაც სამხედრო პენსიაზე განაცხადი შეიტანა, კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჯარისკაცებისთვის, მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.[236] ექიმმა გასინჯვის შედეგად დაადგინა, რომ იგი ვერ აკმაყოფილებდა ამ პენსიის გასაცემ კრიტერიუმებს[237].საინტერესოა, რომ მსგავსი შემთხვევისას, ქეთეისგან განსხვავებით, დებორა სემსონს[238] მოთხოვნა დაუკმაყოფილდა, რადგან მას გავლენიანი ნაცნობები ჰყავდა, რომლებიც ამ საქმისთვის ბრძოლაში დაეხმარნენ. თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დებორა სემსონი თეთრკანიანი ქალი იყო, რამაც, ვფიქრობ, გადამწყვეტი როლი შეასრულა ამ საკითხში. რასობრივი დისკრიმინაცია, აფროამერიკელების წვლილისა და მიღწევების მიუხედავად, მაინც გადამწყვეტი იყო.

ამგვარად, აფროამერიკელ ქალთა წვლილი სამოქალაქო ომში საკმაოდ ნიშანდობლივი და მნიშვნელოვანია. ზემოთ აღწერილი როგორც რასობრივი, ასევე გენდერული დისკრიმინაციის მაგალითები დამეხმარა, რათა წარმომეჩინა აფროამერიკელ ქალთა როლი სამოქალაქო ომში, არსებული პრობლემები, მათ მიერ გაწეული წვლილი, მიღწევები და გამოწვევები. ხაზი გავუსვი მხოლოდ იმ აფროამერიკელ ქალებს, რომლებმაც სამოქალაქო ომზეგარკვეული გავლენა მოახდინეს. საინტერესოა, ის ფაქტი, რომ ამ ქალების მოტივაციის მიზეზი იყო ერთი, ხოლო მიზნის მიღწევის ხერხი კი სხვადასხვაგვარი. მიზანი კი მდგომარეობდა შემდეგში:

- მონობისგან შეურაცხყოფილი და დამცირებული რასის დახსნა.
- დამტკიცება იმისა, რომ:

---

[235]“Cathay Williams (1850- )”, last modified. May 15, 2013, http://www.blackpast.org/?q=aaw/williams-cathay-1850
[236]“Cathay Williams”, last modified May 15, 2013. http://www.buffalosoldier.net/CathayWilliamsFemaleBuffaloSoldierWithDocuments.htm
[237]“Cathay Williams, AKA William Cathay, American Civil War soldier”, last modified July 07, 2018 http://www.amazingwomeninhistory.com/cathay-williams/
[238]დებორა სემსონი- მამაკაცის ტანისამოსში გადაცმული ქალი, რომელიც კონტინეტალურ არმიაში იბრძოდა (1775–1783)

1. აფროამერიკელ ქალებს ისეთივე გონებრივი შესაძლებლობები და უნარები აქვთ, როგორც თეთრკანიან ქალებს.
2. ქალებს არანაკლები თავდადება შეუძლიათ საკუთარი ქვეყნისთვის, ვიდრე კაცებს.
3. სამოქალაქო საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტერგრაცია.

კვლევა აერთიანებს სამოქალაქო ომისდროინდელ შეერთებულ შტატებში არსებულ ორ მწვავე - რასობრივ და გენდერულ - საკითხს.

კვლევის შედეგად,დავადგინე, რომ აფროამერიკელი ქალების სამოქალაქო ომში ჩართულობის სფერო გაიყო ორ ძირითად პოზიციად: მედდები და ჯაშუშები, რამაც მომცა ზუსტი სურათი, რომლის მეშვეობითაც შემიძლია დავასკნა, რომ ამ ქალების სტატუსი საზოგადოებაში მკვეთრად შეიცვალა. მონობის წიაღში დაბადებულმა ფერდაკანიანმა ქალებმა შეცვალეს ისტორიის, კერძოდ კი, სამოქალოქო ომის მოსალოდნელი შედეგი. ქალებმა, რომელთა პოტენციალი შეერთებულმა შტატებმა არ იცოდა, თავი მრავალმხრივ იჩინეს და საკუთარი შესაძლებლობები დაამტკიცეს. ვფიქრობ, მეტად დამაფიქრებელია, როდესაც ვიღებთ მსგავს შედეგებს, კეძოდ, **ყოფილი მონა გახდა:**

- სკოლის მასწავლებელი;
- კავშირის ქვეითი ჯარისა და საზღვაო ფლოტის მედდა;
- კავშირის ჯაშუში, მზვერავი, მედდა და სამხედრო მეთაური;
- იგი გამოსცემს მემუარებს;
- იცავს ქალთა უფლებებს;
- აფუძნებს საკუთარ გაზეთს;
- იღებსპენსიას სამხედრო სამსახურისთვის.

კლევის შედეგად, გამოვლინდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი - **ნდობის ფაქტორი** სამხედრო და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, კერძოდ, მცენარეებით მკურნალობის ნიჭი და აფროამერიკელი ქალისთვის საკუთარი ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობის მიცემა. ნდობის ფაქტორი და შეცვლილი სტატუსი ვლინდება სიუზი კინგ ტეილორის შემთხვევაშიც, ხოლო მოგვიანებით ბრედფორდ სთოუქსთან.

სტატუსის შეცვლის მეორე არგუმენტად შეიძლება მოვიყვანო სახელმწიფო პენსია, რომელიც განკუთვნილი იყო მათთვის, ვინც სამშობლოს ინტერესებს იცავდა.

ნდობის ფაქტორთან ერთად **იცვლება სტატუსი,** რაც აბსოლუტურად ბუნებრივ და კანონზომიერ მოვლენად მიმაჩნია. საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული ნდობა გამოვლინდა ბრედფორდ სთოუქის შემთხვევაში, რომელსაც უნიკალური შესაძლებლობა მიეცა ჯარისკაცების მორალური და ფიზიკური მხარდაჭერის გამოსახატად. ეს შემთხვევაც აფროამერიკელ ქალთა სტატუსის ამაღლებაზე მეტყველებს. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში მათი გონებრივი შესაძლებლობები ცალსახად აღიარებულია. სტატუსის შეცვლის ყველაზე თვალნათელი მაგალითი ჰარიეტ ტაბმენის გამოსახულების ოცდოლარიან ბანკნოტზე განთავსების იდეაა, ხოლო აფროამერიკული რასისა და წვლისის აღიარება სწორედ იმ ქმედებით გამოჩნდა, რომ კუპიურაზე მისი განთავსება აშშ-ს მეშვიდე პრეზიდენტის, ჰარვარდის სამართლის დოქტორის, ენდრიუ  ჯექსონის გვერდზე/ხარჯზე განიხილება. სამოქალაქო ომის კურსის ცვლილებამ და მიღებულმა შედეგმა ნაწილობრივ შეცვალა ამერიკული საზოგადოების დამოკიდებულება აფროამერიკული რასისადმი, აფროამერიკელი მონებისა და აფროამერიკელი ქალისადმი.

დამოკიდებულება შეიცვალა, როდესაც

ჰარიეტ ტაბმენმა:

- სამხრეთში 14-ჯერ შეპარვა მოახერხა და 300-მდე ადამიანი გაათავისუფლა
- დააკვალიანა და ზედამხედველობა გაუწია 70 მონას
- ასაკოვანი ადამიანებისთვის თავშესაფარი მიზერული თანხით გახსნა.

მერი ბოუზერმა:

- მოიპოვა კონფედერატების ყველა ის გეგმა და ინფორმაცია, თუ როგორ უნდა დასხმოდნენ თავს კავშირს (აქ შეიცვალა არამხოლოდ დამოკიდებულება, არამედ სამოქალაქო ომის კურსი).

სოჯორნერ თრუთმა:

- ტრანსპორტის (ტრამვაის) დესეგრეგაციის საკითხის წამოწევას შეუწყო ხელი

- დაუმეგობრდა მსოფლიოში წამყვან რეფომატორებს.
- დამოკიდებულება შეიცვალა, როდესაც:

მერილუვესტრემGospot Navy Yard-ში შეძლო შეღწევა დაკონფედერატებისგეგმების გაშიფვრა

- კეტრინ უინძორმა იხსნა კავშირის ხომალდი.
- მერი დაისონი, ლიზი ჰოფმანი და უილიამ კეთეი- მამაკაცად გადაცმულნი იბრძოდნენ.

ზემოხსენებულმა ფაქტებმა შეცვალა ისტორია, ისტორიამ კი, თავის მხრივ, შეცვალა ამერიკული საზოგადოების დამოკიდებულება შავკანიანთა რასისა და ქალისადმი აფროამერიკულ ჭრილში, რამაც, თავის მხრივ, მათი სტატუსიც შეცვალა.

ის, რაც ამ ქალებმა გააკეთეს, მეტად მნიშვნელოვანია არამხოლოდ იმიტომ, რომ ფერადკანიანებს იგივე ტრანსპორტით მგზავრობა შეძლებოდათ, არამედ იმიტომაც, რომ თეთრკანიან რასას გაეგო - ფერადკანიანებს ისეთივე უფლებები და ღირსება აქვთ, როგორც დანარჩენებს.

ჰარიეტ ტაბმენის, მერი ლუვესტრეს,სოჯორნერ თრუსის და მერი ბოუზერის შემთხვება მკაფიო მაგალითია იმისა, თუ რის შედეგად შეიცვალა დამოკიდებულება საზოგადოებამ აფროამერიკელი ქალის მიმართ, ხოლო ენ ბრედფორდ სტოუკი[239] და მერი ენ შედ ქერის[240] შემთხვევა საუკეთესო მაგალითია იმისა, რა ნაბიჯები გადმოდგა მთვარობამ ამ აფროამერიკელი ქალების საზოგადოების სრულუფლებიანი წევრების მიჩნევის კუთხით.

---

[239]ენ ბრედფორდ სტოუკი შედიოდა იმ მედდების ხუთეულში, რომლებიც მცურავ ჰოსპიტალ “U.S. Red Rover”-ზე მსახურობდნენ.

[240]მერი ენ შედ ქერიმ 1870 წელს მონაწილეობა მიიღო არჩევნებში, მაშინ, როდესაც ქალებმა ხმის მიცემის უფლება მხოლოდ 1920 წელს მიიღეს.

# თავი II.

# აფროამერიკელი ქალების როლი პირველ და მეორე მსოფლიო ომებში

## 2.1. აფროამერიკელი ქალების წვლილი პირველ მსოფლიო ომში

სამოქალაქო ომში გაწეული ღვაწლის შემდეგპირველი მსოფლიო ომი, აფროამერიკელი ქალებისთვის, შესაძლებელია „კიბის მომდევნო საფეხურად" ან შემდგომ პლატფორმად განვიხილო. თუკი, სამოქალაქო ომის დროს მთავარ საკითხად მონათმფლობელობის ინსტიტუტი ითვლებოდა, პირველი მსოფლიო ომის პერიოდი მისი ერთგვარი გაგრძელება იყო, რომელშიც მთავარი აქცენტები მონობიდან დახსნილი რასის არათანასწორუფლებიან არსებობაზე კეთდებოდა. ამ მწვავე რასიზმის პერიოდის მიუხედავად, აფროამერიკელი ქალები მაინც ცდილობდნენ, ქვეყნისთვის სასიკეთოდ, მონაწილეობა მიეღოთ ომებში, რომლებშიც შეერთებული შტატები იყო ჩაბმული, თუმცა სხვადასხვაგვარ სირთულეს აწყდებოდნენ. ბევრი მათგანი თითქმის გადაულახავიც კი იყო.

როდესაც 1619 წელს პირველი აფრიკელები ბრიტანეთის კოლონიაში, ჯეიმსთაუნში, ჩაიყვანეს, ფერადკანიანები მაშინვე მოექცნენ ამერიკელთა მონობის წნეხის ქვეშ, რაც შემდეგ სეგრეგაციისა და დისკრიმინაციის წნეხმა ჩაანაცვლა, რომელიც „ჯიმ ქროუსკანონებთან"[241] ასოცირდება.

1917 წელს შეერთებული შტატები პირველ მსოფლიო ომში ჩაება და აფროამერიკელებმა მასშტაბურად პატრიოტიზმი გამოავლინეს იმ იმედით, რომ მათ სრულყოფილ მოქალაქეებად აღიარებდნენ.[242] ომის გაჩაღების შემდეგ 20 000-ზე მეტი აფროამერიკელი ირიცხებოდა შეიარაღებული ძალებში. ფერადკანიანების რაოდენობა

---

[241] David K. Fremon, *the Jim Crow Laws and Racism in the United States*, (Berkeley Heights: Enlosw Pub Inc., 2014), 45.

[242] Nikki Brown, *Private Politics and Public Voices, Black Women's Activism from World War I to the New* Deal ( Bloomington and Indianopolis: Indiana University Press, 2006), 18-20.

გაიზარდა, როდესაც 1917 წლის მაისში მიიღეს კანონი სამხედრო ვალდებულების შესახებ (Selective Service Act)[243]. მისი გამოქვეყნების შემდეგ 700 000-ზე მეტი აფროამერიკელი დარეგისტრირდა მსურველთა რიგებში. თუმცა, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მათ გარკვეული შეზღუდვები ჰქონდათ და საზღვაო ფლოტში მხოლოდ შავ სამუშაოს ასრულებდნენ. ფერადკანიანებს შეიარაღებული ძალების ნებისმიერ დანაყოფში შეეძლოთ ემსახურათ, გამონაკლისს მხოლოდ ავიაცია წარმოადგენდა[244].

სახელმწიფომ შექმნა სეგრეგირებული ტრენინგ-ბანაკები. იმედგაცრუებულმა ფერადკანიანებმა გააპროტესტეს მსგავსი დისკრიმინაციული პრაქტიკის დანერგვა. მიუხედავად იმისა, რომ აიოვას შტატში მდებარე ფორტ დე-მოინი (Fort Des Moines)[245] ერთ-ერთი ყველაზე მეტად სეგრეგირებული ბანაკი გახდა, 1917 წლის ოქტომბერში 600-ზე მეტმა შავკანიანმა კაპიტნისა და ლეიტენანტის წოდება მოიპოვა[246].

პირველი მსოფლიო ომი აფროამერიკელებისთვის პატრიოტიზმის წარმოჩენის პირველ საუკეთესო საშუალებად იქცა, იმ საშუალებად, რომელიც მათ თეთრკანიან რასასთან გააიგივებდა და თანასწორ უფლებებს მიანიჭებდა. მათ მიეცათ რეალური შესაძლებლობა, ერისთვის ერთგულება დაემტკიცებინათ და პატრიოტიზმი გამოევლინათ. პატრიოტიზმის გამოვლენა ერთგვარი პლატფორმა, უნიკალური შანსი იყო, ეჩვენებინათ ქვეყნისთვის თავდადება, რაც, თავისთავად, ზემოხსენებული ტრამპლინის როლს შეასრულებდა, ზოგიერთი საკითხის მოგვარებით. თუმცა ფერადკანიანები პირველივე მცდელობისას უამრავ სირთულეს წააწყდნენ. ჩანაფიქრი არ გამართლდა. სამხედრო სისტემაში ნებისმიერი ხერხითა თუ სტატუსით შეღწევა, საბოლოო ჯამში, სეგრეგაციით სრულდებოდა. იმ დროს, როდესაც სახელმწიფოსთვის

---

[243] Selective Service Act- კანონპროექტი, რომელიც შეერთებული შტატების ფედერალურ სახელმწიფოს ნებას რთავდა, პირველი მსოფლიო ომის დროს, გაეზარდა შეიარაღებული ძალების რაოდენობა. კანონის მონახაზი 1916 წლის დეკემბერში შეიქმნა, ხოლო პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის ყურადღება 1917 თებერვალში მიიქცია, გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ. იგი გამოქვეყნდა გერმანიასთან ომის გამოცხადებისთანავე და გაუქმდა ომის დასასრულს 1918 წლის 11 ნოემბერს.

[244] Lettie Gavin, *American Women In World War I*, (Boulder: University Press of Colorado, 1997), 179.

[245] Fort Des Moines - 1843-1846 წლებში აიოვას შტატში შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების საგუშაგო ადგილი მდებარეობდა.

[246] Kimberly Jensen,*Mobilizing Minerva, American women in the First World War*, (Champaign: University of Illinois Press, 2008),79.

ხელსაყრელი იყო წვრთნებზე ორივე რასის წარმომადგენლისთვის თავი ერთად მოეყარა, ისინი სხვადასხვა ბანაკში იყვნენ გადანაწილებულნი. აშშ-ს პოლიტიკა აფროამერიკელებისადმი ხარჯის ზრდამაც ვერ შეაჩერა. იგი ჯიუტად ინარჩუნებდა რასობრივ დისტანციას.

აფროამერიკელ ჯარისკაცთა წვლილი აშშ-ს წინაშე განუზომელია. ისინი ეხმარებოდნენ ევროპელ თანამოაზრეებს. ის ფერადკანიანები, რომლებიც სხვადასხვა სამხედრო დანაყოფში მუშებად, მექანიკოსობად და მტვირთავებად მუშაობდნენ, პირველად საფრანგეთში 1917 წელს ჩავიდნენ, ხოლო 1918 წლის დასაწყისისთვის აფროამერიკელთა 369-ე ქვეითი ჯარი საფრანგეთის დასახმარებლად ჩავიდა. გერმანელებმა მათ „ჰარლემის ჯოჯოხეთის მებრძოლნი“[247] შეარქვეს, რადგან ზემოხსენებული ქვეითი ჯარის მებრძოლი არასდროს ჩავარდნილა ტყვედ.[248] 369-ე ბატალიონი იყო პირველი, რომელმაც მდ. რაინს მიაღწია და ყველაზე მეტი ხანი დაყო უცხოეთში. ისინი სანგრებში 191 დღის განმავლობაში იბრძოდნენ და მეისონ-ენ-შამპანზე (Maison-en-Champagn) თავგანწირვისთვის[249] სამხედრო ჯვრის მედალი[250] მიიღეს.

გამარჯვებაში წვლილის შეტანაზე, რა თქმა უნდა, არც ფერადკანიან ქალებს დაუხევიათ უკან. ისინი საომარ მოქმედებებში მონაწილეობას სხვადასხვა გზით აგრძელებდნენ, შექმნეს კიდეც ერთგვარი ხერხემალი აფროამერიკული პატრიოტული ქმედებების განსახორციელებლად. ფერადკანიანი ქალების ეროვნული ასოციაციის (NACW - National Association of Colored Women)[251] ეგიდით, მათ ჩაატარეს კამპანიები და მიტინგები, რათა ფერადკანიანებისგან შემდგარი ბატალიონებისთვის მატერიალური და

---

[247]Harris, Stephen L. *Harlem's Hell Fighters*: *The African-American 369th Infantry in World War I.* (Washington, DC: Brassey's, Inc., 2003), 77-89.

[248]Dorothy Schneider, Carl J.Schneider *Into the Breach, American Women Overseas In World War I*, (New York: Penguin Group, 1991)55-57.

[249]“African American patriotism During World War I”, last modified September 03, 2018https://history.delaware.gov/exhibits/online/WWI/African-Americans-ww1.shtml

[250]Croix de Guerre medal- დამსახურებული სამხედრო მედალი საფრანგეთში, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს, 1918 წელს პრეზიდენტმა რაიმონ პუანკარემ დააარსა.

[251]National Association of Colored Women (NACW)- ორგანიზაცია შეიქმნა 1896 წელს, რათა დაეცვა აფროამერიკელ ქალთა უფლებები, რომლის პირველი პრეზიდენტი იყო სუფრაჟისტი მერი ჩერჩ ტერელი.

ემოციური მხარდაჭერა გაეწიათ. ქალები ომის დროს სერვისის გაწევის ისეთ ორგანიზაციებს შეუერთდნენ, როგორიც არის მსოფლიოს ახალგაზრდა ქალთა ქრისტიანული ასოციაცია (YWCA)[252] და წითელი ჯვარი. ასევე, ისინი არ დასჯერდნენ მხოლოდ სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. მათ საკუთარიც დაარსეს - ნიუ იორკის ქალთა სათადარიგო მე-15 ეროვნული გვარდია (Women's Auxiliary of the New York 15th National Guard)[253].

წითელი ჯვარი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო ფერადკანიანი ქალებისთვის. ჩრდილოეთის ბევრ ქალაქში ისინი თეთრკანიან ქალებთან მხარდამხარ მუშაობდნენ, სანამ სამხრეთში ბევრი ქალი სეგრეგირებულ ერთეულში მსახურობდა, როგორიც იყო ბუკერ ტ. ვოშინგტონის განყოფილება (Booker T. Washington Branch) ტამპაში, ფლორიდა. 1918 წლამდე ეროვნული სერვისიდან გარიყულები, ფერადკანიანი ქალები, მსახურობდნენ ფერადკანიანებისთვის გამოყოფილ ექვს საავადმყოფოში, რომელიც ამერიკულმა წითელმა ჯვარმა დაარეგისტრირა. ჯამში, წითელი ჯვრის ფრთის ეგიდით, 38000 შავკანიანი მედდა მსახურობდა. ზავის დადებამდე რამდენიმე აფროამერიკელი მედდა ოკეანეს მიღმა გაიწვიეს, რამაც საბოლოოდ კარგი შედეგი გამოიღო: აშშ-ს საზღვრებს მიღმა 300 მედდა მსახურობდა.[254]

ამასთან, სამხედრო ისტორიაში პირველად, აფროამერიკელმა ქალებმა შექმნეს ოფიციალური ორგანიზაცია, სადაც მათ ლიდერობა მოიპოვეს და საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა შეძლეს. ეს იყო „უმაღლესდამთავრებულიფერადკანიანიმედდების ეროვნული ასოციაცია“, რომელიც 1909 წელს დაარსდა. 1917 წელს წითელი ჯვრის თანადამფუძნებლებმა დაარწმუნეს ფერადკანიანი მედდები გაწევრიანებულიყვნენ წითელ ჯვარში, თუმცა ისინი მხოლოდ ომის დამთავრებამდე 2 თვით ადრე, 1918 წლის ნოემბერში მიიღეს. აფროამერიკელი

---

[252]YWCA - The World Young Women's Christian Association (World YWCA) - მსოფლიოს ახალგაზრდა ქალთა ქრისტიანული ასოციაცია, რომელიც 1855 წელს დაარსდა. იგი მიზნად ისახავს ქალების უფლებების განმტკიცებასა და ლიდერის უნარ-ჩვევებისგამომუშავებას. ორგანიზაციაში სხვადასხვა ასაკის, რწმენისა და წარმომავლობის ქალი ირიცხებოდა. ამჟამად YWCA-ს ოფისი ჟენევაში მდებარეობს.

[253]“African Americans and World War I”, last modified September 05, 2018,http://exhibitions.nypl.org/africanaage/essay-world-war-i.html, 05/09/2018

[254]“African Americans in WWI”.

ქალები ჭრილობებს ამუშავებდნენ და უხვევდნენ. მათ გადაიბარეს ის საქმიანობა, რასაც აქამდე კაცები აკეთებდნენ. ისინი მუშაობდნენ, როგორც საავადმყოფოებში, ასევე პოლიგონსა და საქველმოქმედო ორგანიზაციებში, როგორც წინა ომებში.[255]

პირველმა მსოფლიო ომმა ფერადკანიან ქალებს შორის პოლიტიკური აქტივიზმისადმი ინტერესი გააღვივა. იმ ქალების მზარდი რაოდენობისთვის, რომლებიც სახლის გარეთ მუშაობდნენ, ომმა ახალი შესაძლებლობები შექმნა, რათა ერთად მოეყარათ თავი, ემსჯელათ, ესაუბრათ და მოეთხოვათ ანაზღაურების ზრდა და თანაბარი სამუშაო პირობები[256].

როგორც ზემოთ ვახსენე, აფროამერიკელთა უმეტესობა ომში ხედავდა პატრიოტიზმის დემონსტრირებისა და მათი თანასწორუფლებიან მოქალაქეებად ქცევის შესაძლებლობას. ფერადკანიან პოლიტიკურ ლიდერებს სჯეროდათ, რომ თუკი აფროამერიკული რასა მსხვერპლზე წავიდოდა, აშშ-ს არ ექნებოდა სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ მიეცა მათთვის სამოქალაქო უფლებები. „ფერადკანიანი ხალხი პატრიოტია“, - იუწყებოდა *The Richmond Planet*-ი, - „ნუ გვაიძულებთ უპატივცემულოდ მოვეპყრათ დროშას“[257]. ფერადკანიანი კაცებისა და ქალების უმეტესობა პირველ მსოფლიო ომს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობით უდგებოდა. შეარაღებულ ძალებში 370 000 შავკანიანი მამაკაცი ირიცხებოდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს, ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობა ხელმისაწვდომი გახდა. ეს იმ დროს ხდებოდა, როდესაც აუცილებელი იყო კაცების ქალებით ჩანაცვლება, რათა მამრობითი სქესის წარმომადგენლებს შეძლებოდათსამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა. ფერადკანიანები სწორ დროს, სწორ

[255]Bernard A. Cook, *Women and War*, (Santa Barbara: ABC CLIO, 2006), 488.

[256] “Barbara Jean Steinson,Dissertation, *Female Activism In World War I: The American Women's Peace, Suffrage, Preparedness, and Relief Movements* (University of Michigan, 1977), 15-19.

[257]„რიჩმონდ პლანეტმა“პირველინომერიგამოქვეყნდა 1882 წელს. იგი ცამეტმაყოფილმა რიჩმონდელმა მონამ დააარსა. გაზეთის პირველი რედაქტორი ედმუნდრანდოლფია. ორიწლისშემდეგ, 21 წლისჯონმიტჩელ უმცროსმარანდოლფის საქმიანობა გადაიბარადამომდევნო 45 წლისგანმავლობაშირედაქტორადმუშაობდა (1929 წლამდე). გაზეთი მიმოიხილავდაადგილობრივ, ეროვნულ დასაერთაშორისოახალამბებებს, განსაკუთრებითფოკუსირებული იყოსეგრეგაციაზე,კუ-კლუქს-კლანზე, ხმის მიცემის უფლებასადალინჩით გასამართლების წესზე.

ადგილას აღმოჩნდნენ და ყველა მოთხოვნას უპასუხეს. მათ დატოვეს სახლები და საშინაო საქმეები.

რაც უფრო იძაბებოდა ვითარება ფრონტის ხაზზე, მით მეტად იზრდებოდა მოთხოვნა ფერადკანიანი მედდების დასაქმებასთან დაკავშირებით. შეერთებული შტატების წითელი ჯვრის 18 შავკანიანი მედდა იყო წარმოდგენილი სახმელეთო ჯარის მედდების სამსახურში (Army Nurse Corps)[258] ილინოისში, კემპ გრანტში (Camp Grant)[259] და კემპ შერმანის (Camp Sherman)[260] ტერიტორიაზე, ოჰაიოში. ისინი ზრუნავდნენ გერმანელ ტყვეებსა და ფერადკანიან ჯარისკაცებზე. 1919 წლის აგვისტომდე ყველა ფერადკანიანი მედდა გათავისუფლებული იყო სამსახურიდან[261].

საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად, საჭიროდ ჩავთვალე აშშ-ს შეიარაღებული ძალების წინაშერამდენიმე შავკანიანი ქალის სამხედრო წვლილის განხილვა. არჩევანი მათ მიერ გაწეული შრომის მიხედვით გავაკეთე.

ერთ-ერთი მედდა **ელენ კოულ სტიუარტი** წერდა:„პირველი მსოფლიო ომის დროს არაფერია შთამბეჭდავი ზანგი მედდების ისტორიაში. ჩვენ მაშინ ჩამოვედით, როდესაც საომარი მოქმედებები უკვე დასრულებული იყო, ხოლო ჯარი - ფსიქოლოგიურად გატეხილი. ასე რომ, არც კი გვქონია შესაძლებლობა „გაგვეკეთებინა ყველაფერი, რაც შეგვეძლო“, მაგრამ თითოეულმა ჩვენთაგანმა წვლილი უხმაუროდ შეიტანა. ის იდეა გვასაზრდოებდა, რომ სამართალი ყველა კვალიფიციური მედდისგან ითხოვს პროფესიულ მიუკერძოებლობას“[262].

---

[258]Army Nurse Corps - ფორმალურად შეერთებული შტატების კონგრესმა 1901 წელს დააარსა. იგი შედის სპეციალური სამედიცინო ოფიცრების ჯგუფის ექვსეულში, რომელიც მედიკოს ჯარისკაცებთან ერთად ჯარის სამედიცინო დეპარტამენტს შეადგენს.

[259]Camp Grant - შეერთებული შტატების შეარაღებული ძალების საგუშაგო, როკფორდიდან სამხრეთით (ილინოისი). მას სახელი ამერიკის სამოქალაქო ომის გენერლის ულის გრანტის პატივსაცემად დაერქვა. პირველი მსოფლიო ომის დროს კემპ გრანტი მოიცავდა 5600 აკრს, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს 3200-ს. იგი მოქმედებდა 1917-დან 1946 წლამდე.

[260]Camp Sherman - ოჰაიოს შტატის ეროვნული გვარდიის საწვრთნელი ბაზა. იგი 1917 წელს დაარსდა, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები პირველ მსოფლიო ომში ჩაება. 2009 წლიდან კემპ შერმანმა სახელი შეიცვალა. ახლა მას კემპ შერმანის ერთობლივი საწვრთნელი ცენტრი ეწოდება.

[261] Marble Sanders“African-American Medical Personnel in the US Army in the First World War”, *Journal of the National Medical Association,(2018):* 29-30, accessed January 16, 2019, https://doi.org/10.1016/j.jnma.2017.10.004

[262]“Brief history of black women in the military, WWI”, last modified October 10, 22, 2018.https://www.womensmemorial.org/history-of-black-women

კოული საკმაოდ გულწრფელად გადმოსცემს იმ ვითარებას, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს სუფევდა. იგი არ ცდილობს აფროამერიკელთა ღვაწლის იმაზე მეტად წარმოჩენას, ვიდრე მათ ამის საშუალება ვითარებამ მისცა.

ელენ კოულმა დაამთვრავაშინგტონის თავისუფალ ადამიანთა საჰოსპიტალო სკოლა მედდებისთვის;თავს პიონერად მიიჩნევდა. მან მედდის სერთიფიკატი 1917 წელს აიღო, სამწლიანი სწავლის შედეგად. როგორც არმიის მედდათა კორპუსის ერთ-ერთ პირველი შავკანიანი მედდა, იგი ყოველთვის ენთუზიაზმით მსახურობდა.

მოტივაცია: მას სურდა საკუთარი დამოკიდებულებისა და თავგანწირვის ჩვენება, თუმცა იმ მომენტისთვის გარემო პირობებმა ამის შესაძლებლობა არ მისცა. ელენს სურდა დაემტკიცებინა, რომ ისინიც ამერიკელები იყვნენ. როგორც უკვე აღვნიშნე, პირველი მსოფლიო ომი ერთგვარი შესაძლებლობა იყო ფერადკანიანებისთვის საფეხურით მაღლა ასასვლელად, ხმის ასამაღლებლად და თავის დასამკვიდრებლად.

მიზანი: კონფლიქტის დასრულების შემდეგ კოულს, რომელსაც მთელი ამ დროის განმავლობაში თანასწორობაზე ესაუბრებოდნენ, დანარჩენი ომში ჩართული აფროამერიკელების მსგავსად, საკუთარი ადგილის პოვნა სურდა საზოგადოებაში. საკმაოდ ლოგიკური აღმოჩნდა შეერთებული შტატების სამხედრო სისტემის ე.წ. ფიდბექი, რომელმაც კონკრეტული ქეისისთვის პირობითად ორი ყუთი გამოყო - პრაქტიკული და არაპრაქტიკული. აფროამერიკელთა შემდგომი დასაქმება, რაც, შესაბამისად, მათი ღვაწლის აღიარებას მოითხოვდა, უკანასკნელში გადამისამართდა, რაც ქვემოთ მოცემული მაგალითით დასტურდება.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ფერადკანიანი მედდებისთვის მუდმივი სამუშაო ადგილის მოთხოვნა გრძელდებოდა. გენერალი ს.რ.დარნელი (C.R. Darnell)[263], არმიის სამედიცინო კორპუსის აღმასრულებელი ოფიცერი წერდა: „ფერადკანიანი მედდების დასაქმების საკითხი ოფისის მხრიდან სერიოზულ გადახედვას საჭიროებდა; ამ ყოველივეს იწვევდა მათი გადამისამართების აუცილებლობა, როგორც შეერთებული შტატების სხვადასხვა რეგიონში, ასევე ოკეანის გაღმა. მათი დასაქმება მშვიდობიან

[263] კარლ როჯერს დარნელი- გენერალი, ქირურგი, რომელსაც სასმელი წყლის ქლორირების საკითხი მიეწერება. ეს იყო ჯანდაცვის სფეროში გაკეთებული მნიშვნელოვანი აღმოჩენა.

დროს არაპრაქტიკული იყო. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, თუკი სამხედრო სამსახური ამ საკითხს არაპრაქტიკულიდან პრაქტიკულად აქცევს, ფერადკანიანი მედდების დაქირავების შემთხვევაში, მას ზედამხედველობა დააკლდება“[264].

პრობლემა: როგორც შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა, ეს სურვილი ცალმხრივი აღმოჩნდა. შეერთებული შტატების სამხედრო სისტემა მათ დახმარებას მხოლოდ გამოუვალ ვითარებაში კისრულობდა, ხოლო კონფლიქტის განეიტრალების შემდეგ, აფროამერიკელები ისევ მეორეხარისხოვნად რჩებოდნენ, ერთგვარ „ქვემოქალაქეებად“ ითვლებოდნენ.

მიღწევა: ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, მიღწევად და, ასევე, მისი ღვაწლის დასაფასებლად შემიძლია ჩავთვალო შემდეგი:

- აფროამერიკელი მედდისსაჭიროება ნათლად გამოიკვეთა, როდესაც 1918 წლის ოქტომბერში კოულსა და კიდევ ორ სხვა მედდას სთხოვეს დახმარებოდნენ წითელ ჯვარს, რათა შეემოწმებინათ დასავლეთ ვირჯინიაში მაღაროელთა შორის გავრცელებული ესპანური გრიპის პანდემია. ეს კი იმან გამოიწვია, რომ ამერიკელი ჯარისკაცების საფრანგეთში ტრანსპორტირებისთვის დიდი რაოდენობით ნახშირი იყო საჭირო.
- მედდებს ჩარლსტონის მერი შეხვდა, რომელმაც განაცხადა, რომ ომის შედეგი დამოკიდებული იყო მაღაროელებსა და წითელი ჯვრის მედდებზე.
- კოული გაგზავნეს ბრეცში (დასავლეთ ვირჯინია), სადაც იგი დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას. იგი რეგულარულად სტუმრობდა 20 სახლს, ზომავდა ტემპერატურასა და გასცემდა მედიკამენტებს.
- საომარი მოქმედებების დასრულებამდე, 1918 წლის ნოემბერში, მან აგრეთვე ხელი შეუწყო მოძრავი ჰოსპიტალის შექმნას.
- 1918 წელს მიიღო წერილი წითელი ჯვრის მოძრავი ჰოსპიტალის დირექტორისგან, რომლის თანახმადაც, მას ჰქონდა უფლება ემსახურა შეერთებული შტატების ჯარში.

[264] „The Women's Memorial, Brief History of Black Women in the Military".

შავკანიანი ქალები მსახურობდნენ სხვადასხვა ადგილას. ოთხი შავკანიანი ქალი 3480 მოხალისეთა შორის მსახურობდა, რომლებიც ოკეანის გაღმა მყოფ ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს უვლიდნენ[265].

სტატუსის ცვლილება:1956 წელს, როდესაც უკვე არამხოლოდ პირველი, არამედ მეორე მსოფლიო ომიც 10 წლის დასრულებული იყო, კოულმა მუშაობა სიეტლის შვედური საავადმყოფოს ზოგადი მოვალეობების შემსრულებელ მედდად დაიწყო. ელენ კოულმა შეძლო სამხედრო სისტემაში ღვაწლის შეტანით სამოქალაქო საზოგადოებაში თავის დამკვიდრება, საკუთარი რასის ღირსების დაცვა და მისი ძლიერი მხარეების წარმოჩენა. 68 წლის ასაკში, მან მიიღო ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერების ბაკალავრის ხარისხი საჯარო ჯანდაცვაში, საფერშლოს განხრით[266], რაც ადასტურებს მის სრულ ადაპტაციას ამერიკულ საზოგადოებასთან და საზოგადოების დამოკიდებულებასა და განწყობას აფროამერიკული რასისა და აფრომერიკელი ქალისადმი.

1918 წლის 2 აგვისტოს არმელდა გრინი(Armelda Greene) გახდა პირველი აფროამერიკელი ქალი, რომელიც ირიცხებოდა შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში. არმელდაგრინი ჯექსონის საჯარო სკოლის მასწავლებელი იყო. შემდეგ იგი სამოქალაქო სამსახურში მოხელედ მუშაობდა, რაც ამერიკელი ქალისთვის ახალი თანამდებობა იყო. ახალი თანამდებობები კი პირველ მსოფლიო ომში ამერიკის ჩართვამ წარმოქმნა.[267]

საზღვაო ძალების მდივანმა დენიელსმა გადაწყვიტა სასწრაფოდ გაეზარდა საზღვაო ძალებში მოსამსახურეთა კონტიგენტი, როდესაც ნათელი გახდა, რომ ამერიკა ამ ომში ნეიტრალური ვერ დარჩებოდა. იმისათვის, რომ მამაკაცთა არყოფნით გამოწვეული ე.წ. „გეფი“ შეევსოთ, გადაწყვიტეს, რომ ქალებისთვის გზა გაეხსნათ.

---

[265]Jensen,*Mobilizing Minerva*,88.

[266] “Black pioneer of the Army Nursing Corps”, last modified October 05, 2018 https://www.army.mil/article/34605/aileen_cole_stewart_black_pioneer_of_the_army_nursing_corps

[267]“The First of the “Golden Fourteen”: Yeoman 2/C Armelda Hattie Greene, USNR (F)“. last modified December 14, 2020, https://presumptionandfolly.wordpress.com/2018/08/12/the-first-of-the-golden-fourteen-yeoman-f-2-c-armelda-hattie-greene/

დანიელსმა გადაწყვიტა ქალებისთვის ნება დაერთო ემსახურათ საზღვაო ძალების სანაპირო ზოლში, რომელიც მამაკაცებმა დატოვეს, რათა ზღვაში გასულიყვნენ. ქალთა უმრავლესობა ირიცხებოდა yeomen[268]-ებად, იგივე შეერთებული შტატების საზღვაო ძალების ადმინისტრაციულ და სამოხელეო პერსონალად, მათ შორის, მბეჭდავებად, სტენოგრაფისტებად. ომის დასრულებამდე საზღვაო ძალებში12 000 ქალი მსახურობდა, მათგან მხოლოდ 14 იყო ფერადკანიანი[269].

ჩრდილოეთ კაროლინელი გაზეთის რედაქტორი დანიელსი სუპრემასისტი[270] იყო, რომელსაც სულაც არ უნდოდა შავკანიანი ქალების საზღვაო ძალებში ჩართვა. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ფერადკანიანი ქალები საზღვაო ძალებში ამერიკული რევოლუციის დროიდან 1917 წლამდე მსახურობდნენ, რადგან ჯიმ ქროუს დაუწერელმა კანონებმა შესამჩნევად შეზღუდა მათი რაოდენობა. მათი საქმიანობა ძირითადად მზარეულის პოზიციით შემოიფარგლებოდა[271].

ვფიქრობ, საინტერესო იქნება არმელდა გრინის შემთხვევის განხილვა. გრინს ჰყავდა თეთრკანიანი წინაპრები. შესაბამისად, ვიზუალურად იმის გამოცნობა, თუ რომელი რასის წარმომადგენელი იყო ზემოხსენებული ქალბატონი, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

პრობლემა: რასა. მისმა ღია ფერის კანმა და სახის ნაკვთებმა შეცდომაში შეიყვანა პერსონალი. მათ გადაწყვიტეს, რომ არმელა გრინი თეთრკანიანთა რასას მიეკუთვნებოდა. ამის შემდეგ, მისმა სიძემ ჯონ ტემპლ რიშერმა[272] იგი საავიაციო

---

[268]პირველი მსოფლიო ომის დროს საზღვაო ძალების რეზერვის მოსამსახურე. პირველი იომენელი იყო ლორეტა პერფექტუს ვოლში. ქალებს, რომებიც საზღვაო ძალებში მსახურობდნენ "yeomanettes“-სა და "yeowomen"-ს ეძახდნენ. თუმცა, ოფიციალურად მაინც “Yeoman”-ებად მოიხსენიებდნენ.

[269]“Yeomanettes” Paved the Way for Women of All Navy Ratings Today”, last modified December 14 2018, https://www.worldwar1centennial.org/index.php/communicate/press-media/wwi-centennial-news/6066-yeomanettes-paved-the-way-for-women-of-all-navy-ratings-today.html

[270]სუპრემასიზმი - იდეოლოგია, რომელიც მიიჩნევს, რომ  ერთი სოციალური კლასი მეორეზე გარკვეულ უპირატესობას ფლობს.

[271] “Yeomanettes” Paved the Way for Women of All Navy Ratings Today”.

[272]ჯონ ტემპლ რიშერისაავიაციო ძალების ღამის დარაჯად მუშაობდა. თავისი განათლებისა და კარგი მენეჯერული უნარების გამო, იგი მალე დაწინაურდა და კლერკის პოზიციაზე დაინიშნა, შემდეგ ნავიგაციის ბიუროში სამხედრო ოფისის უფროსად დანიშნეს. ოფისი პასუხისმგებელი იყო მოსამსახურეთა აღრიცხვაზე, გაცდენებსა და დასწრებაზე.

დეპარტამენტიდან ადმინისტრაციულ ოფისში გადაიყვანა.[273]კიდევ ორი თვის განმავლობაში რიშერი ცდილობდა თავისი გავლენის გამოყენებას და რაც შეიძლება მეტი აფროამერიკელი ქალის გაწევრიანებას საზღვაო ძალებში. იგი მიზეზად ომის პერიოდს ასახელებდა. მისმა მცდელობებმა შედეგი გამოიღო და მან შეძლო საზღვაო ძალებში კიდევ 13 ფერადკანიანი ქალის გაწევრიანება. ყველა მათგანი სამხედრო ოფისში მსახურობდა.[274]

მიღწევა: არმელდა გრინის ღვაწლი საზღვაო ძალებში გამორჩეულია. იგი მიიღეს იომენის მეოთხე კლასის ლენდსმენად[275]. ეს პოზიცია უტოლდება დღევანდელ შტატგარეშე მეზღვაურს. მან მიიღო 4.0-დან 4.0 ქულა პროფესიონალიზმისთვის. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შედეგად დაწინაურდა და მესამე კლასის იომენის წოდება მიიღო (E-4). იგი წვრთვნიდა და ხელმძღვანელობდა დანარჩენებს, რის შედეგადაც ისევ დაწინაურდა და მეორე კლასის იომენელის წოდება მიიღო (E-5).[276]

წვლილი/შედეგი: პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, 1918 წლის ნოემბრის ზავის შემდეგ, შეიარაღებული ძალების მედდათა კორპუსმა 18 აფროამერიკელი ქალი მედდა საავადმყოფოებში დაასაქმა.

ამგვარად, გრინმა კარი გაუღო აფროამერიკელ ქალთა დასაქმებას აშშ-ს შეარაღებულ ძალებში.

ომის შემდეგ საზღვაო ძალებმა გამოაცხადა, რომ 1919 წლისთვის ქალებს უნდა დაეტოვებინათ სამხედრო-საზღვაო ფლოტი, თუმცა ყველა მათგანმა მიიღო პირველი მსოფლიო ომის გამარჯვების მედალი. თავდაპირველად, მხოლოდ „ოქროს

---

[273]“The First of the “Golden Fourteen”: Yeoman 2/C Armelda Hattie Greene, USNR (F)“, last modified January 11, 2018, https://presumptionandfolly.wordpress.com/2018/08/12/the-first-of-the-golden-fourteen-yeoman-f-2-c-armelda-hattie-greene/

[274]“The First of the “Golden Fourteen”: Yeoman 2/C Armelda Hattie Greene, USNR (F)“.

[275]ყველაზე დაბალი სამხედრო წოდება, რომელსაც შეერთებული შტატების საზღვაო ძალები ანიჭებს მცირე ან ნულოვანი გამოცდილების მქონე ახალწვეულს.

[276]“Pioneering African American Nurses”, last modified February 11, 2018. http://nmaahc.tumblr.com/post/72086729444/five-you-should-know-pioneering-african-american

თოთხმეტი“[277]იყო ცნობილი. შემდეგ საზღვაო ფლოტმა 1939 წელს დამატებით 10-15 აფროამერიკელი ქალის დამატება მოითხოვა[278].

ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჟურნალისტ ელის დანბარ ნელსონის ცნობით, სინამდვილეში ბევრად მეტი აფროამერიკელი მედდა მუშაობდა საავადმყოფოებში, ვიდრე დასტურდება.[279]

საინტერესოა, ასევე, კიდევ ორი ფერადკანიანი ქალის წვლილი პირველმსოფლიო ომში, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებს საფრანგეთის მიწაზე წარმოადგენდნენ.

ედი ჰანტონი (Addie Hunton) და კეტრინ ჯონსონი (Kathryn Johnson) აფრიკული წარმომავლობის ის ამერიკელები არიან, რომლებიც პირველ მსოფლიო ომში ოკეანის მიღმა ყველაზე დიდხანს ემსახურნენ სამშობლოს[280].

ედი ჰანტონიდაიბადა ნორფოლკში 1866 წელს. იგი პანაფრიკული მოძრაობის განვითარების საკითხში ცენტრალური ფიგურა იყო.დაამთავრა ბოსტონის ლათინური სკოლა. 1889 წელს გახდა პირველი აფროამერიკელი ქალი, რომელმაც ფილადელფიაში სპენსერების კომერციის კოლეჯი[281] დაამთავრა. მეოცე საუკუნის ერთ-ერთი პირველი სოციალური მუშაკი იყო, ასევე, საფრანგეთში გაგზავნილი ექსპედიციის წევრი.

მისმა საქმიანობამ, რომელიც თან გამოირჩეოდა, თან ჰგავდა სხვა სოციალურ მუშაკ ქალთა ღვაწლს, თუნდაც ჯეინ ადამსისა და ჯენეტ რენკინისას, სოციალურ სერვისსა და მშვიდობას შორის დიალექტიკა წარმოაჩინა, რომელიც ამტკიცებდა, რომ გლობალური მშვიდობა ვერ იარსებებს „სწორი ლოკალური ურთიერთობების“ გარეშე. ეს არის ღირსება, თანასწორუფლებიანობა, საყოველთაო კეთილდღეობა[282]. 1906-1910 წლებში

---

[277]ამ სახელით მოიხსენიებდნენ პირველ 14 აფროამერიკელ ქალს, რომელიც საზღვაო ფლოტში მსახურობდა.

[278] Lettie, American Women In World War I, 220.

[279]“African American patriotism During World War I”.

[280]Addie W. Hunton, Kathryn M. Johnson, *Two Colored Women in France in World War I* (Independently published 2016), 2.

[281]Spencerian Commercial School- დაფუძნდა 1892 წელს, ლუისვილში, კენტუკის შტატში. იგი კერძო კომერციულ ორგანიზაციას წარმოადგენს. იგი ამჟამად სულივანის უნივერსიტეტის სისტემაში შედის.

[282]Susan Chandler,“Hunton and the Construction of an African American Female Peace Perspective” *Sage Journals, (2005): 275, accessed October 10, 2018,* http://journals.sagepub.com/doi/10.1177/0886109905277615

ედი ჰანტონი ფერადკანიან ქალთა ეროვნულ ასოციაციაში  პერსონალის უფროსად მუშაობდა.

პრობლემა:სამშვიდობო პროცესების სწორად წარმართვა და რასობრივი სამართლიანობის აღდგენა.

მიზანი: ომი, როგორც პლატფორმა - ომში დიდი გამოცდილების მოპოვების შემდეგ, ჰანტონმა გადაწყვიტა ცხოვრება სამშვიდობო პროცესებისთვის და რასობრივი სამართლიანობის აღდგენისთვის მიეძღვნა.

შედეგი: კონსტიტუციაში მე-19 შესწორების რატიფიცირებისას, ჰანტონი ქალთა საარჩევნო უფლებების დამცველი იყო, რომელმაც ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიანიჭა. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს უფლება ფერადკანიანებსაც მიეღოთ.

აშშ-ს პირველ მსოფლიო ომში ჩართულობის ბოლო პერიოდში ჰანტონი ქეთრინ ჯონსონთან ერთად მსახურობდა ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციაში (YMCA), პარიზში, სადაც იგი აფროამერიკელ ჯარისკაცებსმხარში ედგა.

იმისათვის, რომ მათი ღვაწლი ისტორიაში ზუსტად ასახულიყო, ჰანტონმა და ჯონსონმა 1920 წელს გამოსცეს წიგნი, რომელიც საფრანგეთში მათ დაკვირვებებსა და გამოცდილებას ეფუძნებოდა. წიგნის სახელწოდება იყო „ორი ფერადკანიანი ქალი ამერიკის ექსპედიციურ ძალებში“[283].  ეს იყო ერთგვარი ნივთმტკიცება და გზავნილი ამერიკისა და მსოფლიოსთვის, თუ რა სახის სირთულეები გამოიარა ამ ორმა ქალბატონმა, რა სტრატეგიით მოქმედებდა და რა შედეგებს მიაღწია.

წითელი ჯვრის შემდეგ ყველაზე აქტიური ორგანიზაცია, რომელთანაც ომში ჩართული ჯგუფები თანამშრომლობდნენ ახალგაზრდებილის ქრისტიანული ასოციაცია -YMCA(Young Men's Christian Association) იყო. YMCA-ს აშშ-ს ფილიალი 1851 წელს გაიხსნა. გენერალმა პერშინგმა აღნიშნა, რომ YMCA-მ საზღვარგარეთ სოციალური სამუშაოს 90 პროცენტი ჩაატარა. პირველად ქალები ამ ორგანიზაციაში 1917 წელს გაწევრიანდნენ. ქალთა დახმარება გამოიხატებოდა სამზარეულოებსა და სასადილოებში

[283]"Addie Waites Hunton: Pan-African leader, Workers World", last modified September 25, 2018https://www.workers.org/2017/03/25/addie-waites-hunton-pan-african/

მუშაობით.[284] შემდეგ მეტად საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა, გარკვეულწილად, მათი დაფინანსება დაიწყო. ისინი „შემგებლებებად“ (welcomers) და მდივნებად მუშაობდნენ. საჭიროებამ მოითხვა, რომ მათ საკუთარი შრომის არეალი გაეფართოებინათ: დახმარებოდნენ ბრძოლის ველზე დაზარალებულებს.[285] (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. **წითელ ჯვარში დასაქმებულ აფროამერიკელ ქალთარაოდენობა და სამუშაო პოზიცია.**

| ორგანიზაცია | რასა | სქესი | პოზიცია | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| წითელი ჯვარი | აფროამერიკული | მდედრობითი | მედდა (შინ) | 38 000 |
| წითელი ჯვარი | აფროამერიკული | მდედრობითი | მედდა (საზღვრებს მიღმა) | 300 |

ასევე, საინტერესოა, YWCA-ს როლი ქალთა დასაქმების საქმეში. ზემოხსენებული ორგანიზაციის საქმიანობაში შედიოდა სახლების დალაგება და სოციალური საქმიანობა. ომის პერიოდის ქალთა აქტივობებმა, როგორც მამაკაცებს, ასევე, თავად ქალებსაც საკუთარი შესაძლებლობები აჩვენა. აღმოჩნდა, რომ ქალებს ბევრად მეტი შეეძლოთ, ვიდრე სამზარეულოში გაწეული ღვაწლია[286].

აღსანიშნავია ომის წლებში ნეშვილის აფროამერიკელი ქალების საქმიანობა. ისინი ენთუზიაზმითა და დიდი ინტერესით ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. ისინი მონაწილეობდნენ ყველა ღონისძიებაში, რომელსაც ქალთა

---

[284]Jessie Carney S, *Notable Black American Women, Book 2,* ( Farmington Hills Gale / Cengage Learning; annotated edition, 1995), 526-523.

[285] Beverly Greene Bond, Sarah Wilkerson Freeman, *Tennessee Women: Their Lives and Times--Volume 2*(Athens: University of Gerogia Press 2009), 323.

[286]Deborah Mcconel “Davidson County Women in WWI”, last modified October 15, 2018. http://www.tngenweb.org/worldwar1/davidsonCoWomen.htm, 15/10/2018

კომიტეტი აფინანსებდა. აფროამერიკელ ქალთა მეთოთხმეტე პალატამ დავალებების ხარისხიანად შესრულებისთვის მედალიც კი მიიღო. მათი ჩართულობა (შეერთებული შტატების სამი დიდი უნივერსიტეტიდან: ფისკი, მეჰარი, როჯერ უილიამსი) დაეხმარა დევიდსონელ აფროამერიკელ ქალებს შტატში ყველაზე აქტიური ქალების სახელი მოეპოვებინათ. ნეშვილს ჰქონდა YMCA-ს „ფერადკანიანთა ფილიალები": კარნეგის ბიბლიოთეკა, წითელი ჯვარი[287].

*The Nashville Globe*-მა[288] 1917 წლის 18 მაისს დაწერა, რომ საქალაქო ფედერაციის ფერადკანიან ქალთა კლუბმა მისწერა პრეზიდენტ ვილსონს: „ჩვენ გულწრფელად ვლოცულობთ თქვენთვის. შეგიძლიათ ყველაფერში მოგვიაზროთ თქვენ გვერდით, რაშიც კი შევძლებთ დახმარებას". წერილს ხელს აწერდნენ თავმჯდომარე ნაპიერი, კარტიერი და პირსი[289].

ეს კიდევ ერთი მცდელობა იყო, ხმა მიეწვდინათ მთავრობისთვის, რომ ისინიც ამერიკის ნაწილი იყვნენ, ხაზი გაესვათ საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობებისთვის. მათ სურდათ წერტილი დაესვათ რასისტული ამერიკისთვის და შეექმნათ ახალი ისტორია, რომლის ეპიცენტრში ჰუმანიზმი იქნებოდა, რომელიც ცალსახად გულისხმობს, როგორც გენდერულ, ასევე ეთნიკურ თანასწორობას.

ვფიქრობ, საინტერესოა ნეშვილელი, მათ შორის, აფროამერიკელი ქალების მიდგომა სამშვიდობო პროცესებისადმი, რაც კარგად გამოიხატება შემდეგ ხალხურ ლექსში:

„ჩვენ ვართ ომში, ამ თამაშის ეპიცენტრში,
ჩვენს მამაკაცებთან მხარდამხარ ვიბრძვით,
ჩვენს ფრონტზე მყოფ ბიჭებს უკან ვაბრუნებთ
ძვირფასი ნეშვილიდან, ტენესიდან.

---

[287]Bobby L. Lovett, *The African-american History of Nashville, Tn: 1780-1930*, (Fayeteville, Unversity of Arkansas Press, 1999), 122.

[288] Nashvile Globe - გაზეთი, რომელიც მიზნად ისახავდა აფროამერიკული საზოგადოების ინტერესების დაცვას. გაზეთი პირველად 1906 წელს გამოვიდა. მას აფინანსებდა ჰენრი ბოიდი, რომელიც გაზეთის რედაქტორიც იყო.

[289]"Davidson County Women in WWI"

ნეშვილის გოგონებს არ ეშინიათ[290].......“

We’re in the War, right in the game,

We’re fighting with our men,

We back the chaps who’re at the front,

From dear old Nashville, Tenn.

The Nashville girls are not afraid…..

თოთოეულ სტრიქონში კარგად იკვეთება ქალთა სულისკვეთება და დიდი მონდომება, მათი თავდადება, უშიშრობა. აგრეთვე, კარგად ჩანს კაცებთან ერთად ბრძოლის ველზე ყოფნის მოტივაცია. ნეშვილის აფროამერიკელ ქალებს სურდათ საკუთარი თავისა და პოზიციის მკაფიოდ დემონსტრირება.

ვფიქრობ, მეტად საინტერესოა, ქვემოთ მოცემული ცხრილის განხილვა და აფრომერიკელ ქალთა დასაქმების მაჩვენებლის თეთრკანიანი ქალების დასაქმების მაჩვენებელთან შედარება. ასევე, საინტერესო სურათს გვაძლევს შეერთებული შტატების მასშტაბით ქალთა ზოგადი დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი.

ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო შემთხვევად შეიძლება დავასახელოთ ტენესის შტატის, კერძოდ, ნეშვილის მაგალითი. ანალიზი ერთი ათწლეულის მონაცემებით გავაკეთე: 1910-1920 წწ, მაშინ, როდესაც ქალთა დასაქმების 1910 წლის მაჩვენებელი 25.5% იყო, ხოლო 1920 წელს - 24% (რაცაშშ-ს მოსახლეობის დაახლ.მეოთხედს ნიშნავს). მხოლოდ ტენესის შტატში ქალების მაჩვენებელი 1910-1920 წწ,შესაბამისად, 23.2-19.7 %-საღწევდა. აქედან, საკმაოდ დიდი მაჩვენებელი აქვს ნეშვილს - 38%.

ნეშვილელ დასაქმებულ ქალებს შორის თეთრკანიანი რასის მაჩვენებელი შემოიფარგლა 22-28%-ით, იმ დროს, როდესაც აფროამერიკელთა მაჩვენებელი 59.8-66.7% იყო (იხ. ცხრილი 2).

[290]“Davidson County Women in WWI”

ცხრილი #2. 1901-1920 წლებში დასაქმებულ ქალთა სტატისტიკა [291]

აშშ → ტენესი → ნეშვილი

| | ნეშვილი | | ტენესი | | აშშ | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **1910** | **1920** | **1910** | **1920** | **1910** | **1920** |
| დასაქმებული ქალები | 38.6% | 38.4% | 23.2% | 19.7% | 25.5% | 24.0% |
| დასაქმებული თეთრკანიანი ქალები | 22.8% | 28.8% | 22.6% | 28.4% | 38.3% | 43.8% |
| დასაქმებული აფროამერიკელი ქალები | 66.7% | 59.8% | 65.2% | 55.9% | 58.2% | 43.7 |

ცხრილი დეტალურად გვაჩვენებს 1910-1920 წლების მონაცემებს. ათწლეულმა მკაფიო გახადა აფროამერიკელი ქალების ღვაწლი პირველ მსოფლიო ომში, რაც თეთრკანიანი რასის მაჩვენებელზე ორჯერ მეტია.

ფერადკანიან ქალთა ღვაწლი აშშ-ს წინაშე ტოლს არ უდებს თეთრკანიან ქალთა საქმიანობასა და ჩართულობას, მეტიც, რიცხობრივი მაჩვენებლით უსწრებს კიდეც.

პირველი მსოფლიო ომის დასასრულს ბევრი ტრენინგგავლილი შავკანიანი მედდა ირიცხებოდა ამერიკის წითელ ჯვარში იმ იმედით, რომ ოდესმე მოხვდებოდნენ ან ჯარში, ან მედდათა საზღვაო კორპუსში. ომი ფართო მასშტაბებს იღებდა, ხოლო საზოგადოების მხრიდან იზრდებოდა მოთხოვნა შავკანიან მედდებზე.

---

[291] Deborah Mcconel "Davidson County Women in WWI", last modified October 15, 2018. http://www.tngenweb.org/worldwar1/davidsonCoWomen.htm, 15/10/2018

აფროამერიკელი და, ზოგადად, ფერადკანიანი ქალებისთვის პირველი მსოფლიო ომი კარგი პლატფორმა აღმოჩნდა. მსოფლიო ისტორიაში მომხდარმა პირველმა მასშტაბურმა ომმა საფუძველი ჩაუყარა იმ მოთხოვნებს, რომელიც აფროამერიკელებს ჰქონდათ. მიუხედევად თავგანწირვისა, პირველმა მსოფლიო ომმა ვერ გაამართლა მათი იმედები. ფერადკანიანმა ამერიკელებმა ჩანაფიქრი სისრულეში მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიიყვანეს.

მიუხედავად იმისა, რომ აფროამერიკელი ქალები მრავალმხრივ ცდილობდნენ საკუთარი თავის ასპარეზზე გამოყვანას და შესაძლებლობების დემონსტრირებას, კვლევის შედეგად დავადგინე, რომ აშშ აფროამერიკელთა დახმარებას მხოლოდ ქვეყნისთვის რთულ პერიოდში იღებდა. ეს ვითარება სახელმწიფოსთვის პრაქტიკულ ქმედებად მიიჩნეოდა. თუმცა, სამხედრო სისტემას არც აქ დაურღვევია მისთვის პირობითად არსებული დისტანცია. კერძოდ, დავადგინე, რომ:

1. საზღვაო ფლოტში აფროამერიკელი ქალები მხოლოდ შავ სამუშაოს ასრულებდნენ, ხოლო, რაც მეტად საინტერესოა, საჰაერო ძალები მათთვის დაბლოკილ და მიუწვდომელ სფეროდ რჩებოდა. პასუხი კითხვაზე, თუ რატომ შეიძლებოდა საავიაციო სფეროდან აფროამერიკელები მთლიანად მოკვეთილნი ყოფილიყვნენ, ვფიქრობ, შემდეგია: საჰაერო ძალები სამხედრო სისტემის ერთ-ერთ ურთულეს ნაწილად ითვლება, ხოლო იქ დასაქმებულ ადამიანზე საკმაოდ საპასუხისმგებლო მოვალეობებია დაკისრებული, რაც, მიმაჩნია, პირდაპირი პასუხია იმაზე, თუ რატომ ვერ ანდობდნენ „მეორეხარისხოვან რასას“ საჰაერო სივრცის ბედს. ამასთან დაკავშირებით, აბსოლუტურად საპირისპირო დაამტკიცა აფროამერიკელთა 369-ე ბატალიონმა, რომლის წევრები, სხვა ბატალიონებისგან განსხვავებით, ტყვედ არასდროს ჩავარდნილან. მათ ღირსეულად გაუძლეს 191 დღის განმავლობაში სანგრებში ყოფნას. ეს ყოველივე იმით აიხსნება, რომ აფროამერიკელების მიწაზე ფეხის დადგმიდან გამომუშავებული აქვთ ბრძოლისუნარიანობადა თავდაცვის ინსტინქტი (მონათმფლობელობის ინსტიტუტი),რომელიც თეთრკანიანებს, გარემო პირობებიდან გამომდინარე, ფიზიკურად ვერ ექნება.

2. განუზომელია წითელი ჯვრის, როგორც აფროამერიკელ ქალთა ცხოვრებაში უნიკალური დასაყრდენის როლი. წითელმა ჯვარმა შეუწყო ხელი ფერადკანიანი ამერიკელების წინა პლანზე წამოწევას. მათი უშუალო ძალისხმევით გახდა შესაძლებელი ფერადკანიანი ქალების მაქსიმალური ჩართულობა პირველ მსოფლიო ომში. წითელი ჯვრის დახმარებით, ეს ქალები ოკეანის გაღმაც მსახურობდნენ.

3. პირველმა მსოფლიო ომმა აფროამერიკელ ქალთა ცხოვრების სხვა ასპექტებშიც გარდამტეხი როლი შეასრულა, კერძოდ, ქალთა პოლიტიკური აქტივიზმისადმი ინტერესი გააღვივა, რამაც, საბოლოოდ, თანაბარი სამუშაო პირობების მოთხოვნამდე მიიყვანა საკითხი, რომელმაც გარკვეული დროის შემდეგ შედეგი გამოიღო.

პირობითად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მსოფლიო ისტორიაში მომხდარი ომები ფერადკანიანთა ისტორიაში შეიძლება გარკვეულ ტალღებად ან ეტაპებად აღვიქვათ. მათ თითოეული ომის დროს, გარკვეულწილად, შეცვალეს დამოკიდებულება საკუთარი რასისადმი, რამაც, თავის მხრივ, დიდი როლი ითამაშა მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და სამოქალაქო საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებაში. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით, აფროამერიკელთათვის პირველი მსოფლიო ომი სამოქალაქო ომის გაგრძელებად იქცა.

## 2.2. აფროამერიკელი ქალები მეორე მსოფლიო ომის ფრონტებსა და ზურგში

პირველმა მსოფლიო ომმა ფერადკანიანთა საკითხი ვერ მოაგვარა. მისი გადაწყვეტა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხერხდა. ამ ომში ამერიკის შეერთებული შტატები ფაშიზმის დამარცხებასა და თავისუფლების დაცვაზე იყო ორიენტირებული. აფროამერიკელებისთვის თანასწორუფლებიანობა იდეალად იყო ქცეული, რომელსაც ერთგულებას არა მხოლოდ საზღვრებს მიღმა, არამედ სახლშიც უცხადებდნენ. იმის მიუხედავად, რომ ფერადკანიანები მეორეხარისხოვან მოქალაქეებად აღიქმებოდნენ, აფროამერიკელები საკუთარი ქვეყნისთვის თავდაუზოგავად შრომას აგრძელებდნენ. მოცემულ ქვეთავში განვიხილავ მეორე

მსოფლიო ომში ჩართული ფერადკანიანი ქალების სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირების საკითხს, რასაც ცალკეული ქალის კონკრეტული მაგალითით და ამ მაგალითების განზოგადების გზით ვეცდები.

მედდების საჯარისო კორპუსის (Army Nurse Corps) ლეიტენანტი, მარგარეტ გერტრუდ აივორ ბერტრამიმიიჩნევდა, რომ მისი ცხოვრების საუკეთესო წლები დაკავშირებული იყო მედდის პროფესიასთან. ბერტრამი საკმაოდ ტრადიციულ, მშრომელთა და მორწმუნეთა ოჯახში აღიზარდა. მეორე მსოფლიო ომში მედდათა სერიოზული დეფიციტის გამო სახელმწიფოს ფერადკანიანების დასაქმება მოუხდა, რაც მარგარეტისთვის ფრიად სასიხარულო და იმედისმომცემი აღმოჩნდა. ბერტრამი შეერთებულ შტატებს 4 წელი, 9 თვე და 13 დღეემსახურა.[292]

წინა თავებში წარმოდგენილი აფროამერიკელი ქალების მაგალითების მსგავსად, კვლევის მიზნების მისაღწევად, აქაც განვიხილავ შეიარაღებულ ძალებში მათი სამსახურის მოტივაციას, პრობლემებს, რომელსაც შეეჯახნენ და მიღწევებს. ჩემი მაგალითი, ამჯერად, მარგარეტ ბერტრამია.

მოტივაცია: ახალი შესაძლებლობები, პრესტიჟი, მოგზაურობის შესაძლებლობა.

ბერტრამი ამბობს: „მე ნამდვილად მინდოდა მემსახურა, რადგანაც ეს იყო საუკეთესო შესაძლებლობა. ყოველთვის ვცდილობდი გამეუმჯობესებინა საკუთარი თავი“[293] ასევე, საყურადღებოა ერთ-ერთი ფაქტი: იმის მიუხედავად, რომ მისი ამ საქმეში ჩართულობა პრესტიჟმა და ფულმაც განაპირობა, ბერტრამს მოგზაურობის გარდა, მეორე მსოფლიო ომმა ვერცერთი პუნქტი დაუკმაყოფილა.

სახელმწიფოს მედდები სჭირდებოდა. მეორე მსოფლიო ომმა შექმნა გამოუვალი მდგომარეობა, როდესაც არავის ჰქონდა დრო რასისა და კანის ფერის მიხედვით აერჩია ადამიანი. სწორედ მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა დააჩქარა აფროამერიკელებისა და, კერძოდ, ქალების ინტეგრაცია სამოქალაქო საზოგადოებაში.

[292] Latty, Yvonne. *We Were There:Voices of African American Veterans from World War II to the War in Iraq*(New York: HarperCollins, 2004), 10-13

[293] Yvonne, *We Were There, 9.*

პრობლემა:ბერტრამის წინაშე იგივე პრობლემა იდგა, რაც სხვა აფროამერიკელებსაც აწუხებდათ. განსხვავება ის არის, რომ თითოეულმა ომმა დისკრიმინაციასთან ბრძოლაში გარკვეული გარდატეხა შეიტანა. ამავდროულად, საინტერესოა ის, რომ არა მხოლოდ თეთრკანიანი რასა ჩაგრავდა შავკანიანს, არამედ შავკანიანებიც ჩაგრავდნენ ერთმანეთს. თუმცა ისინი კანონს ემორჩილებოდნენ.

საყურადღებოა ბერტრამსა და მატარებლის გამცილებელს შორის შემდგარი დიალოგი, სადაც ეს უკანასკნელი მარგარეტის თეთრკანიანი რასის წარმომადგენლებთან ერთად მგზავრობის ფაქტს აპროტესტებდა. მიუხედავად იმისა, რომ შავკანიანმა გამცილებელმა კარგად იცოდა, რომ მარგარეტ ბერტრამი მეორე მსოფლიო ომში მოხალისე მედდად მიდიოდა, მას არავითარ შეღავათს არ სთავაზობდა. მეტიც, მან მარგარეტს უთხრა: „თუ კი არ დაჯდები, სადაც შენი ადგილია და თეთრკანიანებთან ერთად მოგინდება ერთ ვაგონში ყოფნა, დამიჯერე, ამასთან დაკავშირებით უფრო დიდი პრობლემა წარმოიქმნება, ვიდრე მეორე მსოფლიო ომია.“[294]. დისკრიმინაციის დონე იმდენად მაღალი იყო, ხოლო პრობლემა იმდენად სერიოზული, რომ გამცილებელმა იგი მასშტაბით მეორე მსოფლიო ომს შეადარა.

ეს სწორედ ის პერიოდიიყო,როდესაც შავკანიანები პირველი კლასის მატარებლით არ მგზავრობდნენ. იმის მიუხედავად, რომ მედდები განსხვავებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ, შავკანიან მედდებთან დაკავშირებით ესეც გარკვეულ პრობლემას წარმოადგენდა. გამცილებლის მონოლოგში იმ პერიოდის პრობლემას ცალსახად ვხედავთ: „აქ იჯექი და გარეთ არ გამოხვიდე, არ მინდა სხვებში [თეთრკანიანებში] ირეოდე“.[295]

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ არათუ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, არამედ ფორტ ბრეგშიც (Fort Bragg) ბანაკები სეგრეგირებული იყო. როგორც ბერტრამი ამბობდა, სასადილო ოთახი საერთო ჰქონდათ, მაგრამ მათ მაინც კუთხეში უწევდათ ჯდომა.

---

[294] Yvonne, *We Were There, 10-11.*

[295]Margarette Yvory Bertram, *Nurse: One Woman's Effort to Succeed (*Santa Fe: Landfall Press, 1991), 25-33.

ასევე, მეტად საინტერესო და ხაზგასასმელია ბანაკში ერთსულოვნებისა და გუნდური მუშაობის დეფიციტი[296].

ბერტრამის მოგონებებიდან ვიგებთ, რომ ერთხელაც თავი ცუდად იგრძნო, რამაც გონების დაკარგვა გამოიწვია. შესაბამისად, მასთან დასახმარებლად სხვა მედდებმა მიირბინეს. ვინაიდან ღამე იყო და მისი კანის ფერი არ ჩანდა, მედდები დიდი ენთუზიაზმით ცდილობდნენ მის გონებაზე მოყვანას, ხოლო როგორც კი მთვარის შუქზე მისი კანის ფერი იხილეს, მიწაზეუმოწყალოდ დააგდეს[297].

მიღწევა: ბერტრამმა თანამდებობა 1945 წელს დატოვა. იგი პირველი კლასის ლეიტენანტი იყო. მან მედდად 50 წელიწადზე მეტხანს იმუშავა. გარკვეულწილად, ბერტრამმა იცხოვრა ისე, როგორც უნდოდა.

წესისა და რიგის მიხედვით, მას სახელმწიფოსგან მადლობის წერილი უნდა მიეღო. იგი მიიჩნევდა, რომ მადლობის წერილს  იმ შემთხვევაში მიიღებდა, თეთრკანიანი რომ ყოფილიყო. თუმცა, საინტერესოა ის ფაქტი, რომ დისკრიმინაციის ამგვარმა დონემ, ბერტრამში თეთრკანიანი რასისადმი სიძულვილი მაინც არ გააჩინა, რასაც იგი ქრისტიანული სარწმუნოებით, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ტოლერანტული რელიგიით, ხსნის.[298]

აღსანიშნავია ასევე დელა რენის მაგალითი და წვლილი.

ლინკოლნის მედდათა სკოლის კურსდამთავრებული რენი პირველი აფროამერიკელი მედდა იყო, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატების შეირაღებულ ძალებში (Army Nurse Corps) ლეიტენანტის წოდება ჰქონდა. ლეიტენანტი რენი იყო პირველი უფროსი შავკანიანი მედდა ტასკიგის[299] საჰაერო ზონაში ყოფნისას. შემდგომში იგი უფროს მედდად მსახურობდა

---

[296]Bertram, *Nurse: One Woman's Effort to Succeed.*25-33.
[297]"Gertrude Ivory Bertram", last modified January 21, 2020, https://ww2.fsu.edu/collections/women-war-home-and-service-world-war-ii/medicine/gertrude-ivory-bertram
[298]Bertram, *Nurse: One Woman's Effort to Succeed,*47.
[299]ტასკიგი (Tuskegee) - ქალაქი ალაბამას შტატში

ფორტ ჰუაჩუკაში[300](Fort Huachuca), არიზონას შტატი. რენი იმდენად შეუპოვარი იყო, რომ ყველანაირად ცდილობდა კარიერული განვითარების საფეხურები სწრაფად აერბინა. ომის შემდეგ იგი მედდათა პერსონალის უფროსად დაინიშნა კემპ ბილზე (Camp Beale), კალიფორნიაში. რენი პენსიაზე 1978 წელს გავიდა[301].

1983 წელს იგი წერდა:„როდესაც მე 40-ზე მეტი წლის წინ გადავწყვიტე მედდა გავმხდარიყავი, ეს ჩემთვისძალიან რთული ამოცანა აღმოჩნდა. ეს ნიშნავდა ჩემი სიცოცხლის დათმობას რაღაც მიზნისთვის, უნდა მეზრუნა მათზე, ვინც ავად იყო. ეს იყო ძალიან დიდი სურვილი წინ წამომეწია ჩემი პროფესია, რამაც განაპირობა 1940 წელს მოხალისედ წავსულიყავი და სამხედრო სფეროსთვის თავი მიმეძღვნა“[302].

„ძალიან რთულია წითელი ჯვრისგან თანხმობის მიღება იმ მედდებისთვის, რომლებმაც ფერადკანიანთათვის განკუთვნილი მედდათა სკოლები დაამთავრეს. მე დავიჟინე, რომ გადავლახავდი ამ ბარიერს და მივწერე მის მერი ბერდს, რომელიც იმ დროს ამერიკის წითელი ჯვრის დირექტორი იყო. წერილში ავუხსენი ჩემი მონდომება და ვისაუბრე მიზნების შესახებ. მის ბერდმა კი მიპასუხა საწევრო ბარათით, სერთიფიკატითა და ბეიჯით“[303]

რეინის გეგმამ იმუშავა. 1941 წლის აპრილში იგი გახდა პირველი მეორე რანგის აფროამერიკელი მედდა. ომის საშიშროებიდან გამომდინარე, 1941 წელს შეიარაღებულმა ძალებმა აფროამერიკელი მედდებისთვის მედდათა კორპუსის კარი გააღო, თუმცა 56 კაციანი ლიმიტი დააწესა.[304] აფროამერიკელ მედდებს შეეძლოთ მხოლოდ აფროამერიკელი ჯარისკაცებისთვის გაეწიათ სამსახური.ფორტ ბრეგშიექვსთვიანი მუშაობის შემდეგ მედდა რეინს ჩაუტარეს წამყვანი მედდის გამოცდა, რომელიც მან წარმატებით ჩააბარა და პირველი რანგის ლეიტენანტი გახდა კიდეც. 1943 წელს

---

[300]ფორტ ჰუაჩუკა - 1877 წლი-დან ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ოფიციალური ადგილსამყოფელი.
[301]Annette Montgomery, *Suffolk (VA):Black America Series,* (New York :Academia Publishing, 2005), 110.
[302]Montgomery, *Suffolk (VA), 110.*
[303]“Della Hayden Raney Jackson African American trailblazer WWII nurse”, last modified April, 14, 2018, https://nursinghistory.appstate.edu/biographies/della-hayden-raney-jackson
[304] Gruhzit-Hoyt, Olga.,*They Also Served, American women in World War II*, (Secaucus: Carol Publishing Group, 1995), 235-240.

აფროამერიკელი მედდების კვოტა 16-ით გაიზარდა, ხოლო 1944 წელს საერთოდ მოიხსნა[305].

როდესაც რეინი შტატებში დაბრუნდა, იგი კემპ ბეილში მედდათა საბაზისო ჰოსპიტალის დირექტორი გახდა. მაიორი რეინი 1978 წელს პენსიაზე გავიდა, მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომში აფროამერიკელ ქალთა შორის უმაღლესი რანგი მოიპოვა.[306]

1945 წლის სექტემბერში, როდესაც ომი დამთავრდა,50 000-დან მხოლოდ 479 მედდა მედდების საჯარისო კორპუსში (Army Nurse Corps) მსახურობდა, რაც სეგრეგაციის კვოტის სისტემით იყო განპირობებული.[307]

არანაკლებ საინტერესოა ადა ბელ სემუელს თომსის(Adah Belle Samuels Thoms) ისტორია. 1905 წელს მან ნიუ-იორკში ლინკოლნის მედდათა სკოლა დაამთავრა. იგი სრულ განაკვეთზე მუშაობდა, ქირურგიული პალატის მთავარი მედდა იყო. 1906 წელს იგი დააწინაურეს. თომსი მედდათა ხელმძღვანელის ასისტენტად მუშაობდა. სინამდვილეში, იგი ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი იყო 1924 წლამდე, სანამ პენსიაზე გავიდოდა. მას რასობრივი უთანასწორობის გამო თანამდებობას ოფიციალურად ვერ აძლევდნენ. რასიზმის საპასუხოდ იგი მონაწილეობდა ფერადკანიანი კურსდამთავრებული მედდების ეროვნული ასოციაციის (National Association for Colored Graduate Nurses)დაარსებაში, რომლის პრეზიდენტი 1916-1923 წლებში თავად იყო. მეორე მსოფლიო ომის დროს თომსი ცდილობდა წამოეწია შავკანიან მედდათა მიღების საკითხი შეიარაღებული ძალების მედდათა კოსპუსში.[308]

---

[305] Bertram, *Nurse: One Woman's Effort to Succeed,*52.
[306] „Nursing History:Della Hayden Raney Jackson. Boone, North Carolina" Last modified October 12, 2020. https://nursinghistory.appstate.edu/biographies/della-hayden-raney-jackson
[307] "Jackson, Della Hayden Raney", last modified October 19, 2020, https://www.ncpedia.org/jackson-della-hayden-raney
[308] Betsy Kuhn Angels of Mercy, *The Army Nurses of World War II Paperback*, (New York: Aladdin, 1999), 44-58.

1929 წელს თომსმა გამოაქვეყნა გზამკვლევი „ფერადკანიან დიპლომიან მედდათა ისტორიის პროგრესი“[309], პირველი წიგნი, რომელმაც ქრონოლოგიურად მოიცვა და თვალწინ გადაგვიშალა შავკანიან მედდათა საქმიანობა.[310]

ნენსი ლეფტენანტ კოლონი(Nancy Leftenant Colon) -პირველი ფერადკანიანი მედდა მედდათა კორპუსში.იგი ცდილობდა შეეღწია შეერთებული შტატების რეგულარულ არმიაში მაშინ, როდესაც ის სულ თეთრკანიანებით იყო დაკომპლექტებული, ხოლო ფერადკანიანების ადგილი იქ არ იყო. მან ყველაფერი გააკეთა ჯარში თავის დამკვიდრებისთვის და ეს მოახერხა კიდეც. ის პირველი აფროამერიკელი გახდა, რომელმაც 1948 წელს რანგს მიაღწია. საინტერესოა, რომ საბოლოოდ ნენსიმ გადაწყვიტა საჰაერო ძალებში გადასულიყო, სადაც იგი მედდად მუშაობდა.[311]

როდესაც ნენსი ლეფტენანტ-კოლონმა 1945 წელს შეიარაღებულ ძალებში რეზერვისტის ამპლუაში შედგა ფეხი, მას უამრავი სირთულის გადალახვა მოუწია, მაგრამ შინაგანმა ძალამ დააძლევინა ყველა სირთულე და გაუხსნა კარი მათაც, ვისაც ამ სფეროში მოღვაწეობაუნდოდა. მან, როგორც არმიის პირველმა ფერადაკანიანმა წევრმა, შეაიაღებულ ძალებში საკუთარი ისტორია შექმნა. იგი ტასკიგის[312] მფრინავების (Tuskegee Airmen) ერთადერთი ქალი პრეზიდენტი იყო (1989-1991).[313] „ერთხელ ფოტოზე შეიარაღებული ძალების მედდა ვნახე თავისი კეპით“, - უთხრა მან *The Newsday*-ს, - „ის ისეთი კარგი სანახავი იყო, რომ მეც მომინდა ჩემი წვლილი შემეტანა“. [314]ნენსი და სხვა შავკანიანი მედდები განიხილებოდნენ მეორე კლასის წარმომადგენლებად, სინამდვილეში კი ისინი, სამუშაოს შესრულების ხარისხის თვალსაზრისით, პირველი

---

[309]“Colon, first black woman Army nurse, honored: Last modified May 15, 2019. https://www.newsday.com/long-island/nassau/nancy-leftenant-colon-1st-black-woman-army-nurse-honored-1.11948373
[310]“Pioneering African American Nurses”.
[311]Air Force. Acceptance, “US Air Force”, last modified February 18, 2017, https://www.af.mil/News/Article-Display/Article/111663/nurse-faced-hurdles-for-military-acceptance/
[312]ქალაქი ალაბამას შტატში
[313] Maureen Honey*Bitter Fruit: African American Women in World War II,* (Columbia&London: University of Missouri Press, 1999), 257.
[314]Colon, first black woman Army nurse, honored: Last modified May 15, 2019. https://www.newsday.com/long-island/nassau/nancy-leftenant-colon-1st-black-woman-army-nurse-honored-1.11948373

კლასისანი იყვნენ. ფაქტობრივად, ისინი იმდენად კარგად ასრულებდნენ თავიანთ საქმეს, რომ ძალიან ბევრი 11 თვეში დაწინაურდა კიდეც და მეორე კლასიდან პირველი კლასის ლეიტენანტის წოდება მიიღო. ლეფტენანტ-კოლონი, ცნობილი როგორც „ლეფტი“, მათ რიგებში იყო[315].

ნენსი ლეფტენანტ-კოლონს რეგულარული არმიის წევრის სტატუსი არ ჰქონია. თუმცა, თავისი კოლეგებისგან განსხვავებით, იგი არაფერს შეუშინდა. 1948 წელს მან განაცხადი შეიტანა მედდის რეგულარული სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით. მისი მოთხოვნა დააკმაყოფილეს და იგი გახდა პირველი შავკანიანი მედდა რეგულარულ არმიაში. ის არც ამ საფეხურზე გაჩერებულა, მომავალ წელს საჰაერო ძალებში გადავიდა და "მფრინავი მედდის" („Flight Nurse") სტატუსით სარგებლობდა[316].

მეტად საინტერესოა ნენსის მიერ აშშ-ს სამხედრო სისტემის შეფასება. იგი ამბობდა, რომ სამხედრო სამსახურმა მას კარგი ცხოვრება შესთავაზა[317]. იგი აღნიშნავდა, რომ მნიშვნელობა ჰქონდა შესრულებული დავალების ხარისხს და არა კანის ფერს. სამსახურში იგი თავს მედდად გრძნობდა და არა სხვა რასის ადამიანად.[318]

2015 წლის დეკემბერში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა სამხედრო სფეროში გენდერთან მიმართებით ყველა შეზღუდვა გააუქმა. ეს ყოველივე 2016 წლის იანვარში დაიწყო, რამაც ქალებს მამაკაცების მხარდამხარ ბრძოლის საშუალება მისცა. დღეს აშშ-ს სამხედრო სისტემაში 200 000-ზე მეტი ქალი მსახურობს - 69 გენერალი და ადმირალი.[319]

მან ასევე აღნიშნა, რომ ქალთა საჯარისო კორპუსის (WAAC- Women Army Auxiliary Corps) ერთეულები მალე ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრებს მიღმა აღმოჩნდებოდნენ. „ბევრ თქვენგანს, ვფიქრობ, გაცილებით უფრო სწრაფად ექნება

---

[315] *Airman,* (University of Minnesota, 1998), 40.
[316] *Airman,* 41.
[317] Lisa Tendrich Frank, *Women at War: From the Home Front to the Battlefields* (Santa Barbara: ABC CLIO, 2013), 360.
[318] "Brief History of Black Women in the Military" last modified April, 11, 2019,https://www.womensmemorial.org/history-of-black-women
[319] Matthew Rosenberg and Dave Philipps, "All Combat Roles Now Open to Women, Defense Secretary Says" last modified September 29, 2018. https://www.nytimes.com/2015/12/04/us/politics/combat-military-women-ash-carter.html

შესაძლებლობა ოკეანეს გაღმა აღმოჩნდეს, იმდენს, რამდენსაც ეს მოესურვება“.მან ისაუბრა WAAC-ის წევრების საზღვრებს მიღმა გასვლის აუცილებელ საჭიროებებზე, მაგალითად, ინგლისში და დასძინა, რომ პრეზიდენტი რუზველტი აღფრთოვანებული იყო რამდენიმე ქალის მზაობითა და საქმიანობით. [320]

იანვარში კასაბლანკაში ყოფნისას, როდესაც რუზველტი მოკავშირე ქვეყნების ლიდერებს ხვდებოდა, მას მიეცა შესაძლებლობა მისალმებოდა WAAC-ის ერთ-ერთ ქვედანაყოფს, რომელიც დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებდა ალჟირში. WAAC-ის წევრები იმყოფებოდნენ გემზე, რომელსაც ქარიშხალმა კურსი შეუცვალა. ბევრი გადახტა ცეცხლწაკიდებული გემბანიდან, ხოლო სხვები ეხმარებოდნენ დაზარალებულ მეზღვაურებს მათი სამაშველო ნავებში მოთავსების გზით. რუზველტმა აღნიშნა, რომ მსგავსი გამოცდილების შემდეგაც კი ისინი საკმაოდ მშვიდად გამოიყურებოდნენ, თითქოს ეს სამხედრო ცხოვრებისთვის მოსალოდნელი და ჩვეული ფაქტი იყო.[321]

პირველმა ლედიმ, ელეანორ რუზველტმა, სამხედრო ქალებთან შეხვედრისას, ომისშემდგომი ძალისხმევის აუცილებლობაზე ისაუბრა: „სამყარო, რომელშიც ადამიანები შიმშილით იხოცებიან, ცხოვრობენ უსამართლობისა და შიშის ქვეშ, არ არის ის სამყარო, რომელშიც მშვიდობა სუფევს“.[322] მან ასევე აღნიშნა, რომ ადამიანთა უმრავლესობას სჯეროდა, რომ ყველა დიდი ერი პატარა ერის ხარჯზე ცხოვრობს. „ჩვენ უნდა გავწიოთ მცირე სამუშაო, რათა დავარწმუნოთ მსოფლიოს ხალხები, რომ ეს ასე ნამდვილად არ არის. გასაწევი სამუშაო გულისხმობს იმას, რომ საკუთარ თავს უნდა მივხედოთ.[323]

25 წლის შემდეგ, როდესაც არმიის პირველ შავკანიან ოფიცერთა კლასი ფორტ დე-მოინში (Fort Des Moinos) ჩავიდა, პირველმა ფერადკანიანმა ქალმა ოფიცრებმა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ისტორიაში ისეთივე ყურადღება მიიქციეს, როგორიც მათივე რასის მამაკაცებმა. მათ სურდათ, რომ ქვეყნის სადარაჯოზე ყოფნისას,

[320]“Roosevelt admits women into the Armed Forces”, last modified May 05, 2016. https://www.politico.com/story/2016/05/roosevelt-admits-women-into-the-armed-forces-may-14-1942-223129
[321]“Roosevelt admits women into the Armed Forces”.
[322]“Roosevelt admits women into the Armed Forces”.
[323]“The Gazette from Montreal, Q. Q. (1943, 06 01)”, last modified June 12, 2020.https://www.newspapers.com/image/419325294/

მათი რესურსი ხელმისაწვდომი გამხადარიყო და საჭირო უნარ-ჩვევების გამოვლენა შეძლებოდათ.[324]

იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დადებითი იქნებოდა მათი ჩართულობა და, ამავდროულად, რამდენად დიდი ნეგატიური ტალღა წამოვიდოდა ამ ქალების მისამართით, არა მხოლოდ სამხედრო სფეროში მოღვაწე ადამიანებისგან, არამედ სამოქალაქო საზოგადოების მხრიდანაც, სამხედრო სისტემამ გააკეთა შემდეგი განაცახადი: „WAAC-ში, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, არავითარ დისკრიმინაციას არ ექნება ადგილი ზანგი ქალების მისამართით. ჩვენ ძალიან დიდ ძალისხმევას მოვანდომებთ იმ ფერადკანიანი ქალების დაქირავებას, რომლებიც გვჭირდება. მათ შევარჩევთ სტანდარტების შესაბამისად და არავითარ შემთხვევაში არ დავწევთ კრიტერიუმებს, რათა რასობრივი თანასწორობის მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ“.[325]

აღნიშნული განაცხადი შეიძლება ორგვარად შევაფასოთ. ერთის მხრივ, ყველაფერი აბსოლუტურად სამართლიანი და ლოგიკურია, არავითარ დისკრიმინაციას არ ექნებოდა ადგილი, რადგან თითოეული მოქალაქე არსებული წესებითა და სტანდარტებით უნდა შერჩეულეიყო. მეორე მხრივ, აფროამერიკელი ქალები იზღუდებოდნენ, რადგან მათი CV ვერავითარ კონკურენციას ვერ გაუწევდა თეთრკანიან ქალთა, თუნდაც საგანმანათლებლო "ბექგრაუნდს". თუმცა, განაცხადი ყველა სამართლებრივი ნორმის ჩარჩოში ჯდებოდა და ითვალისწინებდა შავკანიანი ქალების მცირე რაოდენობით მიღების შესაძლებლობას.

1941 წლის 25 ივნისს, პრეზიდენტ რუზველტის #8802 ბრძანებით, შეიქმნა სამართლიანი დასაქმების კომისია (Fair Employment Practices Commission), რომელიც რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრას ცდილობდა.

1943 წლის ივნისში არსებული მიდგომა შეიცვალა. ფრენსის პეინ ბოლტონმა (Frances Payne Bolton) (კონგრესმენი ოჰაიოს შტატიდან) წამოაყენა მედდათა ტრენინგის

---

[324] Penelope A. LeFew-Blake, *Fort Des Moines* (Charlseton, Arcadia Publishing, 2006), 8-9.
[325]Robert. V. Morris, Black *Faces of War*, (Minneapolis: MBI Publishing Company, 2011), 66-77.

კანონპროქტის ცვლილება, რათა აღმოფხვრილიყო რასობრივი დისკრიმინაცია, რომელიც, აქამდე არსებული კანონებიდან გამომდინარე, შეინიშნებოდა.

მალევე 2000 ფერადკანიანი ქალი უკვე ირიცხებოდა მედდების კადეტთა კორპუსში, ხოლო, როგორც უკვე აღვნიშნე, 1944 წლის ივლისიდან აფროამერიკელი ქალებისთვის კვოტებს აღარ აწესებდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს 500-ზე მეტი ფერადკანიანი მედდა მსახურობდა ქვეყნის შიგნით და ოკენის გაღმა.[326]

1941 წლის მაისში ედით ნორს როჯერსმა (Edith Nourse Rogers -კონგრესმენი მასაჩუსეტსიდან) ქალთა დამხმარე ქვედანაყოფების დაარსების კანონპროექტი წამოაყენა. 1942 წლის 14 მაისს კონგრესმა გადადგა ისტორიული ნაბიჯი და გადაწყვიტა მიეღო კანონპროექტი, რომლითაც იქმნებოდა ქალთა დამხმარე საჯარისო კორპუსი (Women's Army Auxiliary Corps) WAAC[327]. ერთი წლის განმავლობაში ხუთი ტრენინგ ცენტრი გაიხსნა. ამავდროულად, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ WAAC ერთგვარი დანამატის როლს ასრულებდა და შესაბამისი სამხედრო სტატუსი არასდროს ჰქონია.[328]

ფერადკანიანი ქალები WAAC-ში მისი შექმნის დღიდან ირიცხებოდნენ. ამ ქალთა პირველი ჯგუფი ჩავიდა ფორტ დე-მოინში, აიოვას შტატში, სადაც ერთად 400 თეთრკანიანი და 40 ფერადკანიანი ქალი მსახურობდა.

საყურადღებოა გადანაწილების პროპორციული მაჩვენებელი - 1:10. იმ დროს, როდესაც „აფროამერიკელი ქალები მსახურობდნენ სეგრეგირებულ ერთეულებში, მონაწილეობდნენ სეგრეგირებულ ტრენინგებში, ცხოვრობდნენ განცალკევებულ კვარტლებში, მიირთმენდნენ განცალკევებულ მაგიდებთან“[329], მთავრობა თავდაპირველად, დისკრიმინაციის არარსებობაზე საუბრობდა, ხოლო სისტემა სტანდარტების დაწევაზე სასტიკ უარს აცხადებდა.

აშშ-ს შეიარაღებული ძალების 93-ე ქვეითთა ქვედანაყოფის შექმნის შედეგად, არიზონას უდაბნოში არსებულ ჰუაჩუკას ფორტში ყველაზე მეტი შავკანიანი ქალი

---

[326]Morris, Black *Faces of War*, 77.

[327]Cheryl Mullenbach,*Double Victory: How African American Women Broke Race and Gender Barriers to help win World War II,*(Chacago: Chicago Review Press, 2013), 102-108.

[328]Morris, Black *Faces of War*, 74.

[329]Mullenbach,*Double Victory,* 88.

ირიცხებოდა. 1942 წლის დეკემბრისთვის WAAC-ის 32-ე და 33-ე ნაწილები 93-ე ქვედანაყოფს შეუერთდა. ეს ქალები იყვნენ ფოსტის მოხელეები, სტენოგრაფისტები, კომუტატორები, მრავიანი სატრანსპორტო საშუალების მძღოლები, მზეჭდავები, რომლებიც ასრულებდნენ მსგავს დავალებებს, რათა მამაკაცებისთვის ბრძოლის ველზე ყოფნის საშუალება მიეცათ.[330] კანონპროპექტი, რომელიც 1943 წელს წარმოადგინეს, მიზნად ისახავდა ქალების შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში მიღებას. პრეზიდენტმა ფრანკლინ დელანო რუზველტმა აღნიშნულ კანონპროექტს 1943 წლის 1 ივლისს მოაწერა ხელი, რამაც ხელი შეუწყო WAAC-ის (Women Army Auxiliary Corps) გაუქმებას და მისი WAC-ით (Women Army Corps)[331] ჩანაცვლებას. ქვედანაყოფმა არსებობა გააგრძელა სიტყვა „დამხმარეს“ გარეშე.[332]

ამგვარად, შეიარაღებული ძალების განკარგულებაში იყო ქალთა კორპუსი (WAC), საზღვაო ფლოტის განკარგულებაში იყო შეერთებული შტატები სამხედრო-საზღვაო რეზერვის ქალთა განყოფილება(Women's Section of the US Naval Reserve, WAVES)- მოხალისე ქალების სასწრაფო მომსახურება, სანაპირო დაცვის განკარგულებაში იყვნენ ასევე რეზერვში მყოფი ქალები (SPARS- "Semper Paratus—Always Ready".)[333].

საინტერესოა, რომ აფროამერიკელ ქალთა უმრავლესობა მსახურობდა შეიარაღებული ძალების WAC-ში (Women Army Corps). ისინი ისე სეგრეგირებულნი იყვნენ, როგორც აფროამერიკელი კაცები. თუმცა, საზღვაო ფლოტი ცდილობდა აფროამერიკელთა რაოდენობა 10 პროცენტამდე გაეზარდა. 1945 წლისთვის მაინც 50 ფერადკანიანიც კი არ იყო WAVES-ში.[334]მილიარდერ მაკკაფისა და მერი მაკლეოდ ბეთუნის ძალისხმევით, საზღვაო ავიამზიდთა სამდივნომ ხელი შეუწყო აფროამერიკელთა მიღებას.

---

[330] Laurie Scrivener, "U.S. military women in World War II: The spar, wac, waves, wasp, and women marines in U.S. government publications". *Journal of Government Information* (1999): 372, accessed February 25, 2018, https://doi.org/10.1016/S1352-0237(99)00051-9

[331] James H., Madison *Slinging Doughnuts for the Boys,:An American Woman in World War II*, (Bloomigton: Indiana University Press, 2007), 103.

[332]Madison,*Slinging Doughnuts for the Boys,*16

[333] Madison,*Slinging Doughnuts for the Boys,*14.

[334]Scrivener, "U.S. military women in World War II" 375.

WAVES-ის ორმა ფერადკანიანმა ოფიცერმა ქალმა ჰარიეტ იდა (Harriet Ida Pickens) პიკენსმა და ფრენსის უილსმა  (Frances Wills) 1944 წლის 22 დეკემბერს ფიცი დადეს. WAVES-სის 80 000-იანი შემადგენლობიდან 72 ფერადაკანიანი ქალი მსახურობდა ინტეგრირებულ პირობებში.[335] შეერთებული შტატების სანაპირო დაცვას ინტეგრირებული პირობები  გაცილებით ნაკლები შემადგენლობისთვის ჰქონდა. ამ პერიოდში სამხედრო სამსახურში მყოფი 271 000 სამხედროდან იდენტურ პირობებში მხოლოდ 4000 აფროამერიკელი მსახურობდა[336].

1945 წლის დასაწყისში WAC-ის წევრი 855 აფროამერიკელი ქალი გაგზავნეს ინგლისში ამერიკული ჯარისთვის მისაწოდებელი ფოსტის დასახარისხებლად. 6888-ე ცენტრალური საფოსტო საცნობარო ბატალიონი (Central Postal Directory Battalion) ბირმიგჰემში მუშაობდა, შემდეგ კი რუანში, გაუგზავნელი ფოსტის რაოდენობა საწყობებისა და თვითმფრინავების ჭერს სწვდებოდა. ქალთა საჯარისო კორპუსის აფროამერიკელი ოფიცერი ქალის, ერლი ადამსის (Earley Adams), მეთაურობით 6888-ე ბატალიონი ფოსტის დასახარისხებლად სამ ცვლაში მუშაობდა. ფოსტას გარკვეული მისია ეკისრებოდა, რადგან იგი ჯარისკაცების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ზრუნავდა, თუმცა ეს საქმიანობა შესასრულებლად მეტისმეტად რთული იყო. ქალებს უხდებოდათ ცივ ამინდში, არასაკმარისი გათბობისას, მკრთალ შუქზე მუშაობა. მათ სხვა გზა არ ჰქონდათ, რადგან სამუშაო უნდა შესრულებულიყო. ზოგიერთ წერილს ღიად არ ეწერა, თუ ვისთვის იყო განკუთვნილი, ამიტომ ქალებს ფაქტობრივად კვლევის ჩატარება უხდებოდათ, რათა წერილი დანიშნულების ადგილზე მისულიყო.[337]

1945 წლის მაისში ფერადკანიანმა ქალებმა დაასრულეს მათზე დაკისრებული დავალებები ბირმინჰემში და რუანში გადავიდნენ, რათა ფოსტის დახარისხებისა და გაგზავნის საკითხები მოეგვარებინათ. მათ ექვსთვიანი დედლაინი მისცეს, თუმცა ქალებმა ეს საქმე სამ თვეში დაასრულეს. აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ იმის შემდეგ,

---

[335]Brief History of Black Women in the Military”.

[336]“Perseverance: LTJG Harriet Ida Pickens and ENS Frances Wills”, last modified December, 12, 2020, https://www.atomicheritage.org/history/womens-army-corps-wac

[337]Charity Adams Earley One Woman's Army: A Black Officer Remembers the WAC, (College Station, Texas:Texas A&M University Press 1995)

რაც ისინი დაკისრებული დავალების შესრულებას მორჩნენ, უცერემონიოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, ყოველგვარი მორიდებისა და მათი ღვაწლის დაფასების გარეშე.[338]

1945 წლის მაისში ევროპაში გამარჯვებისა და აგვისტოში იაპონიის ალყაში მოქცევის შემდეგ, ოგლთორპისა (Fort Oglethorpe) და ფორტ დე-მოინის მდებარე ტრენინგ ცენტრები დაიხურა. თავდაცვის დეპარტამენტმა მიზნად დაისახა ქალების სამხედრო სამსახურში დატოვების პროგრამის შემუშავება. დუაიტ აიზენჰაუერმა წამოაყენა წინადადება, რომ იგი კონგრესის წინაშე წარდგებოდა კანონპროექტით, რათა WAC-ი რეგულარული არმიის ნაწილად ექცია[339].

1946 წლის დასასრულს WAC-ის რაოდენობრივი კვლევის შედეგები დაიდო. ქალთა რაოდენობა 99 000-დან 21 500-მდე შემცირდა, ხოლო 1948 წლისთვის დაახლოებით 6500 შეადგინა. აიზენჰაურის ინიციატივამ დიდი როლი ითამაშა აფროამერიკელი ქალების სამხედრო საზოგადოებასთან ინტეგრირების საქმეში, რამაც, თავის მხრივ, მათ სამოქალაქო საზოგადოებასთან ინტეგრირებასაც შეუწყო ხელი.

1948 წლის 12 ივნისს პრეზიდენტმა ჰარი ტრუმანმა კანონად აქცია ქალთა სამხედრო სამსახურის ინტეგრაციის კანონი (Women’s Armed Services Integration Act), რომელიც ნებას რთავდა ქალებს ემსახურათ რეგულარულ არმიასა და რეზერვში. ვირჯინიის შტატში, კემპ ლიშიხალი ტრეინინგ ცენტრი გაიხსნა.[340]

იმის მიუხედავად, რომ კანონმა ქალებს მუდმივი ადგილი გამოუყო შეიარაღებულ ძალებში, საზღვაო და საჰაერო ფლოტში, მათი რაოდენობა თითოეულ ნაწილში 2%-ს არ ასცდენია.[341]

აფროამერიკელებმა სამოქალაქო და მეორე მსოფლიო ომების შედეგებით ბევრად მეტი ყურადღება მიიქციეს, ვიდრე პირველი მსოფლიო ომის შედეგებით. ეს იმან

---

338 “Black pioneer of the Army Nursing Corps”.

339 “History of the Women's Army Corps, last modified August 17, 2020, https://www.armywomen.org/wacHistory.shtml

340 “Public Law 625: The Women's Armed Services Integration Act of 1948”, last modified November 11, 2020.https://www.usmcu.edu/Research/Marine-Corps-History-Division/People/Women-in-the-Marine-Corps/The-Womens-Armed-Services-Integration-Act-of-1948/

341 Morris, Black Faces of War, 77

გამოიწვია, რომ ომის შემდეგრასობრივი საკითხები მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა, რაც შეიძლება ერთგვარ იმედგაცრუებად განვიხილოთ. თუმცა, ამავდროულად, პირველმა მსოფლიო ომმა სერიოზული ცვლილებები მოიტანა, კერძოდ, აფროამერიკელთათვის და, ზოგადად, ამერიკული საზოგადოებისთვის. ჩრდილოეთსადა სამხრეთში დიდმა მიგრაციამ[342] შეცვალა შავკანიანი საზოგადოების დემოგრაფია.[343]ომმა საშუალება მისცა აფროამერიკელ კაცებსა და ქალებს მოეთხოვათ მოქალაქეობა.[344]ეს ყოველივე კი აიძულებდა სახელმწიფოს, ეგრძნო ანგარიშვალდებულება, ხოლო ფერადკანიანებს შესაძლებლობა მიეცათ გაეპროტესტებინათ რასობრივი უსამართლობა.

სამხედრო სამსახურმა ხელი შეუწყო ათასობით ფერადკანიანის შეიარაღებულ ძალებში სამსახურს, ნება დართო  გაეცნოთ ახალი ხალხი და ეხილათ ახალი მიწები,. ფერადკანიანი მოსახლეობა ითხოვდა დემოკრატიას. ისინი მას დიდ პოლიტიკურ იდეალად მიიჩნევდნენ და უნდოდათ პოტენციალის დემონსტრირების საშუალება მისცემოდათ.

ამგვარად, თუ პირველი მსოფლიო ომი გარდამტეხი მომენტია აფროამერიკელთა ისტორიაში და მან მეოცე საუკუნის შავკანიანთა ცხოვრება შეცვალა, მეორე მსოფლიო ომი უკვე შესანიშნავი ტრამპლინი აღმოჩნდა ამ ყოველივეს სისრულეში მოსაყვანად.

# თავი III.

# აფროამერიკელი ქალი-სამხედროები XX საუკუნის მეორე ნახევრის და XXI დასაწყისისომებში

## 3.1. აფროამერიკელი ქალები ვიეტნამის ომში

---

[342]Gregory N., James, *The Southern Diaspora: How the Great Migrations of Black and White Southerners Transformed America,* (Chapel Hill: University of North Carolina Press, 2005), 220-230.

[343] James R. Grossman, *Land of Hope: Chicago, Black Southerners, and the Great Migration.* (Chicago: University of Chicago Press, 1989), 158-165.

[344] “African Americans and Word War I”, last modified February 15, 2020,http://exhibitions.nypl.org/africanaage/essay-world-war-i.html#intro

ვიეტნამის ომში აფროამერიკელთა ჩართულობა დიდი იყო, რასაც ადასტურებს მონაცემები, რომელთა თანახმადაც, „1964 წლისთვის აფროამერიკელები ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების 8.7 %-ს წარმოადგენდა. ამ მაჩვენებელმა თანდათანობით იმატა. ორი წლის შემდეგ, 1968 წლისთვის, მაჩვენებელი 10%-ს მიუახლოვდა, ხოლო 1972 წელს 11.1% შეადგინა.“[345]საინტერესოა, რომ ვიეტნამის ომში 5000-ზე მეტი მედდა მსახურობდა. იმ დროისთვის მათი საშუალო ასაკი 23 წელი იყო. ყველა მათგანს, გარდა ელისაბედ ალენისა, ეს საქმიანობა ახალი დაწყებული ჰქონდა. ელისაბედი მაგისტრის ხარისხს ფლობდა და ასევე სურდა დოქტორი გამხდარიყო.[346]

ელიზაბედ ალენი (Elizabeth Allen)მსახურობდა ვიეტნამში ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში – ტეტის შეტევისას[347] (*The Tet Offensive*). 1968 წელს, ომის პიკის დროს, ალენი და სხვა მედდები ჯუნგლებში იყვნენ გახიზნულნი, სადაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფთა დახმარებას ცდილობდნენ. ალენი მიჩიგანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და პრობლემური ახალგაზრდების მენტორი იყო. მას არც კი უცდია ვიეტნამის დატოვება.[348]იგი საინტერესოდ საუბრობდა ვიეტნამზე და აღნიშნავდა, რომ გადაწყვეტილება, ვიეტნამის ომში ჩართვასთან დაკავშირებით, უყოყმანოდმიიღო. მის მოტივაციად შემიძლია დავასახელო შემდეგი:

- მისი ძმები საზღვაო ფლოტში მსახურობდნენ;
- იგი მიიჩნევდა, რომ იყო ამერიკელი ნიშნავს იმას, რომ გაქვს სამხედრო ვალდებულებები;
- მას სხვისი დახმარების დიდი სურვილი ჰქონდა.

[345]James Westheider, *S. Fighting on Two Fronts, African Americans and the Vietnam War*, (New York: New YorkUniversity Press, 1997)248

[346]Westheider, *S. Fighting on Two Fronts,* 249-251.

[347]ტეტის შეტევა (ცნობილია, როგორც ტეტის ან საახალწლო შეტევა). 1968 წელს, ვიეტნამის ომის დროს, კომუნისტური ძალების პირველი ფართომასშტაბური შეტევა. ეს იყო ომის წყალგამყოფი მომენტი, რომლის შემდეგაც აშშ-ში საზოგადოებამ ვიეტნამის ომში გამარჯვების ყოველგვარი რწმენა დაკარგა.

[348]Yvonne Latty,*We Were There:Voices of African American Veterans from World War II to the War in Ira*q. (New York: HarperCollins, 2004), 91.

ალენი მეომართა ოჯახიდან იყო. მისი ბაბუა და ბიძა სამხედრო სამსახურში მსახურობდნენ. მისი ორივე ძმა, როგორც უკვე აღვნიშნე, საზღვაო ფლოტში ირიცხებოდა, ერთ-ერთი, კერძოდ, ვიეტნამში. სწორედ ამან განაპირობა ალენის მზაობა და ამგვარი ჩართულობა ამ ომში. იგი ამბობდა: „მე ვიცოდი, რომ პროფესიონალ მედდათა დიდი დეფიციტი იყო.“[349]საინტერესოა, ალენის მოსაზრება ომებში ქალთა ჩართულობის საკითხთან დაკავშირებით. იგი არ მიიჩნევს, რომ ქალისთვის სამხედრო სამსახური არასავალდებულო უნდა იყოს.[350]

ალენის სამხედრო ცხოვრება შეიძლება პირობითად ორ ნაწილად დავყოთ. მეორე ნაწილი ე.წ „Medevac”[351]-ით გრძელდება. ეს ეტაპი ერთდროულად საპასუხისმგებლო და სახიფათოც იყო. თუკი პირველ და მეორე მსოფლიო ომებში ერიდებოდნენ შავკანიანთა რაიმე ტიპის კავშირს ავიაციასთან, ვიეტნამის ომმა ეს საკითხი დღის წესრიგში დააყენა და საქმემ ერთი ნაბიჯით წაიწია. აფროამერიკელმა მედდამ დაიმსახურა ნდობა და მიიღო შესაძლებლობა ემუშავა საავიაციო სასწრაფო დახმარების განყოფილებაში. ელისაბედ ალენმა დიდი შრომა გასწია ვერტმფრენით კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი დაჭრილების გადაყვანისას. ალენის უმაღლესმა განათლებამ აღნიშნულ სფეროში ხელი შეუწყო მის ჩართულობასა და მისდამი ნდობის გამოცხადებას. იმის მიუხედავად, რომ თავდაპირველად მან არ იცოდა, რასთან ჰქონდა საქმე და როგორ უნდა მოქცეულიყო ჰაერში დაჭრილებთან, პასუხად მიიღო „შენ მაგისტრის ხარისხი გაქვს, თავს გაართმევ“.[352]

ალენი შეიარაღებულ ძალებში მომსახურე აფროამერიკელმედდათა შორის ერთ-ერთი გამორჩეული და სახასიათო პერსონაჟი იყო. იგი წარმოადგენდა ქალს, რომელსაცსხვადანარჩენებივითეშინოდა, მაგრამჰქონდასამხედროსამსახურისსურვილი, მოტივაციადამიზნები,თუმცა, ამავდროულად, სხვებისგან გამოირჩეოდა პრინციპულობითა და შეუვალობით, რითაც შეიძლება ჰარიეტ ტაბმენს შევადაროთ.

---

[349]Latty,*We Were Ther, 93-94.*

[350]“My War- Elizabeth A. Allen”, last modified, February 22, 2019, https://www.historynet.com/my-war-elizabeth-a-allen.htm

[351]საავიაციო სასწრაფო დახმარება

[352]Latty,*We Were There: 95-97.*

სანამ შეიარაღებულ ძალებს შეუერთდებოდა, ალენმა სამი ყველასგან განსხვავებული და საინტერესო მოთხოვნა წამოაყენა. მას სჭირდებოდა გარანტია, რომ:

- იმსახურებდა ვიეტნამის ომში
- უახლოეს ნაკადში ჩასვამდნენ
- შეიარაღებული ძალები დარტყმას მიაყენებდნენ მოწინააღმდეგისსაჰაერო ძალებს.[353]

შეიარაღებულმა ძალებმა სამივე პირობა შეასრულა.

აფროამერიკელ ქალთა უმეტესობამ ომი სამოქალაქო საზოგადოებაში თავის დამკვიდრების ერთ-ერთ საშუალებად გამოიყენა. ელისაბედ ალენიც შეგვიძლია მათ რიცხვს მივაკუთვნოთ.

პრობლემა:

- სამოქალაქო საზოგადოებაში რთულად ინტეგრირების საკითხი;
- სამშობლოში საკუთარი თავის რთულად რეალიზება;
- ვიეტნამი, როგორც ერთგვარი საშუალება საკუთარი თავდადებისა და ღვაწლის დემონსტრირებისთვის.

მიზანი: ვიეტნამი, როგორც სამოქალაქო საზოგადოებაში შედარებით მარტივად ინტეგრაციის საშულება.

ზემოხსენებული პუნქტები შეიძლება დამოწმდეს თავად ალენის სიტყვებით: „1968 წლის აპრილში მეორე საბრძოლველი გამიჩნდა. შტატებში დაბრუნება არ მსურდა, რადგან ვიცოდი, რომ ნაკლებად მოთხოვნადი და საჭირო ვიქნებოდი. მივმართე ზემდგომ ორგანოებს ვიეტნამში ჩემი დარჩენის თაობაზე, თუმცა უარი მივიღე“.[354]

ალენი შტატებში დაბრუნების შემთხვევაში ვერავითარ კარიერულ პერსპექტივას ვერ ხედავდა. „როგორც ოფიცერსა და ვეტერანს არავინ არაფრად მაგდებდა.[355] ახლაც ვკითხულობ, ამერიკა ოდესმე მიიღებს და ჩაიკრავს გულში ბრძოლის ველზე მყოფ

---

[353]Ann Arbor's Elizabeth Allen among veterans featured in documentary 'Our Vietnam Generation,' premiering tonight". Last modified July 12, 2018. http://www.annarbor.com/news/ann-arbors-elizabeth-allen-among-vietnam-vets-featured-in-our-vietnam-generation-which-premieres-ton/
[354]"My War- Elizabeth A. Allen" Last modified, February 22, 2019, https://www.historynet.com/my-war-elizabeth-a-allen.htm
[355]"Elizabeth Allen", last modified December 15, 2020, https://www.youtube.com/watch?v=Lp0DVYoNP5k

ქალს? არითა ფრანკლინმა (Aretha Franklin) ყველაზე უკეთ გასცა ამ კითხვას პასუხი: „სულ მცირე პატივისცემას ვითხოვ, როდესაც სახლში დავბრუნდები, სულ მცირე პატივისცემას“. [356]

მისი ინტეგრაციის საკითხი პირობითად ორ ეტაპად იყოფა. ინტეგრაციის პირველი ეტაპი - სამხედრო სისტემაში შესვლა, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ ორ ეტაპად შეგვიძლია დავყოთ: Medevac-მდელი და Medevac-ის შემდგომი პერიოდი (ალენის ინტეგრირების ღერძი მისი Medevac-ში მუშაობა იყო, სადაც მან თავი საავიაციო სისტემაშიც მტკიცედ დაიმკვიდრა); ხოლო მეორე - მის მიერ სამხედრო სისტემის დატოვება იყო.

სამხედრო სისტემის დატოვების შემდეგ იწყება მეორე ეტაპი - ალენის სამოქალაქო საზოგადოებაში დაბრუნება. ვიეტნამმა ერთმნიშვნელოვნად მოახდინა ალენის ინტეგრირება სამოქალაქო საზოგადოებაში, როდესაც იგი გახდა მიჩიგანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და, ამავდროულად, პრობლემური ახალგაზრდების მენტორი. პრობლემური ახალგაზრდების მენტორობა ხაზს უსვამს ამ ფაქტს და ზომავს მისი წარმატების, აღიარებისა და ინტეგრირების დონესა და სიღრმეს.

მსურს ყურადღება გავამახვილო საჰაერო ძალების ვიცე-პოლკოვნიკზე ოლივია თერიოტზე(Olivia Theriot), რომელიც საჰაერო ძალების მედდა იყო. თერიოტმა საკმაოდ საპასუხისმგებლო და რთული დავალება შეასრულა. იქედან გამომდინარე, რომ ექიმების დიდი დეფიციტი ოყო, ოლივია, მისი პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ცდილობდა პირნათლად შეესრულებინა მასზე დაკისრებული ვალდებულებები. იგი წერს: „უკვე მედდა ვიყავი, რომელიც კანზასში ცხოვრობდა. ერთხელაც ტელევიზორს ვუყურებდი, სადაც შეიარაღებული ძალების შესახებ რეკლამა გადიოდა, რომელიც მსურველებს იწვევდა. საზღვაო ფლოტში ყოფნა მინდოდა, რადგანაც ლურჯი უნიფორმა მომწონდა, მაგრამ, როდესაც ისინი ზღვაში ჩემს

[356] “Ann Arbor's Elizabeth Allen among veterans featured in documentary 'Our Vietnam Generation,' premiering tonight”. Last modified July 12, 2018. http://www.annarbor.com/news/ann-arbors-elizabeth-allen-among-vietnam-vets-featured-in-our-vietnam-generation-which-premieres-ton/

ვალდებულებებსა და უფლებამოსილებაზე გამესაუბრნენ, ჩემი პასუხი იყო: „არ არსებობს“[357].

საინტერესოა თავად ის ფაქტიც, რომ თერიოტის სამხედრო სისტემაში მოსახვედრად განსაკუთრებული მოტივი არ ჰქონია. ეს არც ოჯახური ტრადიციით იყო განპირობებული. თერიოტის სამხედრო სამსახურში, კერძოდ, საჰაერო ძალებში ყოფნა, პირადად მისი სურვილი იყო. იგი წერს: „ქვეითი ჯარის უნიფორმა არ მომწონდა, ასე რომ, ვარჩიე საჰაერო ძალები“.[358]

თერიოტის ამ ფრაზაში შეიძლება დავინახოთ ომში ფერადკანიანთა ჩართულობის მიზეზი. სწორედ ამისთვის იბრძოდნენ ეს ფერადკანიანი ქალები-თავისუფალი არჩევანის უფლებისთვის. ამ ორაზროვანი ფრაზის ცხოვრებაში გასატარებლად სოჯორნორ თრუსი, სამოქალაქო ომის დროს, ავითარებდა საკუთარ იდეოლოგიას და ალაგებდა პრიორიტეტებს, რათა დაეხსნა მისი რასა მონობისგან, დაეცვა ქალთა უფლებები. უფლებები, რომელიც ვიეტნამის ომში მყოფ თერიოტს ნამდვილად ჰქონდა. ეს არის კანონზომიერი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. სამოქალაქო ომი დაიწყო სწორედ იმისთვის, რისთვისაც ამერიკულმა საზოგადოებამ გარკვეული წერტილი დასვა რასიზმთან მიმართებით, რაც ნათლად ცხადყო ვიეტნამის ომმა. ოლივის მიერ ნათქვამმა ფრაზამ: „ქვეითი ჯარის უნიფორმა არ მომწონდა, ასე რომ, ვარჩიე საჰაერო ძალები“, მკაფიო სურათი  მოგვცა იმისა, რომ არჩევანის თავისუფლება აფროამერიკელ ქალებს ვიეტნამის ომის დროს ნამდვილად ჰქონდათ და, შესაბამისად, რისთვისაც გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა დასაწყისში, საბოლოოდ მიღწეულ იქნა.

აფროამერიკელი ქალების მოღვაწეობის შესწავლისას, სამოქალაქო ომიდან ვიეტნამის ომის ჩათვლით, მკაფიოდ გამოიკვეთა შემდეგი: თუკი სამოქალაქო ომი იყო აღორძინების პირველი ტალღა, რომელმაც საშუალება მისცა აფროამერიკელებს

---

[357]“Who's Who Publishing Honors Olivia Theriot, RN, MA” Last modified February 22, 2019, https://www.24-7pressrelease.com/press-release/150040/cambridge-whos-who-publishing-honors-olivia-theriot-rn-ma

[358] Yvonne Latty, *We Were There:Voices of African American Veterans from World War II to the War in Iraq*. (New York: HarperCollins, 2004), 117-119.

გაეკეთებინათ განაცხადი თავისუფლების მოპოვებასთან დაკავშირებით, რაც ერთგვარ ათვლის წერტილადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, ვიეტნამის ომმა მკაფიო კონტურები გაავლო და მოგვცა მისი მიზნის მიღწევის ზუსტი სურათი.

პირველმა მსოფლიო ომმა მიუკერძოებელი სამუშაო პირობების მოთხოვნამდე მიიყვანა საკითხი, იგი ომს უცხადებდა შავკანიანების მეორეხარისხოვან რასად აღქმასა და მათ თეთრკანიანებთან უთანასწორო არსებობას.

მეორე მსოფლიო ომში შეერთებული შტატები ფაშიზმის დამარცხებასა და თავისუფლების დაცვაზე იყო ორიენტირებული, ხოლო ვიეტნამმა რასობრივ დისკრიმინაციას წერტილი დაუსვა.

საინტერესოა, რომ 1971 წლის მარტში „ბალტიმორ სანი“-ის (The Baltimore Sun) კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა შეერთებული შტატების არმიის სამედიცინო კორპუსის (US Army Medical Corps) თანამშრომელს, კლოტილდა ბოვენს. კორესპონდენტმა ბოვენს ჰკითხა ვიეტნამის შესახებ, კერძოდ: „როგორია, როდესაც აშშ-ს შეირაღებულ ძალებში ერთდროულად ხარ შავკანიანი და ხარ ქალი“? რაზეც კლოტილდამ უპასუხა: „უაღრესად რთულია. ბევრი მიიჩნევს, რომ საუკეთესო შემთხვევაში, პატრონი გყავს, უარეს შემთხვევაში, სრული დისკრიმინაციაა. ოღონდ, იმიტომ კი არა, რომ შავკანიანი ხარ, არამედ იმიტომ, რომ ქალი ხარ.“[359]

სწორედ ამ ინტერვიუში „ბალტიმორ სანი“-თან (The Baltimore Sun) კარგად ჩნდება ვიეტნამის ომის წყალგამოყოფი აფროამერიკელ ქალებთან მიმართებით. ეს იყო ომი, რომელმაც ორი მწვავე საკითხი ერთდროულად დააყენა - რასა და გენდერი. აქედან, მან მხოლოდ პირველის მოგვარება შეძლო, ხოლო უკანასკნელი დანარჩენ ომებს „უანდერძა“. ვიეტნამის ომმა მომზადებული კადრები მიიღო და მათი უპრობლემო ინტეგრირებაც მოახდინა. აღნიშნულ ომში აშშ-ს სამხედრო სისტემას არ ჰქონდა

[359] “Volunteering For Vietnam: African-American Servicewomen” United States of America: last modified February 22, 2019, https://www.womensmemorial.org/history/detail/?s=volunteering-for-vietnam-african-american-servicewomen

რასობრივი დისკრიმინაციის სახე, თუმცა ცნობილი გამონათქვამი - „ომს ქალის სახე არ აქვს" კვლავ აქტუალური იყო.

თუკი წინამდებარე თავში ნახსენებ ომებს თვალს გადავავლებთ, საკმაოდ მარტივად მივხვდებით, რომ ვიეტნამის ომი აფროამერიკელი ქალებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო პლატფორმა იყო რასიზმისა და დისკრიმინაციის აღსაკვეთად. ეს იყო ომი, სადაც, როგორც უკვე აღვნიშნე, მთავარ პრობლემად გენდერი და მისი მოუგვარებლობა რჩებოდა. ვიეტნამის ომი წყალგამყოფი და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ფერადკანიან ქალთა ისტორიაში, სადაც მთავარი აქცენტები სქესზე კეთდებოდა და არა კანის ფერზე.

რაც შეხება თავად თერიოტს, მისი სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაცია წარმატებით მოხერხდა. დღეს იგი კოსმეტიკური ფირმის „Mary Kay"-ის ოფიციალური წარმომადგენელია, სადაც კურირებს გაყიდვებს, გუნდის ახალ წევრებს კონსულტაციებს უწევს და ტრენინგებს ატარებს. ოლივია საკმაოდ წარმატებულია თავის საქმიანობაში. ვიეტნამმა მას მოუტანა აღიარება და სამოქალაქო საზოგადოებაში სწორედ ისეთი ინტეგრირება, როგორიც თავად სურდა.საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფერადკანიანი ქალი გახდა კოსმეტიკური ფირმის წარმომადგენელი, რომელსაც ურთიერთობა ათასობით ადამიანთან აქვს. ეს არის საზოგადოების დამოკიდებულება ამ რასისა და კანის ფერისადმი და, კერძოდ, ამ ქალბატონის ღვაწლისადმი შეერთებული შტატების წინაშე. თუკი ბრენდის მფლობელი მიიჩნევს, რომ აფროამერიკელი ქალი მისი ფირმის სათავეში არა თუ ზიანს, არამედ დიდ კომერციულ მოგებასაც მოუტანს, ეს იმის მანიშნებელია, რომ თერიოტი აბსოლუტურად ინტეგრირებულია ამ საზოგადოებასთან. მის ცხოვრებაში ვიეტნამმა გადაჭრა ერთ-ერთ ყველაზე მთავარი საკითხი - სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირება.

კიდევ ერთი ქალი - მერი როჯერსი (Marie Rogers) მეტად საინტერესო ფიგურაა შავკანიან ქალთა ისტორიაში. ალაბამას შტატში დაბადებული როჯერსი მოესწრო ჯიმ ქროუს სეგრეგაციის კანონებს, რომელიც ნებისმიერი აფროამერიკელისთვის რთული ასატანი იყო. იქიდან გამომდინარე, რომ როჯერსი მსახურობდა ვიეტნამისა და კორეის

ომებში, იგი მნიშვნელოვან და საინტერესო მაგალითს წარმოადგენს. სახმელეთო ჯარის მედდის სამსახურის (Army Nurse Corps) პოლკოვნიკი მერი როჯერსი ამჟამად ფარმაცევტულ კომპანიაშია დასაქმებული. იგი უსასყიდლოდ მუშაობს, რადგან მისი ნომერ პირველი საზრუნავი არა შემოსავალი, არამედ ინტეგრაციის საკითხია.[360] როგორც თერიოტის შემთხვევაში, როჯერსთანაც იგივე საკითხი იჩენს თავს - ნდობის ფაქტორი, რომელიც მათ აღნიშნულმა ფირმებმა გამოუცხადეს. ამ შემთხვევაში საუბარი არის ფარმაცევტულ ფირმაზე, რომელიც უამრავ ადამიანს საჭირო მედიკამენტს აწვდის. ფერადკანიანი ქალი მათთვის არავითარ წინაღობას არ წარმოადგენს, პირიქით, მათ მას ნდობა გამოუცხადეს, ეს კი, რა თქმა უნდა, პირდაპირ კავშირშია ვიეტნამის ომთან, როჯერსის ღვაწლთანდა მის დიდ გამოცდილებასთან. თეთრ სახლში სპეციალურად მიწვეული და ბრინჯაოს ვარსკვლავის მფლობელი როჯერსი ნებისმიერი ორგანიზაციისთვის დიდ შენაძენს წარმოადგენს. ვიეტნამის ომმა იგი თეთრ სახლში ბრინჯაოს ვარსკვლავამდე მიიყვანა, ხოლო ამ ყოველივემ ამერიკულ საზოგადოებაში ინტეგრაციამდე.

როჯერსი ვიეტნამში ქირურგიული დეპარტამენტის მედდად მსახურობდა. როდესაც იგი 24-ე საევაკუაციო ჰოსპიტალს[361] შეუერთდა, მაიორის წოდებამდე დაწინაურდა. ეს ჰოსპიტალი ყველასგან განსხვავებული იყო, მისი პაციენტების მდგომარეობის სირთულით. სწორედ აქედან გამომდინარე, ჰოსპიტალში ნამუშევარი როჯერსიც ღვაწლითა და თავდადებით გამოირჩეოდა.

აღნიშნულმა ჰოსპიტალმა 1967 წელს მიიღო შეიარაღებული ძალების სამხედრო ჯილდო*Meritorius Unit Citation*-ი[362]. ამ დროსვე როჯერსს საოპერაციო ოთახი გამოეყო.[363]

მოტივაცია:როჯერსი მანამდე არასდროს ყოფილა ბრძოლის ველზე. მას საკუთარი თავის გამოცდა სურდა. პირველ და მეორე მსოფლიო ომებში სხვისი

---

[360]Yvonne Latty, *We Were There:Voices of African American Veterans from World War II to the War in Iraq.* (New York: HarperCollins, 2004) 127-129.

[361] 24th Evacuation Hospital at Long Binh- გახსნის პირველივე წელს ემსახურებოდა 9010 დაზარალებულს. 5900 პაციენტს ჩაუტარდა ქირურგიული, ხოლო 3000 პაციენტს სამედიცინო მომსახურება.

[362] ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სამხედრო ჯილდო სამხედრო ფორმირებისთვის, რომელიც გამორჩეული გმირობისთვის გაიცემა.

[363] Latty, *We Were There,* 128.

მაგალითებით,მერი როჯერსმა ვიეტნამი საკუთარი შესაძლებლობების დასამტკიცებლად გამოიყენა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იგი მანამდე კორეის ომშიც იყო.

მიზანი: სამოქალაქო საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება.

პრობლემა:ვიეტნამის ომს არ ახასიათებდა იმ ტიპის პრობლემები, რაც წინა ომებს - რასობრივი დისკრიმინაცია არ შეინიშნებოდა, რაც დასტურდება შემდეგით: „მე ვერ ვგრძნობდი ვერავითარ რასიზმს. ყველა კარგად მექცეოდა.“ [364]

ასევე, აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების შეარაღებული ძალების სისტემის სპეციფიკა ვიეტნამის ომში. სხვა ომების დროს აფროამერიკელი ქალები უთანასწორო დამოკიდებულებას, გარკვეულ დისტანციასა და სხვადასხვაგვარ დისკრიმინაციას გრძნობდნენ. ვიეტნამის ომმა ცხადყო მხოლოდ ერთი სახის დისკრიმინაცია - გენდერულიდა მკვეთრი აქცენტები დასვა იმაზე, რაც ამ ქალებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო - სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაცია, რაც ალენმა, როჯერსმა და თერიოტმა საკმაოდ მარტივად მოახერხეს.

ვიეტნამის ომის დროს შეიარაღებულმა ძალებმა მკვეთრად დააფიქსირა საკუთარი პოზიცია შავკანიანების, კერძოდ, ქალების მიმართ, რაც დასტურდება შემდეგით: „ჯარში არსებულმა დაწინაურების სისტემამ გვიშველა. სხვა სიტუაციაში, შავკანიანი მედდის ამპლუაში, მე ვერ დავიკავებდი იმ თანამდებობებს, რაზეც ვმუშაობდი. ისინი მაძლევდნენ საქმეს, რისთვისაც მომზადებული ვიყავი, ჩემი რანგის შესაბამისად. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას ფიქრობდნენ ჩემზე, მთავარია, მომათავსეს იმ სივრცეში, რომელიც მჭირდებოდა, - წერს მერი როჯერსი.[365]

მიღწევა: როჯერსის ღვაწლის აღიარება და დაფასება მოხდა მისი თეთრ სახლში მიპატიჟებითა და ბრინჯაოს ვარსკვლავის გადაცემით. ვიეტნამმა ხელი შეუწყო მის ადაპტირებას იმ საზოგადოებასთან, რომელთანაც მას მჭიდრო კავშირის დამყარება

---

[364] Klara, Dixon Vuic, *Officer, Nurse, Woman: The Army Nurse Corps in the Vietnam War,*9Baltimore: The John Hopkins University Press, 2011), 304.

[365] Evelyn Monahan, Rosemary Neidel-Grenlee, *A few Good Women, America's Military women from World War I to the Wars in Iraq and Afghanistan,*(New York Alfred A. Knopf 2010,), 556-560.

სურდა. დღეს იგი ფარმაცევტულ კომპანიაში მუშაობს, სადაც ცდილობს უსასყიდლოდ ემსახუროს იმ საზოგადოებას, რომელსაც ვიეტნამში საკუთარ ერთგულებას უმტკიცებდა.

დიაგრამა 1. ვიეტნამის ომში, შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში, აფროამერიკელ ქალთა ჩართულობა.




კვლევიდან გამომდინარე, აფროამერიკელ ქალთა ჩართულობა შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში ვიეტნამის ომისას შემდეგნაირად გადანაწილდა: დაახლოებით 75% მედდათა კორპუსში (Army Nurse Corp)- ჩართულობამ შეადგინა, ხოლო 25% - სამხედრო-საჰაერო ძალებში (Air Force).

არსებული მასალების შესწავლამ შესაძლებლობა მომცა დამეზუსტებინა, თუ რა გზით მოახერხეს აფროამერიკელმა ქალებმა საზოგადოებაში ინტეგრირება. დასკვნები ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

| ალენი | თერიოტი | როჯერსი |
|---|---|---|
| მოტივაცია | მოტივაცია | მოტივაცია |
| ოჯახის სხვა წევრების ჩართულობა ვიეტნამის ომში; სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირება. | პირადი სურვილით მოირგო შეიარაღებული ძალების უნიფორმა; სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირება. | პირადი სურვილი მიიღო ომში მონაწილეობა; სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირება. |
| მსახურობდა: | მსახურობდა: | მსახურობდა: |
| შეიარაღებული ძალების მედდათა კორპუსი | საჰაერო ძალები | შეიარაღებული ძალების მედდათა კორპუსი |
| ინტეგრირების პიკი | ინტეგრირების პიკი | ინტეგრირების პიკი |
| 1.ტეტის შეტევა<br>2. Medevac-ი | დემილიტარიზაციის ზონა | 24-ე საევაკუაციო ჰოსპიტალი |
| წოდება | წოდება | წოდება |

| | | |
|---|---|---|
| კაპიტანი | ვიცე-პოლკოვნიკი | პოლკოვნიკი |
| დასაქმებული | დასაქმებული | დასაქმებული |
| მიჩიგანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (განათლება) | კოსმეტიკური ბრენდი „მერი ქეი“ ( ბიზნესი) | ფარმაცევტული კომპანია (მედიცინა) |
| | | |

ვიეტნამის ომმა თავისებურება გამოავლინა. მან აფროამერიკელ ქალთა ყველაზე მაღალი ჩართულობის ინდექსი დააფიქსირა. ვიეტნამის ომი, აქამდე არსებულ ომებს შორის, ყველაზე პროდუქტიული აღმოჩნდა აფროამერიკელ ქალთა არა მხოლოდ ღვაწლის, არამედ მათი სამხედრო საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებითა და სამოქალაქო საზოგადოებაში დაბრუნებისა და სამოქალაქო უფლებების კუთხითაც. ასევე, აღნიშნულმა ომმა საინტერესო ისტორიული ცვლილებები შეიტანა. მან აფროამერიკელებს ავიაციასთან (სამედიცინო კუთხით) კონტაქტის დამყარების უფლება მისცა, რაც მანამდე არცერთ ომში არ მომხდარა (პირველი და მეორე მსოფლიო ომები).

თუკი ომებში ჩართულობას განვიხილავთ, როგორც ინტეგრაციის საშუალებას, ამ თვალსაზრისით, ვიეტნამის ომი შეიძლება პრეცენდენტად ჩაითვალოს და იგი მისი არსითა და სპეციფიკით აფროამერიკელთათვის პრეცენდენტულ ომებში მოვიაზროთ. ვიეტნამის ომში ჩართული აფროამერიკელი ქალები ფლობდნენ მაგისტრის ხარისხს. ეს იყო მაგისტრი მედდების ომი. ომი, რომელშიც უმაღლესი განთლების საკითხი (ბაკალავრისა და მაგისტრის დიპლომი) ლიდერობდა.

ვიეტნამის ომმა გვერდზე გადადო დისკრიმინაციული (რასობრივი) საკითხები თუ მიდგომები. ერთადერთი პრობლემა, რომელიც აღნიშნულმა ომმა ვერ მოაგვარა, იყო გენდერული თანასწორობა.

## 3.2. აფროამერიკელ ქალთა როლი სპარსეთის ყურის ომებში

სპარსეთის ყურის ომები[366]შეიძლება ამერიკის ისტორიის განსაკუთრებულ მოვლენად ჩაითვალოს. პირველმა მათგანმა (1990-1991 წწომმა) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერიკის შეერთებული შტატების რასობრივ-გენდერული პოლიტიკის საქმეში. სწორედ მაშინ ეს პოლიტიკაგანსაკუთრებით აქტუალური გახდა. სპარსეთის ყურის ომში ყველაზე მეტი სამხედრო მოსამსახურე ქალი დაფიქსირდა, განსაკუთრებით, აფროამერიკელი ქალები. აღნიშნულ ომში იმაზე მეტი რეზერვისტი ქალი იყო, ვიდრე ნებისმიერ სხვა ომში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიას ახსოვს.

ამერიკელთა შორის პატრიოტული სულისკვეთება იმდენად მაღალი იყო, რომ ომში წასვლას არც მეძუძური დედები ერიდებოდნენ. შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს იყო დედების ომი (ხშირად, მარტოხელა დედების), რომლებმაც შვილები დატოვეს და ჯარს შეუერთდნენ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ომმა გარკვეული ტიპის უკუპროპორცია გამოიწვია, რაც ჯარში შესაბამისად აისახა: გენდერული და რასობრივი გადანაწილებისას, აფრომერიკელთაწილი შეიარაღებული ძალებში უდრიდა:

- სპარსეთის ყურის ომში მონაწილე ყველა სამხედროს 24%-ს;
- სახმელეთო ჯარის 30%-ს;
- სპარსეთის ყურის ომში აშშ-ს ჯარში 37 000[367]ქალი მსახურობდა, აქედან 15.000-ზე მეტი აფროამერიკელი იყო.[368]

ციფრი მეტისმეტად დიდია და ქალთა ჩართულობა მასშტაბური, რომ ის უგულვებელვყოთ.

სხვა თავებში აღწერილი თითოეული ომი გამოირჩეოდა სპეციფიკური მახასიათებლებით და ცხადყოფდა საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს.

---

[366]იგულისხმება ომი ერაყთან ქუვეითის განთავისუფლებისთვის 1990-1991 წწ და 2003 წლის ერაყის ომი
[367]Women in U.S. Military during Desert Shield/Desert Storm. Appendix R, "Role of Women in the Theater of Operations" in *Conduct of the Persian Gulf War: Final Report to Congress*. vol.2 Washington: Department of Defense, 1992.Published: Thu Nov 30 07:51:56 EST 2017; https://www.history.navy.mil/browse-by-topic/diversity/women-in-the-navy/during-desert-shield-desert-storm.html
[368]Gail Harris, America’s Women (New York: Harper Collins Publisher, 2003), 197-200.

ამავდროულად, თითოეული მათგანი, აფროამერიკული რასისთვის წარმოადგენდა გარკვეული მიზნის მიღწევის საშუალებას. თუკი, სხვა ომებში ყურადღებას ვამახვილებდი თავისუფლების მოპოვების მცდელობაზე, გენდერულ უთანასწორობაზე, ეთნიკურ, რელიგიურ ან რასობრივ დისკრიმინაციაზე, სპარსეთის ყურის ომმა აბსოლუტურად სხვა სურათი დამანახა. აქ დიდი დოზით გამოიკვეთა ის პრობლემა, რაც სხვა ომებისთვის შედარებით ნაკლებად დამახასიათებელი იყო - აფროამერიკული რასის ყველაზე მაღალი ჩართულობა და სექსუალური ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

მკაფიო და სრული სურათის მისაღებად, იმასთან დაკავშირებით, თუ რა იყო სპარსეთის ყურის ომებში, მათ შორის, მეორე, იგივე ერაყის 2003 წლის ომშიც ქალთა მონაწილეობის მიზეზი და რა შედეგი გამოიღო მათმა აქტიურმა ჩართულობამ, რამდენიმე აფროამერიკელი ქალის წინაისტორიის, მიზნების, პრობლემებისა და მიღწევების მოკლე მონახაზს წარმოვადგენ.

ამ ქალებს შორის უპირველესია შოშანა ჯონსონი. იგი დაიბადა პანამაში, ხოლო შემდეგ, ჯერ კიდევ ბავშვი, საცხოვრებლად შეერთებულ შტატებში გადავიდა. მეორე თაობის შეიარაღებული ძალების ვეტერანი საერთოდ არ აპირებდა კარიერის ამ კუთხით წარმართვას, მაგრამ 1991 წელს შოშანა ჯონსონი უმცროსი ოფიცრების რეზერვის სასწავლო კორპუსის (JROTC[369]) კადეტი გახდა და 1998 წელს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს შეუერთდა. ამ დროს შოშანა პასოში ტექსასის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო (რეზერვის ოფიცერთა მომზადების სამსახური, Reserve Officers' Training Corps (UTEP).[370]

2003 წლის 23 მარტს შოშანა ჩაერთოთავისუფლებისთვის ბრძოლის ოპერაციაში, როგორც შეერთებულ შტატებში ერაყის ომს უწოდებენ. იგი კონვოის წევრი იყო,

---

[369]The Junior Reserve Officers' Training Corps (JROTC) ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ფედერალური პროგრამა (მე-9-დან მე-11 კლასამდე), რომელიც განლაგებულია შეერთებულ შტატებში და ასევე, აშშ-ს სამხედრო ბაზებზე მსოფლიოს მასშტაბით. პროგრამა თავდაპირველად შეიქმნა, როგორც 1916 წლის ეროვნული თავდაცვის აქტის ნაწილი, ხოლო შემდეგ, 1964 წლის ROTC Vitalization Act-ის ნაწილად იქცა.

[370] Shoshana Johnson, I am still Standing, (Cambridge: Cambridge University Press, 2010), 297-300.

რომელიც ნასირიაში[371] მდებარეობდა. შოშანა ჯონსონი და მისი ხუთი თანამებრძოლი (ამ მომენტისთვის იგი დაჭრილი იყო) მტრის ბანაკს ტყვედ ჩაუვარდნენ. მოგვიანებით, 13 აპრილს, შეერთებული შტატების საზღვაო ფლოტმა ისინი გაათავისუფლა. შოშანა შტატებში დაბრუნდა, ხოლო შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობის დროებითი გაურესების გამო (შეიარაღებულ ძალებში არსებული ოფიციალური საპატიო მიზეზი) პენსიაზე გავიდა.[372]

მიღწევა: ბრინჯაოს ვარსკვლავი, მეწამული ვარკვლავი, სამხედრო ტყვეს მედალი. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ძალებმა შოშანა ჯონსონს მიანიჭა ერაყში თავისუფლებისთვის ბრძოლის ოპერაციაში მონაწილეობისთვის. იგი აღიარეს პირველ სამხედრო და პირველ აფროამერიკელ ქალ ტყვედ აშშ-ს ომების ისტორიაში. [373]

იამაიკელი ჟურნალისტი და მწერალი ბარბრა გლუდონი საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს: „ჯარისკაცობა ასოცირდება ძლიერ და მამაც კაცთან. ასე იყო ადრე, სანამ გენდერულმა თანასწორობამ დეფინიცია შეიცვალა. გადაახვიე და შეხედე. დღევანდელი ჯარისკაცი კაცები და ქალები ძლიერები უნდა იყვნენ. ისინი თამამად უნდა მიდიოდნენ ფრონტზე. ამ ყოველივეს კი ლაიტმოტივად თავისუფლების წყურვილი უნდა მოჰყვებოდეს, განა, არა?"[374]

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველა ის აფროამერიკელი ქალი, რომელიც მონაწილეობდა სპარსეთის ყურის ომებში, სრულიად არ უშვებდა საკუთარ მონაწილეობას ცხელ წერტილში გამართულ ოპერაციებში. ამერიკის რევოლუციის შემდეგ ქვეყნის პატრიარქალური წყობა (აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები) კრძალავდა ქალის ყოფნას ცხელ წერტილებში იარაღით ხელში. თუმცა,

---

[371]ნასირია- ქალაქი ერაყში. მდებარეობსქვეყნისსამხრეთ-აღმოსავლეთნაწილში. იგიარის დი-ქარისმუჰაფაზის ადმინისტრაციულიცენტრიდაუდიდესიქალაქი. მდებარეობსზღვისდონიდან 7 მეტრზე. 2012 წლისშეფასებისმიხედვითქალაქისმოსახლეობადაახლ. 860 200-ს შეადგენდა. ნასირიაარისმოსახლეობისსიმრავლითერთ-ერთიუდიდესიქალაქიერაყში. იგიმდებარეობს 370 კილომეტრშიქვეყნისდედაქალაქ ბაღდადიდან. თანამედროვექალაქიდაარსდა 1876 წელს.

[372]Shoshana Johnosn, I am still standing", last modified October 03, 2019. https://www.youtube.com/watch?v=Lp0DVYoNP5k

[373]"Veteran of the Day Army Veteran Shoshana Nyree Johnson", last modified March 16, 2019. https://www.blogs.va.gov/VAntage/57640/veteranoftheday-army-veteran-shoshana-nyree-johnson/

[374]12. Elizabeth F. Desnoyers-Colas, *Marching as to war/ Personal narratives of African American Women's Experiences in the Gulf Wars.* (Lanham: University Press of America, 2014), 1-5.

უდაბნოს ფარისა და უდაბნოს ქარიშხლის ოპერაციებისას, ქალთა პატარა ჯგუფებმა, როგორც მეცნიერი ელიზაბედ ქოლასი მოგვითხრობს, მაინც მოახერხეს მცირე ჩართულობა. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც 1983 წელს ოპერაციის „მრისხანების აფეთქება“ (Operation Urgent Fury) დროს აშშ თავს დაესხა გრენადას, რათა ეხსნა სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები. იგივე შეიძლება ითქვას ოპერაციაზე „მართალი საქმე“ (Operation Just Cause) 1989 წელს (აშშ შეიჭრა პანამაში[375]), რათა გადაეყენებინა გენერალი მანუელ ნორიეგა.[376][377]

კიდევ ერთი აფროამერიკელი ქალიკორინ რეისი(Coreen Reyes) 10 წლის განმავლობაში მსახურობდა ამერიკის შეერთებული შტატების შეირაღებულ ძალებში სამხედრო ადიუტანტად. მან 1986 წელს დაამთავრა ჰემპტონის უნივერსიტეტი (ვირჯინიის შტატი), კერძოდ, რეზერვის ოფიცერთა მომზადების სამსახური, აეროპორტების რესურსების მართვის მიმართულებით (Armt ROTC). 1990 წელს რეისი იყო ჯავშანტექნიკის მხარდაჭერის დივიზიის (Armored Division Support Command) პირველი ლეიტენანტი. რეისს, აღმასრულებელი ოფიცრის რანგში, ევალებოდა სამხედრო გეგმების წერა. იგი პასუხისმგებელი იყო დივიზიის იარაღით მომარაგებაზე და აკეთებდა ყოველივე იმას, რაც მის ერთეულს სჭირდებოდა, ომის სწორად წარმართვისთვის.[378]

პრობლემა:რეისი ბრწყინვალედ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, თუმცა ეს მისი მეთაურისთვის საკმარისი არ იყო. იგი არ მიიჩნევდა, რომ რეისს შესწევდა უნარი გამკლავებოდა ვალდებულებს. მას გამუდმებით ეჭვი ეპარებოდა მის შესაძლებლობებში. აქვე დავუშვებ იმ მოსაზრებასაც, რომ ეს ყოველივე მისი აფროამერიკელობის ბრალი იყო, რადგან ეს რასა ყოველთვის მეორეხარისხოვნად

---

[375]მას უწოდეს „ოპერაცია სულელი მოცეკვავე“ (Operation Nimrod Dancer)

[376]მანუელ ნორიეგა - პანამის სამხედრო და სახემწიფო მოხელე. პანამის ნაციონალური გვარდიის მთავარსარდალი. 1983-1989 წლებში პანამის დე ფაქტო ლიდერი. ოფიციალურად არ ეჭირა არცერთი თანამდებობა, თუმცა, მიიღო ტიტული „პანამის განთავისუფლების უმაღლესი ლიდერი“.

[377] Desnoyers-Colas, *Marching as to war,* 7-8.

[378]U.S. Army, “Official Report on the 507th Maintenance Co.: An Nasyryah, Iraq.” Accessed February 01, 2017 www.Why-war.com/files/articles07102003apdf

ითვლებოდა და მის წარმომადგენელთა გონებრივი შესაძლებლობები მუდმივად ეჭვქვეშ დგებოდა.

სანამ ოფიციალური წყაროებიდან  ინფორმაციას მიიღებდა, კორინ რეისი უკვე ინფორმირებული იყო, რომ მისი დანაყოფი ომისთვის ემზადებოდა. ჯერ ევროპაში წავიდნენ, ხოლო შემდეგ - საუდის არაბეთში, ქალაქ თენთში. რეისი ლიდერის პოზიციაზე იმყოფებოდა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იგი ამას სახარბიელოდ არ აღიქვამდა. ის თავად იხსენებს: „მე იქ ერთი თვე ვიმყოფებოდი, საშინელ პირობებში. ჩვენ სანგრების თხრა გვიწევდა, არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ მეთაურისთვის, რომელიც თავისით ამ საქმიანობას თავს ვერ ართმევდა, რადგან მხრები სტკიოდა. თანაც,  იგი მაღალი იყო და სანგარიც ღრმად უნდა გათხრილიყო“.[379]შრომის მიუხედავად, მას გამუდმებით მკაცრად აკრიტიკებდნენ, თუნდაც უმნიშვნელო შეცდომისთვის. მეთაური მის მიმართ გამუდმებით დისკრიმინაციული ქმედებით გამოირჩეოდა და ცდილობდა ყველაფერი გაეკეთებინა იმისთვის, რომ რეისისთვის შეეჩერებინათ უფლებამოსილება და სამსახურიდან გაეთავისუფლებინათ. გარკვეული პერიოდის შემდეგ მეთაური სამსახურიდან დაითხოვეს, ხოლო მისი ადგილი კორინ რეისმა დაიკავა. რეისი  პირველი  უფროსი ქალი მოსამსახურე იყო თავის დივიზიაში.[380]

მოტივაცია/მიღწევა:დივიზიაში საქმიანობის უკეთ წარმართვისთვის კორინ რეისმა შთაგონებისა და მოტივაციის წყაროდ გამოიყენა ჰემპტონის უნივერსიტეტში მიღებული განათლება. მენტორები გამუდმებით ეუბნებოდნენ: „შენ კიდევ უკეთესი უნდა იყო. იყავი სამაგალითო. იყავი მაქსიმალურად საუკეთესო, იყავი ამომწურავად კარგი მაგალითი. მოექეცი ყველას ისე, როგორც გინდა, რომ თავად მოგექცნენ“.[381]რეისი გამუდმებით ამ წესს მიჰყვებოდა. იგი ცდილობდა პირნათლად შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობები. მისი პროფესია უნივერსიტეტშიც და მის ფარგლებს გარეთაც ლიდერობას უკავშირდებოდა. მას თითოეულ ჯარისკაცთან ინდივიდუალური

[379]Desnoyers-Colas, *Marching as to war,* 51-55.
[380]Brenda L. Moore,“African American Women in the U.S. Military”. *Armed Forces & Society* (1991): 363-384, accessed February 15, 2020. https://doi.org/10.1177/0095327X9101700303
[381] Desnoyers-Colas, *Marching as to war,* 46.

მიდგომა ჰქონდა. იგი პატივისცემით ეკიდებოდა თავისი სამხედრო ერთეულის წევრებს, ისინიც მას პატივისცემით ეპყრობოდნენ და, შესაბამისად, საკუთარ საქმეს კარგად აკეთებდნენ. რეისისთვის საკუთარ გუნდს სერიოზული პრობლემები არასდროს შეუქმნია.

კორინ რეისის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ შეიძლება დასახელდეს ის ფაქტი, რომ მას არასდროს ჩაუთვლია, რომ რეალური საფრთხე ემუქრებოდა. იგი არ აღიქვამდა საფრთხედ იმას, რაც მისი ქვეყნისთვის სასარგებლო და საინტერესო იყო. მან საკუთარი თავი სამხედრო სფეროში იპოვა და, ბევრი წინაღობისა და სირთულის მიუხედავად, კარგად შეძლო ადაპტირება. მისი საქმიანობა ამ სფეროში ძირითადად ადმინისტრაციულ ხასიათს ატარებდა, თუმცა, ამავდროულად, მეტად სარისკო და საპასუხისმგებლო იყო. მან შეძლო მოეკიდებინა ფეხი იმ საზოგადოებაში, რომელშიც ინტეგრაციას შავკანიანი რასა საუკუნეების განმავლობაში ცდილობდა. მან გაარღვია ის ხაზი, რომლის გადაკვეთა დაუშვებული იყო აშშ-ს არც თუ ისე ხანგრძლივი, მაგრამ დიდი ისტორიის განმავლობაში.

ასევე, მეტად საინტერესოა ის, რომ კორინ რეისი მოწადინებულია  მოტივაცია და რჩევა მისცეს იმ ქალბატონებს, რომლებიც სამხედრო კარიერის გაკეთებას აპირებენ. იგი ამბობს: „ადამიანი უნდა იყო კეთილშობილი. იყავი ის, ვინც ხარ. ჯარმა ყოველთვის იცის, თუ როდის ხარ ნამდვილი და როდის - ყალბი. მე იძულებულო ვიყავი „მე“ ვყოფილიყავი, რადგან დღის ბოლოს სარკეში უნდა ჩამეხედა“[382]

საინტერესოა გიჯეტი გრეითჰაუსის (Giddgetti Greathouse)მაგალითიც. იგი საკუთარი მშობლების წინააღმდეგ წავიდა და მაინც დაიწყო აშშ-ს შეარაღებულ ძალებში სამსახური. იმისათვის, რომ ამ საქმიანობაში ჩართულიყო,  გაიარა მოკლე ტრენინგ კურსი ფორტ დიქსში (ნიუ ჯერსი). გრეითჰაუსი გააგზავნეს გერმანიაში, სადაც დიდი სატვირთო მანქანის მძღოლად დაიწყო მუშაობა. პირველ რიგში, საინტერესოა, გიჯეტის მოტივაციისა და მოლოდინის განხილვა. გრეითჰაუსი სხვებსაც და საკუთარ თავსაც არწმუნებდა იმაში, რომ შეერთებული შტატები არასდროს გამოუცხადებდა  რომელიმე

[382]Desnoyers-Colas, *Marching as to war,* 48.

ქვეყანას ომს, რაც ღრმად სწამდა. თუმცა, ყველაფერი სხვაგვარად განვითარდა. მოტივაცია იმისა, რომ გვერდში დასდგომოდა საკუთარ ქვეყანას იმდენად დიდი იყო, რომ იგი ვერაფრით შეაჩერეს. ძმამ გიჯეტს მის მაგივრად წასვლა შესთავაზა, მაგრამ მან უარი განაცხადა. [383]

გრეითჰაუსი იმდენ სპეცოპერაციაში იღებდა მონაწილეობას, რამდენიც შესაძლებელი იყო. იგი ამჯობინებდა მუდმივ მოძრაობას, ვიდრე იმაზე ფიქრს, რომ ომის ეპიცენტრში იმყოფებოდა. მისი ვალდებულებები მეტად სახიფათო იყო. გრეითჰაუსი მართავდა იმ სატვირთო მანქანებს, რომლებსაც გადაჰქონდა ამუნიცია. ეს ყოველივე ერაყის ჭურვებისთვის კარგ სამიზნეებად აღიქმებოდა. ერთ-ერთ მისიას, რომელშიც გრეითჰაუსი მონაწილეობდა, „სიკვდილის გზატკეცილი"[384] (Highway of Death) შეარქვეს. მის მიერ შესასრულებელი დავალება იმდენად სერიოზული იყო, რომ სხვა ჯარიკაცებმა სთხოვეს, ისე ეტარებინა სატვირთო, რომ გვერდით არ გაეხედა. მან ომს თვალებში ჩახედა, რომლის საშინელი ფრაგმენტები დაუვიწყარია. [385]

როდესაც ვიკვლევაფროამერიკელ ქალთა ჩართულობას სხვადასხვა ომში, მათ ღვაწლსა და დიდ დამსახურებას შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების წინაშე, მსურს, ერთმანეთს შევადარო და დავუპირისპირო ერთი მეტად საინტერესო ფაქტი: ომი ჩვეულებრივ კლიმატურ პირობებში და ომი უდაბნოში. სპარსეთის ყურის ომებში მონაწილე ქალების ღვაწლი გარკვეულწილად უფრო მეტად დასაფასებელია, რადგან ყველას მოგვეხსენება, რომ ადამიანი საკვების გარეშე 30 დღემდე ძლებს, ხოლო წყლის გარეშე სულ 3-4 დღე[386]. გრეითჰაუსი იხსენებს: „ჩვენ გვაძლევდნენ ერთ ბოთლ წყალს და გვეუბნებოდნენ, შევხვდებით რამდენიმე დღეშიო"[387]. აქედან ვასკვნით, რომ

---

[383]Desnoyers-Colas, *Marching as to war,* 47.
[384]Carrie Crenshaw, "Women in the Gulf War: Toward an intersectional feminist rhetorical cristicism", *Howard Journal of Communications* 8 (1997): 219-235.accessed February 27, 2018,https://doi.org/10.1080/10646179709361756
[385]Shoshana Johnson, "The Psychological Needs of the U.S Military Service members and their families: A Preliminary Report, " of the American Psychological Assiciation Presidential task Force on Military Deployment Services for Youth, families and Service Members (Washington American Psychological Association, 2007), 16.
[386]"Here's how many days a person can survive without water", last modified January 10, 2020, https://www.businessinsider.com/how-many-days-can-you-survive-without-water-2014-5
[387]Johnson, "The Psychological Needs of the U.S Military Service members and their families", 22.

სამხედრო სპეცოპერაცია სასტიკ პირობებში მიმდინარეობდა, სადაც ამერიკელები უდაბნოს მიწაზე, წყლის დეფიციტისგან იტანჯებოდნენ.

ომის პირობებში უდაბნო ამერიკელთათვის ლოგიკურად გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა, კერძოდ:

- წყლის არქონა, რაც პირდაპირ კავშირშია ორგანიზმის ენერგიის დაქვეითებასთან;
- ქვიშა და კლიმატური პირობები, რომლებიც აზიანებდა ტანკებს (გადაადგილება უჭირდათ), ხოლო კლიმატური პირობები (თაკარა მზე) ხელს უწყობდა მათ გადახურებას. მეორე მხრივ, ქვიშის შტორმი, რომელიც ნებისმიერ დანადგარში აღწევს და მწყობრიდან გამოჰყავს.
- ადგილმდებარეობა - რომელსაც დადებითი და უარუყოფითი მხარეები აქვს. მტერი ადვილი შესამჩნევია, თუმცა შენც მარტივად ამოსაცნობი ხდები. თითოეული მოძრაობა და გადადგმული ნაბიჯი გაშიფრულია.

ასეთ პირობებში იმყოფებოდა ჯონსონი, გრეითჰაუსი, რეისი და ბევრი სხვა ქალი, რომელთა მაგალითის მოყვანასაც ქვემოთ ვაპირებ. შესაბამისად, სპარსეთის ყურის ომები, ფერადკანიან ქალთა ჩართულობის კუთხით, შეგვიძლია აღვიქვათ აშშ-ს ისტორიის ცალკეულ ფენომენად. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უდაბნო ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად ითვლებოდა ჯარის განლაგების თვალსაზრისით. ამაში გვარწმუნებს ერთ-ერთი ებრაელი სამხედრო ექსპერტი: „ძველი დროის სამხედრო მათაურები უდაბნოს, ბრძოლის ველისთვის, იდეალურ ადგილად მიიჩნევდნენ. თუმცა, მათ არ უნახავთ ბრძოლები არაბეთის ნახევარკუნძულზე.[388] ექსპერტის განცხადებაში ჩანს, რომ სპარსეთის ყურის ომი მძიმე უნდა ყოფილიყო სასტიკი კლიმატის გამო. ამაზე თავად გრეითჰაუსის სიტყვებიც მეტყველებს: „სატვირთოები მალე გამოდიოდა მწყობრიდან, ქვიშა შედიოდა ავტომანქანის თითოეულ ნაწილში. მეტად რთულ რეჟიმში

[388]“Confrontation in the Gulf: Disadvantage for U.S. in the Desert: Fewer Tanks.”last modified July 03, 2020,https://www.nytimes.com/1990/08/25/world/confrontation-in-the-gulf-disadvantage-for-us-in-the-desert-fewer-tanks.html

ვიყავით. ერთ მანქანას ერთ ნაწილს ვაცლიდით და მეორეს ვუკეთებდით, რათა არ ამოვვარდნილიყავით კალაპოტიდან და ოპერატიულად გვემოქმედა“[389].

სპეცოპერაცია მეტად სახიფათო იყო. ამიტომაც შტატებიდან უკან დახევის ბრძანება მოვიდა, რომელიც გულისხმობდა ყველანაირი ტანკისა თუ სატვირთოს ბრძოლის ველიდან გაყვანას. თუმცა საქმის ბოლომდე მიყვანის სურვილი და პატრიოტიზმი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ გრეითჰაუსმა უკან დახევაზე უარი განაცხადა, რითაც ოფიციალური ვოშინგტონი განარისხა. მათ გრეითჰაუსსა და მის დივიზიას მკაცრი წერილობითი საყვედური გამოუცხადეს, თუმცა ის ამ ფაქტმაც ვერ შეაჩერა. მათ საკუთარი მისია ბოლომდე შეასრულეს, ხოლო ვოშინგტონში დაბრუნების შემდეგ ზემოხსენებული ადმინისტრაციული საყვედური გაუქმდა, რადგან აშშ-მ აღიარა ის სავალალო შედეგები, რომლებიც იმ ერთეულის გამოყვანას მოჰყვებოდა. გიჯეტი გრეითჰაუსი სახლში დაბრუნების შემდეგაც იხსენებდა, თუ როგორ გადიოდა დღეები შიშსა და ლოცვაში, რათა არ გაეტაცებინათ და მოეკლათ.[390]

ყველა აფროამერიკელი ქალის ღვაწლი (იქნებოდა ეს ადმინისტრაციული, თუ უშუალოდ ბრძოლის ველზე განხორციელებული ქმედება), რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს აშშ-ს შეიარაღებული ძალების წარმატებაში, დასაფასებელი და გამორჩეულია. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ომებს შორის, სპარსეთის ყურის ომი განსაკუთრებულია რეგიონის ადგილმდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს აშშ-ს პოლიტიკური კურსიც. თუკი სხვა ომებში აშშ-ს როლი და ჩართულობა აუცილებელი იყო, სპარსეთის ყურის შემთხვევაში საზოგადოების ნაწილი და თვით სამხედრო საზოგადოებაც გარკვეულ პროტესტს გამოხატავდა შტატების არამართებული სამხედრო ქმედებების გამო. კერძოდ, თავად გრეითჰაუსიც მიიჩნევდა, რომ ამერიკა არასდროს გამოუცხადებდა ომს სხვა სახელმწიფოს, თუმცა, მისივე სიტყვებზე დაყრდნობით, მას იმედი გაუცრუვდა. ყოველივე ზემოხსენებულის მიუხედავად, ქვეყნის არასწორ კურსს თავად

[389]Yvonne Latty,*We Were There:Voices of African American Veterans from World War II to the War in Iraq*. (New York: HarperCollins, 2004), 147-154.

[390]Elizabeth F. Desnoyers-Colas, *Marching as to war/ Personal narratives of African American Women's Experiences in the Gulf Wars.*(Lanham: University Press Of America, 2014), 48.

გრეითჰაუსის კურსი არ შეუცვლია. იგი ბოლომდე იდგა საკუთარი ქვეყნის სადარაჯოზე და პირნათლად ასრულებდა იმ მოვალეობებს, რომლებიც თავისივე სურვილით აიღო საკუთარ თავზე. აღსანიშნავია, რომ სამხედრო მისიის შესრულებისას, გაჯეტ გრეითჰაუსს არ ჰქონია საქმე არავითარ გენდერულ თუ რასობრივ დისკრიმინაციასთან. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას, რომ უდაბნოს მიწაზე გამართული ომის სისასტიკე არ იძლეოდა სამხედრო მოსამსახურეების გენდერისა და რასის მიხედვით განსხვავების შესაძლებლობას.

ჯენეტ პენიკის (Janet Pennick) შემთხვევასაც ვერ ავუვლი გვერდს. 44 წლის დედა, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების რეზერვისტი და ფილადელფიის შტატის შერიფის მოადგილე[391] სპარსეთის ყურის ომში ავტომატურად გაიწვიეს.

ის ბევრ მოვალეობას ითავსებდა. ფაქტობრივად, პენიკი უნიკალური თანამშრომელი იყო. იგი პასუხისმგებელი იყო სარეცხზე, აბაზანებში ყოველგვარი პრობლემის აღმოფხვრაზე, ფოსტის გაგზავნა-მიღებასა და ადრესატისთვის გადაცემაზე. ამასთან, პენიკი სამედიცინო და სამხედრო საწყობებს კურირებდა. როგორც გაირკვა, ჯენეტ პენიკი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ საქმეებს ასრულებდა, როგორც არსობრივად, ასევე სირთულის თვალსაზრისითაც.სხვა ქალებისგან განსხვავებით, პენიკს თვითდასამკვიდრებლად არაფრის მტკიცება არ უხდებოდა. მისი ენთუზიაზმი  და ჩართულობა განაპირობა არა სამხედრო ვითარებამ, არამედ ვალდებულებებმა, რომლებიც მაშინ იკისრა, როდესაც შერიფის დეპარტამენტში დაიწყო მუშაობა.[392]

ამის დასტურად შემიძლია შემდეგი ფაქტი მოვიყვანო: როდესაც სპარსეთის ყურეში პრობლემები დაიწყო, პენიკი მალე დააწინაურეს. იგი 304-ე სამოქალაქო საქმეთა ერთეულის პირველი სერჟანტი გახდა. სწორედ აქ დაიწყო იმ მრავალფეროვანი მოვალეობების შესრულება, რაზეც ქვემოთ მივუთითებ.  იგი საკუთარ თავში

[391] Latty, *We Were There, 147.*
[392] Latty, *We Were There, 148-151.*

დარწმუნებული არ იყო, ამიტომ აღნიშნულ შემოთავაზებაზე უარი განაცხადა, რადგან, როგორც იხსენებს: „არ ვიყავი დარწმუნებული, რომ საქმეს თავს გავართმევდი“.[393]

პენიკი დისკრიმინაციას არც ახსენებს, რადგან მსგავსი პრობლემა მას არ ჰქონია. პირიქით, სხვა სამხედრო მოსამსახურეები ყველანაირად ცდილობდნენ მისთვის სტიმული მიეცათ. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ პენიკს ომში ჩართულობის არავითარი მოტივაცია არ გააჩნდა, თუმცა ეს არცერთ შემთხვევაში არ აკნინებს მის ღვაწლს ქვეყნის წინაშე. მცირე სურვილისა და შიშის მიუხედავად, მან ყოველი ვალდებულება პირნათლად შეასრულა.

„როდესაც პირველად გავიგე, რომ ომში მიწვევდნენ, შოკში ჩავვარდი. ვიცოდი, რომ რეგულარული არმიის გაწვევა ხდებოდა, თუმცა ვერ წარმოვიდგენდი, რომ გაწვევა ჩემს ერთეულსაც შეეხებოდა. ვთვლიდი, რომ არ ვიყავი ამისთვის საკმაოდ კომპეტენტური და არც ის ვიცოდი, რამდენად შევძლებდი და გავართმევდი თავს,“[394] _ იხსენებდა პენიკი.თუმცა, ჯენეტ პენიკმა არა მხოლოდ საკუთარი თავის მობილიზება და დამშვიდება შეძლო, არამედ იმ ქალებისაც, რომლებიც ქმრების გაწვევის გამო ნერვიულობდნენ და ნუგეშს მასთან ეძებდნენ. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა დიდი როლი შეასრულა. სხვა ქალების დამშვიდების ერთგვარმა კამპანიამ მასში მიძინებული მოტივაცია გააღვიძა. იგი ფოკუსირებული გახდა იმაზე, რასაც აკეთებდა და ბოლომდე ჩაერთო არსებულ ვითარებაში.

პენიკის პირველი წარმატება ფორტ ბრეგს (Fort Bragg) უკავშირდება. იქ გავლილმა ტრენინგებმა იგი საუდის არაბეთში გასამგზავრებლად შეამზადა. თვითმფრინავის ბორტიდან ხმელეთზე ფეხის დადგმის შემდეგ, პენიკის თანახმად, SCUD[395]-ების სროლა არ დასრულებულა. ექვსი თვის განმავლობაში იგი მოუთმენლად ელოდებოდა ვითარების ჩაწყნარებასა და იმ ადგილის დატოვებას. ყოველი დღე საშინელი შიშით იყო

[393]Latty, *We Were There,* 150.
[394]Latty, *We Were There,* 151.
[395]Scud-ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირის მიერ შემუშავებული ტაქტიკური ბალისტიკური რაკეტების სერია.

აღსავსე. პენიკი იხსენებდა: „ზედმეტად სასაუბროდ პირს ვერ გააღებ, რადგან შიძლება კამეჩის თმა პირში მოგხვდეს, რომ არაფერი ვთქვა სპეცოპერაციის სხვა დეტალეზზე“. [396]

ვფიქრობ, ჯენეტ პეკინი აფროამერიკელი ქალის ომეზში ჩართულობის საუკეთესო მაგალითად არ გამოდგება, თუმცა მისი წვლილი ნამდვილად არ არის ხელწამოსაკრავი. იგი ამზობს, რომ მეტად ამაყობს იმით, თუ რა გააკეთა საუდის არაბეთში, თუმცა არასდროს გაიმეორებდა ამას თავიდან. მისი ერთეული იქედან სომალიში გაიწვიეს, თუმცა პენიკმა უარი განაცხადა. იგი შტატებში დაბრუნდა, მივიდა იმ სატრენინგო ბაზაზე, რომელიც გადამზადებულ პერსონალს სპარსეთის ყურეში აგზავნიდა. პენიკმა ჩაატარა აგიტაცია, რომ იქ არავინ გაეშვათ. იგი ხაზგასმით აცხადებდა, რომ სამხედრო სამსახურში ყოფნის 21 წლის განმავლობაში ის თავს ყოველთვის კარგად გრძნობდა, თუმცა მას არ უყვარს ომი.

პენიკის, როგორც რიგითი მოქალაქის, შეხედულება ომზე აბსოლუტურად გასაგებია, მაგრამ გაუგებარია მისი, როგორც სამხედრო მოხელის პოზიცია. სამხედრო მოქმედებებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების დაფიქსირება ბუნებრივი მოვლენაა, თუმცა ეს არ აძლევს უფლებას სამხედრო პირს პროფესიონალიზმი გვერდზე გადადოს და მოვლენები სამოქალაქო საზოგადოების ნებისმიერი რიგითი წევრივით აღიქვას. სწორედ ამ დამოკიდებულებასა და მის მიერ წარმოთქმულ ფრაზაში აშკარად გამოჩნდა, რომ იგი სწორედ ის ჯარისკაცია, რომელსაც გენერლობაზე არასდროს უოცნებია. ჯარი ქვეყნის უსაფრთოებაზე აგებს პასუხს და მსგავსი ფსიქიკისა და იდეოლოგიის კადრს ნაკლებად საჭიროებს. იგი ამ ვითარებისთვის აბსოლუტურად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და კურსი კი ხშირად არაპროგნოზირებად ქმედებებს მოითხოვს. სამხედრო პირმა ადაპტაციის უნარი და მზაობა უნდა გამოავლინოს.

აღსანიშნავია ჯეკლინ კოფილდის (Jacquelyn Cofield) შემთხვევა, რომელსაც ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის სამხედრო ერთეულებში ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხის წამოწევაში.

---

[396]Latty, *We Were There,* 149.

მიღწევა:მისი ისტორია უკავშირდება საჰაერო ძალებში 24 წლიან სამსახურს. იგი პენსიაზე გავიდა უფროსი სერჟანტის წოდებით.

მის მიერ სამხედრო კარიერის გაკეთების სურვილი ბავშვობიდან იღებს სათავეს. იგი სკოლის პერიოდშიც კი უკვე საჭიროდ მიიჩნევდა ჩაწერილიყო რეგულარულ არმიაში. საინტერესოა, რომ თავიდან კოფილდს საკუთარი თავი სანაპირო დაცვის თანამშრომლის ამპლუაში წარმოედგინა, თუმცა მან ცურვა არ იცოდა. შემდეგ ნახა განცხადება და გეზი საჰაერო ძალებისკენ აიღო.[397]ამ შემთხვევაში მოტივაცია მკაფიოდ ვლინდება. ადრეული ასაკიდან მოყოლებული კოფილდი საკუთარ თავს მხოლოდ აშშ-ს შეიარაღებულ ძალებში ხედავდა. თუმცა იგი უპირატესობას ყოველთვის სანაპირო დაცვის სამსახურს ანიჭებდა. ადეკვატურად გაანალიზა რა საკუთარი შესაძლებლობები, მან გეზი საჰაერო ძალებისკენ აიღო. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი, საჰაერო ძალები ყველაზე ნაკლებად მიესალმებოდა მის რიგებში ფერადკანიანთა სიჭარბეს.

უკვე 1990 წლისთვის მას საჰაერო ძალებში ათწლიანი მუშაობის გამოცდილება ჰქონდა. იგი სტაფ-სერჟანტი იყო გამანადგურებელზე F-16 (Fighter Wing) ტორეხონის საჰაერო ბაზაზე, ესპანეთში. კოფილდი მოვლენათა ეპიცენტრში იმყოფებოდა, როდესაც „უდაბნოს ფარის“ ოპერაცია დაიწყო. მისი ჯგუფი დარწმუნებული იყო, რომ შემდეგი გასვლა იტალიაში იქნებოდა, თუმცა ისინი ყატარში გაგზავნეს. კოფილდის ერთეულში მის გარდა კიდევ ორი ქალი ირიცხებოდა. თუმცა ჟაკლინ კოფილდი მათ შორის ყველაზე მაღალი რანგის სამხედრო წოდებას ატარებდა. რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, კოფილდი კმაყოფილი იყო ყატარში თავისი სამხედრო საქმიანობით. მისი მოვალეობები მოიცავდა კონტროლის ცენტრის (Unit Control Center)მართვას, კერძოდ, პერსონალის მართვასა და ყოველდღიური ანგარიშგების მომზადებას. კოფილდი ყოველდღიურად პერსონალის მოტივირებას ამ სიტყვებით ცდილობდა: „დაივიწყეთ შიში, აკეთეთ თქვენი საქმე. როდესაც შენი სვლაა, გააკეთე ის“[398]

---

[397], Elizabeth F. Desnoyers-Colas,*Marching as to war/ Personal narratives of African American Women's Experiences in the Gulf Wars*. (Lanham: University Press of America, 2014), 81-83.
[398]Desnoyers-Colas,*Marching as to war,*82

კოფილდი და პენიკი სპარსეთის ყურის ომებში ჩართული ფერადკანიანი ქალების ორი რადიკალურად განსხვავებული მაგალითია. იქ, სადაც ერთი აბსოლუტურად დემოტივირებული იყო და ქვეყნის წინაშე კანონის ძალით ვალდებული, მეორე _ ზრდასრულ ასაკამდე აბსოლუტურად ჩამოყალიბებული და ძლიერ მოტივირებული. თუკი პენიკი შიშსა და პანიკას ეძლეოდა, კოფილდმა საერთოდ არ იცოდა, ეს რა იყო. იმის მიუხედავდ, რომ აფროამერიკელი ქალები, მათი წარსულიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ პატრიოტიზმს ავლენდნენ, მასშტაბური იდეოლოგიური განსხვავება მათ შორისაც იჩენდა თავს.

მეორე პუნქტი, რითაც სპარსეთის ყურის ომმა ყურადღება მიიპყრო, მარტოხელა მშობლის საკითხი იყო. ამ შემთხვევაშიც საინტერესო სტატისტიკა გამოვლინდა: აშშ-ს შეაირაღებულ ძალებში დაახლოებით 55.000 მარტოხელა მშობელია: აქედან 37.000 კაცი და 18.000 ქალი. სპარსეთის ყურის ომისას დაფიქსირდა: 16.000 მარტოხელა მშობელი და 12.000 შვილიანი სამხედრო წყვილი. იმ დროს, როდესაც ზემოხსენებულ ადამიანებს შეეძლოთ აერიდებინათ თავი სამხედრო მოქმედებებში რაიმე ფორმით მონაწილეობისგან, ისინი აბსოლუტურად სხვაგვარად მოიქცნენ: მათი აზრით, ომი არ იყო საბაბი იმისა, თავი აერიდებინათ მოვალეობების შესრულებისგან სავალდებულო იყო იგი თუ ნებაყოფლობითი. ნათლად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ სქესობრივი თანასწორობის საკითხი აბსოლუტურად დაცულია, მიუხედავად იმისა, კაცი ხარ, თუ ქალი. ისინი ერთნაირად ასრულებდნენ საკუთარ მოვალეობებს, განურჩევლად იმ ფაქტისა, რომ მეძუძური დედები იყვნენ[399]

მოვიყვან კორტნი სოლტერის(Courtney Salter) მაგალითს, რომელიც გამორჩეულად საინტერესოა. შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში სამსახური მისი ბავშვობის ოცნება იყო. თუმცა, ის კინაღამ მის გარეშე დარჩა. იგი საჰაერო ძალებში ჩაწერას სკოლის დამთავრების შემდეგ აპირებდა. სამხედრო სისტემამ კორტნისთან კონტრაქტის გაფორმების სურვილი გამოთქვა. თუმცა, ხელისშემშლელმა ფაქტორმაც სწრაფად იჩინა თავი. კორტნის პატარა ვაჟიშვილი ჰყავდა, რომელიც, ამ შემთხვევაში,

[399]Z. R. Eisenstein, *The Color of Gender.* (Los Angeles: University of California Press, 1994), 41.

მეურვისათვის უნდა დაეტოვებინა. საჰაერო ძალების რეკრუტერმა მასთან მუშაობაზე უარი განაცხადა, ხოლო ქვეითი ჯარის რეკრუტერი დათანხმდა. საჰაერო ძალებში მუშაობის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ სოლტერი წინდაუხედავად მოიქცა. სააპლიკაციო ფორმის შევსებისას მან დამალა შვილის არსებობის ფაქტი, რადგან ეს პრობლემებთან იყო დაკავშირებული. მსგავსი ტიპის ქმედება თაღლითობად შეირაცხა. თუმცა მას დაუსვეს კითხვა: უნდოდა თუ არა ჯარში დარჩენა ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ. კორტნიმ უპასუხა, რომ დარჩენა სურდა. საქმე ამით დასრულდა, ხოლო ქალი მომარაგების სპეციალისტის ვაკანსიაზე დანიშნეს[400].

კორტნი სოლტერი გამუდმებული შიშით ცხოვრობდა. გარდა ტრენინგებისა და სპეციალური მომზადებისა, სამხედროები ვალდებულნი იყვნენ საკუთარი თავისთვის შიში ჩაენერგათ. შეირაღებული ძალები მიიჩნევს, რომ შიში აუცილებელია იმისთვის, რომ გადარჩე. 9/11 -ის ტერაქტის შემდეგ დასტრესილი ამერიკა ახალ სირთულეებს შეეჯახა. 2002 წლის ნოემბერში სოლტერის ერთეული გამოიძახეს. იგი ემზადებოდა წასავლელად. როგორც თავად ამბობს, შობაც კი ნაადრევად იზეიმა. მისი ერთეული საბრძოლო სპეცოპერაციაში 2003 წლის 26 იანვარს ჩაება, ხოლო ქუვეითში 27 იანვარს ჩავიდა.  ეს იყო კორტნის პირველი გამოწვევა. იგი პირველად იჯდა თვითმფრინავში (დანიშნულებაზე რომ არაფერი ვთქვათ). ფრენა 23 სააათი გაგრძელდა. ზონა ტურბულენტური იყო.[401]

პირობები იმდენად რთული და მიუღებელი გამოდგა, რომ სოლტერს გარკვეული შოკი ჰქონდა.  „ირგვლივ სიბინძურისა და კარვების მეტი არაფერი იყო“,- იხსენებდა ის.[402] მათ არ ჰქონდათ საწოლი, ხოლო, საკუთარი კარვების გადანაწილება საწვავისა და ამუნიციის ერთეულებთან უხდებოდათ. ამ პირობებშიც კი ქალი ინარჩუნებდა მოტივაციას და ნაკისრი ვალდებულების სისრულეში მოყვანას ცდილობდა.

იმ დროს, როდესაც სხვები კომფორტულად მოწყობაზე ზრუნავდნენ, სოლტერს საერთოდ არ ანაღვლებდა მსგავსი საკითხები. იგი გამუდმებით იმაზე ფიქრობდა,

---

400 Desnoyers-Colas,*Marching as to war,* 52-54.
401Desnoyers-Colas,*Marching as to war,* 53-54.
402Desnoyers-Colas,*Marching as to war,* 51.

როგორ მომზადებულიყო შემდეგი ნაბიჯისთვის _ ბაღდადში წასასვლელად. თებერვლის დასაწყისში კორტნი ლოჯისტიკის გუნდის შემადგენლობაში შედიოდა. იმის მიუხედავად, რომ მრავიანი ავტომობილის მართვა სულ ახალი ნასწავლი ჰქონდა, იგი ჰამერს მართავდა. იგი ერთადერთი ქალი და ახალგაზრდა იყო, რომელსაც პატივი ერგო, ცხელ წერტილში ემართა ჰამერის ტიპის სატრანსპორტო საშუალება. [403]კორტნი სოლტერის მაგალითი შეგვიძლია შევადაროთ შოშანა ჯონსონის გამოცდილებასა და მიღწევებს 2003 წლის მარტში.

ყველაზე რთული მესამე პუნქტი, რომელიც განასხვავებს ამ ომს, იყო სექსუალური ძალადობის დიდი პროცენტული მაჩვენებელი. სპარსეთის ყურის ომებმა ამერიკული საზოგადოება ურთულესი პრობლემის წინაშე დააყენა. აღნიშნულ ომებში თავი იჩინა სექსუალურმა ძალადობამ, რომელიც სხვა ომებში სახეცვლილი სახით გხვდება. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ვიეტნამის ომი, სადაც სექსუალური ძალადობა მტრის მხრიდან ხდებოდა, ხოლო სპარსეთის ყურის ომებში თავად ამერიკელი ჯარისკაცები არღვევდნენ ეთიკისა და ჰუმანურობის ყველა დასაშვებ ნორმას და ზღვარს გადადიოდნენ.[404]

სპარსეთის ყურის ომებმა ცხადყო, რომ თავად მტერი არ იყო იმდენად სახიფათო, როგორც ის ამერიკელი ჯარისკაცები, რომლებიც საკუთარი ქვეყნის მებრძოლ ქალებს საშინლად უსწორდებოდნენ.[405] არც აფროამერიკელი ქალები აღმოჩნდნენ გამონაკლისი. ამ ომებმა ყველაზე ნაკლებად მისცა მათ სამოქალაქო და სამხედრო საზოგადოებაში ადაპტირების საშუალება. პირიქით, ეს იყო ომები, რომლებმაც მძიმე შედეგის საფუძველზე აიძულა აშშ შეექმნა პოსტტრავმული კლინიკები და ცენტრები.[406]

სპარსეთის ყურის ომებმა ყველაზე ნაკლები საშუალება მისცა აფროამერიკელ ქალებს შემართებით შეესრულებინათ მათზე დაკისრებული ვალდებულებები, რადგან

---

[403]Desnoyers-Colas,*Marching as to war,* 51-54.
[404]Desnoyers-Colas,*Marching as to war,* 87.
[405] Tanya. N. Alim, Dennis S Charney,Thomas A Mellman,"An overview of posttraumatic stress disorder in African Americans", *Journal of Clinical Psychology 62* (2006): 809-813. Accessed November 18, 2020. https://doi.org/10.1002/jclp.20280
[406]"Traumaic Stress in female Vetarns", accessed March 08, 2017, http://www.ptsd.va.gov/professional/pges/traumatic_stress_in_femalevetrans.asp.

მათი დიდი უმრავლესობა, საბრძოლო მოქმედებისას, ცდილობდა არა ქვეყნის კეთილდღეობაზე ეფიქრა და ახალი ამოცანები დაესახა, არამედ მორეოდა იმ ტრავმასა და სტრესს, რომელთან გამკლავება არც ისე იოლი იყო.

სპარსეთის ყურის ომების შემთხვევაში სექსუალურ დისკრიმინაციასთან შედარებით რასობრივი არაფერს ნიშნავდა. კაპიტანი კორინ რეისი აღნიშნავდა: „მამაკაცები აქ ცხვრის ფარასავით არიან, ერთმანეთს მხარს უჭერენ. კაცები ყოველთვის კაცებად დარჩებიან. ტესტოსტერონი კი ომში ნაკლებად არ ვლინდება და არც აფროამერიკელი ქალები იყვნენ გამონაკლისი.“[407]ისინი იხსენებენენ, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ჯარისკაცებს მათ მიმართ: „კაცებს ჩვენს ერთეულში ეგონათ, რომ შეეძლოთ ეკეთებინათ ყველაფერი, რაც მოესურვებოდათ, თუნდაც დაქორწინებული ყოფილიყავი.“[408][409] ერთ-ერთი აფროამერიკელი ქალი, პატრისია ჯონსონი, აღნიშნულ ვითარებაზე მწარე ცინიზმით საუბრობს. იგი ამბობს, რომ ამ ჯარიკაცებისთვის ეს ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, თითქოს სქესობრივ კავშირს საკუთარ მეუღლესთან ამყარებდნენ. მისი აზრით, ისინი ამ ყველაფერში ვერავითარ დანაშაულს ვერ ხედავდნენ.[410][411]

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროპორციულად აფრომერიკელებმა სამხედროების ბევრად უფრო მასშტაბური პროცენტული მაჩვენებელი შეადგინეს, ვიდრე სამოქალაქო მოსახლეობის. ვფიქრობ, ეს ყოველივე იმ ვითარებამ გამოიწვია, რომ აღნიშნული რასა ბევრად მეტ შესაძლებლობას ხედავდა სამხედრო სფეროში. როდესაც ზოგადად აფროამერიკელებს განვიხილავ, ბუნებრივია, აქ ქალებსაც მოვიაზრებ. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანო ფაქტები, რომლის თანახმადაც, სამხედრო სფეროს ქალების 33 პროცენტს აფროამერიკელები წარმოადგენდნენ. ეს ციფრი უაღრესად შთამბეჭდავია და სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ქალებმა ყველაზე უკეთ ადაპტაცია

[407]Desnoyers-Colas,*Marching as to war,* 87.
[408]U.S. Department of Defense, "Departments of Defense Report on Military Services Sexuual Assault for CY 2006:, accessed April 10, 2017, http://www.sapr.mil/edia/pdf/reports/2006-annual-report.pdf
[409]Desnoyers-Colas,*Marching as to war,* 87.
[410]Desnoyers-Colas,*Marching as to war,* 87.
[411]U.S. Department of Defense, "Departments of Defense Report on Military Services Sexuual Assault for CY 2006:, accessed April 10, 2017, http://www.sapr.mil/edia/pdf/reports/2006-annual-report.pdf

ამ სფეროში გაიარეს. სწორედ სამხედრო სამსახური იქცა იმ ტრამპლინად, რომელიც მათ ამერიკულ საზოგადოებასთან დააკავშირებდა. სამხედრო სამსახურმა აფროამერიკელ ქალებს მისცა შემდეგი უპირატესობები:

- კარიერის გაკეთების საშუალება (სფერო სახიფათო და ნაკლებმოთხოვნადია);
- ქვეყნის წინაშე ღვაწლის დემონსტრირების შესაძლებლობა;
- ადაპტაცია სამოქალაქო საზოგადოებაში.

ყველაზე  საინტერესო კი ის არის, რომ, როდესაც პრეზიდენტ ბუშს ჰკითხეს, თუ რატომ სჭარბობდნენ ასე აფროამერიკელები სპარსეთის ყურის ომებში, მან უპასუხა, რომ ეს ყველაზე კარგი საშუალებაა, მსოფლიოს მასშტაბით, იმუშაო და ისარგებლო თანაბარი უფლებებით. თუმცა, ვფიქრობ, რომ პრეზიდენტი არ იყო მაინცდამაინც გულწრფელი ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, რადგან აფროამერიკელთა მოჭარბებული რაოდენობა მეტყველებს არა შტატების ლოიალურ დამოკიდებულებაზე, არამედ აშშ-ს გამოუვალ მდგომარეობაზე, როცა იგი იძულებული გახდა ესარგებლა იმ მოქალაქეების მომსახურებით, რომლებიც ორი საუკუნის განმავლობაში ითხოვდნენ სამოქალაქო უფლებების დაცვას, თუმცა საწადელს ვერ აღწევდნენ. ყველაფერი გაცილებით მარტივადაა: ომები, კერძოდ, სპარსეთის ყურის დაპირისპირებები, განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა (კლიმატური პირობები და ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა ვითარება), რაც კონკურენციის დონეს მინიმუმდე სწევდა. თეთრკანიანი რასის ინერტულობამ აფროამერიკულზე მოთხოვნა გაზარდა. ყოველივე შეგვიძლია მარტივად აღვიქვათ ბაზრის პრინციპებთან გაიგივებით.

პირველად შეერთებული შტატების ომების ისტორიაში მოხდა გენდერული კლასიფიკაცია: ჯარი გაიყო კაცებად და ქალებად.

სპარსეთის ყურის ომებმა საფუძველი ჩაუყარა რასობრივი (რასობრივი დისკრიმინაციის მაჩვენებლმა ვიეტნამის ომის დროს დაიწყო დაკლება) და გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრას, რადგან მან შეცვალა ქალის არსის აღქმა. სამოქალაქო საზოგადოებისათვის აბსოლუტურად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ხაკისფერსამოსიანი ქალის მამაკაცის გვერდით ხილვა, ხოლო შემდეგ - იარაღით ხელშიც. სწორედ ეს იქცა

ომის წყალგამყოფად: რის შემდეგაც კონგრესმა გააუქმა საბრძოლო მოქმედებებში ქალების მონაწილეობაზე არსებული შეზღუდვა.

### 3.3. აფროამერიკელ ქალთა სამხედრო საქმეში ჩართულობის ხელშემწყობი და ხელის შემშლელი მიზეზები (გამოკითხვის შედეგები)

წინა თავებში განხილული ომებისა და მათში მონაწილე აფროამერიკელი ქალების პრობლემების, მიღწევებისა და შედეგების კლასიფიკაციიდან გამომდინარე, თოთოეული ომის მახასიათებელი გამოიკვეთა, რამაც საშუალება მომცა ზუსტად გამერკვია, თუ რა გავლენა ჰქონდა ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას ამ ქალების ცხოვრებაში. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევისთვის ყოველპირველწყაროს, მათ შორის, ზეპირ ისტორიას დიდი მნიშვნელობა აქვს, გადავწყვიტე, პირადად გავსაუბრებოდი ამერიკის შეერთებული შტატებისშეიარაღებული ძალების ორ აფროამერიკელ სამხედრო მოსამსახურე ქალბატონს. ესენი იყვნენ უნტერ-ოფიცრები: ალექსანდრია როუდენს - აშშ-ს საზღვაო ძალების ოფიცერს (E-5, Petty Office Second Class)[412] და ნენსი ბარკსდეილს - აშშ-ს სახმელეთო ძალების ოფიცერს (Sergeant First Class (SFC).[413]

ორივე ქალბატონი სამხედრო კარიერით 16 წლის ასაკში დაინტერესდა. მიუხედავად იმისა, რომ საუბარია ერთიდაიმავე რასის, სქესისა და ასაკის ქალებზე, ორივეს სამხედრო კარიერის გასაკეთებლად განსხვავებული მოტივაცია ჰქონდა. ნენსი ბარკსდეილის შემთხვევაში ზემოაღნიშნული სტრუქტურა მას სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე იზიდავდა. როგორც იგი ამბობს, სურდა დედას დახმარებოდა.

რაც შეეხება ალექსანდრია რიუდენს,მისი განცხადებამრავლისმთქმელია.როგორც ის ამბობს, სამხედრო კარიერით მისი დაინტერესების მიზეზი უსაფრთხოების

[412]ინტერვიუ ალექსანდრია როუდენთან ჩაწერა ნანა პარინოსმა 2020 წლის 2 მარტს. ალექსანდრია როუდენი - აშშ-ს საზღვაო ძალების ოფიცერს (E-5, Petty Office Second Class).
[413]ნენსი ბარსქდეილთან ჩაწერა ნანა პარინოსმა 2020 წლის30 იანვარს. ნენსი ბარკსდეილი - აშშ-ს სახმელეთო ძალების ოფიცერს (Sergeant First Class (SFC).

შეგრძნებაა. ნენსისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ აშშ-ს სამხედრო ძალების რომელ მიმართულებას აირჩევდა, ხოლო ალექსანდრიამ არჩვანი საზღვაო ძალებზე შეაჩერა. კითხვაზე, თუ რატომ მოიქცა ასე, როუდენმა მარტივად უპასუხა - მისი ოჯახისარცერთი  წევრი აქამდე საზღვაო ძალებში არ ყოფილა.

რაც შეეხება დისკრიმინაციას, იგი საზღვაო ძალებში ბევრად მეტად იგრძნობა, ვიდრე სახმელეთოში. თუმცა, საინტერესო ისაა, რომ ალექსანდრია როუდენი გამოყოფს არა რასობრივი, არამედ გენდერული დისკრიმინაციის შემთხვევებს. ნენსი ბარქსდეილი არ მიიჩნევს, რომ ჯარში არსებობს რაიმე ფორმის დისკრიმინაცია, ხოლო როუდენს მოჰყავს ერთი შემთხვევა: ღიაფრად თმის შეღებვის გამო, იგიგახდა მწვავე დისკრიმინაციის ობიექტი. როგორც ჩანს, აღნიშნულ საზოგადოებას გაუჭირდა შავკანიანი ქალის ქერა თმით ხილვა, რადგან სტანდარტულად მუქი კანის მქონე ადამიანს ვერ ექნება ღია ფერის თმა. შესაბამისად, ისინი დიდი აგრესიით შეხვდნენ აღნიშნულ ვითარებას. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჯარს აქვს საკუთარი რეგულაციები, რომ თმა ყველას უნდა ჰქონდეს ბუნებრივი ფერით შეღებილი, თუმცა თეთრკანიანი ქალებისთვის ღია ფერზე თმის შეღებვა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს (მიუხედავად იმისა, მისი ბუნებრივი ფერი ღია იყო, თუ მუქი).

საინტერესოა თავად ის ფაქტი, რომ როუდენი რომელიმე ტიპის დისკრიმინაციაზე საუბარს თავს არიდებს, თუმცა ამავე დროს, მისი სიტყვებიდან - „ქალი და აფროამერიკელი ქალი“ გამომდინარე, ვფიქრობ,რომ აფროამერიკელი ქალი ორმაგ დისკრიმინაციას გრძნობს: როგორც ქალი და როგორც აფროამერიკელი. შესაძლებელია როუდენმა ავტომატურად, დაუფიქრებლად გაახმოვანა ის, რაც საზღვაო ძალების კულისებში იგრძნობა ან პირიქით, სრულიად გააზრებულად და გამიზნულად თქვა ეს.

მან განაცხადა, რომ ყველაზე მეამბოხეა ჯარში. ისმის კითხვა: რატომ სჭირდება ამბოხი მას, ვინც ამბობს, რომ ვერ გამოყოფდა მკვეთრად გენდერულ დისკრიმინაციას, ხოლო რასობრივს ნაკლებად გრძნობს? მისი სიტყვები მეტად ორაზროვანია, რადგან იგი ამბობს, რომ გენდერული დისკრიმინაცია არარის დიდი მასშტაბის და არც რასობრივის

მსხვერპლი ყოფილა, თუმცა ამავდროულად აღნიშნავს, რომ თეთრკანიან ქალს ბევრად მეტის უფლება  აქვს, ვიდრე შავკანიანს. აქ იკვეთება საინტერესო რამ.

საზღვაო ძალები აბსტრაქტულად დაყოფილია:

- შავკანიანებად და თეთრკანიანებად
- კაცებად და ქალებად
- თეთრკანიან და შავკანიან ქალებად

შესაბამისად,  საქმე გვაქვს არა ორმაგ (როგორც აქამდე გვეგონა), არამედ სამმაგ დისკრიმინაციასთან. ქალის ფენომენი სამხედრო სისტემაში დადებითად არ აღიქმება, მაგრამ ვითარება მძიმდება, თუკი ეს ქალი შავკანიკანიანია.

ნენსი ბარქსდეილი პრინციპულად უარყოფს რაიმე ტიპის დისკრიმინაციას, ის ამბობს, რომ არც მას და არცერთ მის მეგობარს არასდროს უგრძვნია რაიმე ტიპის შერჩევითი სამართალი თავისი პერსონის მიმართ.

ალექსანდრიასთვის დასმულ კითხვაზე, თუ როგორ გაუმკლავდებოდა დისკრიმინაციას, მისი არსებობის შემთხვევაში, მან აღნიშნა, რომ იგი იმ ტიპის ადამიანია, რომელიც უკან არ დაიხევს და ხმამაღლა გამოთქვამს უკმაყოფილებას. ალექსანდრია ამბობს: „მე შემიძლია ბევრი არასასიამოვნო რამ ვთქვა, ჩემთვის რანგს მნიშვნელობა არ აქვს“[414]. მისი სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ მას უკვე ჰქონდა მსგავსი ვითარება, სადაც მოუხდა საკუთარი ინტერესების დაცვა. ამავდროულად, იგი აცხადებს, რომ თუნდაც საკუთარი პრეტენზიები გამოთქვა და პირდაპირი დისკრიმინაცია შეწყდეს, ის აუცილებლად გრძლდება დახურულ კარს მიღმა. აქ კიდევ ერთხელ დასტურდება ის ფაქტი, რომ როუდენი დუმს და ამჯობინებს, მწვავედ არ წამოწიოს ეს საკითხი, თუმცა მისი პასუხების შეუსაბამობა ზემოაღნიშნულ კითხვებთან ლოგიკურად მაფიქრებინებს, რომ მას გაცილებით მეტი აქვს სათქმელი.

ალექსანდრიას გამოცდილება ნენსისთან შედარებით მწირია. სწორედ ამიტომ ამჯობინებს ბარქსდეილი დუმილს, რადგან მას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ

---

[414]ინტერვიუ ალექსანდრია როუდენთან ჩაწერა ნანა პარინოსმა 2020 წლის 2 მარტს. ალექსანდრია როუდენი - აშშ-ს საზღვაო ძალების ოფიცერს (E-5, Petty Office Second Class).

დისკრიმინაცია ერთი სისტემის დონეზე აღკვეთას არ ექვემდებარება. ეს ის საკითხია, რომელიც სახელმწიფო რეფორმების გატარების გარეშე ვერ მოგვარდება.

რაც შეეხება ნენსი ბარქსდეილის პასუხებს, მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს ლეიტმოტივად მცირე გაღიზიანება გასდევს. მას არ სიამოვნებს, რომ მსგავსი კითხვები ისმის ან არ სიამოვნებს მათი დასმის მიზეზები და ფაქტორები. ნათელია, რომ, რაკი კითხვა დაისმის, მას გარემოფაქტორები განაპირობებს, ხოლო მათ იგნორირებას იწვევს გარკვეული კომპლექსი, რაც პრობლემის არსებობაზე მიუთითებს.

როდესაც ახალგაზრდა მკვლევრის რანგში საშუალება მომეცა ინტერვიუ ამეღო აფროამერიკელი სამხედრო ქალებისგან, ბუნებრივია, გვერდი არ ავუარე მონობის ინსტიტუტს შეერთებულ შტატებში. როუდენმა თამამად აღნიშნა, რომ ეს სულაც არ არის ისტორიის ნაწილი, არამედ მონობა სხვადასხვა ფორმითდღესაც გრძელდება. როგორც მან აღნიშნა, აფროამერიკელები ყოველთვის იბრძოლებენ საკუთარი უფლებებისთვის. წინა შეკითხვებზე პასუხისგან განსხვავებით, როუდენი ამ საკითხზე საუბრისას ზევრად პირდაპირი და თამამია. მისმა პროგნოზმა არ დააყოვნა. ამ ინტერვიუს აღებიდან რამდენიმე თვეში აშშ-ში დაიძაბა ვითარება აფროამერიკელებსა და თეთრკანიანებს შორის, რაც სერიოზულ დაპირისპირებებში გადაიზარდა (მოძრაობა „Black Lives Matter).

ზემოთ აღნიშნული პასუხის შემდეგ მან ისევ უკან დაიხია და განაცხადა, რომ არ მიიჩნევს სამხედო სისტემას თავის დამკვიდრების საშუალებად. მაგრამ მეტად პარადოქსულია ერთი გარემოება. როდესაც ზემოთ დაისვა კითხვა, თუ რატომ აირჩია მან სამხედრო სისტემა, რესპონდენტს არ დაუსახელებია სოციალური მდგომარეობა, ბარქსდეილისგან განსხვავებით, არამედ აღნიშნა, რომ სამხედრო სისტემა მას უსაფრთხოების შეგრძნებას უქმნიდა და ამ სფეროში თავს ზევრად თავდაჯერებულად გრძნობდა.

როდესაც საკვანძო კითხვამდე მივედით, თუ რამდენად მიაღწია თითოეულმა დასახულ მიზანს, ბარქსდეილმაგანაცხადა: „მე ფინანსური სტაბილურობა მოვიპოვე, ძმა და რძალი დედას უვლიან, მას ყველაფერი აქვს და არაფერი სჭირდება, იგი

ბედნიერია“[415]. იმავე კითხვაზე როუდენის პასუხი ასეთია: „მე არავითარი მიზანი არ მაქვს. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, რომ რაიმეს მივაღწიე. უბრალოდ, ბევრი მოგზაურობა მინდა და მსოფლიოს ნახვა“[416]. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ყურადღებას მოგზაურობაზე ნენსიცამახვილებს: „სამხედრო სისტემამ მასწავლა, რომ სამყარო მულტიკულტურულიდა კარგი ადგილია. მე მქონდა შანსი მენახა საკმარისზე მეტი და ეს ყოველივე სამხედრო სამსახურის დამსახურებაა“[417].

როუდენიც და ბარქსდეილიც უარყოფენ იმ ფაქტს, რომ სამხედრო ძალებში სამსახური რაიმე ფორმით დაკავშირებულია საკუთარი თავის დამკვიდრებასთან ამერიკულ სამოქალაქო საზოგადოებაში. ამავდროულად, ისევ პარადოქსულ კომენტარს ვისმენთ, ბარქსდეილი ამბობს: „როგორც აფროამერიკელ ქალს, სამხედრო ძალებმა იმდენი შესაძლებლობა მომცა, რამდენიც არასდროს მექნებოდა არცერთ სხვა ორგანიზაციასა თუ საჯარო სამსახურში“[418].აშკარად ვლინდება ბარქსდეილის სურვილი არ ისაუბროს რასობრივ, გენდერულ თუ სხვა ტიპის დისკრიმინაციაზე სამოქალაქო თუ სამხედრო საზოგადოებაში.

როგორც ბარქსდეილი, ასევე როუდენი ამბობენ, რომ ქალები ისევე დატვირთული არიან, როგორც კაცები. ისინი ერთმანეთის მხარდამხარ იბრძვიან და მათი დამსახურება შეერთებული შტატების წინაშე განუზომლად დიდია. ასევე, ორივე მათგანი ამბობს, რომ რაიმე ტიპის დისკრიმინაციის აღმოჩენისას მიმართავენ შესაბამის სამსახურს. როგორც ბარქსდეილი აცხადებს, პრობლემა უმალ აღკვეთილი იქნება.

ფაქტია, რომ როუდენიცა და ბარქსდეილიც დუმილს ამჯობინებენ, თუმცა კითხვის რამდენჯერმე გამეორებისას ან მისი სხვა ფორმით დასმისას, პასუხიც სხვაგვარი გამოდის. დავუშვათ, რომ სამხედრო სისტემაში შავკანიანი ქალისადმი

---

[415]ინტერვიუ ნენსი ბარსქდეილთან ჩაწერა ნანა პარინოსმა 2020 წლის 30 იანვარს.ნენსი ბარკსდეილი - აშშ-ს სახმელეთო ძალების ოფიცერს (Sergeant First Class (SFC).

[416]ინტერვიუ ნენსი ბარსქდეილთან ჩაწერა ნანა პარინოსმა 2020 წლის 30 იანვარს.ნენსი ბარკსდეილი - აშშ-ს სახმელეთო ძალების ოფიცერს (Sergeant First Class (SFC).

[417]ინტერვიუ ნენსი ბარსქდეილთან ჩაწერა ნანა პარინოსმა 2020 წლის 30 იანვარს.ნენსი ბარკსდეილი - აშშ-ს სახმელეთო ძალების ოფიცერს (Sergeant First Class (SFC).

[418]ინტერვიუ ნენსი ბარსქდეილთან ჩაწერა ნანა პარინოსმა 2020 წლის 30 იანვარს.ნენსი ბარკსდეილი - აშშ-ს სახმელეთო ძალების ოფიცერს (Sergeant First Class (SFC).

დისკრიმინაციისმხოლოდმცირე ან უმნიშვნელო ფაქტები შეინიშნება, მაშინ სამხედრო ძალებში, სადაც 43 პროცენტი რასობრივი და ეთნიკური უმცირესობა მსახურობს, 2020 წლამდე რატომ არ დაუნიშნავთ შავკანიანი ოფიცერი სამხედრო სამსახურში რომელიმე ქვედანაყოფის უფროსად?(2020 წლის 6 აგვისტოს საჰაერო ძალების პირველი შავკანიანი გენერალი ჩარლზ ბრაუნი გახდა).[419]

შემდეგიკითხვაა:რატომარის, რომსამხედროძალებში, სადაც 1.3 მილიონიქალი მსახურობს, მხოლოდ 41 შავკანიანიმოსამსახურეითვლება 4 ვარსკვლავიანოფიცრად?[420] (ესარისშავკანიანმოსამსახურეთაშორისუმაღლესირანგი). აქედანგამომდინარე, მეტადარასერიოზულად მეჩვენებაამვითარებაშიროგორცროუდენისგან, ასევებარქსდეილისგანდისკრიმიაციისმცირეფორმებსათუმათარარსებობაზე საუბარი.

კითხვები, რომლებიც ექვსი წლის წინ დავსვი,დღესაცაქტუალურიადაპრობლემაუფრომწვავედაცდგას. იგივეკითხვასსვამსმარკტომსონი 2020 წლის 8 ივლისისსტატიაში, სახელწოდებით: **„რასიზმისამხედროძალებში“**,ქვესათაურით: **„შეიცვლებაკირამებოლოსდაბოლოსსამხედროძალებში?“** [421]

მიუხედავადიმისა, რომაფროამერიკელთაღვაწლიშეერთებულიშტატებისისტორიისწინაშე უაღრესადდიდია,მათიდისკრიმინაციადღესაცგრძელდება. ასევე, მიუხედავადიმფაქტისა, რომ 50 წლისწინარსებულვითარებასამჟამინდელსვერშევადარებთ, ვითარებასულაცარააიმედისმომცემი. კერძოდ: „2018 წელსარსებულიდახილულირასიზმი 22%-დან 2019 წელს 36%-მდეგაიზარდა“.[422]

---

[419] Thomson. M, Racism in the Ranks; Could the U.S. military finally be changing, 08/2020, https://www.pogo.org/analysis/2020/07/racism-in-the-ranks/.
[420] Thomson, ", Racism in the Ranks; Could the U.S. military finally be changing ".
[421] Thomson, ", Racism in the Ranks; Could the U.S. military finally be changing ".
[422] Thomson, ", Racism in the Ranks; Could the U.S. military finally be changing ".

ზესახელმწიფოსთვის, რომელიც ტოლერანტობის, თანასწორობისა და პიროვნული თავისუფლების ქვეყნად ითვლება,მსგავსი მაჩვენებელი მეტად საყურადღებო და საგანგაშოა.

თავად სტატიის ავტორი ამერიკის დამოკიდებულებას რასიზმისადმი ადარებს ამერიკის ბრძოლას ომში, მაგრამ რასიზმთან ბრძოლას ავღანეთის ომთან აიგივებს, რაც მისი მოგვარების პერსპექტივას შორეულ სიზმრად აქცევს.

ამგვარად, ინტერვიუებმა ნათლად გამოკვეთა თანამედროვე ამერიკულ სამხედრო სისტემაში არსებული შემდეგი გარემოებები:

- თანამედროვე აფროამერიკელი სამხედრო მოსამსახურე ქალები რასობრივი და გენდერული დისკრიმინაციის ფაქტებზე ბუნდოვნად საუბრობენ (არსებობას აღიარებენ, თუმცა მიიჩნევენ, რომ ეს არც ისე შესამჩნევია);
- ხსენებულ თემაზე უხალისოდ საუბრობენ;ამის მთავარი მიზეზი კი აშშ-ს იმიჯის შელახვის და საკუთარი თავის მეორეხარისხოვან რასად პოზიციონირების უსურვილობაა;
- შავკანიანი სამხედრო მოსამსახურე ქალებისთვის ნიშანდობლივია, რომ მუდმივად საჭიროა თავდაცვა, რათა არ აღმოჩნდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი;
- თუ პირდაპირი დისკრიმინაციის მცდელობა აღკვეთეს, ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა, რომ დახურულ კარს მიღმა ამგვარი დამოკიდებულება გაგრძელდება;
- შავკანიან სამხედრო მოსამსახურე ქალებს კარიერული წინსვლის შანსი ნაკლებად აქვთ (როგორც ზემოთ აღვნიშნე, ზოგადად, შავკანიან სამხედრო მოსამსახურეთა შორის უმაღლესი რანგიოთხვარსკვლავიანი ოფიცრობაა და მასაც ძალიან ცოტანი აღწევენ);
- ისინი აცხადებენ, რომ სამხედრო სამსახურმა ბევრი მისცათ, მაგრამ პასუხებში იკითხება, რომ საკუთარი მოღვაწეობით დიდად მოტივირებული არ არიან;
- ბუნდოვანება და ორაზროვნება სისტემაში პრობლემების არსებობაზე მიუთითებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სისტემა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, გარკვეული ხარვეზები თვალშისაცემია და დისკრიმინაციის ფაქტების პროცენტული მაჩვენებლების ზრდაც საკითხის

აქტუალურობაზე მიუთითებს. შესაბამისად, ტენდენციის შესაჩერებლად და მანკიერებათა აღმოსაფხვრელად აუცილებელია აშშ-ს შესაბამისმა ინსტანციებმა პრობლემის არსებობა აღიარონ და გარკვეული ძალისხმევა გამოიჩინონ.

## დასკვნა

დისერტაციაში განხილულ ომებისა და, შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში ფერადკანიან ქალთა ჩართულობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება შეიძლება. იმდენად, რამდენადაც საკითხი მეტად სპეციფიკურია, ცალსახად მხოლოდ ერთი კუთხიდან ვერ შეფასდება. აფრომერიკელ ქალთა წვლილზე აშშ-ს შეარაღებული ძალების მიერ წარმოებულომებში მხოლოდ მათ მიერ გაწეული ღვაწლით არ უნდა ვიმსჯელოთ, არამედ იმითაც, თუ რა როლი ითამაშა ამ მოვლენამ მათ ცხოვრებაში. თითოეული ომი ფერადაკანიანი რასისთვის ეტაპიდან ეტაპზე გარდამავალ საფეხურებს ჰგავდა. გამოიკვეთა **ამ მოვლენის როლი - ომი, როგორც საშუალება**. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ომები იყო ერთგვარი სოციალური იარაღი აფროამერიკელი ქალებისთვის, რათა გამხდარიყვნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები.

საკითხი უნდა დაისვას შემდეგნაირად: **რა გააკეთეს ფერადკანიანებმა სამოქალაქო ომის დროს და რა მოუტანა მათ სამოქალაქო ომმა?** სამოქალაქო ომი საკვანძო წერტილია ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში. მან დაამხო მონათმფლობელობის ინსტიტუტი, რომელიც ისეთ ქვეყანას, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, ჩირქს სცხებდა. აფროამერიკელმა ქალებმა, ჰარიეტ ტაბმენის მეთაურობით, გათხარეს მონობასა და თავისუფლებას შორის გვირაბი, რომელსაც მოგვიანებით „მიწისქვეშა გვირაბი“ დაერქვა. აფრომერიკელმა ქალებმა აღადგინეს ქვეყნის შელახული იმიჯი. აშშ-ში, რომელიც თავისუფლების მიწად იყო შერაცხული, მონათფლობელობის ინსიტიტუტი არსებობდა, რაოდენ პარადოქსულიც უნდა ყოფილიყო ეს ფაქტი.

- აფროამერიკელმა ქალებმა გადაარჩინეს ათასობით სიცოცხლე და თავისუფლება მისცეს არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ მომდევნო თაობებს („მიწისქვეშა გვირაბი“);
- 1865 - კონსტიტუციაში შევიდა მე-13 შესწორება, რომელმაც ოფიციალურად გააუქმა მონათმფლობელობის ინსტიტუტი;
- 1866 -კონსტიტუციაში შევიდა მე-14 შესწორება, რომელმაც ფერადკანიანები ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებად აღიარა;
- 1869 - კონსტიტუციაში შევიდა მე-15 შესწორება: აფროამერიკელებმა ხმის მიცემის უფლება მოიპოვეს;
- გაქცეული მონების „მიწისქვეშა გვირაბმა“, რომელიც თავის მხრივ სამხრეთს ჩრდილოეთთან აკავშირებდა და, რომელმაც აშშ სამოქალაქო ომამდე მიიყვანა, ქვეყანა ერად აქცია. მონამფლობელობის ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ ამერიკა არ იყოფოდა სამხრეთად და ჩრდილოეთად.

მონამფლობელობის ინსტიტუტი იყო ის, რის გამოც შეერთებული შტატების მოსახლეობის აზრი ორად გაიყო. შესაბამისად, ქვეყანაში არ ჰქონიათ ეროვნული სულისკვეთება და ერთიანობა. ეს ის უნიკალური შემთხვევაა, როდესაც ომი აფრომერიკელთათვის მათი რასის ხსნის იარაღად იქცა. ამავდროულად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ომი სხვა ომებისგან გამოირჩეოდა. ის არ იყო აფროამერიკელთა მხრიდან პატრიოტიზმის დემონსტრირების მცდელობა, არც რაიმე ფორმით სამოქალაქო საზოგადოებაში თავის დამკვიდრებას ემსახურებოდა, როგორც შემდეგი ომების შემთხვევაში, არამედ ეს იყო ომი თვითგადარჩენისთვის, საკუთარი თავისთვის, თავისუფლებისთვის. ეს იყო ომი, რომელმაც შექმნა ტერმინი „აფროამერიკელი“ და ამ ადამიანებს მიანიჭა თავისუფლება, აშშ-ს მოქალაქის სტატუსი, რომელიც ავტომატურად გათანაბრებას ნიშნავს თეთრკანიან რასასთან, ხმის მიცემის უფლება, რაც გულისხმობს, რომ შავკანიანის აზრს მნიშვნელობა აქვს.

აქ საინტერესო სქემა იკვეთება: მონათმფლობლობის ინსტიტუტის საფუძველზე სამხრეთად და ჩრდილოეთად გაყოფილ იმიჯშელახულ შტატებს არ გააჩნდა ერთიანობა. შედეგად, აფროამერიკელებმა გამოიწვიეს სამოქალაქო ომი, რომელმაც,

თავის მხრივ, მიანიჭა მათ კონსტიტუციაში შესწორების სახით შესული უფლებები და სწორედ ამ ომის დასასრულმა შექმნა ტერმინი „ამერიკელი“, შეკრა ერი და, ფაქტობრივად, გააუქმა ტერმინები: „სამხრეთი“ და „ჩრდილოეთი“.

სამოქალაქო ომი ის ომია, რომელშიც ფერადკანიანებმა ქვეყანას, რომელმაც ისინი 1619 წელს ჯეიმსთაუნში მონების სახით ჩაიყვანა, ეს სირცხვილი ჩამორეცხა. ეს ის ომია, რომელშიც ორივე ფაქტორის როლი განუზომლად დიდია: აფროამერიკელთა როლი სამოქალაქო ომში და სამოქალაქო ომის როლი აფროამერიკული რასისთვის.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სამოქალაქო ომსა და, კერძოდ, აფრომერიკელ ქალებს (როგორც „მიწისქვეშა გვირაბის“ სულისჩამდგმელებს) მიუღძვით წვლილი ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის ერად ჩამოყალიბებაში და ტერმინების „ამერიკელისა“ და „აფროამერიკელის“ შექმნაში.

სამოქალაქო ომი იყო „ფერადი ხაზის“ (Coloured Line)[423] ომი, ხოლო აფროამერიკული რასა, კერძოდ, აფროამერიკელი ქალები, ამ პრობლემის გამშუქებელნი. სამოქალაქო ომი მე-19 საუკუნის ომია, რომელსაც ემანსიპაციის საუკუნედ მოვიხსენიებ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩრდილოთისა და სამხრეთის კონფრონტაციის საუკუნედ. სამოქალაქო კომბინირებული და, ამავდროულად, კონტრხედვების ომი ერთგვარი მიქსი იყო დაზავების, თეთრკანიანთა სუპრემაციისა და ემანსიპაციური ხედვების. ეს იყო „იდეოლოგიური მეხსიერების“ მარცხი; ეთნიკურობისა და გენდერული საკითხების სინთეზისა და „დებნის ცოლების“ ომი.[424]

სამოქალაქო ომმა შექმნა ქალთა განათლებისა და ინოვაციების ჯაჭვი: გატარდა განათლების რეფორმა, გაუმჯობესდა ქალთა განათლების საკითხები. შედეგად, მივიღეთ წერა-კითხვის მცოდნე მონების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა (5-დან - 50% მდე.) ოფიციალურად შეიქმნა ჩრდილოეთის საგანმანათლებო გეგმა: ქალებმა

[423]Blight, David, W., “Race and Reunion, The Civil War in American Memory”, The Belknap Press of Harvard University Press, Cambridge Massachusetts and London, England, 2001, pages 1-2. ავტორის შენიშვნა: „ფერადი ხაზი“ - იგულისხმება აფროამერიკული რასა.

[424]“დებნის ცოლი“- მეუღლე ფერადკანინი მამაკაცისა, რომელიც კონფედერატებს გამოექცა, ხოლო ცოლის მეშვეობით კავშირსინფორმაციას აწვდიდა. ცნობილია მხოლოდ ის ფაქტი, რომ კაცს დებნი ერქვა, ხოლო მისი ცოლი ისტრიაში „დებნის ცოლის“ სახელით შევიდა.

დაწყებითი კლასებიდან მაღალ კლასებში გადაინაცვლეს. ამ ომის შედეგად, მედდობა ქალის პროფესიად იქცა. ეს იყო მედდებისა და ჯაშუში აფროამერიკელი ქალების ომი.

როგორ დაფასდა და შეფასდა აფროამერიკელ ქალთა ესოდენ დიდი თავგანწირვა ამ ომში?

- უილიამ ქეითი (ქეით უილიამსი) - პირველი აფროამერიკელი ქალი, რომელიც ჯარში ოფიციალურად ირიცხებოდა (ღვაწლი არ დაფასდა: პენსიაზე მისი გასვლის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა);
- მერი ენ შედ ქერი - პირველი და ერთადერთი ქალი, რომელსაც ოფიციალური ხელფასი ჰქონდა კავშირის ჯარში. იგი პირველი აფროამერიკელი იყო, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცეს. 1870 წელს კი მან იფიციალურად წამოაყენა აღნიშნული მოთხოვნა, რომელიც მხოლოდ 1920 წელს დაკმაყოფილდა;
- ტაბმენი პირველი აფროამერიკელია, რომელმაც „მიწისქვეშა გვირაბს" დაუდო საფუძველი (ღვაწლი დაფასდა: პირველი აფროამერიკელი ქალია, რომლის 20 დოლარიან ბანკნოტზე გამოსახვის საკითხი წამოაყენეს, ასევე, იგი პირველი აფროამერიკელი ქალია, რომელიც სამხედრო პატივით დაკრძალეს);
- ენ ბრედფორდ სთოუქი - ხუთი აფროამერიკელი ქალიდან ერთ-ერთი, რომელიც საზღვაო ფლოტში მსახურობდა (ღვაწლი დაფასდა: იგი პირველი აფროამერიკელია, რომელსაც პენსია დაუნიშნეს);
- სიუზი კინგ ტეილორი - სამოქალაქო ომის პირველი მედდა. პირველი და ერთადერთი მედდა, რომელიც მემუარებს წერდა. იგი ასევე ქალთა უფლებების პირველი დამცველი იყო (ღვაწლი საპენსიო ასაკამდე ოფიციალურად არ უღიარებიათ).

ეს იყო ტაბმენის, სთოუქის, ტეილორის, ქერისა და სხვათა ომი. ტაბმენმა გაწეული ღვაწლისთვის სათანადო აღიარება მოიპოვა. სამოქალაქო ომი პრეცენდენტების დამშვები აღმოჩნდა. მან დანერგა სიახლეები და შექმნა „პირველები" (აფროამერიკელი ქალი-ჯაშუშები, მზვერავები, მედდები, ორატორები, ადამიანის უფლებების დამცველები, ჯარისკაცები, კავალერისტები, დოლარის კუპიურაზე გამოსახული აფროამერიკელები, მათ პატივსაცემად გემებისთვის დარქმეული

სახელები, პირველი გამოცემული გაზეთები, პირველი რედაქტორები). სამოქალაქო ომი „პირველების ომი“ იყო და სწორედ ამ „პირველებმა“ შეცვალეს მისი კურსი.

**პირველი მსოფლიო ომი** იყო შემდეგი საფეხური, პერიოდი, როდესაც მონობიდან განთავისუფლებული რასა არათანაბარი უფლებებით სარგებლობდა. რას ემსახურებოდა პირველი მსოფლიო ომი? ეს აფროამერიკული პატრიოტიზმი იყო, თუ თავის დამკვიდრების პირველი და საუკეთესო მცდელობა?

პასუხი ასეთია:

- Selective Service Act - კანონი სამხედრო ვალდებულების შესახებ, რის შედეგადაც 700.000-ზე მეტი აფროამერიკელი დარეგისტრირდა შეიარაღებულ ძალებში;
- საზღვაო ფლოტში აფროამერიკელებისთვის მიბარებული შავი სამუშაოები ჩანაცვლდა სხვადასხვა ვალდებულებებით;
- 1917 წელი - 6000-ზე მეტმა შავკანიანმა მოიპოვა კაპიტნისა და ლეიტენანტის წოდება;
- კონსტიტუციაში შევიდა მე-19 შესწორება, რომლის სულისჩამდგმელი აფრიამერიკელი მერი ენ შედ ქერი იყო;
- ამ ომმა კარი გაუღო აფროამერეკილებს საჰაერო ძალებისკენ, რომელიც მათთვის, ამ დროის განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზის გამო, დახურული იყო.

პირველი მსოფლიო ომი კარგი ბერკეტი აღმოჩნდა აფროამერიკული რასისა და, მათ შორის, აფროამერიკელი ქალებისთვის. მათთვის ეს იყო შემდეგი ტრამპლინი, რომლის მეშვეობითაც შეძლეს უკვე მოპოვებული თავისუფლების საკუთარი სურვილით განკარგვა. სამოქალაქო ომის შემდეგ აფროამერიკელებს მიეცათ შანსი გამოევლინათ პატრიოტიზმი, რომელიც თავის მხრივ ავტომატურად მოიაზრებდა დამატებითი სტანდარტული მოქალაქეობრივი უფლებების მიღებას. პირველმა მსოფლიო ომმა ფედერალური მთავრობის დამოკიდებულებას რასიზმისადმი მკაფიო კონტურები მოავლო. რასიზმის თემა იმდენად მწვავე იყო, რომ მთავრობამ უარი უთხრა სეგრეგირებული ყაზარმების დაშლას. ომში, რომელშიც ქვეყანა თითოეულ თეთრკანიანს უნდა გაფრთხილებოდა, აშშ-მ ტრენინგები სეგრეგირებულ რეჟიმში ჩაატარა (თეთრკანიანთათვის და შავკანიანთათვის).

როგორი იყო აფროამერიკელთა წვლილი პირველ მსოფლიო ომში?

- 1917 წელი - აფროამერიკელთაგან შემდგარი ქვედანაყოფი საფრანგეთში ჩავიდა;
- 1918 წელი - 369-ე ქვეითი ჯარი საფრანგეთის დასახმარებლად გაემგზავრა;
- „ჰარლემის ჯოჯოხეთის მებრძოლნი“ - აფროამერიკული თავდადება;
- 191 დღე საფრანგეთში და არცერთი აფროამერიკელი ტყვე.

პირველმა მსოფლიო ომმა ფერადკანიანი ქალების პოლიტიკური აქტივობის მიმართ ინტერესი გააღვივა. თუკი სამოქალაქო ომის დროს ფერადკანიანებს ჰქონდათ საკუთარი გაზეთი *The Provincial Freeman-ი*, პირველი მსოფლიო ომის დროს ისინი *The Richmond Planet*-ის ფურცლებიდან აფრთხილებდნენ აშშ-ს, რათა შეემჩნიათ მათი არსებობა და ღვაწლი.

„სამოქალაქო უფლებები მსხვერპლის სანაცვლოდ“ - აფროამერიკელთათვის პირველი მსოფლიო ომის ლეიტმოტივი იყო. ამ ომის დროს ფრონტის ხაზზე არსებული დაძაბულობა პირდაპირპროპორციულია ფერადკანიანი მედდების დასაქმებასთან. ეს ომი დიდი მოლოდინისა და დიდი იმედგაცრუების ომი იყო: მაშინ, როდესაც 1909 წელს მსოფლიო ისტორიაში პირველად შეიქმნა აფროამერიკელ უმაღლესდამთავრებულ მედდათა ასოციაცია, ხოლო შემდეგ წლებში შეერთებული შტატები მათი სერვისით სარგებლობდა, ომის დამთავრების შემდეგ, 1919 წელს, ისინი სამსახურიდან გაათავისუფლეს. „დაიძინა“ ომმა, „გაიღვიძა“ რასიზმმა. ომის დასასრულმა კვლავ წამოწია მიძინებული ე.წ. ქვემოქალაქეობის საკითხი. ისმის კითხვა: რატომ გაატარა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მსგავსი პოლიტიკა? პასუხი იმაზე მარტივია, ვიდრე ჩანს: მათი შემდგომი დასაქმება ღვაწლის აღიარებას ნიშნავდა, რისთვისაც ქვეყანა აბსოლუტურად მზად არ იყო.

ამ ომის მთავარი იმედგაცრუება ის იყო, რომ აფროამერიკელი ქალები ფიქრობდნენ, რომ ჩართულობა პირველ მსოფლიო ომში იქნებოდა სამშობლოში მათი უფლებების დაცვის გარანტი. მაგრამ ასე არ მოხდა. ომმა ვერ გაამართლა აფროამერიკელთა იმედები. მიუხედავად ამისა, აფროამერიკლეთა ცხოვრებაში მისი როლის დაკნინებაც არ შეიძლება. მან საფუძველი ჩაუყარა აფროამერიკელთა

მოთხოვნებს უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ის ნეშვილელი აფროამერიკელი ქალების, პატრიოტი აფროამერიკელებისა და ღვაწლდაუფასებელთა ომი იყო, რისი დასტურიც 1919 წელი გახდა.

